

თავაზ გაგზავნილი

წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა

ანბანური წერის
ტიპოლოგია და წარმოშობა

აკაკი შანიძის †
რედაქციითა და წინასიტყვაობით

ივანე ჯავახიშვილის სახ.
თბილისის უნივერსიტეტის
გ ა მ მ ც ე მ ლ ო ბ ა
თბილისი * 1990

მეორე შესწორებული გამოშვება
Второй исправленный выпуск

Г $\frac{4602020200}{608 (06) 89}$

ISBN 5—511—00311—5

© ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 1990

წიგნში განხილულია წერის ტიპოლოგიისა და „ანბანური“ დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების საკითხები.

წერის სტრუქტურასა და ტიპოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემათა შესწავლისას თანამედროვე მეცნიერებაში წერილობით სისტემათა შესახებ, ანუ „დამწერლობათმცოდნეობაში“ ან „გრამატოლოგიაში“, რომელიც დამწერლობას განიხილავს საზოგადოდ როგორც სემიოტიკურ (ანუ ნიშანთა) სისტემას, საჭიროა შემოვიღოთ ისეთი სტრუქტურულ-ენათმეცნიერული ცნებები, როგორიცაა წერილობითი სისტემის „პარადიგმატიკა“ და „სინტაგმატიკა“ და სისტემის „შინაარსისა“ და „გამოხატულების პლანი“.

ეს ცნებები ძირეულია წერილი სისტემის სტრუქტურისა და ტიპოლოგიის, ასევე მისი წარმომავლობა-განვითარების ანალიზისათვის. ამასთანავე ამგვარი ანალიზი უნდა ემყარებოდეს არა „გამოხატულების პლანის“ გარეგანი გამოვლინებების განხილვას, როგორცაა, მაგალითად, ცალკეულ წერით სიმბოლოთა ფორმა და მოხაზულობა, როგორც ეს ტრადიციულ „პალეოგრაფიაში“ ხდებოდა, არამედ „შინაარსის პლანის“ უფრო არსებით შინაგან სტრუქტურულ მონაცემებს, როგორცაა წერის პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა, აგრეთვე მათი გარდაქმნის კანონზომიერებანი დროსა და სივრცეში.

ნაშრომში სპეციალური განხილვის საგანია ძველი ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების საკითხები და მოცემულია მისი წერილობითი წყაროს დადგენის ცდა.

თანამედვერულად „ანბანური“ წერის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს კლასი-

კური ბერძნული დამწერლობა, რომელიც წარმოიშვა ძველი სემიტური „კონსონანტურ-სილაბური“ წერისაგან. ძველი სემიტური, ძველი ბერძნული და ძველი ქართული წერილობითი სისტემების ერთმანეთთან სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შეპირისპირება აუღენს ქართული დამწერლობის დამოკიდებულებას ძველ ბერძნულ და არა ძველ სემიტურ სისტემაზე, რომელსაც ჩვეულებრივ უკავშირებდნენ ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობას. სწორედ ბერძნული წერითი სისტემა იყო გამოყენებული როგორც წერითი პროტოტიპი ძველი ქართული დამწერლობის შესაქმნელად.

ქართული „ასომთავრულის“ შედარება სხვა წერით სისტემებთან, რომლებიც ასევე ძველ ბერძნულ წერილობით პროტოტიპს ემყარება (ისეთ სისტემებთან, როგორიცაა კოპტური, გოთური, ძველი სომხური და ძველი სლავური), აუღენს ძველი ქართული წერის სტრუქტურულ მახასიათებლებს და არკვევს მის ტიპოლოგიურ ადგილს ადრექრისტიანული ხანის ამ დამწერლობათა შორის, რომლებიც შეიქმნა აღმოსავლურ-ქრისტიანულ კულტურულ სამყაროში როგორც ორიგინალური ეროვნული დამწერლობანი.

გრამატოლოგიის თეორიულ საკითხთა განხილვა სხვადასხვა სტრუქტურის წერილობით სისტემათა ფართო მოხმობით და მათი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი, ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემები წერის წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება ფილოლოგებისა და კულტურის ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისათვის, ეინც დაინტერესებულია წერის თეორიისა და ისტორიის საკითხებით.

РАБОТА посвящена рассмотрению теоретических проблем типологии письма и зарождения и развития алфавитной системы письменности из существовавшей ей смешанной системы „консонантно - силлабического“ типа, которую представляла старосемитская линейная письменность.

При анализе проблем структуры и типологии письма в современную „науку о письме“, или „грамматологию“, рассматривающую письменность как семиотическую, знаковую систему, следует ввести такие заимствованные из лингвистики понятия, как „парадигматика“ и „синтагматика“ письма, а также „план содержания“ и „план выражения“ письменной системы.

Эти понятия должны стать основополагающими как при анализе структуры и типологии письма, так и проблем его возникновения и развития. При этом вопросы структуры и типологии письма, а также проблемы происхождения и исторических взаимоотношений письменных систем следует решать не на основе чисто внешних проявлений „плана выражения“ системы, каковыми являются начертания отдельных знаков письменных систем, как это делалось в традиционной „палеографии“, а на базе более существенных внутренних факторов „плана содержания“ системы, таких как парадигматика и синтагматика письма, а также закономерности их преобразований в пространстве и времени. В работе специально разбираются проблемы происхождения древнегрузинской (иберийской) системы письма и определения ее источников. Анализ древнегрузинской письменной системы проводится на широком типологическом фоне различных систем алфавитной письменности, с привлечением старосемит-

ской (финикийской) и греческой систем письма, а также и других письменностей, происшедших из этих последних. Древнейшей системой последовательно алфавитного письма считается греческая письменность, происшедшая из старосемитского „консонантно-силлабического“ письма.

Сопоставительный анализ старосемитской, древнегреческой и древнегрузинской систем письма выявляет зависимость древнегрузинской системы от греческой (а не старосемитской системы письма, с которой обычно связывали древнегрузинскую письменность), что объясняется использованием греческой системы в качестве письменного образца при создании древнегрузинской парадигматики письма.

Сравнение древнегрузинской письменности с алфавитными письменными системами, восходящими к греческому письменному прототипу, такими, как коптская, готская, древнеармянская и старославянская, выявляет внутренние структурные особенности древнегрузинского алфавита и определяет его типологическое место среди этих систем раннехристианской эпохи, созданных как оригинальные национальные письменности восточнохристианского культурного мира.

Рассмотрение теоретических проблем грамматологии, привлечение письменных систем различного типа и их структурно - типологический анализ, затрагиваемые в работе вопросы зарождения и развития письма делают ее интересной для филологов и историков культуры, а также для широкого круга читателей, интересующихся вопросами теории и истории письма [см. стр. 207 и след.].

*„Alles Gescheidte ist schon gedacht worden,
man muss nur versuchen, es noch einmal
zu denken“.*

Goethe

*„უველაფერი გონიერული უკვე ნაფიქრია,
უნდა ვეცადოთ მხოლოდ, ყოველივე ეს ხელ-
ახლა გაეიაზროთ“.*

გოეთე

ა ვ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

წინამდებარე ნაშრომი უკვე გამზადებული იყო დასაბეჭდად 1976 წლისათვის, როდესაც მას რედაქცია გაუწია და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ. იგი ეძღვნებოდა ქართული დამწერლობათმცოდნეობისა და საზოგადოდ მთელი ახალი ქართული პუბლიცისტური მემორიების დამფუძნებლის – დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს, რომელიც იმხანად აღინიშნებოდა. მაგრამ სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო წიგნის გამოქვეყნება ძლიერ დაყოვნდა და მისი გამოცემა ვერ მოხერხდა აღნიშნული თარიღისათვის.

ამჟამად ჩვენ ქართული მემორიების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღის წინაშე ვდგავართ: მიმდინარე წლის შემოდგომაზე აღინიშნება ქართული უნივერსიტეტის დაარსების 70-ე წლისთავი. მე მინდა ეს წიგნი ივანე ჯავახიშვილთან ერთად ამ ღირსშესანიშნავ თარიღსაც ვუძღვნა.

ამ ორ თარიღს შორის არსებული დრო ერთ ათწლეულზე მეტით განიზომება, რამაც საჭირო გახადა წიგნში გარკვეული დამატებები შეგვეტანა, ძირითადად ბიბლიოგრაფიული ხასიათისა, რომლებიც ასახავენ ამ პერიოდში გამოსულ ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო ნაშრომებს, მიძღვნილს სხვადასხვა წერით სისტემათა და, კერძოდ, ქართული დამწერლობის სტრუქტურის, წარმოშობისა და განვითარების საკითხებისადმი.

თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე

თბილისი, სექტემბერი, 1988 წ.

P. S. წიგნის მეორე გამოშვებაში შესწორებულია შემჩნეული უზუსტობანი და დამატებულია ზოგი განმარტება და ტაბულა.

თ. გ.

თბილისი, ოქტომბერი, 1990 წ.

შემოკლებათა სია
СПИСОК СОКРАЩЕНИЙ

ენები და დიალექტები

არაბ. = არაბული	პუნ. = პუნური
არამ. = არამეული	რუნ. = რუნული (დამწერლობა)
ბერძნ. = ბერძნული	სამხრ.-არაბ. = სამხრეთ-არაბული
გერმან. = გერმანული	სემ. = სემიტური
გოთ. = გოთური	სირ. = სირიული
დორ. = დორიული	სლავე. = სლავური
ებრ. = ებრაული	სომხ. = სომხური
ეგვი. = ეგვიპტური	ს.-სემ. = საერთო-სემიტური
ეთიოპ. = ეთიოპური	ს.-ქართ. = საერთო-ქართველური
ინდ. = ინდური	უგარ. = უგარიტული
კოპტ. = კოპტური	ფინ. = ფინიკიური
ლათ. = ლათინური	ქან. = ქანაანური
მოაბ. = მოაბური	ქართ. = ქართული
ნაბატ. = ნაბატეური	ჩრდ.-სემ. = ჩრდილო-სემიტური
პალმ. = პალმირული	
არმ. = армянский	ძრ.-ევრ. = древнееврейский
архаич. греч. = архаический	копт. = коптский
греческий	сем. = семитский
гот. ≙ готский	сир. = сирийский
греч. = греческий	ст.-сем. = старосемитский
груз. = грузинский	ст.-слав. = старославянский

შ ი ბ კ კ რ ს ი

Содержание

ავტორისაგან	9
შემოკლებათა სია	
<i>СПИСОК СОКРАЩЕНИЙ</i>	10
წინასიტყვაობა (ა. შანიძე)	15
შესავალი	23

თ ა ვ ი I. ძველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური ღამწერლობა

1. ძველი სემიტური ასოღამწერლობა როგორც კონსონანტური წერის უძველესი ნიმუში	24
2. ძველი ფინიკიური ღამწერლობა და დასავლურ-სემიტური ენები	28
3. ძველი სემიტური წერის ქანანური შტო	36
4. ძველი სემიტური წერის არამეული განშტოება	36
5. ძველი სემიტური ღამწერლობის ნიშანთსახელები	39
6. ძველი სემიტური ღამწერლობის ნიშანთრიგი. წერიითი სისტემის პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა	42
7. სემიტური ღამწერლობის ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობები	46
8. წერიითი სისტემის გამოხატულებისა და შინაარსის პლანი	49
9. ძველი სემიტური კონსონანტური ღამწერლობის წარმოშობის პრობლემა	50
10. ძველი სემიტური ღამწერლობა როგორც წერის კონსონანტურ-სილაბური სისტემა	58
11. ხმოვნის გამოხატვა სემიტურ ღამწერლობაში	64

თ ა ვ ი II. ბერძნული ანბანური ღამწერლობა

1. ბერძნული ღამწერლობა და მისი მნიშვნელობა	67
2. ხმოვან ბგერათა გამომხატველი ნიშნები ბერძნულში	70
3. არქაული ბერძნულის თანხმოვანთა სისტემა და სშულ თანხმოვანთა გრაფიკული გამოხატვა	75

4. სიბილანტური სპირანტების გამომსატველი ნიშნები სემიტურსა და ბერძნულში	78
5. ბერძნული ანბანის დამატებითი ნიშნები და მათი წარმომავლობა	80
6. ბერძნული დამწერლობის სამი სახეობა	82
7. ბერძნული ანბანის უნიფიცირება იონიური დამწერლობის საფუძველზე და კლასიკური ბერძნული სისტემის ჩამოყალიბება	86
8. ბერძნული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემა	89
9. ბერძნული დამწერლობისაგან წარმომდგარი წერითი სისტემები	92
10. ბერძნული წერითი სისტემისაგან წარმომდგარი ქრისტიანული ეპოქის დამწერლობანი	97
კობტური დამწერლობა	97
გოთური დამწერლობა	100
ძველი სომხური დამწერლობა	104
ძველი სლავური დამწერლობა	112

თ ა 3 0 III. ქართული ასომთავრული დამწერლობა

1. ანბანურ დამწერლობათა შექმნის ტიპოლოგია	118
2. არქაული ქართულის ფონემური (ბგერითი) შედგენილობა	125
3. ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შესაძლებელი წერითი პროტოტიპები	129
4. ასომთავრული ანბანის პარადიგმატიკა ბერძნულ და სემიტურ სისტემებთან შეფარდებით	134
5. ძველი ქართული ასომთავრული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემა	149
6. ქართული ანბანის „დანართი“ ნაწილი ბერძნული სისტემის თვალსაზრისით	150
7. ქართული ანბანის ასო-ნიშანთა სახელები	157
8. ასომთავრული დამწერლობის სიმბოლოთა გრაფიკული ანალიზი	159
9. ასომთავრული დამწერლობის გრაფიკულ სიმბოლოთა წარმომავლობა	169
10. ქართული ასომთავრული ანბანი როგორც ბერძნული დამწერლობის გრაფიკული სტილიზაციის შედეგად შექმნილი ახალი ეროვნული დამწერლობა	181

11. ქართული ასომთავრული დამწერლობა შედარებით კობ-ტურთან, გოთურთან, სომხურთან და სლავურთან	187
12. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნელის ვინაობა	194
13. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნის თარიღი	196
14. „მწიგნობრობა ქართული“ და ქართული „ალოგლოტოგრაფია“	198
15. „ასომთავრული“, „ნუსხა-ხუცური“, „მხედრული“	202
ბოლოთქმა	206

Глава первая. СТАРОСЕМИТСКАЯ КОНСО- НАНТНО-СИЛЛАБИЧЕСКАЯ ПИСЬМЕННОСТЬ

1. Происхождение алфавитных письменных систем христианской эпохи как частная проблема общей типологии развития письма	209
2. Письменность как семиотическая система и общая теория письма («грамматология»). «План содержания» и «план выражения» письменной системы. «Парадигматика» и «синтагматика» письма	210
3. Типология старосемитской системы письма	216

Глава вторая. ДРЕВНЕГРЕЧЕСКАЯ АЛФА- ВИТНАЯ ПИСЬМЕННОСТЬ

1. Преобразование в греческом старосемитской консонантно-силлабической системы и переход на алфавитную систему письма	223
2. Парадигматика письма и система числовых значений	233

Глава третья. ПИСЬМЕННОСТИ ХРИСТИ- АНСКОЙ ЭПОХИ, БЕРУЩИЕ НАЧАЛО ОТ ГРЕЧЕСКОЙ ПИСЬМЕННОЙ СИСТЕМЫ

1. Коптская письменность	238
2. Готская письменность	242
3. Древнеармянская письменность «Еркатагир»	245
4. Старославянская письменность	252

**Глава четвертая. ДРЕВНЕГРУЗИНСКАЯ
ПИСЬМЕННОСТЬ «АСОМТАВРУЛИ»**

- | | |
|---|-----|
| 1. Типология создания древних алфавитных систем письма | 258 |
| 2. Проблема письменного прототипа древнегрузинского письма «Асомтаврули». Греческая основа древнегрузинского алфавита | 263 |
| 3. Парадигматика алфавитной письменности «Асомтаврули» в соотношении с греческой и семитской системами | 269 |
| 4. «Дополнительная» часть древнегрузинского алфавита | 282 |
| 5. Наименования букв древнегрузинского алфавита | 287 |
| 6. Графический анализ древнегрузинского капитального письма «Асомтаврули» | 289 |
| 7. Древнегрузинская письменность «Асомтаврули» в типологическом сопоставлении с коптской, готской, древнеармянской и старославянской системами письма | 294 |

ბიბლიოგრაფია და საძიებლები

БИБЛИОГРАФИЯ И УКАЗАТЕЛИ

დამოწმებული ლიტერატურა

Цитированная литература

309

საძიებლები

Указатели

325

წინასიტყვაობა

ქართველებს ორნაირი წერა გვაქვს: ერთი ძველი, მეორე ახალი. ისინი იმდენად განსხვავდებიან ერთურთისაგან, რომ კაცს ეგონება, ეს ორი სხვადასხვა ერის წერა არისო. მაგრამ უტყუარი ფაქტია, რომ ახალი ქართული წერა ძველი ქართული წერის განვითარების შედეგად არის მიღებული.

პირველად შეიქმნა ის ძველი ანბანი, რომელიც ასომთავრულის სახელით არის ცნობილი. მისი ასოების ნახუეარზე მეტს მრგვალი ან მომრგვალო ნაწილები აქვთ, და ამის გამო მას მრგლოვანი დაერქვა.

ამ ასოებით არის შესრულებული უძველესი ქართული წარწერები: ბოლნისისა, მცხეთის ჯვრისა, ურბნისისა, პალესტინის ქართული მონასტრისა (ბეთლემს ახლოს) და სხვა. ამავე ასოებით არის დაწერილი უძველესი ქართული ხელნაწერები, რომლებიც პალიმფსესტების სახით არის მოღწეული და ეგრეთწოდებულ ხანმეტ ტექსტებს შეიცავენ. ისინი ინახება როგორც თბილისში, ისე საზღვარგარეთ: ოქსფორდ-კემბრიჯსა და ვენაში.

თბილისში დაცული პალიმფსესტების პირვანდელი ტექსტები ამოიკითხა და დაბეჭდა ი. ჯავახიშვილმა, რითაც საფუძველი დაუდო უძველესი სალიტერატურო ქართულის ძეგლთა შესწავლის საქმეს. ეს ტექსტები წარმოადგენს ნაწყვეტებს სახარებიდან, აგრეთვე აპოკრიფებიდან¹. შემდეგ მეც დაბეჭდე აქაურ პალიმფსესტურ ხელნაწერში ამოკითხული ხანმეტი მრავალთავის ნაწყვეტები². მევე გამოვეცი ხანმეტი ლექციონარი, რომელიც სინურია წარმოშობით. იგი ერთ დროს კ. შუხარდტის ნაქონებია და, მისი ანდერძის თანახმად, ამჟამად გრაცის უნივერსიტეტში³ დაცული (ავსტრიაში). ეს ერთადერთი ხელ-

¹ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და შათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიმუშების დართით): ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922—1923 (გადაბეჭდილია იმავე ავტორის „ქართულ დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“-ში, მეორე გამოც. 1949, 274—366).

² ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927, 98—159.

ნაწერია, რომელიც ხანმეტ ტექსტს შეიცავს (ნაწყვეტებს სახარებიდან) და არ არის პალიმფსესტი³.

ოქსფორდისა და კემბრიჯის პალიმფსესტური ფურცლების პირვანდელი ნაწერი შეიცავს იერემიას წინასწარმეტყველების ხანმეტ ნაწყვეტებს. ეს ფურცლები ნაპოვნია წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში კაიროს ებრაელთა სალოცავის საგანძურში და უთუოდ იერუსალიმური წარმოშობისაა. ოქსფორდის ფურცლის ხანმეტი ტექსტი გამოსცა ი. ჯავახიშვილმა⁴, ხოლო კემბრიჯული ფურცლებისა — მე⁵.

ენის ხელნაწერი, ალბათ სინური წარმოშობისა, შეიცავს, სხვათა შორის, იაკობის პირველსახარების ხანმეტ ნაწყვეტებს და აგრეთვე ნაწყვეტებს ოთხთავიდან. ეს ნაწყვეტები ამოიკითხა და გამოსცა ბირმინგემელმა მეცნიერმა ჯ. ნ. ბერძოლმა⁶.

ხანმეტობა უტყუარი ენობრივი ნიშანია, რომელიც ახასიათებს უძველესი სალიტერატურო ქართულის ძეგლებს, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ წარწერებისა და ხელნაწერების სახით. ასოები, რომლებიც ამოკვეთილია ქვაზე ან რომლებითაც დაწერილია ძველი ხანმეტი ხელნაწერი, არის მრგლოვანი ანუ ასომთავრული.

თავდაპირველად ასოები ერთი ზომისა იყო სიმალლით — ყველა ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდებოდა, მაგრამ შემდეგ ზოგ მათგანს ჩამოუგრძელდა ვერტიკალური ხაზი. ეს ასოებია: **ჟ** **ფ** **ქ** **ჩ** **ც**. ამას გარდა, ასოები სწორად იდგნენ და ზოგ მათგანს უძველეს წარწერებში (ხანმეტობის ხანისაში) თავი შეკრული ჰქონდა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გაეხსნათ: **ჟ** **ჟ** **ჟ**. საერთო შესახედაობის გამო უძველესი ძეგლების დაწერილობას მრგვლოვანი ანუ მრგლოვანი დაერქვა.

³ ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპური რეპროდუქცია: გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 1), 1944. ლექციონარის ტექსტი პირველად დაბეჭდეს 1929 წელს: ქართული ხელნაწერები გრაკში (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IX, 1929, 310—353).

⁴ ხსენებულ ნაშრომში.

⁵ ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, 1938, 29—42.

⁶ J. Neville Birdsall, A second Georgian Recension of the Protoevangelium Jacobi: Le Muséon, 83, 1970, 49—72; Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from the Ms. Vind. Georg. 2: Oriens Christianus, Bd. 55, 1971, 62—89.

მრგლოენისაგან მე-9 საუკუნეში განვითარდა კუთხოვანი წერა, რომელშიც ოთხი სხვადასხვა სიმალლის ასოთა ჯგუფი შემუშავდა. ორი ხაზის ნაცვლად რომ ოთხი პარალელური ხაზი გაველოთ პორი-ზონტალურად და მათ შორის ახლად შემუშავებული ასოები ჩავეწეროთ, ვნახავთ, რომ:

ა) ერთი ჯგუფის ასოები ორ შუა ხაზს შორის არის მოქცეული: $\tau \quad \eta \quad \theta \quad \nu$ — ეს არის შუა ასოები;

ბ) მეორე ჯგუფის ასოებს თავი ზემო ხაზზე ეწყება და ტანი შუა პარალელურ ხაზებში აქვს მოქცეული: $\pi \quad \xi \quad \zeta \quad \eta$ და სხვ. ეს არის ზედა ასოები;

გ) მესამე ჯგუფის ასოებს თავი ორ შუა პარალელურ ხაზს შორის აქვს გაკეთებული და ბოლოები ძირამდე ეშვება: $\chi \quad \psi \quad \varphi$ და სხვ. ეს არის ქვედა ასოები;

დ) მეოთხე ჯგუფის ასოებს მთელი სიმალლე უჭირავთ, პირველი ხაზიდან მეოთხემდე: $\kappa \quad \mu \quad \lambda$. ეს არის მაღალი ასოები.

ორ შუა პარალელს შორის მოქცეული კუთხოვანი დაწერილობის ასოები (ან ასოთა ნაწილები) დახრილია მარცხნიდან მარჯვნივ და ხაზების გადაკვეთის ადგილას კუთხეები კეთდება. ამ ასოებს შესახებად კურსივისა აქვთ და კუთხეების გამო კუთხოვანს ვეძახით, ძველად კი უფრო ნუსხურს ეძახდნენ. მრგლოვანი და კუთხოვანი (ნუსხური) — ორივე ძველი ქართული ძეგლების ასოებია: მრგლოვანი პირვანდელია, კუთხოვანი — მერმინდელი. კუთხოვნით დაწერილ ძეგლებში მრგლოვანიც იხმარება, მაგრამ სათაურებში და ინიციალებად. ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც მე-10—მე-11 საუკუნეს განეკუთვნება, კუთხოვანი ასოებით არის დაწერილი. პირველად ასეთი ასოები გვხვდება ანდერძში, რომელიც ახლავს უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერს — 864 წ. გადაწერილ სინურ მრავალთავს. ეს წიგნი თავიდან ბოლომდის მრგლოვნით არის დაწერილი, მაგრამ მისი ანდერძის ნაწილი, რომელიც ხელნაწერის ბოლოს არის მოთავსებული, კუთხოვანი ასოებით არის შესრულებული.

კუთხოვანი წერისაგან მე-11 საუკუნეში წარმოიშვა ახალი სახის ასოები, რომელთაც გადმოჰყვა ოთხ ჯგუფად დაყოფის საფუძველი, თანაც კუთხოვანი ასოების კუთხიანი ნაწილები დამრგვალდა და ასოები საერთოდ გასწორდა. ძველი წერა (მრგლოვანი და კუთხოვანი) ეკლესიას დარჩა სახმარებლად, ხოლო საერო საქმეებისათვის იყენებ-

დნენ ახალს, რომელსაც მხედრული დაერქვა. პირველ ხანებში მხედრულის ასოები კიდევ რამდენადმე ჰგვანდნენ კუთხოვნისას, მაგრამ თანდათან შორდებოდნენ მათ, ასე რომ მე-13 საუკუნეში მხედრული წერა საბოლოოდ დასცილდა მას.

მხედრულის განვითარებისა და განმტკიცების შემდეგ ძველ წერას (მრგლოვანს, ნუსხურს) დაერქვა ხუცური, რადგან მას ხუცები იყენებდნენ ეკლესიის საჭიროებისათვის, ხოლო ცალკე მრგლოვანს ასო-შთავრულის სახელით აღნიშნავდნენ.

მრგლოვანი წერა არ შეწყვეტილა მე-9 საუკუნეში, როცა მისგან წარმოიშვა კუთხოვანი (ნუსხური), და არც ეს უკანასკნელი გადავარდნილა მე-11 საუკუნეში, როცა მისგან განვითარდა წერის ახალი სახე — მხედრული. სხვადასხვა სახის ქართული ასოები შემდეგაც იხმარებოდა, მაგრამ ისე, რომ საეკლესიო წიგნებს წერდნენ ძველი ასოებით (მრგლოვანით ან მისგან წარმომდგარი კუთხოვნით, რომელშიც მრგლოვანიც იყო გარეული), ხოლო მეფეთა ბრძანებანი, სასამართლოს დადგენილებანი და საერო ხასიათის სხვა დოკუმენტები თუ წიგნები (პოემები, მოთხრობები და სხვა) იწერებოდა მხედრულად. მე-9 — მე-10 საუკუნის სახარებანი, საქმე მოციქულთა, პაულეს ეპისტოლეები, დავითნი, ლექციონარები და მრავალთავეები მრგლოვანი ხელით არის ნაწერი. „მამათა სწავლანი“ (დაწერილია 943 წლამდის), იოანე ოქროპირის ცხოვრება (968 წ.), ოშკის ანუ ათონის ბიბლია (978 წ.), იერუსალიმური წინასწარმეტყველები (მე-11 ს.), იერუსალიმური ლექციონარი (მე-10 — მე-11 ს.) და ბევრი სხვა კუთხოვანი ასოებით (ნუსხა-ხუცურით) არის დაწერილი. მე-10 საუკუნის შატბერდის კრებულის ერთი ნაწილი მრგლოვანით არის დაწერილი, მეორე ნაწილი კი — კუთხოვნით (ნუსხა-ხუცურით). ასეთივე ვითარებაა აგრეთვე 1050 წ. გადაწერილს მარტვილის სახარებაში. შემდეგ და შემდეგ ნუსხა-ხუცურმა თანდათანობით გაიკაფა გზა: თითქმის ყოველგვარი საეკლესიო წიგნი, მათ შორის ახლისა და ძველი აღთქმის წიგნებიც, ნუსხა-ხუცურით იწერებოდა, რომელიც უფრო ეკონომიური იყო. ასომთავრული საყოველთაოდ იხმარებოდა მხოლოდ წარწერებში მე-18 საუკუნემდის.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ ქართული ანბანის ასოებს თავისი განვითარების გზაზე დიდი ცვლილება განუცდიათ, იმდენად დიდი, რომ დღევანდელი ქართული წერა სრულებით არ ჰგავს იმას, რომ-

7 ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976 (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 18), გვ. 9—11.

ლისგანაც იგი წარმოიშვა⁸. ზოგი ასო მეტად იცვალა, ზოგი ნაკლებად. ერთადერთი ასო, რომელიც ბეჭდურ ნაწარმოებში დღესაც ისე გამოიყურება, როგორც იგი გამოჰყავდათ მე-5 საუკუნეში ქვაზე თუ ეტრატზე, არის ს.

რაკი ქართული ანბანი თავდაპირველად იმ სახით შეიქმნა, როგორც ეს უძველეს წარწერებსა და უძველეს ხელნაწერებშია წარმოდგენილი, რომელთა ასოები მრგვლოვნის ანუ ასომთავრულის სახელით არის ცნობილი, ამიტომ ცხადია, როცა ქართული ანბანის წარმოშობაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში უნდა გვექონდეს მხოლოდ ეს ძველი ქართული წერა, მრგვლოვანი ასოებით ანუ ასომთავრულით შესრულებული. სწორედ ამ საკითხისადრე მიძღვნილი თამაზ გამყრელიძის აქ წარმოდგენილი მონოგრაფია, სადაც საკითხი განხილულია სემიტური წერისა და ბერძნული ანბანის განვითარების ფონზე. შესაძარებლად მოხმობილია ბერძნულისაგან დამოკიდებული სხვა შრიფტები (კოპტური, გოთური, სლავური, სომხური), დაწვრილებით არის განხილული ქართული ანბანი და მიღებულია დასკვნა, რომ ქართული ანბანი, რომელიც დამოუკიდებელი ეროვნული ანბანია, დალაგებულია ბერძნული ანბანის მიხედვით და უეჭველად ატარებს მის გავლენას. ავტორის აზრით, ქართული ანბანის შექმნის დრო არის ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების ხანა საქართველოში. ქართული ანბანი შეიქმნა, რომ თარგმნილიყო ახალი სარწმუნოებისათვის საჭირო წიგნები.

მართლაც, მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში და მის მიდამოებში აღმოჩენილია ბერძნული და არამეული წარწერები, რომლებიც ქრისტიანობის წინა ხანას განეკუთვნებიან, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს ქართული წარწერები იმავე ხანისა. რამდენადმე ესეც მხარს უჭერს იმ დებულებას, რომ ქართული მწერლობა ქრისტიანობის ხანაში არის შექმნილი და მისი საჭიროებისათვის.

ქართული ანბანი რომ ბერძნულის კვალობაზე არის შექმნილი, ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება:

ა) ქართული წერა მარცხნიდან მარჯვნივ მიიმართება, როგორც ბერძნულში, და არა მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც ეს არის სემიტურ ენათა წერაში.

⁸ მხედრული ასოების განვითარება პირველად დ. ბაქრაძემ წარმოადგინა ტაბულაზე: Д. З. Бакрадзе, Грузинская палеография (Труды V археологического съезда в Тифлисе. М., 1887) და შემდეგ ი. ჭავჭავაძის შვილმა «ქართული პალეოგრაფიის» ბოლოს დართულ ტაბულაზე.

ბ) ქართული ანბანი შეიცავს როგორც თანხმოვნებს, ისე ხმოვნებს, როგორც ეს არის ბერძნულში, წინააღმდეგ სემიტური ანბანისა, რომელმაც მხოლოდ თანხმოვნები იცის.

გ) ქართულ ანბანში შეყვანილია ორი ხმოვანი, **ქ** და **ძ**. რომელთაგანაც პირველი მე-8 ადგილას ზის, მეორე კი — სულ ბოლოს. მათი უქონლობა არას დააკლებდა ძველ ქართულ მწერლობას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი შექმნილია ბერძნული ანბანის **Η** და **Ω** ასოთა მიხედვით, რომლებიც გრძელ **ე**-სა და გრძელ **ო**-ს გადმოსცემენ შესაბამისად. გრძელი ხმოვნები ქართულ ენას არ გააჩნდა მწერლობის შექმნის ხანაში და არც ახლა გააჩნია, მაგრამ რაკი ბერძნულ ანბანში ისხდა ასოები **Η** და **Ω**, ქართულშიც შეიქმნა მათი შესატყვისი ნიშნები.

დ) ქართულში იყო და არის ხმოვანი **უ**, მაგრამ მისი გამომხატველი ნიშანი არ შეუქმნიათ. ეს გამონაკლისი იმის გამო არის, რომ იმდროინდელ ბერძნულში ხმოვანი **უ** ორი ნიშნით გადმოიცემოდა (**ΟΥ**). ამის მიხედვით **უ** ბგერისთვის ქართულშიც ბერძნულის შესატყვისი ორი ნიშანი იქნა გამოყენებული — **ღ**4, რომლებიც თავისი შედგენილობითა და თვითიული ასოს მნიშვნელობით ზედმიწევნით შეესატყვისება ბერძნულ **ΟΥ**-ს.

ე) ბერძნულ ანბანს ალფა იწყებს (**Α**) და ომეგა ამთავრებს (**Ω**). ამგვარადვეა ქართულშიც: პირველი ასოა ანი (**ა**), უკანასკნელი ოპი (**ჲ**).

ვ) ანბანის ასოებს, ბგერითი მნიშვნელობის გარდა, რიცხვითი მნიშვნელობაც აქვთ. ამისთვის უაღრესი მნიშვნელობისაა ასოთა რიგი ანბანში, რადგანაც ასოებს რიცხვითი მნიშვნელობა მოპოვებული აქვთ იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უკავიათ მათ ანბანში. ბერძნული ანბანის ასოები დაწყობილია გარკვეული თანამიმდევრობით, რომელიც განსხვავებულია სემიტური ანბანის რიგისაგან. რომ არ დარღვეულიყო ეს ბერძნული რიგი, ქართულ ანბანში ბერძნული სპეციფიკური ნიშნების ადგილას ორი ნიშანი ჩაუსვამთ: ნარის შემდეგ **Ϟ** (ბერძნ. **Ξ** ნიშნის ნაცვლად) და პარის შემდეგ **ϙ** (ბერძნ. **Ϛ** ნიშნის ნაცვლად). ამის წყალობით ბერძნულისა და ქართულის ერთნაირი ბგერების მქონე ასოების რიცხვითი მნიშვნელობა სავსებით დაემთხვა ერთმანეთს ორსავე ანბანში; მაგ., ბერძნული **Ρ Σ Τ Υ Φ Χ** და მათი ქართული

შესატყვისები ძ ს ლ ჟ ჟ აღნიშნავენ სათანადოდ 100-ს, 200-ს, 300-ს, 400-ს, 500-ს, 600-ს.

ზ) ბერძნულ ენის ბგერითი შედგენილობისაგან განსხვავებით, ქართულს მოეპოვება, ა -სა და ყ -ს გარდა, თორმეტი სპეციფიკური თანხმოვანი. ამათი გამომხატველი ნიშნები მოთავსდა ანბანის ასოების ბოლოს ქანსა და ოჰს შორის: — ი ყ ყ ხ ც ძ წ ს ლ ყ ზ — ბ. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ანბანის შექმნისას სახელმძღვანელოდ ბერძნული ანბანია აღებული და სწორედ ეს აზრია გატარებული თ. გამყრელიძის ნაშრომში.

თვალსაზრისი ქართული ანბანის ბერძნულისაგან წარმომავლობის შესახებ გამოთქმული ჰქონდათ ჯერ კიდევ ვ. გარდთაუზენს, დ. ბაქრაძეს, კ. კეკელიძესა და სხვებს⁹. მეც ამ აზრისა ვიყავი. მაგრამ ეს შეხედულება არ დამკვიდრდა მეცნიერებაში, ალბათ იმიტომ, რომ მას დაუპირისპირდა ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ქართული დაწერილობის სემიტურისაგან მომდინარეობის შესახებ, რაც ვრცლად არის გადმოცემული მის „ქართულ პალეოგრაფიაში“.

ძველი ქართული წერა რომ ბერძნულის გავლენით შეიქმნა, პირველად თ. გამყრელიძის წინამდებარე გამოკვლევაშია დასაბუთებული ვრცლად და სისტემებრ. ამასთანავე ერთად ავტორი ადგენს ძველი ქართული დაწერილობის ტიპოლოგიურ ადგილს სხვა ანბანურ დაწერილობათა შორის.

თ. გამყრელიძის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დებულებანი მისაღებია და გასაზიარებელი. დღეს, როდესაც სხვადასხვა „თეორიებს“ თხზავენ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, თ. გამყრელიძის გამოკვლევა, სათანადო მეცნიერულ მეთოდზე დამყარებული და ფართო შედარებით-ტიპოლოგიური მასალით განმტკიცებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირებულებას იძენს.

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ბევრი დაწერილა და კვლავაც დაიწერება. ზოგი რამის გამოკვლევა მომავლის საქმეა. ამჟამად კი თ. გამყრელიძის კვლევა-ძიების ნაყოფი მნიშვნელოვანი მონაპოვარია და იგი გარკვეულ ეტაპს წარმოადგენს ქართული ანბანის წარმოშობის კვლევის საქმეში.

⁹ V. Gardthausen, Griechische Palaeographie, Lpz., 1879, გვ. 109; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889, გვ. 82 და შმდ.; კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული („მნათობი“, 1929, № 5—6, 7).

წინამდებარე ნარკვევში ძველი ქართული დაწერილობის შედგენილობისა და წარმომავლობის უშუალო განხილვას (თავი III) წინ უსწრებს სემიტურ დაწერილობათა (თავი I) და ბერძნული ანბანისა და მასზე დამყარებულ წერილობით სისტემათა შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი (თავი II). ამით შესაძლებელი ხდება ქართული მრგლოვანი დაწერილობისა და მასთან საერთო ტიპოლოგიურ ჯგუფში შემავალ სხვა ანბანურ დაწერილობათა ადგილის დადგენა უძველეს წერილობით სისტემათა შორის, რაც აუცილებელი წინაპირობაა დაწერილობის წარმომავლობის გარკვევისათვის. ყოველივე ეს განსაზღვრავს აუცილებლობას მკითხველისათვის უშუალოდ ძველი ქართული დაწერილობისადმი მიძღვნილი ნაწილის წაკითხვამდე (თავი III) გაეცნოს თანმიმდევრულად წინა თავებში მოცემულ სხვადასხვა ტიპის წერილობით სისტემათა სტრუქტურისა და წარმომავლობა-განვითარების ანალიზს.

ზ. ყიფიანი

თბილისი, თბილისი 1976 წ.

შ ე ს კ ვ კ ლ ი

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველთა კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ დამწერლობის სახით წარმოიშვა ეროვნული ქართული წერითი სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ქართული ენის ზუსტი წერილობითი ფიქსირება და ეროვნულ ენაზე მწერლობის შექმნა.

მაგრამ ამ მოვლენის მნიშვნელობა კულტურის ისტორიაში არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი ეროვნული ღირებულებით. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა, როგორც ერთ-ერთი სრულყოფილი ანბანური წერითი სისტემა გრაფიკულ სიმბოლოთა (გრაფემათა) შესაბამისობის თვალსაზრისით ენის გამოსახატავი ფონემური (ბგერითი) ერთეულებისადმი (რაც ქართულ წერით სისტემას დღემდე აქვს სრულად შემონახული), წარმოადგენს ტიპიურ ნიმუშს ანბანური დამწერლობისას, რითაც იგი უძველეს წერილობით სისტემათა ტიპოლოგიაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებს.

ძველი ქართული დამწერლობის შექმნა არ იყო თავისთავადი და იზოლირებული მოვლენა. იგი მჭიდროდ უკავშირდება ამავე რიგის მოვლენას იმ კულტურულ არეალებში, რომლებთანაც ქართულ სამყაროს ძველთაგანვე მჭიდრო ისტორიული კავშირები უნდა ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობისა და შექმნის პრობლემა უნდა განიხილებოდეს ამგვარ არეალებში დამწერლობათა წარმომავლობისა და განვითარების ფართო ტიპოლოგიურ ფონზე.

ძველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური დამწერლობა

1. ძველი სემიტური ასოთდამწერლობა როგორც კონსონანტური წარის უძველესი ნიშნები

უძველეს ნიშნებს ასოთდამწერლობისა (უფრო ზუსტად, კონსონანტური, თანხმოვნითი დამწერლობისა) წარმოადგენს ძველი ჩრდილო-სემიტური წერიითი სისტემა, რომელშიც თითოეული გრაფიკული ნიშანი-სიმბოლო აღნიშნავს ცალ თანხმოვანს და, პირუკუ, ყოველი ცალკეული თანხმოვანი გამოიხატება გარკვეული ცალი ნიშნით. აქ გვაქვს არსებითად ურთიერთ ცალსახა შესაბამისობა ენის თანხმოვნით ფონემებს (ბგერებსა) და მათ გამომხატველ გრაფიკულ ნიშნებს (გრაფემებს) შორის.

განსხვავებით მარცვლოვანი დამწერლობისაგან (როგორცაა, მაგალითად, ბერძნული *B*-ხაზოვანი დამწერლობა, სადაც თითოეული ნიშანი გამოხატავს მარცვალს *CV*-ტიპისა, ე. ი. თანხმოვანი+ხმოვანი: *ka, ke, ki, ko, ku; da, de, di, do, du* და სხვ.), ან დამწერლობის მარცვლოვან-ლოგოგრამული სისტემისაგან [როგორცაა, მაგალითად, შუმერულ-აქადური სოლისებრი (ლურსმული) დამწერლობა ან ეგვიპტური ჰიეროგლიფიკა], ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობა ისეთ სისტემას წარმოადგენს, სადაც ცალკეული გრაფიკული სიმბოლოები კონკრეტულ ცალკეულ თანხმოვნებს აღნიშნავენ.

ამით განისაზღვრება ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობის დიდი უპირატესობა სილაბურ და მით უმეტეს სილაბურ-ლოგოგრამულ წერით სისტემასთან შედარებით: კონსონანტური წერიითი სისტემა ზუსტად იმ რაოდენობის სიმბოლოებით ხასიათდება, რაც საჭიროა ენის კონსონანტურ ფონემათა (ბგერათა) აღსანიშნავად, მაშინ როდესაც დამწერლობის სილაბური და, განსაკუთრებით, სილაბურ-ლოგოგრამული სისტემები გრაფიკული ნიშნების უფრო დიდ

რაოდენობას შეიცავენ, რაც აუცილებელია ენის ცალკეული მარცვლებისა და ამასთანავე მთელი სიტყვების გამოსახატავად. ამდენად, წერის კონსონანტური სისტემა განუზომლად უფრო მარტივი და ეფექტურია ენის ბგერითი მხარის გადმოსაცემად, ვიდრე სილაბური ან, მით უმეტეს, სილაბურ-ლოგოგრამული სისტემები.


ამ თვალსაზრისით გასაგებია, თუ რა მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა კაცობრიობის კულტურულ ისტორიაში წერის სილაბურ-ლოგოგრამული და სილაბური სისტემიდან დამწერლობის კონსონანტური და საკუთრივ ანბანური სისტემაზე გადასვლა.

დამწერლობის ეს სხვადასხვა ტიპები წარმოგვიდგენს ერთგვარ საფეხურებს, ეტაპებს წერილობით სისტემათა განვითარებაში. წერის პიქტოგრამული სისტემით დაწყებული, დამწერლობა თავისი განვითარების პროცესში გაივლის თანმიმდევრულად სილაბურ-ლოგოგრამულ და საკუთრივ სილაბურ სისტემებს, სანამ ჩამოყალიბდება წერის კონსონანტური და ანბანური სისტემები, რაც წერილობით სისტემათა ტიპოლოგიაში წერის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს (შდრ. *Gelb 1963; 1975; 1980; Pulgram 1976*).

ამ საფეხურზე გადასვლა ხერხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაძლებელი ხდება ენის ბგერითი მხარის, ბგერითი შედგენილობის დანაწევრება ცალკეულ შემადგენელ ელემენტებად — ბგერა-ფონემებად, რაც კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს გულისხმობს, როდესაც ენობრივ შეგნებაში ენის მინიმალურ ერთეულებად უკვე ცალკეული ბგერები შეიგრძნობა. უფრო ადრე ენობრივ ერთეულებად აღიქმებოდა მხოლოდ ცალკეული მარცვლები, შედგენილი თანხმოვანი + ხმოვანი ტიპის სხვადასხვა მიმდევრობით, ან მთლიანი სიტყვები.

კაცობრიობის ენობრივი შეგნების ფილოგენეტიკური განვითარების ეს ეტაპები ასახულია ბავშვის ონტოგენეტიკურ ენობრივ განვითარებაში, სადაც ეტაპობრივად გამოიყოფა ერთეულები: სიტყვა ~ მარცვალი ~ ბგერა.

ამგვარი გადასვლა სისტემაში მთელი სიტყვის აღნიშვნიდან ცალკეული მარცვლის გრაფიკულ გამოხატვაზე ნათლად ჩანს სხვადასხვა ძველი სილაბურ-ლოგოგრამული დამწერლობის მაგალითზე.

შემერული  პიქტოგრამა, რაც არქაული მოხაზულობით „ისარს“ გამოხატავდა და როგორც *TI* „ისარი“ იკითხებოდა, გარკვეულ პერიოდში ამავე ბგერითი შედგენილობის სხვა სიტყვის (ე. ი. ომონი-მის) გამოხატვასაც იწყებს, მაგალითად, *TI(L)* „სიციცხლე“, რასაც

არაფერი აქვს სემანტიკურად საერთო ამ პიქტოგრამის თავდაპირველ მნიშვნელობასთან („ისარი“). ეგვეე ნიშანი უკვე გამოხატავს [li] მარცვალს ნებისმიერ სხვა სიტყვაშიც. TI პიქტოგრამა ლოგოგრამულ მნიშვნელობასთან ერთად („ისარი“) [li] მარცვლის სილაბურ მნიშვნელობასაც იძენს. შუმერულიდან წარმოდგარ აქადურ (ასურულ-ბაბილონურ) სოლისებრ დამწერლობაში ეგვეე TI ნიშანი იხმარება უკვე როგორც ლოგოგრამული მნიშვნელობით (*baltu* „ცოცხალი“), ისე სილაბური (მარცვლოვანი) [li] მნიშვნელობით.

ასევე ძველ ეგვიპტურ ჰიეროგლიფიკაში ¹ ნიშანი, რომელიც ჰ3 „ლოტოსს“ აღნიშნავს, გამოხატავს აგრეთვე ომონიმურ ჰ3 „ათასი“ სიტყვას და საზოგადოდ ყოველ მარცვალს, რომელიც ჰ3 თანხმოვნებს შუიკავს; ან mn „დარჩენა“ ნიშანი გამოიყენება არა მარტო ომონიმური *m(a)n* „ამგვარად“ სიტყვის, არამედ ყოველი *mⁿ* მარცვლის გამოსახატავად ისეთ სიტყვებში, როგორიცაა *m(e)nf^{er}* „მემფისი“, *m(u)n^{eq}* „დამთავრება“ და სხვ. ლოგოგრამა სილაბოგრამად (მარცვლის გამომხატველ ნიშნად) გარდაიქმნება. ამ გზით ლოგოგრამული ნიშნების პარალელურად სისტემაში წარმოიქმნება სილაბოგრამები, მარცვალთგამომხატველი ფონეტიკური ნიშნები, რაც წერით სისტემას ენის ბგერითი მხარის გამოხატვის უფრო სრულყოფილ საშუალებად აქცევს. უფრო გვიან, ეგვიპტურ ჰიეროგლიფიკაში ამ გზით მიღებული სილაბოგრამები, რომლებიც მარცვლის მხოლოდ კონსონანტურ ნაწილს გამოხატავენ, გამარტივების შედეგად ცალი თანხმოვნის აღმნიშვნელ სიმბოლოებადაც გარდაიქმნა (შდრ. Schott 1973; იხ. აგრეთვე ქვემოთ).

დამწერლობის ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ყალიბდება წერის შედარებით მარტივი ტიპი—კონსონანტური ასოთდამწერლობა. დამწერლობის ამგვარი მარტივი სისტემის ჩამოყალიბება იწვევს მის ფართო გავრცელებას, რის შედეგადაც კონკრეტულ არეალში შექმნილი ახალი ტიპის ეს კონსონანტური დამწერლობა თავის არსებობას განაგრძობს სხვადასხვა მოდიფიკაციებითა და გარდაქმნებით თითქმის მთელი თანამედროვე კულტურული სამყაროს წერით სისტემებში.

ეს კონკრეტული არეალი დასავლურ-სემიტური კულტურული წრე იყო, ხოლო ისტორიულად პირველ ნიმუშს თანმიმდევრულად კონსონანტური დამწერლობისას წარმოადგენს ჩრდილო-დასავლურ-სემიტური ან ე. წ. პროტო-სემიტური დამწერლობა. ეს უძველესი ტიპის კონსონანტური დამწერლობა წარმოიქმნა მეროე ათასწლეულის შუა საუკუნეებში იმ კულტურულ არეალში, რომელიც მოიცავს

ვრცელ ტერიტორიას სინაის ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთ სირიამდე. აქ წარმოიშვა სხვადასხვა ტიპის ლოკალური დამწერლობანი, რომელთაც აერთიანებს საერთო პრინციპი წერითი ნიშნების მიერ ცალკეული თანხმოვნების (და არა კონკრეტული მარცვლების ან სიტყვების) გამოხატვისა*

უგარიზული დამწერლობა

1		'(a)	16		m
2		'(e, i)	17		n
3		'(u)	18		o
4		b	19		o
5		g	20		.
6		d	21		g
7		h	22		p
8		w	23		o
9		z	24		z
10		h	25		q
11		h	26		r
12		t	27		o
13		y	28		z, d
14		k	29		t
15		l	30		t

ტაბულა 1

* ამათგან განცალკევებით დგას ამავე კულტურულ არეალში წარმოქმნილი უგარიზული დამწერლობა, რომლითაც შესრულებული წარწერები (ძველი წელთაღ-

ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით პირველი ათასწლეულის მიჯნაზე დასავლურ-სემიტური ტიპის დამწერლობა სტაბილური კონსონანტური დამწერლობის სახეს იძენს. იგი ხაზოვანი (ლ ი ნ ე ა რ უ ლ ი) ხასიათის ოცდაორ გრაფემას შეიცავს. მეორე ათასწლეულში გავრცელებული სემიტური წერის სხვადასხვა სისტემათა შორის დამწერლობის ეს სახეობა ყველაზე ჩამოყალიბებული და სრულყოფილი სისტემაა. ამ უკანასკნელის უშუალო გავრცელებას წარმოადგენს სამი ძირითადი ქვეტიპი სემიტური დამწერლობისა: ფინიკიური, პალესტინური (ქანაანური) და არამეული განშტოებანი სემიტური წერისა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია წერის მიმართულება მარჯნიდან მარცხნივ*.

2. ძველი ფინიკიური დამწერლობა და დასავლურ-სემიტური ენები

ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობის ერთ-ერთ ძირითად ჩამომავალს ძველი ფინიკიური დამწერლობა წარმოადგენს, რომლის უძველესი ნიმუშები ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მიჯნით თარიღდება (იხ. ტაბულა 2; შდრ. *Jensen 1962: 276*).

რიცხვის მე-14 საუკუნე) ძველი ფინიკიურისა და ებრაელის ახლო მონათესავე დასავლურ-სემიტური ჯგუფის ენას წარმოადგენს.

უგარიტული წარწერები აღმოჩნდა რას-შამრაში, სირიის ერთ-ერთ მცირე სოფელში, სადაც მოთავსებული იყო ძველი სამყაროს უმნიშვნელოვანესი ქალაქი—უგარითი. უგარიტული დამწერლობა სოლისებრი ტიპის დამწერლობაა, რომლის კონსონანტური ნიშნები ორიგინალური შემოქმედების პროდუქტადაა მიჩნეული (თუმცა ზოგი მკვლევარი არ გამორიცხავს მესოპოტამიური სოლისებრი დამწერლობის გავლენასაც), *Driver 1948:148—152*. უგარიტული დამწერლობა შეიცავს ოცდაცხრა სოლისებრი სიმბოლოს, მათ შორის სამ სილაბურ ნიშანს 'a, 'i, 'u მარცვლების გამოსახატვად, იხ. ტაბულა 1 (ამავე დამწერლობით შესრულებულ ხურიტულ ტექსტებში წარმოდგენილია დამატებით კიდევ ერთი—ოცდამეათე—ნიშანი).

* სემიტური წერის მეოთხე სახეობა—„სამხრეთ-სემიტური“ (ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველი ნახევარი)—კონსონანტური დამწერლობის სისტემაა, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით განსხვავდება ამოთვან და ვერ დაიყვანება უშუალოდ წერის პროტო-სემიტურ ტიპზე (შდრ. *Höfner 1964: 318* და შმდ.). იგი შეიცავს, მსგავსად უგარიტული დამწერლობისა, ოცდაცხრა ლინეარული მოხაზულობის ასო-ნიშანს, რომელთაგან დიდი ნაწილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩრდილო-დასავლურ-სემიტურ დამწერლობათა სათანადო ნიშნებისაგან (შდრ. *Driver 1948: 144—148; Gelb 1963:133; Дирингер 1963:268* და შმდ.). სამხრეთ-სემიტურ-

ძვ. სემიტური დამწერლობა

	Aḥirām	Jehī- milk ^h	Mēša ^c	სამუალო ფინიკიური	პუნური
ʾ	𐤀	𐤁	𐤂	𐤃	𐤄 𐤅
b	𐤆	𐤇	𐤈	𐤉	𐤊
g	𐤋	𐤌	𐤍	𐤎	𐤏 𐤐
d		𐤑	𐤒	𐤓	𐤔
h	𐤕	𐤖	𐤗	𐤘	𐤙 𐤚
w	𐤛	𐤜	𐤝	𐤞	𐤟 𐤠
z	𐤡	𐤢	𐤣	𐤤	𐤥 𐤦
ḥ	𐤧	𐤨	𐤩	𐤪	𐤫 𐤬
t	𐤭	𐤮	𐤯	𐤰	𐤱 𐤲
j ^h	𐤳	𐤴	𐤵	𐤶	𐤷 𐤸
k ^h	𐤹	𐤺	𐤻	𐤼	𐤽 𐤾
l	𐤿	𐥀	𐥁	𐥂	𐥃 𐥄
m	𐥅	𐥆	𐥇	𐥈	𐥉 𐥊
n	𐥋	𐥌	𐥍	𐥎	𐥏 𐥐
s	𐥑	𐥒	𐥓	𐥔	𐥕 𐥖
ʿ	𐥗	𐥘	𐥙	𐥚	𐥛 𐥜
p ^h	𐥝	𐥞	𐥟	𐥠	𐥡 𐥢
ṣ		𐥣	𐥤	𐥥	𐥦 𐥧
q		𐥨	𐥩	𐥪	𐥫 𐥬
r	𐥭	𐥮	𐥯	𐥰	𐥱 𐥲
š	𐥳	𐥴	𐥵	𐥶	𐥷 𐥸
t ^h	𐥹	𐥺	𐥻	𐥼	𐥽 𐥾

ტაბულა 2

რი წერის ერთ-ერთ ჩამომავლად ძვ. ეთიოპური დამწერლობა ითვლება (იხ. ტაბულა 6), შდრ. Littmann 1964:351 და შმლ.

არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩრდილო-დასავლურ-სემიტური, უგარო-

ძველი ფინიკიური ენა მის უახლოეს მონათესავე ძველ ებრაულ და ერთადერთი წარწერით დადასტურებულ მოაბურ ენასთან ერთად შეადგენს სემიტურ ენათა ე. წ. ქანაანურ შტოს. ქანაანური ენები ძველ არამეულთან და უგარიტულთან ერთად ქმნიან სემიტურ ენათა დასავლურ ჯგუფს, რომელიც მთელი რიგი ფონეტიკურ-სტრუქტურული მახასიათებლებით უპირისპირდება სემიტურ ენათა აღმოსავლურ (აქადურ) და სამხრეთ-(დასავლურ) ჯგუფებს (არაბულ-ეთიოპურს), შდრ. *Brockelmann 1964*.

ფინიკიური ენა თავდაპირველად გავრცელებული იყო პალესტინის ვიწრო სანაპირო ზოლზე და სამხრეთ სირიაში (ნაწილობრივ კუნძულ კვიპროსზე)*.

კონსონანტური შედგენილობის თვალსაზრისით დასავლურ-სემიტური ენები დიდ მსგავსებას ავლენენ და ანალოგიურ ფონეტიკურ ცვლილებებსა და გარდაქმნებს გულისხმობენ საერთო-სემიტურ კონსონანტიზმთან შედარებით. ამ მხრივ განსაკუთრებული სიახლოვით ძველი ფინიკიური და ძველი ებრაული გამოირჩევა.

ამ ენათა კონსონანტიზმი შემდეგ თანხმოვან ფონემებს განაჩევის (შდრ. *Friedrich 1951*):

ლ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ - ფ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი :

' Ⴀ ' Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ

ო რ ა ლ უ რ ი ხ შ უ ლ - მ ს კ ღ ო მ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი :

მ ე ლ ე რ ი ყ რ უ (ა ს პ ი რ ი რ ე ბ უ ლ ი) ყ რ უ ე მ ფ ა ტ ი კ უ რ ი

ლაბიალი: *b* *Ბ* *ph* *Ვ* ' —

დენტალი: *d* *Დ* *th* *Თ* *t* *Მ*

ველარი: *g* *Დ* *kh* *Ვ* *q** *Ვ*

ტული და სამხრეთ-სემიტური დამწერლობანი კონსონანტური ტიპის 32 და 33-ნიშნის საერთო წერითი სისტემიდან უნდა გამოვიყვანოთ, რომელიც უკვე ძვ. წ. XVI—XV საუკუნეებში სამხრეთ-სემიტურ და ჩრდილო-სემიტურ განშტოებად დაიშალა. ამ უკანასკნელს მოგვიანებით უგარიტული დამწერლობა გამოეყო (შდრ. *Луканин 1982*).

*) როგორც მეზღვაური ხალხი, ფინიკიელები აარსებენ თავიანთ კოლონიებს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში და ავრცელებენ ფინიკიურ ენასა და დამწერლობას ფართო ტერიტორიაზე. ისტორიულად ყველაზე სტაბილური აღმოჩნდა ჩრდილოეთ აფრიკაში დაარსებული კოლონიები, რომლებიც აქ რომაელთა ეპოქამდე აგრძელებს არსებობას კართაგენის სახელმწიფოს სახით. ფინიკიური ენის ჩრდილოეთ აფრიკაში გავრცელებულ სახესვაობას პუნური ენა ეწოდებოდა, რომლის უძველესი ნიმუშები ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნის წარწერებშიაა წარმოდგენილი.

**) უფრო თანმიმდევრული იქნებოდა უკანაენისმიერი ყრუ ემფატური ხშულის ჯ სიმბოლოთი ტრანსკრიბირება (დენტალი ემფატური *t* ნიშნის შესაბამისად); *q* სიმბოლო გამოყენებულია თანახმად სემიტოლოგიური ტრადიციისა.

სიბილანტური (სისინ-შიშინა) სპირანტები:

მკლერი: *z* 𐤆; ყრუ: *s* 𐤑 𐤓 𐤔 𐤕 𐤖; ემფატიკური: *ʒ* 𐤇

სონორები:

ნაზალი: *m* 𐤌 *n* 𐤎

ნარნარა: *r* 𐤕 𐤗 𐤘

ნახეარხმოვნები: *ʃ* 𐤙 *j* 𐤛

ძირითადი განსხვავებები ქანაანური კონსონანტიზმისა საერთო-სემიტურთან შედარებით ეხება სპირანტთა კლასს, რომელიც აქ ე. წ. „ქანაანური თანხმოვანთა გადაწევის“ შედეგად ჩამოყალიბდა. ამგვარი ფონეტიკური ცვლილებები აღმოსავლურ-სემიტურსაც (აქადურს) შეეხო, მაგრამ დასავლურ-სემიტურში ეს პროცესი უფრო ფართოდ და თანმიმდევრულად არის გატარებული.

ეგრძოდ, მთელი კლასი საერთო-სემიტური არამძაფრი (არასიბილანტური) სპირანტებისა:

	ემფატიკური			
	მკლერი	ყრუ	მკლერი.	ყრუ
ლაბიალი:	—	—	—	—
დენტალი:	<i>d</i>	<i>ḏ</i>	<i>d</i>	<i>ḏ</i>
ველარი:	<i>g</i>	<i>g̃</i>	—	—

გარდაიქმნება სათანადო სიბილანტურ (სისინ-შიშინა) და ფარინგალურ ფონემებად და ემთხვევა ამ ტიპის ფონემათა საერთო-სემიტურისაგან მომდინარე კლასს:

ს.-სემ. **d*→ქან. *z* : ფინ. *zr*, ებრ. 𐤆 „თესლი“, შდრ. არამ. *zra*; ფინ. *z*, ებრ. 𐤆 „ეს“, მოაბ. *z'ih*, შდრ. არაბ. *dā* „ეს“; ამ მხრივ არამეული განსხვავდება ქანაანურისაგან. აქ, ისევე როგორც უგარიტულში, **d*→*d*: შდრ. არამ. *d* „ეს“;

ს.-სემ. **ḏ*→ქან. *ʒ*: ფინ. *ʒʒ*, ებრ. 𐤇 „სამი“; მოაბ. *ʒʒn* „ოცდაათი“, შდრ. არაბ. *ʒalā* „სამი“; უგარიტულს, ქანაანურისა და არამეულისაგან განსხვავებით, შემონახული აქვს ს.-სემ. **ḏ* სპირანტი (ისევე, როგორც არაბულს): შდრ. უგარ. *ḏḏ* „სამი“;

ს.-სემ. **ʒ*→ქან. *ʒ*: ფინ. *ʒʒ*, ებრ. 𐤇 „მიწა“, მოაბ. *ʒʒ*; შდრ. არაბ. *ʒard* „მიწა, ქვეყანა“;

ს.-სემ. **ḏ*→ქან. *ʒ*: ფინ. *nʒr*, ებრ. 𐤎𐤑 „დაცვა“, შდრ. არაბ. *nazara* „შეხება“.

საერთო-სემიტური ველარი მჟღერი *g და ყრუ *h სპირანტები გადასულია ქანაანურში, ისე როგორც არამეულში, შესაბამისად ფარინგალურ ' და h ფონემებში, რის გამოც ამ ენებში ერთმანეთს ემთხვევა საერთო-სემიტურიდან მომდინარე ველარი და ფარინგალური ფონემები:

ს.-სემ. *g → ქან.: ფინ. 'lmlh, ებრ. **למח** „გოგონა“; შდრ. არაბ. *ḡulām* „ყმაწვილი“; უგარიტულში, ისე როგორც ძველ სამხრეთ-არაბულსა და ეთიოპურში, შემონახულია მჟღერი ველარი სპირანტი g: შდრ. უგარ. *glm*, სამხრ.-არაბ. *glm* „id.“

ს.-სემ. *h → ქან. h: ფინ. 'h, ებრ. **ח** „ძმა“; შდრ. არაბ. *ah*, სამხრ.-არაბ. 'h „ძმა“; არამეულში *h ფონემა იმავე გარდაქმნას გვიჩვენებს, რასაც ქანაანურში: შდრ. არაბ. 'ah „ძმა“ (ებრ. **ח**).

ამგვარად, კონსონანტური შედგენილობის თვალსაზრისით ქ ა ნ ა ა ნ უ რ ი არსებითად ემთხვევა არამეულს; ქანაანურში იგივე კონსონანტური ფონემებია წარმოდგენილი, რაც არამეულში. სხვაობა თავს იჩენს მხოლოდ ზოგ შემთხვევაში კონკრეტულ თანხმოვანთა წარმომავლობის თვალსაზრისით საერთო-სემიტური ფონემებისაგან (შდრ., მაგალითად, ს.-სემ. *d ფონემის რეფლექსები ქანაანურსა და არამეულში), შდრ. *Brockelmann 1964a*.

ამათთან შედარებით უფრო დიდ სხვაობას უგარიტული ამეღავნებს, სადაც შემონახულია, ისევე როგორც არაბულში, საერთო-სემიტური ველარი *g და *h სპირანტები*.

*) ფინიკიურ სიბილანტურ სპირანტთა კლასში სირთულეს წარმოადგენს საკითხი **ʕ** ნიშნით (ე. ი. ფინ. **W**) გამოხატული სპირანტული ფონემის ბუნებისა და მახასიათებლების შესახებ: გადმოგვემს ეს ნიშანი მარტოე შიშინა ყრუ ჰ ფონემას, თუ იგი ზარკეულ შემთხვევაში სისინ-შიშინა ჰ ფონემის გამოხატვისთვისაც იხმარება, როგორც ეს ძველ ებრაულში გვაქვს, სადაც ეს ფონემები გრამატიკულად დიფერენცირებულია დიაკრიტიკული ნიშნებით ძირითად სიმბოლოზე: **ʕ**; ჰ და **ʕ**; ჰ? ასეთ შემთხვევაში ფინიკიურში, ისე როგორც ძველ ებრაულში, უნდა ვივარაუდოთ საერთო-სემიტურიდან მომდინარე ფონემური დიფერენცირების შენარჩუნება.

მაგრამ როგორ უნდა აიხსნას ის, რომ ძველ ფინიკიურ დამწერლობაში, ისე როგორც ყველა დანარჩენ დასავლურ-სემიტურ სისტემაში და აგრეთვე უგარიტულში, ჰ და ჰ ფონემათა გადმოსაცემად ერთადერთი გრაფიკული სიმბოლოა გამოყენებული, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი კონსონანტური ფონემა სპეციალური ნიშნებით გამოიხატება?

ეს გვაგვარადებინებს ძველ ფინიკიურში (აგრეთვე დანარჩენ დასავლურ-სემიტურ ენებში) ჰ და ჰ ფონემათა შერწყმას საერთო ჰ ფონემად ენის ჯერ კიდევ წერილობით ფიქსაციამდე (შდრ. *Moscatti et al. 1969:33* და შდრ.). ეს საერთო ჰ ფონემა შემდგომ გამოიხატა სათანადო გრაფიკული სიმბოლოთი.

ჰ და ჰ ფონემათა დაპირისპირება შესაძლებელია შემორჩენილია მხოლოდ ძველ ებრაულ-იერუსალიმურ დიალექტს და აქედან გადასულიყო გვიანდელ ებრაულში, სა-

ორალურ ხშულთა კლასი ძველ ფინიკურსა და საერთოდ დასავლურ-სემიტურ ენებში სამსერიიან კონსონანტურ სისტემას ქმნის, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებიან მკდერი, ყრუ და ემფატიკური თანხმოვნები. დასავლურ-სემიტურ ენათა სამსერიიანი კონსონანტური სისტემა, რაც აგრეთვე აღმოსავლურ-სემიტური და სამხრეთ-სემიტური ენებისათვის არის დამახასიათებელი, საერთო-სემიტური ენობრივი სისტემის სტრუქტურულ მახასიათებელს წარმოადგენს, შემორჩენილს მოდიფიცირებული სახით ისტორიულ სემიტურ ენებში.

ყრუ ხშულთა სერია, ფონოლოგიურად დაპირისპირებული მკდერთა სერიისადმი მკლერობა-სიყრუის ნიშნით, გამოირჩევა ფონეტიკურად დამატებითი ფშენივით, ასპირაციით. ეს ნიშანი ამ სერიის ფონემათა წმინდა ფონეტიკური მახასიათებელია. ყრუ ხშულ ფონემათა ეს დამატებითი ფშენივებება, რაც ფონოლოგიური თვალსაზრისით ერთგვარ ჭარბ ნიშანს წარმოადგენს, დამახასიათებელია ყველა სემიტური ენისათვის უკლებლივ და თვით საერთო-სემიტური სისტემისთვისაა სავარაუდებელი, როგორც ამ სერიის ფონემათა ნიშანდობლივი ფონეტიკური მახასიათებელი*.

განხილული სერიის თანხმოვანთაგან განსხვავებით, ყრუ ემფატიკურ ხშულ თანხმოვანთა სერია — *f q*, რომელიც ნაკლებია ლაბიალური წვერით, ასპირაციის, ფშენივებების უქონლობით ხასიათდება და უპირისპირდება ორ დანარჩენ სერიას „სიყრუის“ (საპირისპიროდ მკდერი თანხმოვნებისა) და „ემფატიკურობის“ ნიშნით (საპირისპიროდ ყრუ თანხმოვნებისა), რაც ფონეტიკურად თანხმოვანთა ფარინგალიზაციაში

დაც იხიონ დიფერენცირებულად წარმოგვიდგება უ¹ და უ² ნიშნების საშუალებით (Harris 1939: § 4);

მაგრამ ამ ფონემური დიფერენცირების კვალი შესაძლებელია მაინც დაეინახოთ თვით ფინიკურში 'sr „ათი“ ტიპის დაწერილობაში (შდრ. ებრ. רשע „ათი“), რაც *š* (და არა *š*) სიბილანტს უნდა გულისხმობდეს (შდრ. Friedrich 1951:20). ამასვე უნდა მოწმობდეს (ე. ი. ერთი გრაფიკული სიმბოლოთი როგორც შიშინა *š*, ისე სისინ-შიშინა *š* ფონემის გადმოცემის შესაძლებლობას) ბერძნულ ანბანში განსაზღვრული ნიშნის ეკვივალენტ-სიმბოლოს მიერ სისინა *š* ფონემის გამოხატვის ფაქტი (ამის შესახებ დაწერილებით — ქვემოთ).

*) სემიტურ ყრუ ხშულ თანხმოვანთა ასპირაციის არაფონოლოგიური ხასიათის გამო სემიტოლოგიურ ტრანსკრიფციაში ამ ფონემათა გამოსახატავად ხშირად მარტივი *p t k* სიმბოლოები იხმარება (ნაცვლად ჩვენ მიერ გამოყენებული *ph th kh* ან *p' t' k'* ნიშნებისა, რომლებიც უფრო ზუსტად გადმოგვცემენ აღსანიშნ სემიტურ ბგერათა ფონეტიკურ თავისებურებებს).

გამოიხატება (თუ ვიმსჯელებთ თანამედროვე სემიტური ენების მონაცემების მიხედვით)*.

ამგვარად, არსებითი ფონეტიკური მახასიათებელი ყრუ ხშულთა სერიისა სემიტურ (და, მაშასადამე, დასავლურ-სემიტურ) ენებში უნდა ყოფილიყო მათი ფშვინვიერება, ასპირაცია, ხოლო ემფატიკურ ხშულთა სერიისა — მათი უფშვინვობა, არასპირირებულობა, რაც ფონეტიკური თვალსაზრისით ბუნებრივი თავისებურებაა ფარინგალიზებული თანხმოვნებისა.

ამიტომ სასვებით ბუნებრივია, რომ ძველი სემიტური פ ph , כ kh და צ ch თანხმოვნები გადმოიცემოდა ბერძნულ-ლათინურში შესაბამისად ფშვინვიერი თანხმოვნების გამოხატველი פ ფ x და ph th ch სიმბოლოებით, ხოლო არაფშვინვიერი ემფატიკური כ k და ק q თანხმოვნები — შესაბამისად არაფშვინვიერი τ , κ და t , c ერთეულებით**

* აჩვენებს მოსაზრება, რომ სემიტურში ეგრეთწოდებული „ემფატიკური“ თანხმოვნები უელ-ხშულო, გლოტალსებული თანხმოვნები უნდა ყოფილიყვნენ, დაპირისპირებულნი დანარჩენი თანხმოვანი ფონემებისადმი „გლოტალიზაციის“ ფონოლოგიური ნიშნით. ყოველ შემთხვევაში, ასეთი უნდა ყოფილიყო საერთო-სემიტური ენობრივი მდგომარეობა (*Cantineau 1952:290 — 294; Martinet 1953:68 — 70; Гаакеჟაიძე 1974:7—8*).

** შერ. ფინიკურ-პუნური ܢܚܠܝܚ (შერ. ებრ. נחלית „მასთან [არს] ბა'ლო“); Βασιλεχ , *Balsilech* (გ. ი. נַחְשִׁלְעַב); Σαρχουσιμαθων (გ. ი. סרסו); λασσουελφ (შერ. ებრ. לשול); *macom* 'ადგილი' (=ებრ. מקום); *caneth* „ვოოვე“ (=ებრ. קנין); *Cirta* = קרת .

ამის შესაბამისად, ბერძნულ-ლათინური თანხმოვნები, გამოხატული פ ph , θ th და x ch ნიშნებით, გადმოიცემოდა სემიტურში, როგორც פ ph , ყრუ ფშვინვიერი כ kh თანხმოვნებით, მაშინ როდესაც არაფშვინვიერი x , c და τ , t თანხმოვნებს სემიტურში სათანადო ემფატიკური כ და ק თანხმოვნები შეეფარდება: შერ. მაგალითები სხვადასხვა დასავლურ-სემიტური ენებიდან:

პალმ. ܢܚܠܝܚ = ბერძნ. Εὐερχης

ნაბატ. ܢܚܠܝܚ = ბერძნ. χλίσαρχος

პალმ. ܢܚܠܝܚ = ბერძნ. Ἀγαμέμνηλος

ფინ. ܢܚܠܝܚ = ბერძნ. κατηφόρος

პუნ. ܢܚܠܝܚ = ბერძნ. λίσρα (მრ. რ.)

პუნ. ܢܚܠܝܚ = *Tiberi(us) Augustus*

ܢܚܠܝܚ = *Germanicus* სხვ. და

შერ. აგრეთვე ძველი ებრაული სიტყვების ბერძნულ-ლათინური ტრანსლიტერაციები: נחמט = Νημητ , σαφρα = Σαφρα , φαχαθ = Φαχαθ , *canithi* = קניתי და სხვ. საპირისპირო შემთხვევები ძალზე იშვიათია და სპორადულ, გამონაკლისის ხასიათს ატარებს (შერ. *Friedrich 1951:17*).

სწორედ ამ ოცდორ (თუ ოცდასამ, — 5~5 სპირანტთა დაპირის-პირების არსებობის შემთხვევაში) თანხმოდან ფონემას გამოხატავს ძველი ფინიკიური დამწერლობა, რომელიც ჩრდილო-დასავლურ-სემიტურ წერით სისტემებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წერითი ნიმუშებით არის დადასტურებული*.

ფინიკიური დამწერლობის უძველეს ძეგლად ითვლება აქრამ-ის წარწერა, რომელიც სხვადასხვაგვარ დათარიღებათა თანახმად განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მე-13 ან მე-10 საუკუნეს.

უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება ბიბლოსში აღმოჩენილი წარწერა *ჰეჰმითქ* მეფისა. ამ და ამავე ჯგუფის სხვა წარწერთა გრაფიკული ნიშნები არსებითად ემთხვევა ერთმანეთს და წარმოადგენს ძველი ფინიკიური წერის ტიპიურ ნიმუშებს.

ოდნავ განსხვავებულ გრაფიკულ ხასიათს გვიჩვენებს ცნობილი მწ-შა'ს სტელის წარწერის ნიშნები, რომლებიც უკვე სწრაფწერისათვის დამახასიათებელ კურსივულ თავისებურებებს ავლენენ, რაც წერის ხანგრძლივ ტრადიციაზე უნდა მიუთითებდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა *κ* *kh* ნიშანი, რომელიც მწ შა'ს წარწერაში ქვემოთ მარცხნივ წარზიდული ხაზით ხასიათდება: *∨*, განსხვავებით უფრო ადრეული ფინიკიური *∨* *kh* ნიშნისაგან (მდრ. ნიშანთა ტაბულა, გვ. 29).

მწ შა'ს წარწერა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 842 წლით თარიღდება, აღმოჩენილია ისტორიულ მოაბელთა ქვეყანაში და მოგვითხრობს მოაბელი მეფის მწ შა'ს (*Mēšā'*, ბიბლიური *משׁא*) ლაშქრობებისა და აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ. წარწერის ენა არა საკუთრივ ფინიკურია, არამედ სპეციფიკური ქანაანური, რო-

* საციკლურ პრობლემას წარმოადგენს საკითხი დასავლურ-სემიტურ ენებში, მათ შორის ძველ ფინიკურში, არაემფატიკურ ყრუ ხშულ თანხმოვანთა სპირანტული ვარიანტების შესახებ. ამ თანხმოვანთა ფონეტიკური ფუნქციონირების წყალობით გარკვეულ პოზიციებში, კერძოდ, ხმოვნის შემდეგ, ისინი ავლენენ ტენდენციას სპირანტული გამოთქმისადმი, რის შედეგადაც ყრუ ასპირირებულ ხშულთა სერიის ფონემები ზოგიერთ დასავლურ-სემიტურ ენაში (ძვ. ებრაულში) ორი პოზიციური ვარიანტით — ხშულით და სათანადო სპირანტით — წარმოგვიდგება (ე. წ. ებრაული *begadkhefat*). რამდენადაც ასპირირებულ ხშულთა სპირანტიზაციის ეს პროცესი დასავლურ-სემიტურ ენებში (შესაძლებელია, ფინიკურშიც) სავარაუდებელია შედარებით გვიანდელ ეპოქაში, ამ ენათათვის დამწერლობათა შექმნის შემდეგ, ოგი აქ ვერ პოულობს გრაფიკულ ასახვას სპეციკლური ნიშნების სახით. მხოლოდ ძველ ებრაულ გრაფიკაში ჩნდება მოგვიანებით სათანადო დიაკრიტიკული ნიშნები ყრუ კონსონანტურ ფონემათა გამოხატველ ძირითად სიმბოლოებთან ფონემების ხშულ და სპირანტულ ვარიანტთა აღსანიშნავად:

მელიც მეტად ახლოსაა ფინიკიურთან და ძველ ებრაულთან და მათთან ერთად დასავლურ-სემიტურ ენათა „ქანაანურ“ შტოს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ გრაფიკულად მწეშა'ს წარწერა უტყუარ ფინიკიურ სტილს ავლენს, შეიძლება ითქვას, ამ უქანასტენლს ემთხვევა. ამავე პერიოდის საკუთრივ ფინიკიური წარწერები ავლენენ იმავე მიღრეკილებას ნიშანთა კურსიველი ხასიათისაკენ, რაც უკვე მწეშა'ს წარწერის ზოგი ნიშნისთვისაა დამახასიათებელი.

3. ძველი სემიტური წერის ქანაანური შტო

ჩრდილო-სემიტური წერის მეორე განშტოება, რომელსაც შეიძლება „ქანაანური“ ეწოდოს, ნაკლები წერილობითი ნიმუშებით არის წარმოდგენილი. ამ დამწერლობით შედგენილია ძველი ებრაული ენის უძველესი ნიმუშები, მათ შორის ე. წ. სილოაჰ'ის წარწერა (ძვ. წ. 700 წ.), რომელიც აშკარა გრაფიკულ კავშირს ავლენს ამავე ტიპის დამწერლობით შესრულებულ უფრო ადრინდელ ნიმუშებთან (იხ. ტაბულა 3, გვ. 37; შდრ. *Jensen 1969 : 285*).

ქანაანური დამწერლობა უკვე ძვ. წელთაღრიცხვის V — IV საუკუნეებში ხმარებიდან გააძევა არამეული დამწერლობის ნიადაგზე წარმოქმნილმა ებრაულმა კვადრატულმა დამწერლობამ. ქანაანური დამწერლობა განაგრძობს ამის შემდგომ არსებობას მხოლოდ სამარიტული დამწერლობის სახით, რომლის უძველესი ნიმუშები ახალი წელთაღრიცხვის IV — VI საუკუნეებიდან მომდინარეობს.

4. ძველი სემიტური წერის არამეული განშტოება

გაცილებით უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა ჩრდილო-სემიტური წერის მესამე სახეობამ, რომელიც თავდაპირველად არამეული ენის ჩასაწერად იქნა გამოყენებული. ამ დამწერლობით შესრულებული წარწერების უძველეს ნიმუშებს წარმოადგენს ძველი არამეული წარწერები გერჯინ- და ზენჯირლი-დან. მათ შორის ყველაზე არქაულია ე. წ. ქილამუვა'ს წარწერა, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის IX—VIII საუკუნეებით თარიღდება (იხ. ტაბულა 4, გვ. 38).

უძველესი არამეული წარწერების წერილობითი ნიშნები მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ განსხვავდება გრაფიკულად უძველესი ფინიკიური და ქანაანური ფორმებისაგან. მხოლოდ უფრო გვიან არამეულ წარწერებში თავს იჩივს არამეულ წერილობით ნიშანთა საკუთრივ „არამეული“

ქანაპნური დამწერლობა

	ბაზარის ნარს.	ბაჟღები	სილოპის ნარს.
•	Ⲁ	ⲀⲀ	ⲀⲀ
b		ⲁⲃ	ⲁ
g		Ⲃ	Ⲃ
d		Ⲅ	Ⲅ
h		Ⲇ	Ⲇ
w	Ⲛⲛ	Ⲛⲛⲛ	Ⲛⲛ
z	Ⲛ	ⲚⲚ	Ⲛ
h	Ⲝ	ⲜⲜⲞ	Ⲝ
t			
j	Ⲛ	ⲚⲚ	ⲚⲚ
k ^h	Ⲟ	Ⲟⲛⲟ	Ⲟ
l	Ⲛ	ⲚⲚ	Ⲛ
m	Ⲛ	Ⲛⲛⲛ	Ⲛⲛ
n		Ⲛⲛ	Ⲛ
s	Ⲛ	ⲚⲚ	Ⲛ
•	Ⲛ	Ⲛ	Ⲛ
p ^h	Ⲛ	Ⲛ	Ⲛ
Ⲛ	Ⲛ	ⲚⲚ	ⲚⲚ
q	ⲚⲚ	Ⲛ	Ⲛ
r	Ⲛ	Ⲛⲛ	Ⲛ
š	Ⲛ	Ⲛⲛ	Ⲛ
t ^h	Ⲛ	ⲚⲚ	Ⲛ

ლექტუსი, რითაც არამეული წერა ხასიათდება, საპირისპიროდ ფინიკიური და ქანაანური დაწერილობისა. გვიანდელი არამეული ლექტუსის ყველაზე ნიშანდობლივი თვისება გამოიხატა თავშეკრულ ასოთა გახსნაში (შდრ. ნიმუშები *კ ბ, ო დ, ო ე*) და ნი-

არამეული ღამნაწლობა

	აილაშავა	ბარ- რეუბ	თაიმა	აბვიჯური ნარნ.	ააიკრუსაბი ასუანიღან	არმაზი
ა	𐤀	𐤁	𐤂𐤂	𐤃𐤃	𐤄	𐤅 𐤆𐤇 𐤈𐤉
ბ	𐤁	𐤂	𐤃𐤃	𐤄𐤄	𐤅	𐤆 𐤇𐤈 𐤉𐤊
გ	𐤂	𐤃	𐤄𐤄	𐤅𐤅	𐤆	𐤇 𐤈𐤉 𐤊𐤋
დ	𐤃	𐤄	𐤅𐤅	𐤆𐤆	𐤇	𐤈 𐤉𐤊 𐤋𐤌
ე	𐤄	𐤅	𐤆𐤆	𐤇𐤇	𐤈	𐤉 𐤊𐤋 𐤌𐤍
ვ	𐤅	𐤆	𐤇𐤇	𐤈𐤈	𐤉	𐤊 𐤋𐤌 𐤍𐤎
ზ	𐤆	𐤇	𐤈𐤈	𐤉𐤉	𐤊	𐤋 𐤌𐤍 𐤎𐤏
თ	𐤇	𐤈	𐤉𐤉	𐤊𐤊	𐤋	𐤌 𐤍𐤎 𐤏𐤐
ი	𐤈	𐤉	𐤊𐤊	𐤋𐤋	𐤌	𐤍 𐤎𐤏 𐤐𐤑
კ	𐤉	𐤊	𐤋𐤋	𐤌𐤌	𐤍	𐤎 𐤏𐤐 𐤑𐤒
ქ	𐤊	𐤋	𐤌𐤌	𐤍𐤍	𐤎	𐤏 𐤐𐤑 𐤒𐤓
ღ	𐤋	𐤌	𐤍𐤍	𐤎𐤎	𐤏	𐤐 𐤑𐤒 𐤓𐤔
ჩ	𐤌	𐤍	𐤎𐤎	𐤏𐤏	𐤐	𐤑 𐤒𐤓 𐤔𐤕
ც	𐤍	𐤎	𐤏𐤏	𐤐𐤐	𐤑	𐤒 𐤓𐤔 𐤕𐤖
ძ	𐤎	𐤏	𐤐𐤐	𐤑𐤑	𐤒	𐤓 𐤔𐤕 𐤖𐤗
წ	𐤏	𐤐	𐤑𐤑	𐤒𐤒	𐤓	𐤔 𐤕𐤖 𐤗𐤘
ჭ	𐤐	𐤑	𐤒𐤒	𐤓𐤓	𐤔	𐤕 𐤖𐤗 𐤘𐤙
ხ	𐤑	𐤒	𐤓𐤓	𐤔𐤔	𐤕	𐤖 𐤗𐤘 𐤙𐤚
ყ	𐤒	𐤓	𐤔𐤔	𐤕𐤕	𐤖	𐤗 𐤘𐤙 𐤚𐤛
ღ	𐤓	𐤔	𐤕𐤕	𐤖𐤖	𐤗	𐤘 𐤙𐤚 𐤛𐤜
ჩ	𐤔	𐤕	𐤖𐤖	𐤗𐤗	𐤘	𐤙 𐤚𐤛 𐤜𐤝
ც	𐤕	𐤖	𐤗𐤗	𐤘𐤘	𐤙	𐤚 𐤛𐤜 𐤝𐤞
ძ	𐤖	𐤗	𐤘𐤘	𐤙𐤙	𐤚	𐤛 𐤜𐤝 𐤞𐤟
წ	𐤗	𐤘	𐤙𐤙	𐤚𐤚	𐤛	𐤜 𐤝𐤞 𐤟𐤠
ჭ	𐤘	𐤙	𐤚𐤚	𐤛𐤛	𐤜	𐤝 𐤞𐤟 𐤠𐤡
ხ	𐤙	𐤚	𐤛𐤛	𐤜𐤜	𐤝	𐤞 𐤟𐤠 𐤡𐤢

შანთა სწორი ხაზების მარცხნივ გამრუდებაში, რაც სწრაფწერის გრაფიკულ შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ასო-ნიშანთა ტიპოური „არამეული“ მოხაზულობა კლიკასა და ეგვიპტეში აღმოჩენილ წარწერებში, რომლებიც ძვ. წელთაღრიცხვის V—III საუკუნეებით თარიღდება. ამ მხრივ დამახასიათებელია აგრეთვე არამეული პაპირუსების დამწერლობა ასუანიდან (ეგვიპტე, ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნე).

ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის დამლევამდე არამეული წერითი სისტემა საკმაო გრაფიკული ერთიანობით ხასიათდებოდა. მაგრამ უკვე ამ პერიოდიდან მოყოლებული, არამეული დამწერლობა ფართოდ ვრცელდება მთელს მახლობელ აღმოსავლეთში და სხვადასხვა გრაფიკულ განშტოებებს ვეძივს.

არამეული დამწერლობისაგან წარმოდგება ე. წ. ებრაული ქვადრატული დამწერლობა, რომელმაც შეცვალა ებრაულისათვის უფრო ადრე გამოყენებული ქანაანური დამწერლობა (იხ. ტაბულა 5, გვ. 40). ამავე არამეული დამწერლობისაგან წარმოიშვა პალმირული, აგრეთვე სირიული და ნაბატეურ-არაბული დამწერლობანი; არამეული დამწერლობის ნიადაგზე შეიქმნა აგრეთვე მთელი რიგი არასემიტური ენების წერითი სისტემები, მათ შორის ირანული და სხვა შიდააზიური დამწერლობანი (მდრ. *Hoffmann 1958:9* და შმდ.; *Henning 1958:58* და შმდ.).

სპეციფიკურ ტიპს არამეული დამწერლობისას წარმოადგენს ე. წ. „არმაზული არამეული“ დამწერლობა, დადასტურებული მცხეთა-არმაზში აღმოჩენილ არამეულ წარწერებში. „არმაზული არამეული“ უახლოვდება, როგორც ჩანს, არამეული დამწერლობის იმ სახესხვაობას, საიდანაც უნდა წარმომდგარიყო ირანული დამწერლობანი ფარსული და ფალაური ტიპისა (*Иеремеи 1941*), იხ. ქვემოთ, გვ. 62, ტაბულა 9.

5. ქველი სემიტური დაფარლობის ნიშანთსახელები

სემიტური კონსონანტური ასოთდამწერლობის ნიშანთა სახელწოდებანი ცნობილია შედარებით გვიანი დროიდან, ძირითადად რაბინული ლიტერატურიდან და სემიტურ სახელთა ბერძნული ტრანსკრიფციებიდან, რომლებიც სექტუაგინტას ხელნაწერებში ანბანის მიხედვით გაწყობილ იერემიას თითოეულ „გოდებას“ ახლავს.

მბრკული კვარატული ღამნარლობა

a	ა	ააა	ა	ა
b	ბ	ბ	ბ	ბ
g			გ	გ
d		დ	დ	დ
h	ჰ	ჰჰჰ	ჰ	ჰ
w	ი	ი	ი	ი
z	ჟ	ი	ი	ი
h		იი	ი	ი
t		ტ	ტ	ტ
j	ი	ი	ი	ი
k ^h	კ	კ	კ	კ
l	ლ	ლ	ლ	ლ
m	მ	მ	მ	მ
n	ნ	ნ	ნ	ნ
s	ს	ს	ს	ს
c	ც	ც	ც	ც
p ^h	პ	პ	პ	პ
s(c)		ც	ც	ც
q	კ	კ	კ	კ
r	რ	რ	რ	რ
š, ś	შ	შ	შ	შ
t ^h	თ	თ	თ	თ

ძველ ებრაულ ენაზე გადმოცემული ნიშანთა ეს სახელწოდებები მათი ბერძნული ტრანსკრიფციით შემდეგი მიმდევრობით არის წარმოდგენილი:

'āleph (א, aleph, ἄλφ), bēth (ב, Beth, βηθ), gimel (ג, Gimel, γιμλ, γιμελ), dāleth (ד, Daleth, ძალეფ, ძელეფ, ძელფ), hē (ה, He, ჰ), wāw (ו, Waw, ვ), zayin (ז, Zayin, ჯაი, ჯაი), hēth (ח, Heith, ჰთ), tēth (ט, Teith, თეფ), jōd (י, Jod, იაფ), khaph (כ, Kaf, ჰამეფ, ჰამეფ), lamed (ל, Lameth, ჰამეფ, ჰამეფ), mem (מ, Mem, მ), nun (נ, Nun, ნ), saamekh (ס, Samekh, სამეხ, სამეხ), 'ajin (א, Ajin, აინ, აინ), phē (פ, Pe, ფე), šādē (ש, She, შაფე, შაფე), qōph (ק, Qoph, კაფ), rēš (ר, Resh, რეხ), šīr (ש, Shin, სეინ, სეინ), thāw (ת, Thaw, თა).

სირიული დამწერლობის ნიშანთა სახელები უმნიშვნელოდ განსხვავდება ამათგან. აქა გვაქვს 'ē 'ajin'-ის ნაცვლად და semkhat h saamekh'-ის ადგილას.

უფრო მნიშვნელოვანია ძველ სემიტურ სა-

ხელწოდებათა გარდაქმნა არაბულ სისტემაში, სადაც ნიშანთა ძველი სემიტური სახელები შეკვეცილია (*'alif* სახელის გარდა) და დაყვანილია ფონემათა ერთმარცვლიან კომბინაციაზე, ასე რომ ნიშანთა თვდაპირველი სახელწოდებანი კარგავენ აქ თავიანთ პირვანდელ ლექსიკურ მნიშვნელობას.

შეკვეცის შედეგად მიღებული ცალმარცვლიანი ასოთსახელებია: *ḡim, dāl, lām, sād*; ზოგი სახელი გარდაქმნილია *ā* ან *ē* ხმოვნის დართვით აღსანიშნ თანხმოვანზე: *bā (bē), thā (thē), jā (jē), rā (rē), fā (fē), zā (zai, zē), ḥā, ḥā, tā*;

მხოლოდ რამდენიმე ნიშანთან შენარჩუნებულია მათი ძველი სემიტური სახელწოდება, რაც ახლოსაა შესაბამის ძველ ებრაულ ნიშანთა სახელებთან: *wāw, khāf, mīm, nūn, 'ajin, qōf, šin*.

ძველ სემიტურ სახელწოდებათა ამგვარი ფონეტიკური გარდაქმნის ტენდენცია არაბულ სისტემაში, რის შედეგადაც ასოთსახელები კარგავენ თავიანთ პირვანდელ ლექსიკურ შინაარსს, მოწმობს ასოთსახელების პირობითობას წერით სისტემაში და მათ წმინდა მნემონიკურ ხასიათსა და დანიშნულებას როგორც ასო-ნიშანთა პირობითი იარლიყებისას: გარკვეული თანმიმდევრობით გაწყობილი გრაფიკული ნიშნები როგორც ერთიანი სისტემა სათანადო სახელებთან ერთად ისწავლებოდა*.

სემიტურ და მონათესავე სისტემებში ისტორიულად დადასტურებული ნიშანთსახელების შედარების საფუძველზე შესაძლებელი ხდება შესაბამის სემიტურ სახელწოდებათა საყარაულო უძველესი ფორმების რეკონსტრუირება, რაც მოცემული აქვს თ. ნელდეკეს (იხ. *Nöldeke 1904*)**:

* უფრო სხვა ხასიათისა ის განსხვავებანი ასოთა სახელწოდებებში, რომლებიც იჩენენ თავს სამხრეთ-სემიტურ დამწერლობაში ჩრდილო-სემიტურთან შედარებით. ეთიოპურ სისტემაში დადასტურებული ასეთი სახელები შემდეგ რიგს გვაძლევენ:

'alf, bēth, geml (gaml), denth (danth), hōj, wawī, zaj (zāj). hnuth, taitḥ (dāth, fēth), jamān (jamān), khaph (khāph), lāw (lqwi), maj (māj), nahās, saih (sāth), 'ain, 'aph, šadōj (šadāj), qaph (qāph), re'es, šauḥ (šauḥ), thaw (thāwī). სხვაობანი ჩრდილო-სემიტური დამწერლობის სახელწოდებებთან შედარებით აიხსნება გარკვეულ შემთხვევებში ჩრდილო-სემიტურ სახელთა თარგმნით ეთიოპურად და ეთიოპური ეკვივალენტის გამოყენებით სათანადო ნიშანთა სახელებად: შდრ. ეთიოპ. *maj* - ჩრდ.-სემ. *mēm* „წყალი“ სიტყვის ნაცვლად; ეთიოპ. *re'es* - *rēš* (*rōš*) „თავი“ სიტყვის ნაცვლად და სხვ. ეთიოპური *nahās* „გველი“ სახელის ხმარება ჩრდ.-სემიტური *nūn* „თევზი“ სახელის ნაცვლად ამ ასოს უფრო ძველი სემიტური სახელწოდების ამსახველი უნდა იყოს (სემ. **nāhās* „გველი“), ვიდრე ჩრდილო-სემიტურში ისტორიულად დადასტურებული *nūn* „თევზი“ სახელწოდება.

** აქ მოტანილ სახელწოდებებში სემიტური **פ** **ח** თანხმოვნები ტრანსკრიბირებულია შესაბამისად *ph th kh* ნიშნებით, განსხვავებით თ. ნელდეკეს აგან, რომელსაც **פ** და **ח** გადმოცემული აქვს შესაბამისად *f* და *k* სიმბოლოებით, ხოლო სემიტური ლაბიალი **פ** თანხმოვნისათვის *ç* იყენებს *f* ნიშანს (*Nöldeke 1904:133*).

'alph, bēth, gaml (gaml), delth, hē, wau, zai (zain, zaith), hēth, fēth, jōd, khaph, lamd, mēm, nūn, semkh (samkh), 'ain, phē, šādē, qōph, rōš (rēš), šin, thau.

ჩრდილო-სემიტური დამწერლობის ნიშანთა არა ყველა სახელწოდება განიშარტება როგორც საკუთრივ სემიტური სიტყვები, რომლებიც თავდაპირველად აღნიშნავდნენ სათანადო ნიშნებით გამოსახულ საგნებს. ისეთ ნიშანთსახელებად, რომელთა სემიტურ სიტყვებთან იდენტიფიკაცია და მათი ლექსიკური მნიშვნელობის დადგენა ხერხდება, შესაძლებელია მიჩნეულ იქნენ სახელწოდებანი:

'āleph = „ხარი“, bēth = „სახლი“, dāleth = „კარი“, zajin = „იარაღი“, wāw = „კავი“, jōd = „ხელი“, khaph = „ხელისგული“, mēm = „წყალი“, nūn = „თევზი“ (|| nāhāš „გველი“), 'ajin = „თვალი“, phē = „პირი“, rēš = „თავი“, šin = „კბილი“.

უფრო რთულია დანარჩენი სემიტური სახელწოდებების ეტიმოლოგიური იდენტიფიკაცია: gimel („აქლემი“?), hē, hēth, fēth, lāmed, sāmekh, šādē, qōph და სხვ.

ზოგ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია ამ სახელწოდებებში იმ ენის სიტყვები (ან მათი დამახინჯებანი) დაინახოს, საიდანაც სავარაუდებელია მომდინარეობდეს შესაბამისი სემიტური ნიშნები, კერძოდ, კ რ ე ტ უ ლ ი სახელები (შდრ. Jensen 1969:272—273).

6. ძველი სემიტური დამწერლობის ნიშანთრიგის წერიტი სისტემის კარკაღმგებტიკა და სინტაგმეტიკა

ძველი სემიტური დამწერლობის ნიშნებს იმთავითვე გარკვეული სტაბილური რიგი, თანმიმდევრობა უნდა ჰქონოდა. წერიტი სისტემა საზოგადოდ წარმოადგენს გრაფიკულ ნიშანთა გარკვეული აზრით მოწესრიგებულ, დალაგებულ სიმრავლეს და ეს „მოწესრიგება“, „დალაგება“ გამოიხატება სისტემაში ნიშანთა გარკვეული თანმიმდევრობით, გარკვეული რიგით წარმოდგენაში.

წერით სისტემაში ნიშანთა ამგვარ „რიგს“ შესაძლებელია ნიშანთა (ანუ სისტემის) პარადიგმატიკა ეწოდოს. წერილობითი სისტემის პარადიგმატიკის შესწავლა გულისხმობს, ამდენად, გრაფიკულ სიმბოლოთა ურთიერთმიმართების განხილვას მიმდევრობაში, წერილობით ნიშანთა თანმიმდევრობის შესწავლას სისტემაში; ამისაგან განსხვავებით,

წერილობითი სისტემის სინტაგმატიკა გულისხმობს ნიშანთა შეერთების წესებს სიტყვებში, წერით სიმბოლოთა ურთიერთმიმართებებს სიტყვის ფარგლებში და საზოგადოდ წერის მიმართულებასთან დაკავშირებულ კანონზომიერებებს.

სისტემის პარადიგმატული და სინტაგმატური პლანის ექსპლიციტური გამიჯვნა, რაც ენათმეცნიერებაში ფ. დე სოსიურმა შემოიტანა, უნდა გახდეს აუცილებელი პრინციპი წერითი სისტემის ანალიზისა „დამწერლობათმცოდნეობაშიც“, ანუ დამწერლობის ზოგად თეორიაში, რომელსაც თანამედროვე მეცნიერებაში გრამატოლოგიას უწოდებენ (შდრ. *Gelb 1974; 1975:1040* და შმდ.; 1980)*.

ნიშანთა „დალაგება“ სისტემაში, მათი პარადიგმატული რიგი ან თანმიმდევრობა ძველი სემიტური წერითი სისტემისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი**. ძველი სემიტური სისტემის ამგვარი ნიშანთრიგი არ დასტურდება უშუალოდ არქაული პერიოდის წერითი სისტემის მოწმობით, მაგრამ მთელ რიგ უფრო გვიანდელ სემიტურ დამწერლობათა ერთობლივი მონაცემები, აგრეთვე ძველი სემიტური დამწერლობისაგან მომდინარე წერით სისტემათა ნიშანთმიმდევრობა (და, პირველ რიგში, არქაული ბერძნული სისტემის პარადიგმატიკა), მოწმობს ძველი სემიტური დამწერლობისათვის მიღებული ნიშანთრიგისა და პარადიგმატული სტრუქტურის არქაულობას (ძველი სემიტური ნიშანთმიმდევრობისათვის სისტემაში შდრ. სემიტურ დამწერლობათა ზემომოყვანილი ტაბულები)***.

ძნელია დაბეჯითებით თქმა იმისა, თუ რა ედო თავდაპირველ საფუძვლად ძველი სემიტური დამწერლობის ნიშანთა ამ რიგს, რამ განსაზღვრა სისტემაში ნიშანთა ამგვარი თანმიმდევრობა, მათი ერთიმეო-

* ამ თვალსაზრისით ტრადიციული პალეოგრაფია განიხილება როგორც „დამწერლობათმცოდნეობის“ ანუ „გრამატოლოგიის“ კერძო დარგი, რომელსაც საქმე აქვს წერითი სისტემის მხოლოდ გრაფიკულ სიმბოლოთა გამოხატულებასთან და შეისწავლის მათ გრაფიკულ ცვლილებებს დროსა და სივრცეში.

** ნიშანთა ამგვარი „დალაგება“, წერილობით ნიშანთა სისტემაში გარკვეული თანმიმდევრობით წარმოდგენა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო თვით აქადური სოლისებრი დამწერლობისთვისაც, რომლის პარადიგმატიკას მნიშვნელოვანწილად გრაფიკული და ფონეტიკური პრინციპი განსაზღვრავდა (შდრ. *Peiser 1886:95—125*).

*** საგულისხმოა, რომ ლახიში აღმოჩენილ ქვაზე, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-7 ან მე-6 საუკუნეს განეკუთვნება, ამოკვეთილია ძველი სემიტური სისტემის პირველი ხუთი ასო, განლაგებული ცნობილი თანმიმდევრობით:

34194

(*Driver 1948:181*). აღსანიშნავია, რომ უგარბტულო

სოლისებრი დამწერლობა ძირითადად ნიშანთა იმავე პარადიგმატულ რიგს გვიჩვენებს, რაც ძველი სემიტური წერითი სისტემისათვის არის საყარაულებელი (*Gordon 1950*), შდრ. ზემოთ, გვ. 27, ტაბულა 1.

რის მიყოლებით მოთავსება. ზოგი ნიშნის შემთხვევაში შესაძლებელია ეს ყოფილიყო მათი თავდაპირველი საგნობრივი მნიშვნელობა: შდრ. ნიშნები *jöd* „ხელი“, *khaph* „ხელისგული“, *‘ajin* „თვალი“, *phē* „პირი“, *rēš* „თავი“, *šin* „კბილი“; შეინიშნება აგრეთვე ფონეტიკური თვალსაზრისით ერთგვაროვანი ნიშნების ერთად მოთავსება: შდრ. სისტემაში მუღერ თანხმოვანთა აღმნიშვნელი *bēth*, *gimel*, *dāleth* ნიშნების ან სონორ თანხმოვანთა გამომხატველი *lāmed*, *mēm*, *nūn* სიმბოლოთა ერთმანეთის მიყოლებით მოთავსება. შეიძლება ზოგ შემთხვევაში ნიშანთა თანმიმდევრობის განმსაზღვრელი ფაქტორი ნიშანთა გარეგანი მოხაზულობაც ყოფილიყო. (შდრ. *Driver 1948:182* და შმდ.; *Taylor 1899:190—191*)*.

ის, რომ ნიშანთმიმდევრობის განმსაზღვრელ ფაქტორებად ძველი სემიტური წერითი სისტემის შექმნისას შესაძლებელია ასოთა გრაფიკული მსგავსება და ნიშნების ფონეტიკურ მნიშვნელობათა სიახლოვე ყოფილიყო, ჩანს აგრეთვე ზოგ შედარებით გვიანდელ, ძველი სემიტური სისტემიდან წარმომდგარ დამწერლობაში, სადაც ნიშანთა მიმდევრობა მოდიფიცირებულია ან გარდაქმნილი გრაფიკული ანდა ფონეტიკური პრინციპის გამოყენებით.

ასე, მაგალითად, არამეულისაგან მომდინარე არაბულ ნესხურ დამწერლობაში, რომელიც 28 გრაფიკულად დამოუკიდებელ ნიშანს შე-

* ფ. ჰომელინის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძველი სემიტური დამწერლობის ნიშანთმიმდევრობა ქალდეური ასტროლოგიური წარმოდგენებით განისაზღვრება (*Hommel 1904:96* და შმდ.), არ იქნა საყოველთაოდ გაზიარებული. ანალოგიურ ცდებს, წერითი სისტემის პარადიგმატიკა, ნიშანთმიმდევრობა განსაზღვრონ ასტროლოგიური ფაქტორებით, „ფანტასტიკურს“ უწოდებენ (*Driver 1948:181*; შდრ. აგრეთვე *Dornseiff 1925:90*).

თუმცა, შესაძლებელია, „ასტრალურ“ თეორიათა ამგვარი კვალიფიკაცია გამართლებულიცაა ძველი სემიტური წერილობითი სისტემის მიმართ, მაგრამ საერთოდ არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ნიშანთმიმდევრობა რომელიმე გრაფიკულ სისტემაში გარკვეულ ასტროლოგიურ წარმოდგენებსაც უკავშირდებოდეს (შდრ. *Menninger 1934:199* და შმდ.). ასტროლოგიური წარმოდგენები დამწერლობასთან კავშირში თავს იჩენს ზოგ უძველეს ორიგინალურ წერით სისტემაში, რომლებიც ლეთაბრივი ძალის პროტოტიპად არის მიჩნეული როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ცივილიზაციებში. განსაკუთრებით ძლიერია წერის მისტიკური ძალა იმ საზოგადოებათა წარმოდგენებში, სადაც დამწერლობა ქურუშთა სპეციალური კასტის კუთვნილებას წარმოადგენდა. იმ საზოგადოებებში, სადაც წერა ფართოდ ვრცელდება და საზოგადოებრივ კუთვნილებად იქცევა, დამწერლობას არ უკავშირდება ის მისტიკური წარმოდგენები, რაც მთელი რიგი აღმოსავლური ცივილიზაციებისთვისაა დამახასიათებელი. ასე, მაგალითად, ბერძნული ფილოსოფოსათვის უცხოა წარმოდგენები წერის მისტიკური ძალისა და დამწერლობის ლეთაბრივი წარმომავლობის შესახებ (შდრ. *Gelb 1963:232*; *Dornseiff 1925:5*).

იცავს (საპირისპიროდ არამეული სისტემის 22 ნიშნისა, რაც ჯერ კიდევ ძველი სემიტური წერითი სისტემის მდგომარეობას ასახავს), *ב* *ב* *ת* *th* და *ט* *!* ნიშნები, აგრეთვე *ג* *g* *ח* *h* და *כ* *k* მოთავსდნენ სისტემაში ერთმანეთის მიყოლებით წმინდა გრაფიკულ ნიშნებად; ასევე *ס* *s* და *ש* *š*; *ס* *š* და *ש* *š*; *ט* *t* და *צ* *z*; *ע* *e* და *ג* *g*; *פ* *f* და *ק* *q* და სხვა ნიშნები, თუმცა ზოგ შემთხვევაში აქ შესაძლებელია ფონეტიკური სიახლოვის ფაქტორიც მოქმედებდა (ზრდ. *Schwarz 1915: 59—62*).

არსებითად ფონეტიკური ფაქტორი განსაზღვრავს გრაფიკულ ნიშანთა რიგს ძველ ინდურ წერილობით სისტემაში (ე. წ. ნ ა გ ა რ ნ ა ნ დ ე ვ ა ნ ზ ა რ ნ -დამწერლობაში, რომელიც აგრეთვე სემიტურ წყაროზე დაიყვანება).

ინდური დევენაგარი -დამწერლობის კონსონანტური ნიშნები, რომლებიც გამოხატავენ მიმდევრობას *თანხმოვანი + ხმოვანი*, სისტემაში შვიდ თანმიმდევრულად განლაგებულ და ფონეტიკურ-არტიკულატორულად განსაზღვრულ ჯგუფს ქმნიან, რომელთაგან პირველი მოიცავს ხუთველარ თანხმოვანს: *ka kha ga gha ña*; მის მომდევნოდ მიმდევრობაში წარმოდგენილია პალატალური თანხმოვნები: *ca cha ja jha ña*, რომლებსაც კაკუმინალურ (რეტროფლექსურ) თანხმოვანთა ჯგუფი მოსდევს: *ṭa ṭha ḍa ḍha ṇa*; მომდევნო ჯგუფებს წარმოადგენენ დენტალი: *ta tha da dha na* და ლაბიალი: *pa pha ba bha ma* თანხმოვნები; მეექვსე ჯგუფს ქმნიან სონორები: *ya ra la ḷa va*, ხოლო მეშვიდე—*śa ṣa ṣa* და *ha* სპირანტები.

მთელ სისტემაში სრულიად აშკარაა ნიშანთა განლაგების თანმიმდევრულად ფონეტიკური პრინციპი. თანხმოვანთნიშნები დალაგებულია სისტემაში თანმიმდევრულ ჯგუფებად ხშულ თანხმოვანთა წარმოების ადგილის მიხედვით, დაწყებული ყველაზე უკანა წარმოებით (პოსტერიორული თანხმოვნები) ვიდრე წინა წარმოების (ლაბიალურ) თანხმოვნებამდე. თანხმოვანთმიმდევრობა განსაზღვრება რიგით პოსტერიორული თანხმოვნებიდან ანტერიორული თანხმოვნებისაკენ. თითოეულ ამგვარ კონსონანტურ ჯგუფში ნიშნები განლაგებულია თანმიმდევრობით: *ყ რ უ ~ ყ რ უ* ფშვინვიერი ~ მქლერი ~ მქლერი ფშვინვიერი ~ ნაზალი. ინდურ სისტემაში ნიშანთა ამგვარი განლაგება, რაც *akṣara* სახელწოდებით არის ცნობილი, ინდოელი გრამატიკოსებისაგან მომდინარეობს და მათი ფონეტიკური ცოდნის მაღალ დონეს მოწმობს.

ეთიოპური ღამნარლობა

	+	+	-	+	+	± 36 უხმისნი	+
h	ሀ	ሁ	ሂ	ሃ	ሄ	ህ	ሆ
l	ለ	ሉ	ሊ	ላ	ሌ	ሎ	ሎ
h	ሐ	ሑ	ሒ	ሓ	ሔ	ሕ	ሖ
m	መ	ሙ	ሚ	ሚ	ሚ	ሚ	ሚ
š	ሠ	ሡ	ሢ	ሣ	ሤ	ሥ	ሦ
r	ረ	ሩ	ሪ	ራ	ራ	ራ	ራ
s	ሰ	ሱ	ሲ	ሳ	ሴ	ስ	ሶ
q	ቀ	ቁ	ቂ	ቃ	ቄ	ቅ	ቆ
b	በ	ቡ	ቢ	ባ	ቤ	ብ	ቦ
t ^h	ተ	ቱ	ቲ	ታ	ቲ	ት	ቸ
h	ኀ	ኁ	ኂ	ኃ	ኄ	ኅ	ኆ
n	ነ	ኑ	ኒ	ና	ኔ	ን	ኖ
,	አ	ኸ	ኹ	አ	ኸ	አ	አ
k ^h	ከ	ከ	ከ	ከ	ከ	ከ	ከ
w	ወ	ወ	ወ	ወ	ወ	ወ	ወ
,	ዐ	ዐ	ዐ	ዐ	ዐ	ዐ	ዐ
z	ዘ	ዘ	ዘ	ዘ	ዘ	ዘ	ዘ
j	የ	የ	የ	የ	የ	የ	የ
d	ደ	ደ	ደ	ደ	ደ	ደ	ደ
g	ገ	ገ	ገ	ገ	ገ	ገ	ገ
t	ጠ	ጠ	ጠ	ጠ	ጠ	ጠ	ጠ
p.	አ	አ	አ	አ	አ	አ	አ
s	የ	የ	የ	የ	የ	የ	የ
d	ፀ	ፀ	ፀ	ፀ	ፀ	ፀ	ፀ
f	ረ	ረ	ረ	ረ	ረ	ረ	ረ
p ^h	ፕ	ፕ	ፕ	ፕ	ፕ	ፕ	ፕ

ჩრდილო-სემიტურ წერით სისტემასთან შედარებით განსხვავებულ ნიშანთრიგს ავლენს სამხრეთ-სემიტური წერითი სისტემის ერთ-ერთი ტიპური წარმომადგენელი—ეთიოპური დამწერლობა (იხ. ტაბულა 6). ასოთა ამგვარი განლაგების საფუძველი შესაძლებელია ყოფილიყო მისწრაფება, გრაფიკულად ან ფონეტიკურად ახლოს მყოფი ნიშნები მიმდევრობაში ერთმანეთის მეზობლად მოთავსებულიყო (შდრ. Jensen 1961:336).

7. სემიტური დამწერლობის ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობები

სემიტური წერილობითი სისტემის ნიშანთა მყარი მიმდევრობა სისტემაში, წერითი სისტემის მკაცრად განსაზღვრული პარადიგმატიკა ხდება საფუძველი წერილობით ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობით გამოყენებისა. ნიშანთა მიმდევრობაში

მკაცრად განსაზღვრული ადგილის მქონე თითოეულ გრაფიკულ სიმბოლოს კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობა მიეწერება და ამდენად ისინი ციფრის ფუნქციას იძენენ, რომელთა კომბინაციები სხვადასხვა რიცხვით მნიშვნელობათა გამომხატველი ხდება.

ძველი სემიტური სისტემის ოცდაორი გრაფიკული სიმბოლოდან პირველი ცხრა ნიშანი გამოხატავს „ერთეულებს“, მომდევნო ცხრა ნიშანი — „ათეულებს“; სისტემის დანარჩენი ოთხი ნიშანი გამოხატავს „ასეულებს“ ასიდან ოთხასამდე:

°	Ⲁ	1	<i>j</i>	ⲁ	10	<i>q</i>	Ⲓ	100
<i>b</i>	Ⲃ	2	<i>kh</i>	ⲃ	20	<i>r</i>	Ⲕ	200
<i>g</i>	Ⲅ	3	<i>l</i>	ⲅ	30	<i>š</i>	ⲕ	300
<i>d</i>	Ⲇ	4	<i>m</i>	ⲇ	40	<i>th</i>	Ⲍ	400
<i>h</i>	Ⲉ	5	<i>n</i>	ⲉ	50			
<i>w</i>	Ⲋ	6	<i>s</i>	Ⲇ	60			
<i>z</i>	ⲋ	7	·	ⲇ	70			
<i>ḥ</i>	ⲍ	8	<i>ph</i>	Ⲉ	80			
<i>ẓ</i>	Ⲏ	9	<i>š</i>	ⲉ	90			

რამდენადაც ძველი სემიტური სისტემა მხოლოდ ოცდაორ გრაფიკულ სიმბოლოს შეიცავს და არა $9 \times 3 = 27$ ნიშანს (რაც „ასეულების“ გამოსახატავად — ასიდან ცხრაასამდე — იქნებოდა საჭირო), რიცხვ-ნიშანთა სემიტური სისტემა, ამგვარ წერილობით სისტემაზე დამყარებული, ერთგვარად ნაკლებია იმ სისტემებთან შედარებით, რომლებიც გრაფიკულ სიმბოლოთა $9 \times 3 = 27$ ან მეტი რაოდენობით ხასიათდებიან.

რიცხვით მნიშვნელობათა გამოხატვის თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი აღმოჩნდა კლასიკური ბერძნული სისტემა, რომელიც სიმბოლოთა $9 \times 3 = 27$ რაოდენობის სრულ სისტემას ვეჩვენებს.

ბერძნულს ამ მხრივ უახლოვდება ძველი სემიტური დამწერლობისაგან (კერძოდ არამეულისაგან) მომდინარე გვიანსემიტური სისტემები, მაგალითად, არაბული, რომელიც ოცდარვა გრაფიკულ სიმბოლოს შეიცავს:

ا	ʾ	1	ط	ṭ	9
ب	b	2	ظ	ẓ	900
ث	ṯ	400	ع	ʿ	70
ج	ǰ	500	غ	ġ	1000
د	d	3	ف	f	80
ه	h	8	ق	q	100
ز	z	600	ك	kʰ	20
ح	ḥ	4	ل	l	30
ط	ṭ	700	م	m	40
ي	y	200	ن	n	50
ك	k	7	ه	h	5
ل	l	60	و	w	6
م	m	300	ی	y	10
ن	n	90			
ه	h	800			

საინტერესოა აღინიშნოს, რომ არაბული სისტემის რიცხვითი მნიშვნელობები ასახავენ ძველი სემიტური წერითი სისტემის ნიშანთ-მიმდევრობას, ხოლო საკუთრივ არაბულ ნიღაღზე შექმნილი დამატებითი გრაფიკული სიმბოლოები, რომლებიც განაწილდნენ პარადიგმატიკაში მოხაზულობისა და ფონეტიკური პრინციპის მიხედვით (რამაც გამოიწვია სისტემაში ნიშანთა გადანაწილება და ძველი თანმიმდევრობის დარღვევა), „ასეულების“ მნიშვნელობას იძენენ („ხუთასით“ დაწვებული; ერთი სიმბოლო — მეცხრამეტე — „ათასის“ გამომხატველია: غ 9), რაც ვერ გამოიხატებოდა ოცდარვა ნიშნის შემცველ ძველ სემიტურ სისტემაში.

8. წერიტი სისტემის გამომხატულებისა და შინაარსის კლანი

წერიტი სისტემა შესაძლებელია განვიხილოთ როგორც სტრუქტურა, რომელსაც ორი მხარე, ორი პლანი აქვს: გამოხატულების კლანი და შინაარსის კლანი.

წერიტი სისტემის გამომხატულების პლანია სისტემის ნიშან-სიმბოლოთა გრაფიკული მხარე ანუ მოხაზულობა, მათი გრაფიკული ფორმა. სისტემის გამომხატულების პლანია აგრეთვე გრაფიკულ სიმბოლოთა სპეციფიკური სახელწოდებები. წერიტი სისტემის გამომხატულების პლანის ანალიზი, ამდენად, გულისხმობს ნიშან-სიმბოლოთა გრაფიკულ და პალეოგრაფიულ ანალიზს, მათ ურთიერთ შედარება-შეპირისპირებას და სათანადო სახელწოდებათა სტრუქტურისა და წარმომავლობის გარკვევას.

წერიტი სისტემის გამოხატულების კლანს განეკუთვნება სისტემის პარადიგმატული სტრუქტურა, ანუ ნიშანთა თანმიმდევრობა, სისტემაში ნიშანთა „დალაგების“ პრინციპები.

სისტემის გამოხატულების პლანია აგრეთვე წერის ისეთი სინტაგმატური მახასიათებელი, როგორცაა წერის მიმართულება, რაზედაც ხშირად დამოკიდებულია ნიშანთა ესა თუ ის გრაფიკული ფორმა და მთელი რიგი გრაფიკული თავისებურებანი (ნიშანთა გრაფიკულ ცვლილებათა ტენდენციები და სხვ.).

წერიტი სისტემის შინაარსის კლანია სისტემის ნიშან-სიმბოლოთა ფონეტიკური, ერთი მხრით, და რიცხვითი მნიშვნელობები, მეორე მხრით. სისტემის შინაარსის პლანის ანალიზი გულისხმობს ნიშანთა ფონეტიკურ მნიშვნელობათა ხასიათის გარკვევას, რაც არსებითად მთელი სისტემის სტრუქტურასა და ბუნებას განსაზღვრავს*.

სისტემის სიმბოლოთა რიცხვითი მნიშვნელობები დამოკიდებულია სისტემის პარადიგმატიკაზე, ნიშანთა რიგზე ან თანმიმდევრობაზე, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული წერიტი სისტემისათვის. წერიტი სისტემის ეს არსებითი მახასიათებელი იქმნება ორიგინალურ სისტემებში სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით.

*) წერიტი სისტემის ამგვარი გაგება საფუძველს გააძლევს ჩაუფავლოთ იგი სემიოტიკურ სისტემადა და შესაბამისად განვიხილოთ: დამწერლობათმცოდნეობა, ანუ გრამატოლოგია, როგორც სემიოტიკური დისციპლინა. დამწერლობის ანალოგიური გაგება როგორც სემიოტიკური სისტემისა მოცემული ჰქონდა უკვე ფერდინანდ დე სიურსს (შდრ. Saussure 1972:10 — 11).

უმრავლეს ისტორიულად დადასტურებულ წერით სისტემებში სისტემის პარადიგმატიკა ძირითადად არამოტივირებულია და მიღებულია „მემკვიდრეობით“ წყარო-სისტემისაგან, სადაც იგი, თავის მხრივ, შესაძლებელია უფრო აღრინდელი სისტემიდან მომდინარეობდეს და ა. შ., სანამ მივალთ საწყის სისტემამდე, რომელშიც მოცემული ნიშანთპარადიგმატიკა გარკვეულ მოტივაციას იძენს და კონკრეტულ ახსნას პოულობს როგორც სისტემის შინაგანი ფაქტორებით განსაზღვრული სტრუქტურა.

9. ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობის შარმოშობის პრობლემა

ჩადილ-დასავლურ-სემიტური (პროტო-სემიტური) კონსონანტური დამწერლობის წარმოშობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე სადისკუსიოა დამწერლობათა ისტორიაში. არის კონსონანტური ასოთ-დამწერლობის ეს პირველი და უძველესი ნიმუში სემიტთა დამოუკიდებელი აღმოჩენისა და ორიგინალური შემოქმედების პროდუქტი, თუ აქ სხვადასხვა უფრო აღრინდელი წერითი ნიმუშების გავლენები უნდა ვივარაუდოთ?

როგორც არ უნდა გადაწყდეს საბოლოოდ ეს პრობლემა, სრულიად უდავოა, რომ ამ რანგის აღმოჩენები კულტურის ისტორიაში არ ხდება ცარიელ ნიადაგზე, გარეგანი გავლენებისა და ერთგვარი კულტურული მემკვიდრეობითობის გარეშე.


არ დარჩენილა თითქმის არც ერთი წერითი სისტემა მახლობელ აღმოსავლეთსა და მის ფარგლებს გარეთაც, რომელიც არ ყოფილიყოს მიჩნეული ამა თუ იმ მკვლევრის მიერ დასავლურ-სემიტური დამწერლობის არქეტიპად, იმ გრაფიკულ წყაროდ, საიდანაც ეს უკანასკნელი უნდა მომდინარეობდეს.






































ძველი სემიტური დამწერლობა გამოჰყავდათ სხვადასხვა ფორმის ეგვიპტური დამწერლობიდან—ჰიეროგლიფური, ჰიერატული და დემოტურისაგან; შუმერული და ასურულ-ბაბილონური (აქადური) სოლისებრი დამწერლობიდან; კვიპროსული, ხეთური დამწერლობიდან და გერმანიკული რუნებიდანაც კი.

ამათ შორის ყველაზე რეალური ჩანს თეორია სემიტური კონსონანტური დამწერლობის წარმოშობისა ეგვიპტური ჰიეროგლიფიკის გავლენით. გარდამავალ საფეხურად ეგვიპტურ ჰიეროგლიფიკასა და ძველ სემიტურ დამწერლობას შორის პროტო-სინაიტური დამწერლობა არის

მიჩნეული. პროტო-სინაიტური დამწერლობის მთელი რიგი ნიშნები, რომელთა გაგრძელებას ძველი სემიტური წერის სათანადო ნიშნები წარმოადგენს, პროტოტიპებს პოულობს სწორედ ეგვიპტურ ჰიეროგლიფურ დამწერლობაში. ა. გარდინერს თავის გამოკვლევაში ძველი სემიტური დამწერლობის ეგვიპტურიდან წარმომავლობის შესახებ მოჰყავს მთელი სია ამგვარი ნიშნებისა, შდრ. Gardiner 1923:92-120 (შდრ. ტაბულა 7):

ეგვიპტური ჰიეროგლიფური დამწერლობა, რომელიც შეიცავს რამდენიმე ასეულ ლოგოგრამულ (მთელი სიტყვის გამომხატველ) და კონსონანტურ ნიშანს (ალმნიშენელს ცალკეული თანხმოვნისა ან თანხმოვანთმიმდევრობისა), განსხვავდება სხვა ლოგოგრამულ-სილაბურ დამწერლობათაგან (მაგალითად, შუმერულ-აქადურისაგან) იმით, რომ ეგვიპტურში მარცვლოვანი ან ლოგოგრამული ნიშნები გამოხატავენ მარცვლის ან სიტყვის მხოლოდ კონსონანტურ ნაწილს, ხოლო მარცვლის ან მთელი სიტყვის ვოკალური ნაწილი აღუნიშნველი რჩება (Schott 1973).

მაგალითად, ეგვიპტური ლოგოგრამა , რაც ნიშნავს „სახლს“, გამოხატავს თანხმოვანთმიმდევრობას p-r, რომელიც, სათანადო ხმოვნით (resp. ხმოვნებით) გაფორმე-

ეგვიპტური ჰიეროგლ.	სინაის დამწერლობა	ძვ. სემიტური
		
		
		
		
		
		
		
		
		
		
		
		
		

ბული, იკითხებოდა ძველ ეგვიპტურად როგორც *p^ur* „სახლი“; ასევე „თვალის“ აღმნიშვნელი ნიშანი იკითხება როგორც *j-r-l*, რაც სათანადო ხმოვნებით გაფორმებული გამოხატავს ძველ ეგვიპტურ სიტყვა „თვალს“; ასევე ნიშანი გამოხატავს „პირს“, რაც ძველ ეგვიპტურად, სათანადო ხმოვნებით გაფორმებული, გამოითქმოდა როგორც *r^uz^u* და ა. შ.; ე. ი. გრაფიკულად ეგვიპტურ დამწერლობაში მხოლოდ თანხმოვნები აღინიშნება, ხოლო სათანადო ხმოვნები სიტყვებში წაკითხვის დროს ჩაისმის თვით მკითხველის მიერ. ძველი ეგვიპტური დამწერლობის ეს თავისებურება არის მიზეზი იმისა, რომ ძველი ეგვიპტური სიტყვების ხმოვნითი ნაწილი, მათი ზუსტი ფოკალური შედგენილობა დღესაც უცნობია მეცნიერებისათვის.

სწორედ ეს თავისებურება ეგვიპტური ჰიეროგლიფიკისა უნდა ყოფილიყო გამოყენებული სემიტურ დამწერლობაში. სემიტური თავისი გრამატიკული სტრუქტურით ენათა იმ ტიპოლოგიურ ჯგუფს განეკუთვნება, რომლებშიც სიტყვის საერთო, ლექსიკური მნიშვნელობა სიტყვის თანხმოვნითი ნაწილით გამოიხატება, ხოლო თანხმოვნებს შორის განაწილებული ხმოვნები ძირითადად მხოლოდ გრამატიკულ ფუნქციას ასრულებენ; ისინი ამ ტიპის ენებში რელაციურ ელემენტებად გვევლინება, რომლებიც განსაზღვრავენ გარკვეული თანხმოვნებით შედგენილი სიტყვის სტრუქტურულ კლასსა და მის გრამატიკულ დანიშნულებას. ასე, მაგალითად, სამი თანხმოვნისაგან შედგენილი სემიტური *mlk* ძირი, რომელიც გამოხატავს საზოგადოდ „მეფობის“, „მფლობელობის“ მნიშვნელობას, სხვადასხვა ხმოვნებით გაფორმებული შეიძლება აღნიშნავდეს „მეფეს“, „სამეფოს“, „მეფობას“ და სხვადასხვა გრამატიკული შინაარსის ზმნურ ფორმებს. ამ მხრივ კონსონანტურად ჩაწერილი სემიტური ტექსტის წაკითხვა წარმოადგენს რთულ პროცესს ტექსტის დეკოდირებისას თანხმოვნებს შორის სათანადო ხმოვნების ჩართვით (შდრ. *Diakonoff 1974 : 101*).

სემიტური ენის ამ სტრუქტურული თავისებურების გამო წმინდა კონსონანტური წერა მეტად ეფექტური და ეკონომიური საშუალება აღმოჩნდა ტექსტის წერილობითი ფიქსირებისათვის, და სწორედ ეს თავისებურება ეგვიპტური ჰიეროგლიფიკისა იქნა აღებული მოდელად ძველი სემიტური დამწერლობის შექმნისას*.

*) ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობისათვის პროტოტიპად ეგვიპტური ჰიეროგლიფური დამწერლობის გამოყენებას, საფიქრებელია, ისიც შეუწყობდა

ეგვიპტური დამწერლობის რამდენიმე ასეული ნიშნიდან მხოლოდ ორი-სამი ათეული ნიშანი იქნა აღებული გრაფიკულად გამარტივებული სახით სემიტურ თანხმოვანთა გამოსახატავად. ამასთანავე ეგვიპტურ ჰიეროგლიფურ ნიშანს, სემიტურში გადმოღებულს, ის კონსონანტური მნიშვნელობა კი არ ენახება, რომლითაც იგი საკუთრივ ეგვიპტურ ჰიეროგლიფიკაში იხმარებოდა: სათანადო ეგვიპტური ნიშნის მნიშვნელობა ითარგმნება სემიტურად, და სემიტურ სისტემაში ეს ნიშანი უკვე აკროფონული პრინციპის მიხედვით იძენს შესაბამისი სემიტური სიტყვის თავიკიდურა თანხმოვნის მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, ეგვიპტური ნიშანი 𓆎 *p-r* „სახლი“ ითარგმნება სემიტურად როგორც *bēth* „სახლი“ და იძენს აკროფონულად *b* თანხმოვნის მნიშვნელობას; ასევე ეგვიპტური 𓆏 *j-r-t* „თვალი“ გადმოღვის სემიტურად როგორც *'ajin* „თვალი“ და გამოხატავს უკვე *'* თანხმოვანს (მქლერი ფარინგალი); ან ეგვიპტური *r-3* „პირი“ ითარგმნება სემიტურად როგორც *phē* „პირი“, და სათანადო ნიშანი სემიტურ სისტემაში აღნიშნავს უკვე *ph* თანხმოვანს და *a*. შ.

ამ გზით შესაძლებელი ხდება მთელი რიგი ძველი სემიტური ნიშნების იდენტიფიცირება და მათი წარმომავლობის გარკვევა სათანადო ეგვიპტური ჰიეროგლიფური ნიშნებისაგან. ამასთანავე ირკვევა, რომ ამ ასო-ნიშანთა სემიტური სახელწოდებანი თარგმანს წარმოადგენს სათანადო ეგვიპტური სიტყვებისას. ამგვარ ნიშნებად სათანადო სახელწოდებით, გარდა ზემოთ დასახელებულისა, შეიძლება ჩაითვალოს სემი-

ხელს, რომ ეგვიპტურ წერით სისტემაში არსებობდა მთელი კლასი ცალი თანხმოვნის გამოხატველი ნიშნებისა, რომლებიც აქ სპეციფიკური ფუნქციით იხმარებოდა. ელოგოგრაფების სი ლ ა ბ ო გ რ ა მ ე ბ ა დ (მარცხლის აღმნიშვნელ ნიშნებად) გარდაქმნა ეგვიპტურში იშვეეს ამგვარი სილაბოგრაფების შემდგომ გამარტივებას, რის შედეგადაც ისინი ფაქტურად ცალი თანხმოვნის გამოხატველნი ხდებიან. რომელიმე *r3* ნიშანი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ „პირს“ აღნიშნავდა, თანდათან *r* თანხმოვნის მნიშვნელობასაც იძენს; ანდა *id* „ხელო“ ნიშანი უკვე *d* თანხმოვანსაც გამოხატავს. ცალი თ ა ნ ხ მ ო ე ნ ი ს გამოხატველ ნიშნად ჩამოყალიბების კიდევ უფრო მარტივ პროცესს წარმოადგენს ცალთანხმოვნის სიტყვის აღმნიშვნელი ელოგოგრაფის გარდაქმნა, მაგალითად, „საკეტის“ აღმნიშვნელი *s* ელოგოგრაფის გარდაქმნა [*s*] თანხმოვნის გამოხატველ ნიშნად;

ამ გზით ძველ ეგვიპტურ ჰიეროგლიფურ დამწერლობაში ჩამოყალიბდა ცალი თანხმოვნის აღმნიშვნელი ოცდაათი ნიშანი, რომლებიც სისტემაში უცხოური სიტყვების გადმოსაცემად და სპეციფიკურ ფონეტიკურ დანართებად გამოიყენებოდა (შტრ.-*Driver 1918:134*).

ტური ნიშნები 'aleph „ხაი“, wāw „კავი“, jōd „ხელი“, khaph „ხელისგული“, mēm „წყალი“, nūn „თევზი“ (resp. სამხრ.-სემ. nahās „გველი“), rēš „თავი“, dāleth „კარი“ და სხვ.

მაგრამ მთელი რიგი სემიტური ნიშნები მათი სახელწოდებებით აუხსნელი რჩება ამ თვალსაზრისით; შეუძლებელია ამ ნიშანთა რაიმე ობიექტებთან იდენტიფიცირება, რომელთა ნახატს ისინი თავდაპირველად უნდა წარმოადგენდნენ. ასე, მაგალითად, გაჭირდებოდა ძველი სემიტური Λ gimel „აქლემი“ ნიშნის (ფონეტიკური მნიშვნელობა g), რომლის პროტოტიპია სინაიტური L , აქლემის გამოსახულებასთან გრაფიკული დაკავშირება. მეტიც შეიძლება ითქვას: ამ ნიშანთა სახელწოდებები გაურკვეველია ეტიმოლოგიურად და მეტად პრობლემატურია მათი იდენტიფიცირება და დაკავშირება რომელიმე სემიტურ სიტყვასთან (შდრ. ზემოთ). ყოველივე ეს ართულებს ჰიპოთეზას ძველი სემიტური დამწერლობის წარმომავლობის შესახებ ერთი რომელიმე კონკრეტული წყაროდან და კერძოდ ეგვიპტური ჰიეროგლიფიკიდან.

მთელი წყება სემიტური ნიშნების გრაფიკული მსგავსება კრეტული ხაზოვანი დამწერლობის ნიშნებთან (Jensen 1969: 263) აგრეთვე ვერ ჩაითვლება საკმაო საფუძვლად ძველი სემიტური წერის კრეტული დამწერლობიდან წარმომავლობის თეზის სასარგებლოდ.

სხვადასხვა წერით სისტემათა გავლენები სემიტურ დამწერლობაზე, რასაკვირველია, არ გამოირიცხება, მაგრამ ერთი დამწერლობის ცალკეულ ნიშანთა მსგავსება სხვა დამწერლობებთან ვერ გამოდგება საფუძვლად მათ შორის არსებული გენეტური კავშირების მტკიცებისათვის, თუ ცალკეულ ნიშანთა გრაფიკულ მსგავსებასთან ერთად ამგვარ დამწერლობათა შორის არ გამოვლინდა შინაგანი სტრუქტურული კავშირები წერის არსებით მახასიათებლებში.

ძველი სემიტური წერითი სისტემის უცხოური წარმომავლობის ჰიპოთეზას უპირისპირდება თვალსაზრისი მისი წარმოშობის შესახებ მთლიანად დამოუკიდებელი და ორიგინალური შემოქმედების საფუძველზე. ამ თვალსაზრისის ბოლო დროს იცავს გამოჩენილი ამერიკელი ასირიოლოგი და კუნეოლოგი ი. გელბი (Gelb 1963:139—146).

ი. გელბის მიხედვით, ძველი სემიტური წერითი სისტემის ყოველი ნიშანი წარმოადგენს გარკვეული გრაფიკული ხერხით შედგენილ წერით სიმბოლოს, რომელსაც კონკრეტული ფონეტიკური მნიშვნელობა მიენიჭა ენის კონსონანტურ ფონემათა გამოსახატავად. ზოგი ნიშანი შეიქმნა როგორც ერთგვარი გრაფიკული ვარიანტი შეთხზული ნიშნისა.

ასეთ დამოკიდებულებას ავლენენ ერთმანეთთან შემდეგი ნიშნები:

≡	hē	და	≡	hēth
↳	nūn	და	↳	mēm
I	zajin	და	≡	sāmekh
+	taw	და	⊕	tēth

სათანადო ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარკვეული ხაზის მიმატებით ან გამოკლებით, რაც წარმოადგენდა ერთგვარ გრაფიკულ ხერხს შეთხზული ნიშნებიდან განსხვავებული ფონეტიკური (კონსონანტური) მნიშვნელობების მქონე ახალი ნიშნების შექმნისას.

ეს პროცედურა დამწერლობის ნიშანთა შექმნისა შეიძლება ტიპოლოგიურად შეუდარდეს თანამედროვე პრიმიტიულ საზოგადოებებში დამწერლობის შექმნის ცდებს. ამ თვალსაზრისით მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია ვეძიოთ ძველი სემიტური დამწერლობის უცხოური წყაროები. მთელი რიგი გრაფიკული დამთხვევები, რასაც ძველი სემიტური დამწერლობა სხვადასხვა სისტემებთან (მათ შორის ევკატურთან) ავლენს, შემთხვევითი ხასიათისაა და არ უნდა მოწმობდეს მათ შორის არსებულ ისტორიულ კავშირებს.

თუმცა თეორიულად შეუზღუდველია რაოდენობა ლინეარული (ხაზოვანი) ნიშნებისა, რომლებიც შეიძლება შეიქმნას გრაფიკულად მარტივი ხაზებისა და წრეხაზის ნაირგვარი კომბინაციით, მაგრამ პრაქტიკულად დამწერლობათა ხელოვნურად შექმნის დროს გრაფიკულ სიმბოლოთა ნაირსახეობა საკმაოდ შეზღუდულია და შემოიფარგლება ამგვარი გრაფიკული ელემენტების მარტივი კომბინაციებით. ამით უნდა აიხსნებოდეს ის თვალსაჩინო თავისებურება სრულიად სხვადასხვა დამწერლობათა სისტემებისა, რომ ისინი მთელ რიგ გრაფიკულად მსგავს ნიშნებს შეიცავენ*.

*) ამ მხრივ მეტად საგულისხმოა მთელი რიგი ხელოვნურად შექმნილი წერითი სისტემები თანამედროვე პრიმიტიულ საზოგადოებებში (Friedrich 1937; 1939) და აგრეთვე ხელოვნური ანბანური სისტემები, შექმნილი ბავშვების მიერ თავიანთი ურთიერთობისათვის. აღსანიშნავია, რომ გეომეტრიული ფორმის ხელოვნურად შექმნილი ნიშნები ამგვარ სისტემებში ზოგ შემთხვევაში საოცრად წააგავს ძველი სემიტური დამწერლობის გრაფიკულ სიმბოლოებს. საინტერესოა, რომ ერთმა ცხრა წლის გოგონამ,

ამგვარად შექმნილი ორიგინალური ძველი სემიტური დამწერლობა რთულდება ნიშან-სიმბოლოთა საეციფიკური სახელწოდებებით. ნიშანთა ეს სახელწოდებები ნიშნის მიერ თავდაპირველად გამოხატული ობიექტების სახელებს კი არ წარმოადგენს, საიდანაც აკროფონული პრინციპის მიხედვით წარმოიქმნება თითქოს სათანადო ნიშნის კონსონანტური მნიშვნელობა, არამედ პირიქით, ეს სახელწოდებები ხელოვნურად შეირჩა სათანადო ნიშნებისათვის სიტყვათა თავკიდური თანხმოვნის მიხედვით, რომელიც საერთოა ნიშნის მიერ აღნიშნულ თანხმოვანთან. ასე, მაგალითად, Γ გ ნიშანს ძველი სემიტური სისტემისა ეწოდა *gimel* „აქლემი“ სახელი არა იმიტომ, რომ იგი თავდაპირველად *აქლემის* გამომსახველი იყო, არამედ პირობით, იმის გამო, რომ ეს სემიტური სიტყვა *გ* თანხმოვნით იწყება, რომელიც შესაბამისი გრაფიკული სიმბოლოთი გამოიხატებოდა; ასევე, \aleph ნიშანს ეწოდა *'āleph* არა იმის გამო, რომ იგი *ხარის* თავს გამოსახავს, არამედ იმიტომ, რომ სემიტური *'āleph* „ხარი“ სიტყვა თავკიდურ თანხმოვნად ' ფონემას შეიცავს, რომელიც სათანადო გრაფიკული სიმბოლოთი გადმოიკცემოდა.

ძველი სემიტური წერითი სისტემის ნიშანთა ამგვარი სახელწოდებანი ერთგვარი მწეომონიკური საშუალება იყო ნიშანთა დახსომებისა, და აქ ისეთსავე ვითარებასთან უნდა გვექონდეს საქმე, როგორც სლავურ „გლაგოლიცაში“ ან გერმანიკულ რუნულ დამწერლობაში, სადაც გრაფიკული ნიშნები სწორედ ამ პრინციპის მიხედვით იძენენ თავიანთ სახელწოდებებს (შდრ. სლავურ გლაგოლიცაში: $a = az$ „მე“, $b = buki$ „ასო“, $v = vedi$ „ცოდნა“, $g = glagol$ „სიტყვა“, $d = dobro$ „სიკეთე, ქონება“ და ა. შ.).

ამით უნდა აიხსნებოდეს ის შეუსაბამობა ძველ სემიტურ დამწერლობაში ნიშნის სახელწოდებასა და მის გრაფიკულ ფორმას შორის, რაც ასე საეჭვოს ხდის სემიტური წერითი სისტემის ერთი რომელიმე უცხოური (კერძოდ, ეგვიპტური) წყაროდან მომდინარეობას და სათანადო ნიშნებში კონსონანტური მნიშვნელობების წარმოქმნას აკროფონული პრინციპის მიხედვით.

ძველი სემიტური წერის წარმოშობის ეს ორივე საპირისპირო თვალსაზრისი შეიცავს როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს. ჰიპოთეზა

რომელსაც ამოცანა დაუსახეს, შეექმნა ანბანი ხელოვნური გრაფიკული ნიშნებით, შეთხზა ოცდაექვსინიშანი ანბანი, რომლის შვიდი სიმბოლო ზუსტად დაემთხვა ძველ სემიტურ ნიშნებს, ხოლო დანარჩენი ნიშნები წააგავდა სინაიტურ, კრეტულ ან კვიპროსულ წერილობით ნიშნებს (შდრ. *Gelb 1963:146*).

სემიტური დამწერლობის ეგვიპტურიდან წარმომავლობის შესახებ ვერ ხსნის თანმიმდევრულად და სრულად სემიტური წერის მთელ რიგ მნიშვნელოვან სტრუქტურულ თავისებურებებს. აუხსნელი რჩება ამ თვალსაზრისით ერთი ჯგუფი ნიშნების წარმომავლობა, მათ ფონეტიკურ მნიშვნელობათა და სახელწოდებათა საკითხი, რაც ამ თვალსაზრისის სისტემურობასა და თანმიმდევრულობას უკარგავს.

ნიშანთა და მათ ფონეტიკურ მნიშვნელობათა დამოუკიდებელი და ნებისმიერი თხზვის შედეგად სემიტური დამწერლობის მთლიანად ორიგინალურ ნიადაგზე წარმოშობის თეზისი მეთოდოლოგიური ხასიათის პრინციპულ სირთულეებს შეიცავს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში გარეგანი გავლენებისაგან სრულიად დამოუკიდებლად შექმნილიყო პრინციპულად ახალი ტიპის წერითი სისტემა, რომელიც თვისებრივად განსხვავებულ ეტაპს წარმოადგენს დამწერლობის განვითარების ისტორიაში. ამ რანგის მოვლენები კულტურის ისტორიაში არ ხდება გარემომცველი თანადროული კულტურული ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად და იზოლირებულად. ამგვარი სიახლე კულტურულ ცხოვრებაში, ერთგვარი თვისებრივი ნახტომი, რაც თავის დროზე სემიტურ კულტურულ სამყაროში განხორციელდა, უნდა წარმოადგენდეს მთელი იმ დროისათვის დაგროვილი ცოდნის გადამუშავებისა და თვისებრივად ახალ დონეზე აყვანის შედეგს.

ამ თვალსაზრისით კონსონანტური სემიტური დამწერლობის ყველაზე რეალურ წინამორბედად შეიძლება მაინც ეგვიპტური ჰიეროგლიფიკა ჩაითვალოს, რომელიც წარმოადგენდა წერილობითი ნიშნების კონსონანტური მნიშვნელობით ხმარების ნიმუშს. ეგვიპტური დამწერლობა ქმნიდა ამ მხრივ მოდელს ახალი ტიპის სემიტური დამწერლობისათვის. სემიტური წერითი სისტემის პრინციპული სიახლე მდგომარეობს სწორედ თითოეული სიმბოლოს საშუალებით ცალკეული თანხმოვნის აღნიშვნაში.

სემიტურა დამწერლობის თანმიმდევრული ცალთანხმოვნინაობა, რაც მას თვისებრივად ახალი ტიპის დამწერლობად აქცევს, შესაძლებელია აღმოცენებულიყო რთული ეგვიპტური სისტემის იმ ნიშანთა (*resp.* ქვესისტემის) გავლენით, რომლებიც ცალ თანხმოვანს გამოეხატავდნენ. ეგვიპტური ჰიეროგლიფიკის ეს ქვესისტემა შესაძლებელია გამხდარიყო მოდელი ცალთანხმოვნინაობის პრინციპის გატარების სემიტური ენისათვის შექმნილ დამწერლობაში.

თვით ნიშანთა მოხაზულობის საკითხი ახალი ტიპის სემიტურ დამწერლობაში და მათი კონკრეტული კონსონანტური მნიშვნელობები,

მათი წარმომავლობა ამა თუ იმ კონკრეტული ნიშნებიდან თუ მათი დამოუკიდებლად შექმნა ორიგინალური გრაფიკული თხზვის შედეგად არ წარმოადგენს პრინციპული მნიშვნელობის პრობლემას. ეს საკითხი სხვადასხვა ნიშნების მიმართ შესაძლებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარად გადაწყდეს. პრინციპული ღირებულების მქონეა ამ შემთხვევაში თვით შინაგანი სტრუქტურული თავისებურება ძველი სემიტური დამწერლობისა — მისი ცალთანხმოვნიანობა, რითაც იგი, პირველად დამწერლობის ისტორიაში, წარმოვედგება როგორც კონსონანტური ასოთდამწერლობა.

ამაშია ძველი სემიტური წერითი სისტემის პრინციპული სიახლე დანარჩენ თანადროულ და ქრონოლოგიურად ადრინდელ დამწერლობებთან შედარებით, და ეს პრინციპული სიახლე ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობის სახით, სავარაუდოა, შეიქმნა ეგვიპტური ჰიეროგლიფური წერილობითი სისტემის ზეგავლენით.

10. ძველი სემიტური დამწერლობა როგორც წერის კონსონანტურ-სილაბური სისტემა

რას წარმოადგენს სტრუქტურულად ძველი სემიტური წერითი სისტემა და მისგან წარმომდგარი გვიანსემიტური დამწერლობანი, რა არის ამ წერითი სისტემის შინაგანი სტრუქტურული მახასიათებლები? როგორც აღნიშნული იყო, ძველი სემიტური წერითი სისტემა ფინიკიური, ქანაანური და არამეული დამწერლობების (და მათგან წარმომდგარ სხვა სემიტურ დამწერლობათა) სახით წარმოადგენს კონსონანტურ გრაფიკულ სისტემას, სადაც თითოეული გრაფემა გამოხატავს ცალკეულ თანხმოვან ფონემას. ამის შესაბამისად, ძველ სემიტურ ენებში წარმოდგენილი ოცდაორი თანხმოვანი ფონემა (თუ ოცდასამი — 3~3 დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში) გამოიხატება ოცდაორი გრაფემის საშუალებით.

ძველი სემიტური წერითი სისტემის ამ თავისებურების გამო ამ სისტემას (და მისგან წარმომდგარ ყველა დანარჩენ წერით სისტემას) ხშირად „ანბანურ“, ან „აღფაბეტურ“, დამწერლობად განიხილავენ (შდრ. Driver 1948:130). მაგრამ რამდენად შეესაბამება სემიტური წერითი სისტემის სტრუქტურული მახასიათებლები იმას, რომ იგი „ანბანურ“ წერით სისტემად იქნეს კვალიფიცირებული?

თუ ჩვენ ანბანურ დამწერლობას განვსაზღვრავთ როგორც ისეთ წერით სისტემას, სადაც ენის თითოეული ფონემა (და ზოგ შემთხვევა-

ში ფონემის ვარიანტებიც) — როგორც კონსონანტური, ისე ვოკალური — სპეციალური გრაფიკული ნიშნით არის გამოხატული (როგორც ეს, მაგალითად, ბერძნულ, ლათინურ, ქართულ, სომხურ და სხვ. სისტემებში გვაქვს), ძველი სემიტური წერითი სისტემა (და მისგან წარმომდგარი ისტორიული სემიტური დამწერლობანი) ვერ ჩაითვლება თანმიმდევრულ „ანბანურ“ ასოთდამწერლობად. ამგვარ თვალსაზრისს სემიტური დამწერლობის მიმართ გამოთქვამდა ჯერ კიდევ პ. პედერსენი (*Pedersen 1931: 142, 180* და შმდ.); ამავე თვალსაზრისს ავითარებს ბოლო ხანებში ი. გელბი (*Gelb 1963:148* და შმდ.; *1980*; მაგრამ შმდ. *Ullendorff 1977:573*).

მართლაც, ძველ სემიტურ წერით სისტემას არ გააჩნია სპეციალური ნიშნები ხმოვნების გამოსახატავად და ამიტომ ყოველი ნიშანი, რომელიც კონსონანტურ ნიშნად, თანხმოვნის გამომხატველ სიმბოლოდ არის მიჩნეული, არსებითად მარცვლის, ე. ი. თანხმოვანი + ხმოვანი მიმდევრობის, გამომსახველად გვევლინება. რამდენადაც სემიტური სისტემის თითოეული „კონსონანტური“ ნიშანი, მაგალითად *b*, შესაძლებელია წაკითხულ იქნეს სხვადასხვა კომბინაციებში როგორც *ba, be, bi, bi, bu*, ე. ი. შესაბამისი თანხმოვანი პლუს ნებისმიერი ხმოვანი, ასეთი ნიშანი უნდა განიხილებოდეს არა საკუთრივ კონსონანტურ ნიშნად, არამედ სილაბურ (მარცვლოვანი ღირებულების მქონე) ნიშნად, რომელიც გამოხატავს კონკრეტულ თანხმოვანს მასზე დართული სხვადასხვა ხმოვნით; ასეთი ხმოვანი განისაზღვრება ნიშნის სინტაგმატიკით, ანუ მისი ხმარებით სხვა ნიშნებთან კომბინაციაში ამა თუ იმ სიტყვისა თუ გრამატიკული ფორმის ფარგლებში. ამ თავისებურებით სემიტური ტიპის „სილაბური“ დამწერლობა განსხვავდება საკუთრივ სილაბური წერითი სისტემისაგან, სადაც თითოეული ნიშანი (გრაფიკული სიმბოლო) გამოხატავს თანხმოვნის (ან თანხმოვანთა) კომბინაციას განსაზღვრულ კონკრეტულ ხმოვანთან.

ძველი სემიტური დამწერლობის სილაბური ხასიათი ელჩნდება აგრეთვე ამ დამწერლობიდან წარმომდგარ ეთიოპურ და ინდურ წერით სისტემებში. ამ უკანასკნელში ძირითადი გრაფიკული სიმბოლო გამოხატავს არა ცალკეულ თანხმოვანს, არამედ შესაბამის თანხმოვანს თანდართული *a*-ხმოვნით: *ba, da, ga* და ა. შ. ხმოვანი აქ ყოველ ნიშანში იმპლიციტურად იგულისხმება. დანარჩენი ხმოვნები გამოიხატება სპეციალური ნიშნებით, ხოლო უხმოვნობის აღსანიშნავად (ე. ი. თანხმოვნისა *a*-ხმოვნის გარეშე) გამოყენებულია სპეციალური ნიშანი (ინდ. *virāma*), რომელიც *a*-ხმოვნის ერთგვარ ნეიტრალიზაციას ახდენს

და არსებითად სილაბურ ნიშანს მარცვლის მხოლოდ თანხმოენითი ელემენტის გამოხატველად აქცევს.

ანალოგიური ფუნქციით გვიანსემიტურ დამწერლობებში (ებრაულში, სირიულში, არაბულში), სადაც მოგვიანებით შემოიღეს დამატებითი დიაკრიტიკული ნიშნები ხმოვნების გამოხატავად, იხმარება სპეციალური ნიშნები: ებრ. *šāwā*, სირ. *marḥlānā*, არაბ. *sukhūn*.

სემიტური დამწერლობის მკაცრად კონსონანტური ბუნების შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა ისეთი დამატებითი ნიშნის შექმნა, რომელიც „უხმოვნობას“ გამოხატავს, ე. ი. ნიშნის ხმარებას კონკრეტულ შემთხვევაში წმინდა კონსონანტური ფუნქციით (შდრ. აგრეთვე *Schlmitt 1954:216 — 227*).

ამგვარად, მიუხედავად სემიტური წერითი სისტემის ამ სტრუქტურული მახასიათებლისა, იგი ვერ ჩაითვლება თანმიმდევრულ „სილაბურ“ დამწერლობად, რომლის დამახასიათებელი თავისებურებაა გრაფიკული ნიშნების მიერ კონკრეტული სილაბური, მარცვლითი ერთეულების გამოსახვა. მეორე მხრით, იგი ვერ ჩაითვლება ვერც თანმიმდევრულ და მკაცრად განსაზღვრულ „ანბანურ“ დამწერლობად, სადაც გრაფიკული ნიშნები გამოხატავენ ენის როგორც თანხმოენითი, კონსონანტური. ისე ხმოენითი, ვოკალური კლასის ცალკეულ ფონემურ (*resp.* ბგერით) ერთეულებს.

ვოკალურ ფონემათა აღუნიშვნელობა დამწერლობაში წერით სისტემას ერთგვარ შუალედურ სისტემად აქცევს საკუთრივ „სილაბურ“ და მკაცრად „ანბანურ“ სისტემათა შორის. ეს არის სტრუქტურული თვალსაზრისით ერთგვარი „ნარევი“ სისტემა, გარდამავალი საფეხური „სილაბურ“ და საკუთრივ „ანბანურ“ სისტემებს შორის. ამ სტრუქტურის წერით სისტემას შესაძლებელია „კონსონანტურ-სილაბური“ სისტემა ეწოდოს.

ასეთი წერითი სისტემა კონსონანტურია პარადიგმატულად (ე. ი. თითოეული ნიშანი პარადიგმატიკაში ცალკეულ თანხმოენს გამოხატავს), მაგრამ სილაბურია სინტაგმატურად (ე. ი. თითოეული ნიშანი, სხვა ნიშნებთან კონკრეტულ სინტაგმატურ გარემოცვაში მოცემული, გამოხატავს გარკვეულ თანხმოენს რომელიმე მომდევნო ხმოენით ან უხმოენობით, რასაც მოცემული სიტყვის სტრუქტურა განსაზღვრავს).

ამ თვალსაზრისით სემიტური ტიპის „კონსონანტურ-სილაბური“ დამწერლობა არსებითად განსხვავდება საკუთრივ „სილაბური“ დამწერლობისაგან, რომლის გრაფიკული სიმბოლოები კონკრეტულ მარცვლებს გამოხატავენ (ე. ი. თანხმოენისა — *resp.* თანხმოენებისა — და ხმოენისაგან შემდგარ გარკვეულ მიმდევრობებს) როგორც სინტაგმა-

ტურად, ისე პარადიგმატულად (შდრ., მაგალითად, ბერძნული Β-ხაზოვანი დამწერლობა, სოლისებრი დამწერლობის სილაბური ნიშნები და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ დამწერლობათა ის სისტემები, რომელთაც საფუძვლად სემიტური წერითი სისტემა უდევთ ან რომლებიც მის უშუალო გაგრძელებასა და მოდიფიკაციას წარმოადგენენ, სტრუქტურ-

	არამეული 5-3 სს.	ქართული		
·	Ⲁ ⲁ	Ⲁ	a	Ⲁ ⲁ Ⲃ ⲃ Ⲅ ⲅ
b	Ⲇ ⲇ	Ⲇ	ba	Ⲇ bha
g	Ⲉ	Ⲉ	ga	Ⲉ gha
d	Ⲋ ⲋ Ⲍ	Ⲋ ⲋ	da	Ⲋ dha ⲋ da Ⲍ dha
h	Ⲏ ⲏ	Ⲏ ⲏ	ha	
w	Ⲑ	Ⲑ	va	
z	Ⲓ ⲓ Ⲕ	Ⲓ ⲓ	ǵa	Ⲓ dha
h	Ⲗ ⲗ Ⲙ	Ⲗ	śa	
j	Ⲛ ⲛ Ⲝ	Ⲛ	ya	
k ^h	Ⲟ ⲟ Ⲡ	Ⲟ	ka	
l	Ⲣ ⲣ	Ⲣ	la	
m	Ⲥ ⲥ	Ⲥ ⲥ Ⲧ	ma	
n	Ⲩ ⲩ Ⲫ	Ⲩ ⲩ	na	Ⲩ na ⲩ ña
s	Ⲭ ⲭ	Ⲭ	sa	
p ^h	ⲯ	ⲯ Ⲱ	pa	ⲯ pha
š	Ⲳ ⲳ Ⲵ	Ⲳ	ča	Ⲳ cha
q	Ⲷ ⲷ Ⲹ	Ⲷ	kha	
r	Ⲻ ⲻ Ⲽ	Ⲻ	ra	
š	Ⲿ ⲿ	Ⲿ	ša	
t ^h	Ⲱ ⲱ Ⲳ	Ⲱ	ta	Ⲱ ta ⲱ tha Ⲳ tha

რულად ხასიათდებიან „კონსონანტურ-სილაბური“ წერის ამგვარი ნარევი ბუნებით და მოკლებულნი არიან საკუთრივ „ანბანური“ წერითი სისტემებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ ნიშნებს.

წერილობით სისტემათა ამ წყებაში დგას დამწერლობის ინდური სისტემები, პირველ რიგში ქაროშთი-დამწერლობა (*kharos̄thi*), რომელიც სემიტური წერის არამეული სახეობისაგან უნდა მომდინარეობდეს (იხ. ტაბულა 8; შდრ. *Jensen 1969:355*) და აგრეთვე, შესაძლებელია, ბრამი-დამწერლობა (*brāhmi*), რომლისგანაც წარმოდგება კლასიკური ინდური დევანაგარი-დამწერლობა. სპეციალური ვოკალური ნიშნების მიუხედავად, ყოველი „კონსონანტური“ ნიშანი იმპლიციტურად გულისხმობს *a*-ხმოვანს სათანადო თანხმოვნის მომდევნოდ (შდრ. *Weber 1856*).

ძვ. ირანული დამწერლობა

ფალაური		ფარსული		ბერძნული
𐎱	𐎠	𐎠	𐎠	α
𐎲	𐎡	𐎡	𐎡	β
𐎴	𐎢	𐎢	𐎢	γ
𐎶	𐎣	𐎣	𐎣	δ
𐎸	𐎤	𐎤	𐎤	ε
𐎺	𐎥	𐎥	𐎥	ζ
𐎼	𐎦	𐎦	𐎦	η
𐎾	𐎧	𐎧	𐎧	θ
𐎿	𐎨	𐎨	𐎨	ι
𐏀	𐎩	𐎩	𐎩	κ
𐏁	𐎪	𐎪	𐎪	λ
𐏂	𐎫	𐎫	𐎫	μ
𐏃	𐎬	𐎬	𐎬	ν
𐏄	𐎭	𐎭	𐎭	ξ
𐏅	𐎮	𐎮	𐎮	ο
𐏆	𐎯	𐎯	𐎯	π
𐏇	𐎰	𐎰	𐎰	ρ
𐏈	𐎱	𐎱	𐎱	σ
𐏉	𐎲	𐎲	𐎲	τ
𐏊	𐎳	𐎳	𐎳	υ
𐏋	𐎴	𐎴	𐎴	φ
𐏌	𐎵	𐎵	𐎵	χ
𐏍	𐎶	𐎶	𐎶	ψ
𐏎	𐎷	𐎷	𐎷	ω
𐏏	𐎸	𐎸	𐎸	Ω

საინტერესოა ამ თვალსაზრისით აგრეთვე არამეულ ნიდაგზე შექმნილ ირანულ დამწერლობათა სტრუქტურული მახასიათებლები. აქ შემოდის პირველ რიგში საშუალო ირანულ ენათა ჩასაწერად შექმნილი ფარსული (*pārsīy*) და ფალაური (*pahlavīy*) დამწერლობები, რომლებიც ძვ. წელთაღრიცხვის V—II საუკუნეებში მესოპოტამიასა და ეგვიპტეში გავრცელებული არამეული წერის სახეობისაგან უნდა მომდინარეობდეს (იხ.

ტაბულა 9). არამეული დამწერლობის მსგავსად, ფალაური დამწერლობა განარჩევს თანმიმდევრულად „თანხმოვნით“ ნიშნებს, რომლებიც, ამდენად, იმავე აზრით კონსონანტურ-სილაბური ღირებულებას ნიშნებია. ხმოვნების გამოხატვა არ არის აქ თანმიმდევრულად გატარებული, თუმცა რიგი თანხმოვნები, კერძოდ *ʾ, j* და *w*, აქ უკვე ხმოვნების გამოსახატავდაც გამოიყენება, შესაბამისად *ā, ā; i, i, ē* და *u, ū, ō* ვოკალური ელემენტებისათვის (შრდ. *Jensen 1969 : 421* და შმდ.; *Junker 1925; Salemann 1895—1901:253* და შმდ.).

ანალოგიური ხასიათისა მანიქეური დამწერლობა, სოლური დამწერლობა და შუაზიური წრის სხვა წერილობითი სისტემები, რომლებიც ამგვარადვე სემიტურ გრაფიკულ ნიღაგზეა წარმოქმნილი (შრდ. *Henning 1958 : 58* და შმდ.).

ძველ სემიტურ დამწერლობას უკავშირდება აგრეთვე ე. წ. „იბერიული დამწერლობა“, რომლითაც შესრულებულია პირენეს ნახევარკუნძულზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი წარწერები. აქამდე ცნობილი უძველესი წარწერა — ალკოის ტყვიის ფირფიტა — თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის IV—III საუკუნეებით. იბერიული წარწერების ძირითადი მასა მნიშვნელოვნად უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება.

<p> D P P P D F E E E E ψ M M M H H H H ↑ ▲ ♯ T ^ ^ Q Q Q Q P P P P P V Y Y T Y Y E N N Z Z Z M M </p>	<p> a e i o u l r r m n e s </p>	<p> I Z R R R Z Z W P P * * * * □ X ⊖ ⊕ ⊕ ⊕ ⊕ Y Y Y Y W W W ⊕ ⊕ A A A A C C C C C C C S S S S S S X X X X ⊖ ⊕ ⊖ </p>	<p> lu be bi bo (po, ho) bu da (ta) te (de) ti (di, ili) to tu (du, lu) ca (ga) ce gi (ci) go (co) cu (su) </p>
---	---	--	---

წარწერების ენა ჯერ კიდევ მეტად სუსტად შესწავლილი ძველი იბერიული ენაა. ამავე დამწერლობით შესრულებული იბერიული წარწერების ერთი ჯგუფი წარმოგვიდგენს ინდოევროპული მოდგმის „კელტიბერიულ“ ენას.

იბერიული დამწერლობის ნიშნები ძირითადად CV-(ე. ი. თ ა ნ - ხ მ ო ვ ა ნ ი + ხ მ ო ვ ა ნ ი) სტრუქტურის მარცვლის გამომხატველი სიმბოლოებია. ნიშნების მხოლოდ ერთი ნაწილი აღნიშნავს აქ ცალკეულ ხმოვნებსა და თანხმოვნებს, რაც ბერძნული ანბანის გავლენას მიეწერება (იხ. ტაბულა 10), შდრ. *Дуринер 1963:298—301; Untermann 1962.*

ამავე დამწერლობით შესრულებულია წარწერები მონეტებზე, რომლებიც იბერიულ საკუთარ სახელებს წარმოადგენენ. ამ სახელთა გაიგივებამ ბერძენ-რომაელ ავტორთა მიერ გადმოცემულ იბერიულ სახელებთან შესაძლებელი გახადა დაედგინათ იბერიული დამწერლობის მთელ რიგ სიმბოლოთა ფონეტიკური მნიშვნელობები (*Baroja 1951*):

ℳ Λ Υ Ο Χ (Ϝ) *i-l-di-r-da(-r) 'Ιλέδα*

Ι ℳ Ψ Λ Η *ba-i-to-li-ი Βαιτουλῶν*

< Ε Σ Σ Ε *ce-e-s-a-e Κίσαα*

ℳ Δ Α *i-a-ca 'Ιάκκα*

11. ხმოვნის გამოსატყპ სემიტურ დამწერლობაში

ძველი სემიტური წერითი სისტემა (კერძოდ, უძველესი ფინიკიური) არ იცნობს ნიშნებს საკუთრივ ხმოვნებისათვის, და ეს არის სემიტური წერის ყველაზე არსებითი სტრუქტურული მახასიათებელი, რაც მას ერთგვარი ნარევი „კონსონანტურ-სილაბური“ დამწერლობის ხასიათს ანიჭებს.

რომელიმე ფინიკიური 'b დაწერილობა წაიკითხება როგორც 'ab „მამა“, ისე 'ab-i „მამაჩემი“: ph'i წაიკითხება როგორც pha'ala „გააკეთა“, ისე pha'alū „გააკეთეს“; დაწერილობა 'bj იკითხება არა როგორც 'abi „მამაჩემი“, არამედ როგორც 'abija „მამაჩემის“, სადაც j ნიშანი გენეტივის ფორმაში წარმოდგენილ j თანხმოვანს (resp. ნახევარ-ხმოვანს) ასახავს.

უფრო გვიან სემიტურ წერაში ჩნდება თავისებურება გრძელი i და u ხმოვნების გამოხატვისა შესაბამისად j და w ნიშნებით. თუ უძველეს ფინიკურში 'b და 'bj დაწერილობა განასხვავებს ერთმანეთისაგან სახელობითი ბრუნვის 'abi „მამაჩემი“ და გენეტივის 'abija „მამაჩემის“ ფორმებს, უფრო გვიან 'bj დაწერილობანი უკვე 'abi „მამაჩემი“ და 'abija „მამაჩემის“ ფორმათა საერთო გამომხატველია, საპირისპიროდ 'b დაწერილობისა, რომელიც უკვე როგორც მარტივი 'ab „მამა“ სიტყვა იკითხება (შდრ. Friedrich 1951:39 და შმდ.).

ასევე მოაბურ მქ შა'ს წარწერაში 'šar იკითხება როგორც 'Ašūr „ასურეთი“ (w ნიშნით გრძელი u ხმოვნის გამოსახატავად), რაც ჩვეულებრივ 'šr დაწერილობით გადმოიციეწმოდა.

ეგვე შეეხება ძველ ებრაულ Dwd „დავით“ დაწერილობას (j-ნიშნით i ხმოვნის გადმოსაცემად) Dwd დაწერილობის პარალელურად, სადაც ეგვე ხმოვანი არ გამოიხატება სპეციალური გრაფიკული ნიშნით.

ამგვარი „სრული დაწერილობა“ (scriptio plena) გვიან სემიტურში უპირისპირდება „ნაკლულ დაწერილობას“ (scriptio defectiva), რომელიც სწორედ უძველესი სემიტური წერისათვის დამახასიათებელ ვითარებას ასახავს, სადაც სიტყვის შემადგენელი ხმოვანით, ვოკალური ელემენტები არ გამოიხატება სპეციალური ნიშნების საშუალებით.

ხმოვანთა აღსანიშნავად გამოყენებულ ამგვარ თანხმოვნით ნიშნებს „კითხვის ელდანი“ — matres lectionis — ეწოდება. რაც ევროპულ გრამატიკულ ლიტერატურაში ებრაული 'immōth haqq'ri'āh ტერმინის თარგმანს წარმოადგენს.

უფრო გვიან პერიოდში matres lectionis ფუნქციით გამოიყენება მთელი რიგი თანხმოვანითი ნიშნები, კერძოდ 'āleph, hē. აგრეთვე hēth და 'ajin, რაც უკვე ფაქტობრივად ხმოვანთა აღნიშვნის ჩამოყალიბებას ნიშნავს სათანადო წერით სისტემებში.

ხმოვანთა ამგვარი matres lectionis საშუალებით გამოხატვა საკმაოდ ხშირია ისეთ გვიანსემიტურ სისტემებში, როგორცაა ახალპუნური და მანდეური: სპეციფიკური კონსონანტური ნიშნების საშუალებით ხმოვანთა თანმიმდევრული გამოხატვის ეს თავისებურე-

ბა ხდება საფუძველი სემიტურიდან მომდინარე სისტემებში (მანიქურ-ში, სოლდურში და სხვ.).

ძნელი სათქმელია, თუ რამდენად იყო ამგვარი „სრული დაწერილობის“ (ანუ ხმოვანთა აღნიშვნის) ჩამოყალიბება გვიანსემიტურ სისტემებში სისტემის შინაგანი განვითარების შედეგი ან ბერძულ-ლათინური წერითი სისტემების გავლენა, სადაც ხმოვანთა გამოხატვა დამოუკიდებელი გრაფიკული ნიშნებით უკვე სისტემის შინაგან სტრუქტურულ მახასიათებელს წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, ძველ სემიტურ დამწერლობაში *scriptio plena*, ხმოვნების გამოხატვა *j, w, ' და ' ნიშნებით, არ წარმოადგენს სისტემის სტრუქტურულ თავისებურებას და სპორადულ ხასიათს ატარებს**.

ისტორიულად პირველ ნიმუშს თანმიმდევრული ანბანური დამწერლობისას, სადაც კონსონანტური და ფუნქციურად ტოლფასი ვოკალური ნიშნები ერთიან ავტონომიურ სისტემას ქმნიან, წარმოადგენს ბერძნული წერითი სისტემა, რომელიც ძველ სემიტურ წერით სისტემას ემყარება და ძველი ფინიკიური დამწერლობისაგან მომდინარეობს. ამ თვალსაზრისით ბერძნული დამწერლობა სემიტურისაგან თვისებრივად განსხვავებულ წერით სისტემას წარმოადგენს, წარმოქმნილ სემიტური სისტემის მოდიფიკირებით ხმოვან ფონემათათვის სპეციალური ნიშნების ჩამოყალიბების შედეგად.

*) ი. გელბს მიაჩნია (*Gelb 1963:166* და შმდ.), რომ სემიტური *scriptio plena* წარმოადგენს *matres lectionis* საშუალებით იმ ხმოვნების დაზუსტების გრაფიკულ ხერხს, რომლებიც იგულისხმება თითოეული თანხმოვნის შემდეგ სილაბური ხასიათის ძველ სემიტურ დამწერლობაში. ამ შემთხვევაში ისეთსავე გრაფიკულ მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე, როგორც ტიპური სილაბურ წერით სისტემებში, როგორცაა, მაგალითად, აქადური ან მისგან მომდინარე ხეთური სოლისებრი დამწერლობა (*Gamkrelidze 1961*). ასე, მაგალითად, ასურულ *^mAš-šu-ra-iu-ú* [*Aššuraju*] ან *liš-'a-a-lū* [*liš'alū*] დაწერილობაში ხმოვნის გამოხატველი *-ú* და *-a-* ნიშნები აზუსტებს წინამავალი სილაბური ნიშნის ვოკალურ კომპონენტს, ისევე როგორც ხეთურ სოლისებრ დამწერლობაში *wa₆-ša-a₆*, *at-ta-an-ni-wi₇-na* ან *su₆-la-a-ši-na* დაწერილობანი.

შესაბამისად ამისა, ძველი სემიტური დაწერილობანი *Dwja* ან *'šwr* უნდა ტრანსკრიბირებულ იქნეს როგორც *D^waj'd(š)* და *'Aš^wur^u*, საპირისპიროდ „ნაკლული დაწერილობის“ *Dwd=D^wad(š)* და *'šr=^wAš^wr^u* ფორმებისა. მაგრამ თუნდაც ამგვარი ინტერპრეტაცია ძველი სემიტური *matres lectionis* ნიშნებისა, როგორც წინამავალი სილაბური ნიშნის ხმოვნითი კომპონენტის დამაზუსტებლისა (ხმოვანთა ნიშნების ხმარების სპეციფიკური შემთხვევების მსგავსად საკუთრივ სილაბურ წერით სისტემებში), მოწმობს ამგვარი ნიშნების ხმარების შემთხვევებს სემიტურ დამწერლობაში უკვე ხმოვანთა აღნიშვნის სპეციფიკური ფუნქციით, რასაც ძველ სემიტურ სისტემაში უაღრესად სპორადული და შემთხვევითი ხასიათი აქვს.

ბერძნული ანბანური დამწერლობა

1. ბერძნული დამწერლობა და მისი მნიშვნელობა

ბერძნული ანბანური დამწერლობის სახელით ცნობილი წერითი სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო მრავალ განშტოებას, მათ შორის ლათინურ და სლავურ დამწერლობებს, და ამით დასაბამი მისცა მსოფლიოში ამჟამად ყველაზე გავრცელებულ წერით სისტემებს, არ წარმოადგენს ბერძნული ენის გრაფიკული ფიქსაციის უძველეს ნიმუშს. ქრონოლოგიურად ბერძნულ ანბანურ დამწერლობას წინ უსწრებს სილაბური ხასიათის კრეტული (მიკენური) დამწერლობა (ე. წ. *Β-ხა-ზოვანი* დამწერლობა), რომლითაც შესრულებულია ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა საუკუნეების მთელი რიგი მიკენური ბერძნული წარწერები (იხ. *Morpurgo 1963*).

ამავე რიგს განეკუთვნება სილაბური დამწერლობით შესრულებული მთელი ჯგუფი კვიპროსული ბერძნული წარწერებისა (*Larfeld 1914: 200.—203*).

ბერძნული ანბანური დამწერლობის უძველესი ნიმუშები თარიღდება ძვ. წელთაღრიცხვის VIII — VII საუკუნეებით. მაგრამ სხვადასხვა პალეოგრაფიული მოსაზრების საფუძველზე შესაძლებელია ბერძნული ანბანური დამწერლობის წარმოშობა პირველი ათასწლეულის დასაწყისისათვის ვივარაუდოთ (მდრ. ქვემოთ).

ანტიკურ ტრადიციას ბერძნული დამწერლობა ძველი სემიტური, უფრო ზუსტად ძველი ფინიკიური, წერისაგან წარმომდგარად მიაჩნია. ჰეროდოტე ბერძნულ ნიშნებს ახასიათებს როგორც Φοινικῆς ἔργματα „ფინიკიურ ასოებს“ ან Κεφαῖς ἔργματα „კადმურ ასოებს“, ფინიკიელი კადმეს მიხედვით, რომელსაც ანტიკური ტრადიცია მიაწერს საბერძნეთში (კერძოდ, ბეოტიაში) ფინიკიურ ასო-ნიშანთა შემოღებას.

მთელი ბერძნული წერითი სისტემისათვის უკვე ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან იხმარება გამოთქმა $\alpha \lambda \phi \alpha \chi \alpha \iota \beta \eta \cdot \alpha$ და $\tau \theta \alpha \lambda \phi \acute{\alpha} \beta \eta \tau \omicron \varsigma$, ან კიდევ δ . η $\alpha \lambda \phi \acute{\alpha} \beta \eta \tau \omicron \varsigma$.

არქაული ბერძნული ანბანური დამწერლობის ანუ „ალფაბეტის“ წარმოშობა ძველი ფინიკიური (*resp.* ძველი სემიტური) დამწერლობისაგან ამჟამად ყველაზე გავრცელებული და დასაბუთებული თვალსაზრისითა ბერძნული წერითი სისტემის წარმომავლობის შესახებ.

ბერძნული დამწერლობის ძველი ფინიკიურიდან (*resp.* ძველი სემიტურიდან) მომდინარეობას მოწმობს შემდეგი მონაცემები:

1. არქაული ბერძნული დამწერლობის ნიშნები გრაფიკულად ემთხვევა ძველი სემიტური წერის შესაბამის გრაფიკულ სიმბოლოებს;
2. ბერძნული სისტემის პარადიგმატიკა ანუ ნიშანთმიმდევრობა არსებითად იგივეა, რაც ძველ სემიტურ სისტემაში. ამასთანა დაკავშირებული ბერძნულ ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობები;
3. არქაული ბერძნული წერის მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ იგივეა, რაც სემიტურ სისტემაში (იხ. ტაბულა 11, გვ. 69; შტრ. *Jensen 1969:443*).

არქაული ბერძნულისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ე. წ. ბ უ ს ტ რ ო ფ ე დ ო ნ უ ლ ი წერა. ანუ წერის მიმართულების ცვლა ყოველ მომდევნო სტრიქონში. მხოლოდ შედარებით გვიან პერიოდში მკვიდრდება ბერძნულ წერაში კლასიკური ხანისათვის დამახასიათებელი წერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ, რაც შემდგომ ბერძნულიდან წარმომდგარ ყველა წერით სისტემაშია გატარებული.

4. ბერძნულ ასოთა სახელები წარმოადგენს სათანადო ძველი სემიტური ნიშნების სახელწოდებათა მოდიფიკაციას. ბერძნული ნიშანთ-სახელები მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება იმ სახელწოდებებისაგან, რომლებიც სათანადო ასოთა უძველეს სემიტურ სახელებადაა მიჩნეული:

ძველი სემიტური

ʾalph
bēth
gaml
delth
hē

ბერძნული

alpha (α λφα)
bēta (βητα)
gamma (γάμμα < *γαμβλα)
delta (δέλτα)
ē (εϊ)*

*) ამ ასოს გვიანბერძნულში ეწოდა ξ ψ λδ ψ „უფშეინვო e“, საპირისპიროდ η εα ასოსი).

სა-ფონეტიკური კლასიფიკაცია	ფონეტიკური მნიშვნელობა	ბერძნული ანბანური დამწერლობა																	
		კაპსული ბერძნული			კაპსულურ-ბერძნული			ლასკულურ-ბერძნული			კლასიკური ანბანი	კლასიკური ანბანი	საფონეტიკური მნიშვნელობა	საფონეტიკური მნიშვნელობა					
		ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ
1	Δ Δ	α	Α Α	Α Δ	Δ Δ	α	Δ Δ	Δ Δ	Δ Δ	Δ Δ	α	Δ Δ	Δ Δ	Δ Δ	α	1	Α	Β	Γ
2	Α Δ	β	Β Β	Β Δ	Δ Δ	β	Β Β	Β Δ	Δ Δ	Δ Δ	β	Β Β	Β Δ	Δ Δ	β	2	Β	Γ	Δ
3	Δ Δ	γ	Γ Γ	Γ Δ	Δ Δ	γ	Γ Γ	Γ Δ	Δ Δ	Δ Δ	γ	Γ Γ	Γ Δ	Δ Δ	γ	3	Γ	Δ	Ε
4	Δ Δ	δ	Δ Δ	Δ Δ	Δ Δ	δ	Δ Δ	Δ Δ	Δ Δ	Δ Δ	δ	Δ Δ	Δ Δ	Δ Δ	δ	4	Δ	Ε	Ζ
5	Ε Ε	ε	Ε Ε	Ε Ε	Ε Ε	ε	Ε Ε	Ε Ε	Ε Ε	Ε Ε	ε	Ε Ε	Ε Ε	Ε Ε	ε	5	Ε	Ζ	Η
6	Ϝ Ϝ	ϝ	Ϝ Ϝ	Ϝ Ϝ	Ϝ Ϝ	ϝ	Ϝ Ϝ	Ϝ Ϝ	Ϝ Ϝ	Ϝ Ϝ	ϝ	Ϝ Ϝ	Ϝ Ϝ	Ϝ Ϝ	ϝ	6	Ζ	Η	Θ
7	Ϟ Ϟ	ϟ	Ϟ Ϟ	Ϟ Ϟ	Ϟ Ϟ	ϟ	Ϟ Ϟ	Ϟ Ϟ	Ϟ Ϟ	Ϟ Ϟ	ϟ	Ϟ Ϟ	Ϟ Ϟ	Ϟ Ϟ	ϟ	7	Η	Θ	Ι
8	Ϡ Ϡ	ϡ	Ϡ Ϡ	Ϡ Ϡ	Ϡ Ϡ	ϡ	Ϡ Ϡ	Ϡ Ϡ	Ϡ Ϡ	Ϡ Ϡ	ϡ	Ϡ Ϡ	Ϡ Ϡ	Ϡ Ϡ	ϡ	8	Θ	Ι	Κ
9	Ϣ Ϣ	ϣ	Ϣ Ϣ	Ϣ Ϣ	Ϣ Ϣ	ϣ	Ϣ Ϣ	Ϣ Ϣ	Ϣ Ϣ	Ϣ Ϣ	ϣ	Ϣ Ϣ	Ϣ Ϣ	Ϣ Ϣ	ϣ	9	Ι	Κ	Λ
10	Ϥ Ϥ	ϥ	Ϥ Ϥ	Ϥ Ϥ	Ϥ Ϥ	ϥ	Ϥ Ϥ	Ϥ Ϥ	Ϥ Ϥ	Ϥ Ϥ	ϥ	Ϥ Ϥ	Ϥ Ϥ	Ϥ Ϥ	ϥ	10	Κ	Λ	Μ
20	Ϧ Ϧ	ϧ	Ϧ Ϧ	Ϧ Ϧ	Ϧ Ϧ	ϧ	Ϧ Ϧ	Ϧ Ϧ	Ϧ Ϧ	Ϧ Ϧ	ϧ	Ϧ Ϧ	Ϧ Ϧ	Ϧ Ϧ	ϧ	20	Λ	Μ	Ν
30	Ϩ Ϩ	ϩ	Ϩ Ϩ	Ϩ Ϩ	Ϩ Ϩ	ϩ	Ϩ Ϩ	Ϩ Ϩ	Ϩ Ϩ	Ϩ Ϩ	ϩ	Ϩ Ϩ	Ϩ Ϩ	Ϩ Ϩ	ϩ	30	Μ	Ν	Ξ
40	ϫ ϫ	Ϭ	ϫ ϫ	ϫ ϫ	ϫ ϫ	Ϭ	ϫ ϫ	ϫ ϫ	ϫ ϫ	ϫ ϫ	Ϭ	ϫ ϫ	ϫ ϫ	ϫ ϫ	Ϭ	40	Ν	Ξ	Ο
50	ϭ ϭ	Ϯ	ϭ ϭ	ϭ ϭ	ϭ ϭ	Ϯ	ϭ ϭ	ϭ ϭ	ϭ ϭ	ϭ ϭ	Ϯ	ϭ ϭ	ϭ ϭ	ϭ ϭ	Ϯ	50	Ξ	Ο	Π
60	ϯ ϯ	ϰ	ϯ ϯ	ϯ ϯ	ϯ ϯ	ϰ	ϯ ϯ	ϯ ϯ	ϯ ϯ	ϯ ϯ	ϰ	ϯ ϯ	ϯ ϯ	ϯ ϯ	ϰ	60	Ο	Π	Ϙ
70	ϱ ϱ	ϱ	ϱ ϱ	ϱ ϱ	ϱ ϱ	ϱ	ϱ ϱ	ϱ ϱ	ϱ ϱ	ϱ ϱ	ϱ	ϱ ϱ	ϱ ϱ	ϱ ϱ	ϱ	70	Π	Ϙ	ϙ
80	ϲ ϲ	ϲ	ϲ ϲ	ϲ ϲ	ϲ ϲ	ϲ	ϲ ϲ	ϲ ϲ	ϲ ϲ	ϲ ϲ	ϲ	ϲ ϲ	ϲ ϲ	ϲ ϲ	ϲ	80	Ϙ	ϙ	Ϛ
90	ϳ ϳ	ϳ	ϳ ϳ	ϳ ϳ	ϳ ϳ	ϳ	ϳ ϳ	ϳ ϳ	ϳ ϳ	ϳ ϳ	ϳ	ϳ ϳ	ϳ ϳ	ϳ ϳ	ϳ	90	ϙ	Ϛ	ϛ
100	ϴ ϴ	ϴ	ϴ ϴ	ϴ ϴ	ϴ ϴ	ϴ	ϴ ϴ	ϴ ϴ	ϴ ϴ	ϴ ϴ	ϴ	ϴ ϴ	ϴ ϴ	ϴ ϴ	ϴ	100	Ϛ	ϛ	Ϝ
200	ϵ ϵ	ϵ	ϵ ϵ	ϵ ϵ	ϵ ϵ	ϵ	ϵ ϵ	ϵ ϵ	ϵ ϵ	ϵ ϵ	ϵ	ϵ ϵ	ϵ ϵ	ϵ ϵ	ϵ	200	ϛ	Ϝ	ϝ
300	϶ ϶	϶	϶ ϶	϶ ϶	϶ ϶	϶	϶ ϶	϶ ϶	϶ ϶	϶ ϶	϶	϶ ϶	϶ ϶	϶ ϶	϶	300	Ϝ	ϝ	Ϟ
400	Ϸ Ϸ	Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ Ϸ	Ϸ	400	ϝ	Ϟ	ϟ
500	ϸ ϸ	ϸ	ϸ ϸ	ϸ ϸ	ϸ ϸ	ϸ	ϸ ϸ	ϸ ϸ	ϸ ϸ	ϸ ϸ	ϸ	ϸ ϸ	ϸ ϸ	ϸ ϸ	ϸ	500	Ϟ	ϟ	Ϡ
600	Ϲ Ϲ	Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ Ϲ	Ϲ	600	ϟ	Ϡ	ϡ
700	Ϻ Ϻ	Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ Ϻ	Ϻ	700	Ϡ	ϡ	Ϣ
800	ϻ ϻ	ϻ	ϻ ϻ	ϻ ϻ	ϻ ϻ	ϻ	ϻ ϻ	ϻ ϻ	ϻ ϻ	ϻ ϻ	ϻ	ϻ ϻ	ϻ ϻ	ϻ ϻ	ϻ	800	ϡ	Ϣ	ϣ

<i>wau</i>	<i>vau</i> (Ἔαυ)
<i>zajin</i>	<i>zēla</i> (Ζῆα)*
<i>hēth</i>	<i>hēta, ēta</i> (ἦτα ἦτα)
<i>ḥēth</i>	<i>thēta</i> (Θῆτα)
<i>jōd</i>	<i>iōta</i> (Ἰωτα)
<i>khaph</i>	<i>kappa</i> (Κάππα)
<i>lamd</i>	<i>lamba</i> <i>lambda</i> (λᾰβᾰ λᾰμβᾰ)
<i>mēm</i>	<i>mō, mū</i> (μῶ, μῦ)
<i>nūn</i>	<i>nū</i> (νῦ)
<i>semkh</i>	<i>sigma</i> (σίγμα)
<i>phē</i>	<i>phē, pi</i> (πεῖ, πῖ)
<i>qōph</i>	<i>qoppa</i> (κόππα)
<i>rōš</i>	<i>rhō</i> (ῥῶ)
<i>šin</i>	<i>san</i> (σίγ)
<i>thau</i>	<i>tau</i> (ταῦ)

ბერძნულ სახელწოდებებში წარმოდგენილი დანართი ბოლოკიდული -*a* ხმოვანი შესაბამის სემიტურ სახელებთან შედარებით წარმოადგენს საკუთრივ ბერძნულ ინოვაციას. წარმოქმნილს ევფონურ ნიადაგზე ბერძნულისათვის უჩვეულო თანხმოვნით დამთავრებულ სახელთა გარდაქმნის შედეგად (*Nöldeke 1904:134 — 135; Schwyzer 1931: 177—184*).

2. ხმოვან ბგერათა გამომხატველი ნიშნები ბერძნულში

ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებრივი სიახლე სემიტურ წერით სისტემასთან შედარებით, რამაც არქაულ ბერძნულ დამწერლობაში იჩინა თავი, მდგომარეობს ხმოვანთათვის სპეციალური ნიშნების შექმნაში, რომლებიც საკუთრივ თანხმოვნების გამომხატველ ნიშნებთან ერთად მთლიან სისტემას ქმნიან.

ბერძნულ *a, e, i, o, u* ხმოვანთა აღსანიშნავად გამოყენებულია შესაბამისად სემიტური დამწერლობის *ʾ* (*ʾāleph*), *h* (*hē*), *j* (*jōd*), *ʿ* (*ʿajin*)

**zēla*, მომდევნო *hēta* სახელის ანალოგიური გავლენით. თუმცა სემ. *zajin* სახელწოდების გვერდით *zaiih* ფორმაც იეარაულება.




და *ა* (*ᾱ*) კონსონანტური ნიშნები, რითაც ბერძნული დამწერლობა ძველ სემიტურთან შედარებით თვისებრივად განსხვავებულ „ანბანურ“ წერით სისტემად იქცა.

კონსონანტური ნიშნების ვოკალური ფუნქციით ხმარების შემთხვევები ბერძნული ანბანის შემქმნელისათვის უკვე სემიტურიდან უნდა ყოფილიყო ცნობილი (განსაკუთრებით *j* და *ა* თანხმოვანთა გამოხატველი *jōd* და *ᾱā* ნიშნების შემთხვევაში, რომლებიც სემიტურში სპორადულად *i* და *u* ხმოვნებსაც აღნიშნავდნენ).

ʾĀleph, *hē* და *ʾajin* ნიშანთა გამოყენება შესაბამისად *a*, *e* და *o* ხმოვანთა გამოსახატავად ბერძნულში შესაძლებელია ნაკარნახევი ყოფილიყო ამ სემიტურ ნიშანთა სახელების ხმოვნითი ელემენტების გამო (*ʾajin* სახელში საწყისი ხმოვანი თავკიდურა ფარინგალი *ʾ* თანხმოვნის გავლენით, შესაძლებელია, *o*-ტემბრის ხმოვნად გამოითქმოდა). არ არის აგრეთვე გამორიცხელი შესაძლებლობა, რომ ძველ სემიტურ სისტემაში ამ თანხმოვანთანიშნების გამოყენება როგორც *matres lectionis* ერთგვარი ნიმუში გამხდარიყო ბერძნულისათვის ნიშანთა ვოკალური ფუნქციით ხმარებისა.

ამგვარად, არქაული ბერძნული ხმოვანთსისტემისათვის დამახასიათებელი *a*, *e*, *i*, *o*, *u* ხმოვნები გამოიხატა შესაბამისად *ʾāleph*, *hē*, *jōd*, *ʾajin* და *ᾱā* ნიშნებით. ეგვე ნიშნები გამოიყენებოდა არქაულ ბერძნულ დამწერლობაში შესატყვისი გრძელი *ā*, *ē*, *ī*, *ō*, *ū* კორელატების აღსანიშნავად. ბერძნულისათვის დამახასიათებელი ფონემური დაპირისპირება მოკლე და შესაბამის გრძელ ხმოვნებს შორის არ იყო არქაულ ბერძნულ წერით სისტემაში გრაფიკულად გამოხატული.

მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება სისტემაში სპეციალური ნიშნები გრძელი ხმოვნების, კერძოდ, გრძელი *ē* და გრძელი *ō* ხმოვნის გამოსახატავად. გრძელი *ē* ხმოვნის აღსანიშნავად გამოიყენეს *H* (*hēta*, სემ. *hēth*) ნიშანი, რომელიც */h/* ფონემის არმქონე ბერძნულ დიალექტებში (მაგალითად, იონიურში) *ēta*’დ გამოითქმოდა და იგი შესაბამისად *ē* ხმოვნის გამომხატველი გრაფიკული სიმბოლო გახდა*.

*) თავდაპირველად, არქაულ ბერძნულ სისტემაში, სემიტური *hēth* ნიშნისაგან მომდინარე ბერძნული  ნიშანი (*hēta*) *h* ბგერას (ფშეინვას) გამოხატავდა (*spiritus asper*). მაგრამ უკვე მეტად ადრე ზოგ ბერძნულ დიალექტში (ლესბოსი, იონიური მცირე აზია) იწყება ფშეინვის დაკარგვა, ე. წ. *ψίλιος*, და „გამოთავისუფლებული“  ნიშანი (*hēta*) ახალ ფუნქციას იძენს: იგი სპეციფიკური ტპის გრძელი ხმოვანი ბგერის აღმნიშვნელი ხდება. კერძოდ, იონიურ დიალექტში ასეთთ 

ამასთანავე აღმოსავლურ ბერძნულ დამწერლობაში *o*-ხმოვნის აღმნიშვნელი სიმბოლოს გრაფიკული მოდიფიკაციით იქმნება სპეციალური ნიშანი Ω ან Θ სიმბოლოს სახით, რითაც გამოიხატება მოკლე *o*-ხმოვნის გრძელი *ō*-ხმოვნისადმი დაპირისპირება. მოკლე *o*-ხმოვნის აღმნიშვნელი სიმბოლო სისტემაში იძენს β $\mu\alpha\rho\sigma\upsilon$ „მცირე *o*“ სახელწოდებას, საპირისპიროდ გრძელი *ō*-ხმოვნის გამომხატველი ნიშნისა ω $\mu\epsilon\gamma\omega$ „დიდი *o*“. ამგვარი გრძელი *ō*-ხმოვნის აღმნიშვნელი სიმბოლო სისტემის ბოლოს არის მოთავსებული როგორც ბერძნული ნიშანთრიგის ბოლო ელემენტი, რაც ამ ნიშნის შედარებით გვიანდელ წარმომავლობას მოწმობს.

მხოლოდ გრძელი *ē*- და *ō*-ხმოვნებისათვის იქმნება ბერძნულ დამწერლობაში სპეციალური ნიშნები, საპირისპიროდ სათანადო მოკლე ხმოვნების გამომხატველი ნიშნებისა. მოკლე და გრძელი $\bar{a} - \bar{ā}$, $\bar{i} - \bar{ī}$ და $\bar{u} - \bar{ū}$ ხმოვნების ფონემური დაპირისპირება გრაფიკულად არ გამოიხატება; ამ ვოკალური წყვილებისათვის ბერძნულ დამწერლობაში არ შექმნილა სპეციალური გრაფიკული სიმბოლოები.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით ბერძნული *i* და *u* ხმოვანთა გამომხატველი ნიშნები, რომლებიც ძველი სემიტური კონსონანტური $\dot{j}od$ და $wāw$ ნიშნებისაგან მომდინარეობენ, სადაც ისინი კონსონანტურ (უმარცვლო) *j* და *w* ელემენტებს აღნიშნავენ, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაბამის ვოკალურ (მარცვლოვან) ელემენტებსაც გამოხატავენ (*matres lectionis* ფუნქციით ხმარებისას, იხ. ზემოთ, გვ. 65 და შმღ.).

ამგვარად, არქაულ ბერძნულ სისტემაში *i* და *j*, *u* და *w* ბგერითი ელემენტები გამოიხატება ერთი და იმავე $\dot{\iota}$ $\dot{\omega}$ და Υ $\dot{\upsilon}$ $\dot{\psi}$ ნიშნებით, რაშიც მათი გრაფიკულად ბიფუნქციონალური ბუნება ვლინდება.

ნიშნით გამოიხატება გრძელი * \bar{a} ხმოვნისაგან მომდინარე პალატალური $\bar{ā}$ ხმოვანი, საპირისპიროდ თავდაპირველ გრძელი \bar{a} ხმოვნისა, რომელსაც, ისევე როგორც მოკლე \bar{a} ხმოვანს, *E* ნიშანი გამოხატავს, მაგ., *MHTEP* (ე. ი. *mātēr*, შდრ. ლორ. $\mu\acute{\alpha}\tau\eta\rho$ „დედა“). თანდათან *H* ნიშანი იონიურში არა მხოლოდ გრძელი * \bar{a} ხმოვნისაგან მომდინარე $\bar{ā}$ ხმოვნის, არამედ გრძელი \bar{a} ხმოვნის გამომხატველიც ხდება, რითაც არსებითად ჩამოყალიბდა გრაფიკული დაპირისპირება (ნებისმიერი წარმომავლობის) გრძელ \bar{a} და მოკლე \bar{a} ხმოვნებს შორის შესაბამისად *H* და *E* სიმბოლოთა საშუალებით (შდრ. *Schwyzler* 1939:145—146).

თვით ეს გრძელი \bar{a} ზოგ ბერძნულ დიალექტში (მათ შორის იონიურ-ატოკურში) ვიწროდ გამოითქმოდა, რაც გამოიხატა ამ ხმოვნის $\epsilon\epsilon$ დაწერილობაში η 'ს ნაცვლად. გრძელი \bar{a} ხმოვნის ამგვარ ვიწრო, „დიფთონგურ“ გამოთქმას მოწმობს აგრეთვე η ხმოვნის ვიწრო [*i*] ხმოვნად გამოთქმა ელინისტური პერიოდის დამოკლებული (შდრ. *Schwyzler* 1939:185—186).

ეს იმით აიხსნება, რომ არქაულ ბერძნულში *i* და *j*, *u* და *w* შესაბამისად ერთი და იმავე */i/* და */u/* სონანტური ფონემების ორ პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენდა, რომლებიც ვლინდებოდა ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა პარადიგმატულ ფორმებში. *-ej-*, *-ew-*; *-oj-*, *-ow-* დიფთონგები ნულოვან საფეხურზე *-i-* და *-u-* ხმოვნებით (სილაბური ელემენტებით) არის წარმოდგენილი, რაშიც ვლინდება სონანტურ *i/j*, *u/w* ფონემათა ალოფონური მონაცვლეობა (შდრ. *Meillet 1913:25* და შმდ.; *Schwyzzer 1939:346* და შმდ.).*

/w/ ფონემის მესამე ვარიანტს არქაულ ბერძნულში წარმოადგენს კბილბაგისმიერი *[s]* ელემენტი, რომელიც ვლინდებოდა პოზიციაში ხმოვნებს შორის: *V—V*; ანლაუტში ხმოვნის წინ: *#—V* (აგრეთვე პოზიციაში თანხმოვანსა და ხმოვანს შორის), შდრ. *Morpurgo Davies 1970:80* და შმდ.

სწორედ ეს *[s]* ბგერა არქაული ბერძნულისა (რომელიც ფუნქციურად სონანტური */w/* ფონემის ერთ-ერთ პოზიციურ ვარიანტს წარ-

* არქაული ბერძნული *ei*, *oi*, *ui* და *ou* დიფთონგები უკვე საკმაოდ ადრეულ პერიოდში მონოფთონგიზაციას განიცდიან და მარტივი ხმოვნების სახით წარმოვიდგებინან.

ei და *ou* დიფთონგები გვაძლევენ შესაბამისად ეიწორ გრძელ *ē* და *ō* ხმოვნებს, რომლებიც შემდგომ *i* და *u* ხმოვნებში გადადის.

ანალოგიურ გარდაქმნას განიცდიან *ai* და *oi* დიფთონგები, რომლებიც შესაბამისად *e* და *u* ხმოვნებს გვაძლევენ (შდრ. *Hirt 1902:65*; *Meillet 1913:32—33*; *Schwyzzer 1939:191* და შმდ.).

ამათგან განსხვავებით, უფრო სტაბილური აღმოჩნდა *-au-* და *-eu-* დიფთონგები, რომელთა შეინარჩუნეს მეორე კომპონენტი—უმარცვლო *-u-* ელემენტი (შდრ. ამ დიფთონგების ახალ ბერძნულში წარმოდგენა *-af-*, *-au-*; *-ef-*, *-eu-* მიძღვევრებათა სახით, *Schwyzzer 1939:197*).

ძველ ბერძნულ დიალექტებში მომხდარ ამ ფონეტიკურ გარდაქმნათა შედეგად არქაული *Ei*, *Oi*, *AI* და *OY* დაწერილობა აღარ ასახავს შესაბამის ბგერათა დიფთონგურ გამოთქმას. ამათგან ყველაზე ადრე *-ou-* დიფთონგი განიცდის ცალკეულ დიალექტებში მონოფთონგიზაციას და *u* ხმოვანში გადასვლას, რის შედეგადაც *OY* ნიშანთკომბინაცია (ლიგრაფი, ე. ი. *ὄ* *μειράου* *π* *ψι* *λ* *δ* *ρ*) უკვე ყოველივე *u* ხმოვნის (და არა მხოლოდ *-ou-* დიფთონგისაგან ეტიმოლოგიურად მომდინარე ხმოვნის) გრაფიკული გამოხატველი ხდება. ამასთანავე თავდაპირველი *u* ხმოვანი, *Y* ნიშნით გამოხატული, ზოგ ბერძნულ დიალექტში (იონიურ-ატკურში) პალატალურ *u* ხმოვანში გადადის (შესაძლებელია, *ui* > *ui* საფეხურის გავლით), *Schwyzzer 1939:181* და შმდ.

ამგვარად, *Y* ნიშანი (π *ψι* *λ* *δ* *ρ*) ბერძნულ წერით სისტემაში პოლიფუნქციურ გრაფიკულ ელემენტად გვევლინება: იგი გამოხატავს *u* ხმოვანს, აგრეთვე უმარცვლო *u* ბგერას (*A* და *E* ნიშნებთან კომბინაციაში *-au-* და *-eu-* დიფთონგების აღსანიშნავად) და *u* ხმოვანს (*O* ნიშანთან კომბინაციაში: *OY*).

მოადგენდა) გამოიხატა ბერძნულ წერით სისტემაში სემიტური Υ *šāw* ნიშნისაგან მომდინარე FF digamma ნიშნით (ბერძნ. $\text{F}\alpha\omega$), რომელიც ანბანთრიგში იმავე მე-6 ადგილს იკავებს და რომელიც ერთგვარ გრაფიკულ მოდიფიკაციას წარმოადგენს ძველი სემიტური პროტოტიპისას. ძველი სემიტური *šāw* ნიშნის მოხაზულობას უფრო უახლოვდება ამავე სემიტური პროტოტიპისაგან მომდინარე *u/w* ბგერათა აღმნიშვნელი ბერძნული Υ სიმბოლო, რომელიც ბერძნულ ნიშანთრიგში უშუალოდ სემიტურიდან მომდინარე გრაფემების მომდევნოდ მოთავსდა (ბერძნ. Υ ψ , ι ρ *).

მთელ რიგ ბერძნულ დიალექტებში [w] ბგერა ძალიან ადრე იკარგება როგორც დამოუკიდებელი ბგერითი ერთეული (იონიურ-ატტიკურში ჯერ კიდევ წერილობით ფიქსაციამდე, ე. ი. ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე); სხვა დიალექტებში იგი წარმოდგენილია სეგმენტური ბგერის სახით და გამოიხატება წერილობით F , აგრეთვე C ნიშნით (კრეტაზე თვით ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეშიც) : შდრ. ისეთი დაწერილობანი, როგორც $\text{F}\alpha\nu\zeta\eta$, $\text{F}\acute{\epsilon}\tau\epsilon\alpha$, $\text{F}\epsilon\xi$, $\pi\iota\lambda\upsilon\sigma\upsilon\text{F}\alpha\zeta$ და სხვ. (სხვადასხვა დიალექტზე შესრულებულ ბერძნულ წარწერებში იგი უხვადაა წარმოდგენილი F digamma ნიშნის სახით). მაგრამ დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან მოყოლებული იწყება ამ ბგერის დაკარგვა ბერძნულ დიალექტებში (ჯერ სიტყვის შუა პოზიციაში, შემდგომ — სიტყვის თავში), *Thumb 1899*. ამის შესაბამისად F digamma ნიშანი ბერძნულ ანბანში კარგავს *w* ბგერის გამოხატვის ფუნქციას, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებს სათანადო ადგილს ბერძნულ ანბანთრიგში და იხმარება რიცხვითი მნიშვნელობით „6“.

მოუხედავად ანბანში ნიშნის მიერ ფონეტიკური მნიშვნელობის დაკარგვასა, იგი შენარჩუნებულ იქნა ანბანთრიგში როგორც მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის გამოხატველი სიმბოლო, რათა ნიშნის ამოღებით ანბანთრიგიდან არ დარღვეულიყო სისტემაში მიღებული ძველი რიცხვითი მნიშვნელობები (ამის შესახებ დაწვრილებით — ქვემოთ).

* Υ კუნძულ კრეტაზე მოპოვებულ ბერძნულ მონეტებზე წარმოდგენილი F digamma

ნიშნის V და T მოხაზულობა ერთგვარ გარდამავალ ფორმებად შეიძლება ჩაითვალოს სემიტურ Y მოხაზულობასა და ბერძნულ FF მოხაზულობას შორის (შდრ.

ამ ასოს თავდაპირველი ბერძნული სახელწოდება, შესაბამისად მისი სემიტური პროტოტიპისა, იყო *Φάνα*. *Γ γάμμα* ნიშანთან მისი მსგავსების საფუძველზე ძველმა გრამატიკოსებმა მას *δίζαμμα*, ე. ი. „ორმაგი *γάμμα*“ უწოდეს (*Taylor 1899: 11, 84*). აგრეთვე *ϑ θήλας* ან *θίζαμμα* „ეოლიური დიგამმა“ (*Thumb 1899: 316*).

გვიანდელ კლასიკურ სისტემაში ანბანთრიგის ამავე ადგილას წარმოდგენილ *ϛ* ნიშანს. რომელსაც კურსიეული *Ϛ* ფორმა აქვს და რიცხვითი მნიშვნელობით „6“ იხმარება, უკვე *σείγμα* ან *σϛς* ეწოდება.

3. კრძალული ბერძნულის თანხმომვანთა სისტემა და ხშულ თანხმომვანთა გრაფიკული გამოხატვა

ხმომხმობთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი იყო ბერძნულში თანხმომვანთა სისტემა. ხშულ თანხმომვანთაგან ბერძნული განარჩევდა სამეულებს, რომლებშიც ფონემური დაპირისპირებანი გამოიხატებოდა მჟღერობა ~ სიყრუისა და ასპირაციის ნიშნის მიხედვით (*Meillet 1913: 24; Schwyzler 1939: 204* და შმდ.; *Allen 1987: 18* და შმდ.):

	მჟღერი	ყრუ	ფშვინვიერი
ლაბიალი:	<i>b</i>	<i>p</i>	<i>ph</i>
დენტალი:	<i>d</i>	<i>t</i>	<i>th</i>
ველარი:	<i>g</i>	<i>k</i>	<i>kh</i>

ბერძნული მჟღერი ხშულები გამოიხატა გრაფიკულად სათანადო სემიტური ნიშნებით მჟღერი *b d g* თანხმომვანთათვის.

ბერძნულ ხშულ თანხმომვანთა სათანადო სემიტური გრაფიკული პროტოტიპებით გადმოცემის თვალსაზრისით საგულისხმოა ის, რომ ბერძნულ ყრუ (არაფშვინვიერ) *p t k* თანხმომვანთა გამოსახატავად გამოყენებულა სემიტური ფშვინვიერი *ph th kh* თანხმომვანთა აღმნიშვნელი *phē, thāw* და *khaph* ნიშნები (ბერძნ. *π, τ* და *κ*), მაშინ როდესაც სემიტური ემფატიკური (არაფშვინვიერი) *ʔ* ფონემის გამომხატველი *ʔh* ნიშანი გამოყენებულ იქნა

ბერძნული სისტემის ფ შვინციერი *ih* ფონემის გადმოსაცემად (ბერძნ. *θηα*)*.

დანარჩენი ყრუ ფშვინციერი ფონემები ბერძნულში (ე. ი. *ph* და *kh*) გადმოიცა არქაულ ბერძნულ დამწერლობაში *p+h*, *k+h* ან *q+h* ნიშანთა შეერთებით, ე. ი. **ΓΘ ΚΘ ΨΘ**. ამაში ვლინდება არქაული ბერძნული ანბანის შემქმნელთა ფაქიზი ლინგვისტური ალლო: ისინი ერთიან ფშვინციერ *ph* და *kh* ბგერებს (ფონემებს) შემადგენელ *p+h*, *k+h* ელემენტებად შლიან**.

უფრო გვიან ამ ფონემათა გამოსახატავად სპეციალური გრაფიკული სიმბოლოები იქნა შემოღებული. აღმოსავლურ ბერძნულ დამწერლობებში ამგვარ ყრუ ფშვინციერ *ph* და *kh* ფონემათა გამოსახატავად იქმნება დამატებით სპეციალური **Φ** და **Χ** სიმბოლოები სხვადასხვა გრაფიკული ვარიანტებით. ეს ნიშნები, ე. წ. „დამატებითი ნიშნები“, სპეციფიკური ბერძნული გრაფიკული სიმბოლოებია, რომელთაც არ გააჩნიათ პროტოტიპი ძველ სემიტურ წერაში (იხ. ქვემოთ).

სემიტური ემფატიკური *q* ფონემის გამომხატველი **ϕ** *qōph* ნიშანი გამოიყენება არქაულ ბერძნულში იმავე ყრუ (არაფშვინციერი) ხშული *k* ფონემის გადმოსაცემად (ე. წ. **ϕ** *κῶπια*), რომელიც სემიტური *khaph* ნიშნიდან მომდინარე **Κ** *κῶπια* სიმბოლოთი გადმოიცემა, იმ განსხვავებით, რომ **Κ** (*κῶπια*) აღნიშნავს /k/ ფონემას *α*, *ε*, *ι* ხმოვნების წინ,

*) ამგვარი შეფარდების შესაბამისად გადმოიცემა ბერძნულში სემიტურ ასო-ნიშანთა სახელწოდებებიც: სემიტური ემფატიკური *f* გადმოცემულია ფშვინციერი *θ* ფონემით, ხოლო სემიტური ფშვინციერი *ph* *ih* *kh* თანხმოვნები — შესაბამისი არაფშვინციერი ხშულებით:

ს ე მ ი ტ უ რ ა ი

bēth

dāleth

hēth

lēth

phē

ihāw

ბ ე რ ძ ნ უ ლ ი

βήτα

δέλτα

ήτα

ιήτα

πεί, ρί

ωάθ

***) ამათი ანალოგიით ფშვინციერი *ih* ფონემის გადმოსაცემად **Θ** *θηα* ნიშანთან ერთად გვხვდება აგრეთვე **⊕** **⊖** *ih+h* პლეონასტური დაწერილობაც, გრაფიკულად კარბი *h*- ნიშნით.

ხოლო **Ϙ** (ἀόπια)—/k/ ფონემას *α*, *υ* ხმოვანთა წინამავალ პოზიციაში (მდრ. *Larfeld 1914:230—231*). როგორც ჩანს, ყრუ ველარი /k/ ფონემა არქაულ ბერძნულში ორი პოზიციური ვარიანტის სახით იყო წარმოდგენილი. რაც აისახა არქაულ ბერძნულ წერით სისტემებში /k/ ფონემის ვადმოსაცემად ორი სემიტური სიმბოლოს—*khaph* და *qoph* ნიშანთა—გამოყენებაში.

ეს დაპირისპირება იშლება უფრო გვიან პერიოდში და /k/ ფონემის საერთო გამომხატველ ნიშნად მხოლოდ **Κ** *καπα* გვევლინება. **Ϙ**

ἀόπια ნიშანი გვიანდელ ბერძნულ წერით სისტემაში კარგავს თავის ფონეტიკურ ფუნქციას და შენარჩუნებულია სათანადო ადგილას ბერძნულ ანბანში მხოლოდ როგორც „10“ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი სიმბოლო **Ϙ** (მდრ. ანალოგიური ვითარება ბერძნულ ანბანში

ძველი *F digamma* ნიშნის შემთხვევაში, რომელიც, ფონეტიკურ მნიშვნელობას მოკლებული, განაგრძობს არსებობას გვიანდელ ბერძნულში

Ϛ ფორმით — *σϚ:Ϙα* — როგორც „6“ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი სიმბოლო, იხ. ზემოთ, გვ. 75).

რით უნდა აიხსნებოდეს არქაულ ბერძნულ დამწერლობაში ბერძნულ ყრუ (არაფშვინვიერი) ხშულ *p l k* ფონემათა ვადმოსაცემად სემიტურ ფშვინვიერი *ph th kh* თანხმოვანთა გამომხატველი ნიშნების გამოყენება, მაშინ როდესაც სემიტური ემფატიკური (არაფშვინვიერი) *ʔ* ფონემის გამომხატველი სემიტური *ʔlth* ნიშანი გამოყენებულ იქნა ბერძნული ფშვინვიერი *th* ფონემის ვადმოსაცემად (ბერძნ. **Θ** *θη*)? ამასთანავე, დანარჩენი ბერძნული ფშვინვიერი ფონემებისათვის (ე. ი. *ɸ* და *kh* ფონემათათვის) *p+l, k+l* ნიშანთკომბინაცია იქნა თავდაპირველად გამოყენებული, სანამ მოგვიანებით მათთვის სპეციალური ნიშნები შეიქმნებოდა; რა უღვევს საფუძვლად სემიტურ-ბერძნულ წერილობით ნიშანთა ამგვარ ფონეტიკურ შეუსაბამობას?

ცნობილია, რომ ისტორიულ პერიოდში სემიტურიდან ბერძნულში შემოსულ სიტყვებში ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნები გაღმოიკემა, როგორც წესი, სათანადო ფშვინვიერებით, ხოლო სემიტური ემფატიკური თანხმოვნები — სათანადო ბერძნული ყრუ (არაფშვინვიერი) თანხმოვნებით. ასეთივე შეფარდება არსებობს სახელთა და სიტყვათა სესხების პირუკუ მიმართულებიდან — ბერძნულიდან სე-

მიტურში (მაგალითები იხ. ზემოთ, გვ. 34; შდრ. აგრეთვე *Nöldeke 1904:133*).

ეს ფონეტიკური შეფარდება მთლიანად დარღვეულია ბერძნულ დამწერლობაში სათანადო ძველ სემიტურ სისტემასთან შედარებით (და შესაბამისად სემიტურიდან გადმოღებულ ასო-ნიშანთა სახელწოდებებში): აქ თითქოს შებრუნებული შესაბამისობა გვაქვს.

ეს ფონეტიკური შეუსაბამობა სემიტურ და ბერძნულ გრაფიკას შორის შესაძლებელია აიხსნებოდეს ფონოლოგიური თვალსაზრისით. სემიტურ ემფატიკურ თანხმოვანთა ფარინგალიზაციის ფონოლოგიური ნიშანი გაიგივებულია ბერძნულ ხშულთა სისტემისათვის ფონოლოგიურად დამახასიათებელი ასპირაციის ნიშანთან*, მაშინ როდესაც სემიტურ თანხმოვანთა ფონოლოგიურად ირელეკანტური, ქარბი ასპირაცია უგულვებელყოფილია და სემიტური ყრუ (ფშვინვიერი) თანხმოვნები გატოლებულია ბერძნულ ყრუ (არა-ფშვინვიერი) თანხმოვნებთან.

4. სიბილანტური სპირანტების გამომხატველი ნიშნები სემიტურსა და ბერძნულში

განსაკუთრებული ცვლილებები განიცადა ბერძნულში ძველი სემიტური z , s , ζ და ξ (ξ) სიბილანტური სპირანტების გამომხატველმა ნიშნებმა. სემიტურისაგან განსხვავებით, ბერძნულში გამოსახატავი იყო გრაფიკულად მხოლოდ ორი სიბილანტური ფონემა: მელერი z (ან რთული შედგენილობის zd ბგერა) და ყრუ სისინა სპირანტი s .

სემიტურ შიშინა ξ და ემფატიკურ ζ სპირანტებს არ მოეპოვებათ ფონემური შესატყვისები ბერძნულში, და ამდენად ოთხი სიბილანტური სპირანტის აღმნიშვნელი სემიტური სიმბოლოდან ბერძნული ანბანის

* საგულისხმოა, რომ ბერძნული ფშვინვიერი თანხმოვნები ph და kh არქაულ გრაფიკაში გადმოიცემა შესაბამისად $p+h$ და $k+h$ ნიშანთკომბინაციით, რაშიც ვლინდება ბერძნული ანბანის შექმნელთა ფონოლოგიური ალღო (იხ. ზემოთ, გვ. 76). მათ შეგნებული აქვთ, რომ ph და kh ფშვინვიერი თანხმოვნები განსხვავდება შესაბამისად p და k თანხმოვნებისაგან დამატებითი ფშვინვით, რაც გრაფიკულად p და k თანხმოვნებისათვის მიწერილი h ნიშნით გამოიხატა. ყოველივე ეს ბერძნულ ბგერათა უკვე საკმაოდ მაღალი დონის ფუნქციონალურ ანალიზს გულისხმობს არქაული ბერძნული ანბანის შექმნელთა მხრით.

შექმნისას უნდა გამოეყენებინათ მხოლოდ ორი სიმბოლო სათანადო ბერძნული სიბილანტური სპირანტების გამოსახატავად.

ამათგან სემიტური I z ნიშანი (*zajin*) გამოყენებულია ბერძნული *zd* (*z*) ბგერის აღსანიშნავად (ბერძნ. Ζ, ζ, ςα)*, ხოლო ბერძნული სისინა *s* ფონემის გამოსახატავად აღებულია არა სემიტური *s*-ნიშანი, სემ. 𐤑 *sāmekh* (რაც საესებით ბუნებრივი იქნებოდა სემიტური [s] ბგერისა — *sāmekh* — და ბერძნული სისინა *s*-სპირანტის ფონეტიკური შესაბამისობის გამო), არამედ სემიტური ში შინა (ან სისინ - ში შინა) 𐤓-ნიშანი (სემ. 𐤓 *šin*), რომელსაც ბერძნულში *sigma* (σ; ςα) ეწოდა და ζ, ς გრაფიკული ფორმით იქნა წარმოდგენილი.

ბერძნული სახელწოდება σ; ςα შესაძლებელია სემიტური *samkh* (*semkh*) სახელის გავლენით ყოფილიყო ნაწარმოები (ზღრ. *Nöldeke 1904:134*). თვით სემიტური *sāmekh* ნიშანი, რომელიც ანბანში ძველ ადგილას რჩება და „80“ რიცხვით მნიშვნელობას გამოხატავს, აღმოსავლურ-ბერძნულ დამწერლობაში [ks] თანხმოვანთკომპლექსის ფონეტიკურ მნიშვნელობას იძენს და *ksē* (ξ; ε), უფრო გვიან *ksi* (ξ; ι), ასოდ იწოდება (*Larfeld 1914: 217*).

[ks] ბგერათკომპლექსის აღსანიშნავად ბერძნულ წერით სისტემაში სპეციალური ნიშნის გამოყენება უნდა აიხსნებოდეს ამ კომპლექსის შედარებითი სიხშირით ბერძნულში (*Schwyzler 1939: 329*). ერთ-ერთი ფონეტიკური მნიშვნელობის მხრივ თავისუფალი გრაფიკული სიმბოლო, რომელიც მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობით იხმარებოდა, გამოყენებულ იქნა ზოგ ბერძნულ სისტემაში ხშირად ხმარებული სპეციალური თანხმოვანთკომპლექსის აღსანიშნავად. ყველაზე არქაულ ბერძნულ სისტემებში ამ სიმბოლოს, როგორც ჩანს, მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ფონეტიკური [ks] მნიშვნელობა *k+s* ან *kh+s* ნიშნებით გამოიხატება (ე. წ. „მწევანე ანბანი“ შესრულებულ უძველეს წარწერებში: თერა, მელიოსი, კრეტა).

ანალოგიური წარმომავლობისა უნდა იყოს ბერძნული წერითი სისტემის ერთ ჯგუფში გავრცელებული Ψ გრაფიკული სიმბოლო [ps]

* ბერძნული Ζ (ζ, ςα) გამოხატავდა თავდაპირველად რთული შედგენილობის *zd* ბგერას, რომელიც უკვე ძვ. წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის ბოლოსათვის ცოცხალ შეტყეველებაში მკვლერ *z* სპირანტად იცვლება (*Hirt 1902:69; Фасмер 1914: 10; Allen 1987:59*). საინტერესოა ამ მხრივ ბერძნული ζ ბგერის, აგრეთვე ξ [ks] და ψ [ps] ბგერათა დახასიათება დიონისე თრაკიელის მიერ. იგი მათ განსაზღვრავს როგორც „გაორმაგებულებს“ (διπλασι) და წარმოადგენს შესაბამისად როგორც σ+ς, ς+σ და π+σ (ამ ბგერათა შესახებ ბერძნულში იხ. აგრეთვე *Schwyzler 1939: 328—332; Teodorsson 1979*).

თანხმოვანთმიმდევრობის აღსანიშნავად. არქაულ ბერძნულ სისტემებში ეს თანხმოვანთკომპლექსი $\rho + s$ და $\phi + s$ ნიშანთა კომბინაციით გამოიხატებოდა. ბერძნული დამწერლობის ზოგ ჯგუფში [ps] კომპლექსის გამოსახატავად სპეციალური ნიშნის შექმნა, რომელსაც არ მოეძებნება პროტოტიპი სემიტურ სისტემაში, გამოწვეული იყო ბერძნულში [ps] კომპლექსის გავრცელებულობით (შდრ. *Schwyzler 1939: 328—324*). ახლად შექმნილი გრაფიკული სიმბოლო მოთავსდა ანბანთრიგში საკუთრივ ბერძნულ ნიადაგზე შექმნილი „დანართი“ $\Phi \rho h$ და $X kh$ ასოების მომდევნოდ, რიცხვითი მნიშვნელობით „700“.

არქაულ ბერძნულ სისტემაში s ფონემის გამოსახატავად გამოიყენებოდა თავდაპირველად სემიტურ šmđ ნიშნისაგან მომდინარე გრაფიკული სიმბოლო, რომელიც არქაულ ბერძნულ წარწერებში M ფორმით არის წარმოდგენილი (თერა, კრეტა, კორინთო, არგოსი, შდრ. *Jensen 1969: 451*). ამ ასოს დორიული სახელი $\sigma\acute{\nu}$ * შესაძლებელია სემიტურ šm სახელწოდებას უკავშირდებოდეს. უკვე არქაულ პერიოდში $\sigma\acute{\nu}$ -ნიშანი s ფონემის აღსანიშნავად გამოდის ხმარებიდან და სისინა s სპირანტის აღსანიშნავად ადგილს უთმობს სემიტური šm სიმბოლოსაგან მომდინარე $\Sigma \sigma\acute{\nu}$ ასოს. სემიტური šmđ -დან მომდინარე $\sigma\alpha\upsilon$ ასოს ადრეულ ამოვარდას ბერძნული წერიითი სისტემიდან მოწმობს ის, რომ იგი ვერ ინარჩუნებს ანბანთრიგში კუთვნილ თავდაპირველ ადგილს სათანადო რიცხვითი მნიშვნელობით (როგორც ეს, მაგალითად, $\delta\acute{\nu}$ და $\chi\acute{\alpha}\pi\alpha$ ასოების შემთხვევაში გვაქვს). ეს ნიშანი Σ სიმბოლოს სახით განაგრძობს მოგვიანებით არსებობას ბიზანტიურ ბერძნულში $\sigma\alpha\mu\acute{\nu}$ სახელწოდებით ($\langle \acute{\alpha}\nu \acute{\sigma}\nu \pi\acute{\iota}$ „როგორც $\rho\acute{\iota}$ “) და რიცხვითი მნიშვნელობით „900“ (შდრ. *Larfeld 1914: 225*).

5. ბერძნული ანბანის დამატებითი ნიშნები და მათი წარმოშობა

სემიტური $\Sigma \text{šmđ}$ ნიშანი ერთადერთი გრაფიკული სიმბოლოა ძველ სემიტურ ნიშნებს შორის, რომელიც არ არის წარმოდგენილი ბერძნულ წერიით სისტემაში სათანადო, სემიტური ნიშანთრიგის შესაბამის

* პეროდოტეს ცნობით: $\epsilon\acute{\iota}\theta\epsilon\acute{\varsigma} \nu\rho\acute{\alpha}\mu\acute{\iota}\alpha \tau\acute{\omicron} \Delta\alpha\upsilon\acute{\iota}\epsilon\varsigma \mu\acute{\epsilon}\nu \sigma\acute{\alpha}\nu \chi\alpha\lambda\acute{\epsilon}\sigma\upsilon\sigma\epsilon$, „ $\tau\omega\upsilon\epsilon\varsigma \delta\acute{\epsilon} \sigma\acute{\iota}\gamma\mu\alpha$ „ამ ნიშანს დორიელები $\sigma\alpha\mu\acute{\nu}$ უწოდებენ, ხოლო იონიელები — $\sigma\acute{\iota}\gamma\mu\alpha$ “.

ადგილას. ყველა დანარჩენი ნიშანი ძველი სემიტური წერითი სისტემისა წარმოდგენილია ბერძნული სისტემის პარადიგმატიკაში სემიტურის შესაბამის ადგილას სათანადოდ შეცვლილი, ბერძნული ენის ბგერითი სტრუქტურისადმი შეფარდებული ფონეტიკური მნიშვნელობებით. რამდენიმე შემთხვევაში სემიტურიდან მომდინარე ანბანთრიგში სათანადო ადგილებზე წარმოდგენილ გრაფიკულ სიმბოლოებს გვიან ბერძნულში ფონეტიკური მნიშვნელობა არა აქვთ და მხოლოდ ამ რიგით განსაზღვრულ რიცხვით მნიშვნელობებს გამოხატავენ (შღრ. $\Phi \delta\iota\gamma\alpha\mu\mu\alpha$ და

$\Psi \chi\acute{\alpha}\pi\alpha$).

ამდენად, ძველი სემიტური სისტემის პარადიგმატიკა შეიძლება მთლიანად „გადისახოს“ ბერძნულ პარადიგმატიკაზე ერთადერთი $\Psi \chi\acute{\alpha}\pi\delta$ სიმბოლოს გამოკლებით. ასეთ შემთხვევაში დაგვრჩება რამდენიმე „დანართი“ სიმბოლო ბერძნული ანბანისა, რომლებსაც სემიტური პროტოტიპები არ გააჩნია და რომლებიც საკუთრივ ბერძნულ ნიდაგზე შეიქმნა ბერძნულისათვის სპეციფიკური ბგერების (ფონემების) გამოსახატავად.

ამ „დანართი“ ასოების წარმომავლობაზე ბერძნულში მრავალი სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ერთნი ამ ასოებს თვლიან საკუთრივ ბერძნული ნიშნების გრაფიკული მოდიფიკაციით მიღებულად. ასე, მაგალითად, $\Phi \rho\eta$ მიჩნეულია $\oplus \eta$ ნიშნის გრაფიკულ ვარიანტად ან

$\Psi \rho$ ნიშნის მოდიფიკაციად, რომელსაც ახალი ფონეტიკური მნიშვნელობა მიეწერა, ან კიდევ $\Pi \rho$ ნიშნის გრაფიკული გარდაქმნის შედეგად; $X \kappa\eta$ ნიშანი მიაჩნიათ $K \kappa$ სიმბოლოდან დიფერენცირებულ ნიშნად, ან $\oplus \eta$ ნიშნის მოდიფიკაციად და ა. შ.;

მეორენი ამ თვალსაზრისს უპირისპირებენ ბერძნული დანართი ასოების უცხოური წერილობითი წყაროდან წარმომავლობის თეზისს. ასეთ წყაროდ მიიჩნევენ კვიპროსულ სილაბურ დამწერლობას, სადა სემიტური წერით სისტემას, კრეტულ დამწერლობას და სხვ. (ამის შესახებ დაწვრილებით და ლიტერატურის ჩვენებით იხ. Larfeld 1914: 232—239; შღრ. Jensen 1969:452 — 453). ამგვარი თვალსაზრისები ემყარება მთლიანად ცალკეულ ნიშანთა სხვა ნიშნებთან გრაფიკულ მსგავსებებს, რასაც შემთხვევითი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია ცალკეულ ნიშანთა ამგვარი გრაფიკული მსგავსების საფუძველზე ამა თუ იმ ნიშნის კონკრეტული წარმომავლო-

ბის მტკიცება ან უარყოფა, თუ ამისათვის არ არსებობს უფრო სისტემური ხასიათის შინაგანი სტრუქტურული მონაცემები. აქ შესაძლებელია მხოლოდ სრულიად პირობითი, ზოგჯერ ერთმანეთის საპირისპირო ვარაუდები იქნეს წამოყენებული. მაგრამ საკითხი რამდენიმე ცალკეული ნიშნის წარმომავლობის შესახებ არც არის არსებითი ხასიათისა მთელი სისტემის გასაგებად, რამდენადაც წერიითი სისტემის ხასიათი და გრაფიკული პრინციპები არ განისაზღვრება ამა თუ იმ სისტემიდან მომდინარე ცალკეული გრაფიკული ნიშნებით.

6. ბერძნული დამწერლობის სამი სხვაობა

ბერძნულ დამწერლობაში საკუთრივ ბერძნულ ნიადაგზე შექმნილ დანართ ასოთა სისტემაში წარმოდგენის თვალსაზრისით ბერძნული ანბანის სამი სხვადასხვა სახეობა გამოიყოფა. *Kirchhoff*-ის მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით ბერძნული დამწერლობა შემდეგ ძირითად ჯგუფებს ქმნის: 1. სამხრეთი არქიპელაგის დორიული კუნძულების არქაული ბერძნული ანბანი; 2. აღმოსავლური დამწერლობანი; 3. დასავლური დამწერლობანი (*Kirchhoff 1887*).

ბერძნული ანბანის პირველი, ყველაზე არქაული ჯგუფი წარმოდგენილია სამხრეთი კუნძულების უძველეს წარწერებში თერა, კრეტა და მელოსიდან. ნიშანთა მოხაზულობა მეტად ახლოსაა სემიტურ პროტოტიპთან. ყურადღებას იქცევს *h* ასოს სხვადასხვაგვარი მოხაზულობა, აგრეთვე *z* ფონემის აღმნიშვნელი Ϝ ნიშანი, რომელიც ემთხვევა გრაფიკულად სემიტურ *sāmekh*-ს. ამ სისტემაში არ არის ჯერ წარმოდგენილი „დანართი ასოები“ Φ *ph*, χ *kh* და Ψ [*ps*]. შესაბამისი ბგერები გამოიხატება ნიშანთა კომბინაციით: $\Gamma\Theta$ *p-h*, ΚΘ *k-h* ან ϜΘ *q-h* და $\Gamma\text{Μ}$ *p-s*. [*ks*] კომპლექსიც, როგორც წესი, ΚΜ *k-s* ან ϜΜ *q-s* ნიშანთკომბინაციით არის გადმოცემული. ცალკეულ შემთხვევებში ამავე კომპლექსის აღსანიშნავად გამოიყენება სპეციფიკური ნიშანი \downarrow [*ks*] (და არა სემ. *sāmekh*-ისაგან მომდინარე Ϝ ნიშანი, რომელიც აქ *z* ფონემის აღსანიშნავად არის გამოყენებული). სისინა *s* სპირანტი აქ ჯერ კიდევ სემიტური *šādē*-საგან

მომდინარე **М** ნიშნით გადმოიცემა. რაშიც, „დანართ ასოთა“ უკონ-
ლობასთან ერთად, ამ სახეობის ბერძნული დამწერლობის უღარესი
არქაულობა ვლინდება.

ამ არქაულ ბერძნულ ანბანში წარმოდგენილია 23 გრაფემა (ძველ
სემიტურ 22-ნიშნიან სისტემასთან შედარებით არქაული ბერძნული ხა-
სიათდება დამატებით ბოლოში დართული **Υ** ნიშნით, რაც აქ **u ხმო-**
ვანსა და დიფთონგის მეორე უმარცვლო **ω** ვლემენტს გამოხატავდა).
სწორედ ეს 23-ნიშნიანი სისტემა უნდა ყოფილიყო ის საერთო თავდა-
პირველი „ბ ი რ თ ვ ი“ ბერძნული ანბანისა, რომელიც შეიქმნა ძველი სე-
მიტური დამწერლობის საფუძველზე, ძველი სემიტური წერითი სისტემის
შეფარდების შედეგად ბერძნული ენის ბგერითი სისტემისადმი. ეს სა-
ერთო ბირთვი იჩენს თავს ბერძნული წერითი სისტემის ყველა მერმინ-
დელ სახეობაში.

ეს თავდაპირველი ბერძნული ანბანი უნდა შექმნილიყო ერთ გან-
საზღვრულ ადგილას ერთი პირის ან პიროვნებათა გარკვეული ჯგუფის
ერთობლივი შემოქმედების შედეგად. აქედან უნდა გავრცელებულიყო
იგი ბერძნულენოვან სამყაროში და ჩამოყალიბებულიყო აქ სხვადასხვა
ლოკალური ვარიანტების სახით (შდრ. *Jeffery 1961:2* და შდრ.: *Lar-*
feld 1914: 211 და შდრ.: *Jensen 1969: 445*).

ბერძნული დამწერლობის მეორე ჯგუფი მოიცავს აღმოსავლურ-
ბერძნულ წერით სისტემებს, რომლებიც ორ ქვეჯგუფად დაიყოფა.
პირველ ქვეჯგუფს წარმოადგენს მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს
დამწერლობა (იონიური ანუ მილეტის ბერძნული ანბანი), აგრეთვე
ეგეოსის კუნძულების აღმოსავლური ნაწილისა და ჩრდილოეთ პელოპონე-
სის დამწერლობანი (არგოსი, კორინთო, მეგარა და სხვ.); ამავე
ქვეჯგუფს განეკუთვნება იონიელ კოლონისტთა დამწერლობანი იონიის
ზღვის კუნძულებზე და ნიცილიაში. აღმოსავლური ჯგუფის მეორე ქვე-
ჯგუფს წარმოადგენს ჩრდილო-დასავლეთ კიკლადებისა და ძველი
ატიკის დამწერლობანი (ათენი, სალამისი).

აღმოსავლური ჯგუფის ყველა დამწერლობისათვის დამახასიათებე-
ლია სისტემაში დანართი **Ϟ ϣ** და **X kh** ასოების არსებობა. განსხვა-
ვებას ქმნის მხოლოდ **[ks]** და **[ps]** კომპლექსების გრაფიკული წარმოდ-
გენა ქვეჯგუფებში. პირველ ქვეჯგუფში (იონიური) **[ks]** კომპლექსი გა-
მოიხატება სემიტური **sāmekh**-ისაგან მომდინარე **Ϟ** ნიშნით, მაშინ რო-

დესაც მეორე ქვეჯგუფის დამწერლობანი ამისათვის **X Ϟ kh-s** ნი-

შანთკომბინაციას ხმარობს: ასევე [ps] კომპლექსი პირველი ქვეჯგუფის სისტემებში აღნიშნულია სპეციალური Ψ ან Υ ნიშნით, მაშინ როდესაც მეორე ქვეჯგუფი ამ კომპლექსის გამოსახატავად Φ ρ -s ნიშანთ-კომბინაციას ხმარობს.

აღმოსავლური ჯგუფის ბერძნულ წერილობით სისტემათა უძველეს ნიმუშს წარმოადგენს იონიური (მილეტის) დამწერლობით შესრულებული აბუ-სიმბალის ტაძრის წარწერები იონიელი ბერძნებისა, რომლებიც მსახურობდნენ ფარაონ ფსამეტის II (594—588) ჯარში.

ამ წარწერებში უკვე წარმოდგენილია „დანართი“ Φ ρ , χ k და Ψ ρ ასოები; Υ q იხმარება როგორც k 'ს ვარიანტი σ და α ერთე-

ულთა წინამავალ პოზიციაში: Ξ ნიშანი გამოყენებულია ჯერ კიდევ ორმაგი ფუნქციით: როგორც h ფონემის, ისე გრძელი \bar{e} ხმოვნის გამო-სახატავად. იონიური დამწერლობის შედარებით უფრო გვიანდელ ნი-

მუშებში Ξ ნიშანი უკვე აღარ იხმარება ძველი ფუნქციით: Ξ ნიშანი, რომელიც მოგვიანებით H გრაფიკულ ფორმას იძენს, გამოხატავს მხოლოდ გრძელ \bar{e} ხმოვანს; სისტემაში ჩნდება გრძელი $\bar{\sigma}$ -ხმოვნის გამომხატველი Ω სიმბოლო, რომელიც უპირისპირდება მოკლე σ ხმოვნის აღმნიშვნელ O ნიშანს. იონიური, აგრეთვე ათენის დამწერლობის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს აგრეთვე [s] ბგერის გამომხატველი F digamma ნიშნის უქონლობა.

ყველა ეს გრაფიკული თავისებურება იონიური დამწერლობისა აიხსნება იონიური დიალექტის ფონეტიკური თავისებურებებით, ამ დიალექტის სპეციფიკური ფონეტიკური ევოლუციით სხვა ბერძნულ დიალექტებთან შედარებით (მღრ. Buck 1968).

ს ბგერა იონიურში (და ატიურში)—როგორც /w/ ფონემის ვარიანტი ინტერვოკალურ პოზიციაში და ანლაუტში ხმოვნის წინ—უნდა დაკარგულიყო შედარებით ადრეულ პერიოდში, ჯერ კიდევ ამ დიალექტთა წერილობით ფიქსაციამდე.

გვევ შეეხება იონიურ დიალექტში თავიკიდური h ფონემის გაუჩინარებას (ე. წ. ფსილოსი, ბერძნ. ψῑλοσις), რის გამოც ამ ფონემის გამომხატველი Ξ ნიშანი აქ უკვე მხოლოდ გრძელი \bar{e} ხმოვნის აღსანიშნავად გამოიყენება.

სემიტურიდან მომდინარე *hēla* ნიშნის გრძელი $\bar{\epsilon}$ ხმოვნის გამო-
ხატველ სიმბოლოდ ხმარება ბერძნულში შესაძლებელია დაწყებულიყო
სწორედ იმ დიალექტებში, სადაც ამგვარ „ფსილოსს“ (ე. ი. *h* ფონე-
მის დაკარგვას) ჰქონდა ადგილი, რის შედეგადაც *hēla* > *ēla* ნიშანი
გამოთავისუფლდა ბერძნულში წარმოდგენილი ვოკალური $\bar{\epsilon}$ — $\bar{\epsilon}$ და-
პირისპირების აღსანიშნავად, რაც მანამდე გრაფიკულად არ გამოიხატე-
ბოდა.

ბერძნული დამწერლობის მესამე ჯგუფი მოიცავს დასავლურ ანბანებს
პელოპონესზე (ლ ა კ ო ნ ი ა, ა რ კ ა დ ი ა, ბ ე ო ტ ი ა, თ ე ს ა ლ ი ა და
ს ხ ე.), ასევე სიცილიის არაიონიურ კოლონიებში და სამხრეთ იტალიაში.

აღმოსავლური ანბანების მსგავსად აქაც გვაქვს დანართი ასოები Φ

ρ h და Ψ, Υ kh ნიშნების სახით; Θ, X ნიშანი აქ [ks] კომპლექსის
გადმოსაცემად იხმარება (რომელიც უფრო ადრე $\Psi \Upsilon$ kh-s ნიშანთკომ-
ბინაციით გამოიხატებოდა).

ბერძნული დამწერლობის ყველა ჯგუფისათვის უკლებლივ დამახა-
სიათებელია სემიტური *khaph* ნიშნის შესატყვისი $\chi\alpha\pi\alpha$ ასოს იგივე-
ობრივი გრაფიკული ფორმა *K* სიმბოლოს სახით (არქაულ სისტემებში
ოდნავ დაგრძელებული ვერტიკალური ხაზით \mathbf{K}), რაც გრაფიკულად
ადეკვატურად ასახავს ძველ სემიტურ პროტოტიპს. აღნიშნული გრაფი-
კული ფორმა *khaph* ნიშნისა ძვ. სემიტურ სისტემაში დასტურდება ძვ.
წელთაღრიცხვის IX საუკუნის წარწერებში (იხ. ზემოთ, გვ. 35).
ამ ნიშნის მიხედვით, ბერძნული დამწერლობის შექმნა ძველი სემიტური
(resp. ძველი ფინიკიური) დამწერლობის საფუძველზე ვერ მიეკუთვნება
ძველი წელთაღრიცხვის X—IX საუკუნეებზე უფრო ადრეულ პერიოდს.

ამეამად გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, ბერძნული ან-
ბანური დამწერლობა უნდა შექმნილიყო სწორედ ძველი წელთაღრიცხ-
ვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში (*Gelb* 1963:180 და შმდ.;
შმდ. *Schwyzzer* 1939 : 141; *Jensen* 1969:446)*.

* ზოგ მკვლევარს შესაძლებლად მიიჩნია ამტიკოს ბერძნული ანბანური დამ-
წერლობის მნიშვნელოვნად უფრო ადრეული წარმოშობა, ძვ. წელთაღრიცხვის
მე-12 ს. პროტო-ქანანური სისტემისაგან, საიდანაც წარმოდგა თავის მხრივ ძველი
ფინიკიური, ქანანური და არამეული წერითი სისტემები (შმდ. *Naueh* 1973:1—8).
მაგრამ მთელი რიგი ბერძნული ნიშნების (და პირველ რიგში $\chi\alpha\pi\alpha$ ნიშნის) მოხა-
ზულობა ეწინააღმდეგება ამგვარ ვარაუდს. უკვე არქაული ბერძნული $\chi\alpha\pi\alpha$ ასახავს

7. ბერძნული ანბანის უნიფიცირება იონიური დამწერლობის საფუძველზე და კლასიკური ბერძნული სისტემის ჩამოყალიბება



ბერძნული დამწერლობის ისტორიაში არსებით მომენტს წარმოადგენდა ევკლიდეს არქონტობის დროს ათენში ძვ. წელთაღრიცხვის 403 წელს იონიური დამწერლობის ოფიციალურად მიღება. იონიური ანბანით, რომლის გავლენა სახელმწიფოში ჭერ კიდევ V საუკუნიდან შეინიშნებოდა, ხელახლა ჩაიწერა აღნიშნულ წელს ათენის კანონმდებლობა, რაც ამავე დროს ნიშნავდა ბერძნული დამწერლობის ადგილობრივი სახეობის ნაცვლად იონიური დამწერლობის საყოველთაო შემოღებას.

ათენის მაგალითს გაკყვა შემდგომ სხვა ბერძნული სახელმწიფოებიც. ასე, მაგალითად, ბეოტია 370 წლისათვის და სხვა უფრო დასავლეთით განლაგებული პოლიტიკური გაერთიანებანი.

ბერძნული ანბანის უნიფიკაცია იონიური დამწერლობის საფუძველზე არ მომხდარა, რასაკვირველია, ერთბაშად; იგი ვრცელდებოდა თანდათან დასავლეთის მიმართულებით. ბევრგან კიდევ დიდხანს შემორჩა ბერძნული დამწერლობის ადგილობრივი სახეობანი, მაგრამ შესაძლებელია ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან მოყოლებული მიინც ვივარაუდოთ ზოგადბერძნული კლასიკური დამწერლობის არსებობა, რომელიც ჩამოყალიბდა იონიური დამწერლობის საფუძველზე.

ბერძნული დამწერლობის შემდგომი ისტორია შეეხება უკვე ამ უნიფიცირებულ, კლასიკური ბერძნული ანბანის განვითარებასა და გრაფიკულ ცვლილებებს. ამ პერიოდის დამწერლობა მხოლოდ უმნიშვნელო პალეოგრაფიულ გარდაქმნებს განიცდის, რაც გამოიხატა საერთო დუქტუსის შეცვლაში (საწერი მსაღის შესაბამისად) და ზოგი ნიშნის მოხაზულობის ცვლილებებში.

ასე, მაგალითად, გარკვეულ პერიოდში კლასიკურ ბერძნულ დამწერლობაში შეინიშნება ტენდენცია გრაფიკულ ნიშანთა „მოჩქერებებისა“, მათი ორნამენტულ ფიგურებად ქცევისა. █ ნიშნის ნაცვ-

გრაფიკულად არა სათანადო ნიშნის ძველ სემიტურ  ფორმას, არამედ მის უფრო გვიანდელ  ფორმას, რაც ამ ნიშანს სემიტურ გრაფიკაში მხოლოდ X—IX საუკუნეში უნდა მიეღო (ამ სირთულეს წარმოადგენილი ჰაოთეზის თეალასზროსით თვით ავტორიც აღნიშნავს).

ლად ჩნდება Η მოხაზულობის სიმბოლო; Θ ნიშანი ცვლის მარტივ
 ○ ნიშანს; Ξ იცვლება Σ ფორმით; ჩნდება ტენდენცია სწორი ხაზების
 შეცვლისა ტეხილით: შდრ. Α ნიშანი ადრეული Α ნიშნის
 ნაცვლად და სხვ.

ამასთანავე ჩნდება მომრგვალებული კურსივული ფორმები: შდრ.

Ε ნიშანი Ε ნიშნის ნაცვლად, Ψ მოხაზულობა Ω'ს ნაცვლად და
 სხვ. (შდრ. *Jensen 1969:454*).

ყველა ზემოთ განხილული გრაფიკული ფორმა წარმოადგენს ე. წ.
 მონუმენტურ დამწერლობას, ანუ ლაპიდარულ დაწერილობას და ხელ-
 ნაწერთა ასომთავრულს.

პაპირუსზე და პერგამენტზე წერისას არქაული ბერძნული ასოების
 კუთხოვანი მოხაზულობა მომრგვალებული მოხაზულობით იცვლება,
 რაც დასაბამს აძლევს ბერძნული წერის ახალ, მრგლოვან დექტუსს,
 წარმოდგენილს ე. წ. „უნციალურ დამწერლობაში“ (ბერძნ. *σφογγιστά-
 χημος* ან *σφογγιστής χαρακτήρ*)*.

უნციალური დამწერლობის უძველესი ნიმუშები გვხვდება ძვ.
 წელთაღრიცხვის III საუკუნიდან სხვადასხვა ხასიათის ბერძნულ ტექს-
 ტებში. უნციალური ბერძნული დაწერილობისათვის, რომელსაც შე-
 იძლება „წიგნური ასომთავრული“ ეწოდოს, დამახასიათებელია უპირატე-
 სად მომრგვალებული, მრგლოვანი ნიშნები: Ε, Ψ და სხვ.

უნციალური ბერძნული დამწერლობა, რომელმაც შემდგომ საკუ-
 თარი გრაფიკული განვითარება განიცადა, ჩვენი წელთაღრიცხვის IX
 საუკუნემდე ბერძნული წიგნური დაწერილობის ძირითად სახეობად
 რჩება (*Thompson 1912:201* და შმდ.).

უნციალური დაწერილობის პარალელურად ბერძნულში ვითარ-
 დება ე. წ. მთავრული კურსივი. რომელიც ყოველდღიური სწრაფწე-
 რისას იხმარებოდა. ამ დაწერილობის დამახასიათებელი გრაფიკული ნი-
 შანია გარკვეული ასოების გადაბმით წერა, განსხვავებით უნციალური
 დაწერილობის ასოთა ერთმანეთისაგან იზოლირებულად წარმოდგენისა.

IX საუკუნიდან მოყოლებული უნციალური ასომთავრული და კურ-
 სივი საბუთების მინუსკულური წერით იცვლება, რომლისთვისაც

* „უნციალური“ — ლათ. *litterae unciales* „უნციალური ასოები“, შდრ. რუს.
 „аршинные буквы“.

ბერძნული ღაგნერლობის გრაფიკული
განვითარება

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

1	A	Α	α	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	α	α	α
2	B	Β	β	Β	Β	Β	Β	Β	β	β	β
3	Γ	Γ	Γ	Γ	Γ	Γ	Γ	Γ	γ	γ	γ
4	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	δ	δ	δ
5	E	ε	ε	Ε	Ε	Ε	Ε	Ε	ε	ε	ε
6	Z	Ζ	Ζ	Ζ	Ζ	Ζ	Ζ	Ζ	ζ	ζ	ζ
7	H	Η	Η	Η	Η	Η	Η	Η	η	η	η
8	Θ	Θ	Θ	Θ	Θ	Θ	Θ	Θ	θ	θ	θ
9	I	Ι	Ι	Ι	Ι	Ι	Ι	Ι	ι	ι	ι
10	K	Κ	Κ	Κ	Κ	Κ	Κ	Κ	κ	κ	κ
11	Λ	Λ	Λ	Λ	Λ	Λ	Λ	Λ	λ	λ	λ
12	M	Μ	Μ	Μ	Μ	Μ	Μ	Μ	μ	μ	μ
13	N	Ν	Ν	Ν	Ν	Ν	Ν	Ν	ν	ν	ν
14	Ξ	Ξ	Ξ	Ξ	Ξ	Ξ	Ξ	Ξ	ξ	ξ	ξ
15	O	Ο	Ο	Ο	Ο	Ο	Ο	Ο	ο	ο	ο
16	Π	Π	Π	Π	Π	Π	Π	Π	π	π	π
17	P	Ρ	Ρ	Ρ	Ρ	Ρ	Ρ	Ρ	ρ	ρ	ρ
18	Σ	Σ	Σ	Σ	Σ	Σ	Σ	Σ	σ	σ	σ
19	Τ	Τ	Τ	Τ	Τ	Τ	Τ	Τ	τ	τ	τ
20	Υ	Υ	Υ	Υ	Υ	Υ	Υ	Υ	υ	υ	υ
21	Φ	Φ	Φ	Φ	Φ	Φ	Φ	Φ	φ	φ	φ
22	Χ	Χ	Χ	Χ	Χ	Χ	Χ	Χ	χ	χ	χ
23	Ψ	Ψ	Ψ	Ψ	Ψ	Ψ	Ψ	Ψ	ψ	ψ	ψ
24	Ω	Ω	Ω	Ω	Ω	Ω	Ω	Ω	ω	ω	ω

1: კლასიკური ბერძნული

2-4: ბერძნული ონციონური დამწერლობა (2-ახ. წ. IV ს.; 3- VII ს.; 4-IX ს.)

5-7: ბერძნული სწრაფწერა (5-ძვ. წ. II ს.; 6-ახ. წ. II ს.; 7-VIII ს.)

8-10: ბერძნული მინუსკულური დამწერლობა (8-ახ. წ. IX ს.; 9-IX-X ს.; 10-XII-XIII ს.).

დამხასიათებელია ასოთა სპეციფიკური მომცრო ფორმები სტრიქონს ზედა და ქვედა ხაზების წაგრძელებით. უნციალური დაწერილობის მთავრული ნიშნები ამ პერიოდის ხელნაწერებში მხოლოდ საწყის ასოებად და აგრეთვე დასათაურებაში იხმარება (Thompson 1912:219 და შმდ.; შდრ. Jensen 1969: 455 და შმდ.), იხ. ტაბულა 12, შდრ. *Друмев* 1963: 531.

8. ბერძნული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემა

ბერძნული ანბანის მყარი რიგი ანუ პარადიგმატიკა, რაც ძირითადად პროტოტიპული ძველი სემიტური სისტემის პარადიგმატიკას ასახავს, ხდება საფუძველი ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობებით ხმარებისა, წერითი სისტემის გამოყენებისა რიცხვ-ნიშანთა სისტემად.

რამდენადაც ბერძნული ანბანი ოცდოთხეულობიან ძველ დამწერლობასთან შედარებით უფრო დიდ რაოდენობა ნიშნებს შეიცავს (სპეციფიკური ბერძნული დანართი ნაწილის ჩათვლით*), ათობით სისტემაზე დამყარებულ რიცხვ-ნიშანთა გამოხატვა აქ უფრო სრულად შეიძლება, ვიდრე ეს სემიტური დამწერლობის საშუალებით იყო შესაძლებელი. ამისათვის საჭირო იყო სისტემაში მინიმუმ $9 \times 3 = 27$ ასო-ნიშნის არსებობა, რათა სრულად გამოხატულიყო „ერთეულები“, „ათეულები“ და „ასეულები“.

სწორედ ასეთად წარმოგვიდგება კლასიკური ბერძნული ანბანი ზუსტად 27 ასო-ნიშნით, რომელთაგან ზოგიერთს, ფონეტიკურ მნიშვნელობას მოკლებულთ, მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობა მიეწერებათ: ბერძნული ენისა და დამწერლობის განვითარების პროცესში ანბანის ზოგი ძველი გრაფემა (β, γ, α, μ, α, χ, π, α) კარგავს ფონეტიკურ მნიშვნელობას, რაც მას არქაულ სისტემაში ჰქონდა, მაგრამ იგი ამისდა მიუხედავად არ ამოვარდება ანბანიდან და განაგრძობს ანბანთრიგში სათანადო ადგილას ფუნქციონირებას როგორც „ეპსიმონი“, როგორც მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი ერთეული.

ანბანთრიგში პირველი ცხრა ასო გამოხატავს „ერთეულებს“, მომდევნო ცხრა ასო — „ათეულებს“, ბოლო ცხრა ასო — „ასეულებს“:

*) ეს დანართი ნაწილი ანბანის φ, X, Ψ ნიშანთა სახით მეტად ადრე უნდა შექმნილიყო, სავარაუდოა ჟერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნის ბოლოსათვის (შდრ. Larfeld 1914:241), რაც გვევარაუდებინებს უკვე ამ დროისთვის ბერძნულ რიცხვ-ნიშანთა სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

ერთეულები	ათეულები	ასეულები
A a 1	I i 10	P r 100
B b 2	K k 20	Σ s 200
Γ g 3	Λ l 30	T t 300
Δ d 4	M m 40	Υ ū 400
E e 5	N n 50	Φ ph 500
Ϛ (υ) 6	Ξ ks 60	X kh 600
Z z 7	O o 70	Ψ ps 700
H ē 8	Π p 80	Ω ō 800
⊙ th 9	Ϛ (q) 90	⊳ — 900*

მაგალითი: PIA=111 (აგრეთვე AIP ან PAI).

რამდენადაც ბერძნულ ანბანში სულ $9 \times 3 = 27$ ასო-ნიშანია, „ათასეულების“ აღსანიშნავად სისტემაში თავისუფალი ნიშნები აღარ რჩება. ამიტომ „ათასეულები“ ბერძნულ სისტემაში გამოიხატება „ერთეულების“ აღმნიშვნელი ნიშნებისათვის დამატებითი შტრიხის მიწერით, ე. ი. 'A=1000, 'T=8000, 'H=8000 და ა. შ. (შდრ. *Larfeld 1914:300*)*.

*) $\sigma\mu\pi\iota$ ნიშანი ⊳ წარმოადგენს არქაული $\sigma\mu\psi$ ნიშნის გრაფიკულ მოდი-

ფიკაციას. არქაული $\sigma\mu\psi$ ნიშანი, რომელიც ბერძნულ სისტემაში სემ. ⊳ ნიშნისაგან მომდინარეობს და არქაულ ბერძნულში სიბილანტურ სპირანტს გამოხატავდა, ძალიან ადრე გამოდის ხმარებიდან და განაგრძობს სისტემაში არსებობას მხოლოდ როგორც ფონეტიკურ მნიშვნელობას მოკლებული ბოლო, ოცდამეშვიდე სიმბოლო ბერძნული ანბანის რიცხვით მნიშვნელობით „900“. ზოგი არქაული, ხმარებიდან გამოსული ნიშნის ახლად გამოყენებით (აგრეთვე სისტემაში ზოგი ნიშნის სათანადო ადგილებზე შენარჩუნებით) იქმნება რიცხვ-ნიშანთა სრული სისტემისათვის საჭირო $9 \times 3 = 27$ რაოდენობა გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული სიმბოლოებისა.

სემ. ⊳ ნიშნის ბერძნულ ეკვივალენტის ა მ ო გ დ ე ბ ა სისტემიდან და მისი ბოლოში გადატანა, განსხვავებით F digamma (σ:εμ) და Ϛ ძόπια ნიშნებისაგან, რომლე-

ბიც შენარჩუნებულია ანბანში სათანადო ადგილებზე შესაბამისად „8“ და „90“ რიცხვით მნიშვნელობებით, მოწობს იმას, რომ ბერძნულ რიცხვით მნიშვნელობათა სისტემის შექმნისას ⊳ ნიშნისაგან მომდინარე ბერძნული სიმბოლო სისტემაში უკვე უფუნქციო ელემენტი იყო, მაშინ როდესაც digamma და ძόπια ნიშნები ჭერ კიდევ გარკვეული ფონეტიკური მნიშვნელობებით გამოიყენებოდა (შდრ. *Gardthausen 1879: 266*).

***) ბუნებრივია, ისეთ სისტემაში, რომლის ფონეტიკურ ასო-ნიშანთა რაოდენობა $9 \times 3 = 27$ 'ს აღემატება, „ათასეულების“ გამოსახატავად ოცდამეცხვე ნიშნიდან მოყო-

ბერძნულ რიცხვ-ნიშანთა სისტემა იდენტურია სემიტური სისტემისა (ბერძნულ ასო-ნიშანთა სათანადო ფონეტიკური გარდაქმნების გათვალისწინებით), ანბანის პირველი ასოდან (ξλϷα'დან) დაწყებული ვიდრე πI=80 ნიშნამდე (სემ. ρh=80), შდრ. ზემოთ, ტაბულა 11, გვ. 69.

სემ. ξδძē ნიშნისაგან მომდინარე არქაული ბერძნული ძვ. ნიშნის მეტად ადრეული ამოგდება ანბანიდან და ბერძნული ანბანის ერთი ადგილით ერთგვარი „შეშკიდროება“ იწვევს რიცხვით მნიშვნელობათა შესაბამობას სემიტურ და ბერძნულ დამწერლობათა შორის. πI ნიშნის მომდევნო χθπαα ნიშანი ბერძნულ სისტემაში გამოხატავს მნიშვნელობას „90“, მაშინ როდესაც ამ ბერძნული ნიშნის პროტოტიპი სემ. qḏpḥ (პარადიგმატიკაში ξδძē=90 ნიშნის მომდევნოდ წარმოდგენილი) სემიტურ სისტემაში გამოხატავს მნიშვნელობას „100“. შესაბამისად შენაცვლებულია ერთი საფეხურით მომდევნო ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობები*.

ლებული გრაფემები იქნებოდა გამოყენებული. „ათასეულების“ სრული გამოხატვისათვის ასეთ სისტემაში საჭირო იქნებოდა მინიმუმ 9×4=36 ასო-ნიშანი. სწორედ ამ ხასიათისაა რიცხვით მნიშვნელობათა გამოხატვის თეალსაზრისით მთელი რიგი ბერძნულიდან წარმომდგარი ანბანური წერითი სისტემები (იხ. ქვემოთ).

*2 რიცხვით მნიშვნელობათა აღწერილი სისტემის პარალელურად ბერძნულში არსებობს სხვა, უფრო გვიანდელი სისტემა, დაწყებული ანბანის ასო-ნიშანთა რიცხით მნიშვნელობაზე. განსხვავებით ძველი ბერძნული საუფურებრივი სისტემისაგან, ათვლა აქ ემყარება არა არქაულ ბერძნულ დამწერლობას, არამედ გვიანდელ წერით სისტემას ასო-ნიშანთა მოქმედი ფონეტიკური მნიშვნელობებით (შდრ. Gardthausen 1879: 264; Menninger 1934: 200):

α=1	η= 7	ν=13	τ=19
β=2	θ= 8	ξ=14	υ=20
γ=3	ι= 9	ο=15	φ= 21
δ=4	κ=10	π=16	χ=22
ε=5	λ=11	ρ=17	ψ=23
ζ=6	μ=12	σ=18	ω=24

შედეგად ვიღებთ სისტემას მნიშვნელობათა უაღრესად შეზღუდული დიაპაზონით 1-დან 24-მდე, რომელსაც გამოყენების მეტად ვიწრო სფერო ჰქონდა. ამ სისტემის მიხედვით გადანიშნულებოდა, მაგალითად, კ ო მ ე რ ო ს ი ს პოემათა „გალობანი“. ამ სისტემის მიხედვით, ისევე როგორც ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების ძირითადი, „საფეხურებრივი“ სისტემის გამოყენებით, ზორიცელებოდა აგრეთვე ძველად მეტად გავრცელებული პრაქტიკა სიტყვათა გაიგივებისა და მათი მისტიკური ინტერპრეტაციისა ცალკეული შემადგენელი ასო-ნიშნების რიცხვით მნიშვნელობათა წამის იგივეობის საფუძველზე. ამგვარი „ნიშანთმისტიკა“, ანუ „გემატრიკა“, სიტყვათა და სახელთა მისტიკური ინტერპრეტაცია მათთან დაკავშირებულ რიცხვით მნიშვნელობათა მიხედვით, ხშირად გამხ-

9. ბერძნული დამწერლობისაგან შარამომღებარი წერიითი სისტემები

ძველი ბერძნული დამწერლობა გახდა წყარო მრავალი სხვა წერიითი სისტემისათვის, რომლებიც აღმოსავლეთსა და დასავლეთში გავრცელდა. ბერძნული დამწერლობისაგან მომდინარე ყველა სისტემის ძირითადი სტრუქტურული მახასიათებელია მათი ანბანურობა, ე. ი. სისტემაში როგორც კონსონანტური, ისე ვოკალური ნიშნების არსებობა, რომლებიც ერთიან პარადიგმატიკას ქმნიან.

ბერძნულმა დამწერლობამ არა მარტო დასაბამი მისცა მრავალ სხვა დამწერლობათა ანბანურ სისტემებს; ბერძნული წერიითი სისტემის გავლენით მოდიფიკაცია განიცადა უშუალოდ ძველი სემიტური წყაროდან მომდინარე ზოგმა კონსონანტურ-სილაბურმა სისტემამ მათში საკუთრივ ხმოვანთა გამომხატველი ნიშნების გაჩენის მხრივ.

ეს ხმოვანი ნიშნები ერთგვარი დამატებითი გრაფიკული ერთეულებია, რომლებიც განცალკევებით ღვანან სისტემის ძირითად ნიშანთა პარადიგმატიკაში. ნიშანთსინტაგმატიკაში ისინი ძირითად კონსონანტურ ნიშანთა ზემოთ ან ქვემოთ თავსდება (შდრ. ხმოვანთგამომხატველი სტრიქონზედა და ქვედა ნიშნები ძვ. ებრაულ, არაბულ, სირიულ და სხვა სემიტურ სისტემებში).

ბერძნული სისტემის გავლენით მთლიანად გარდაიქმნა აგრეთვე სემიტურიდან მომდინარე საშუალო ირანული დამწერლობა მასში ძირითადი ხმოვანთნიშნების გაჩენით, რომლებიც პარადიგმატიკაში იმკვიდრებენ ადგილს საკუთრივ თანხმოვანთნიშნების გვერდით. ამ გზით უნდა წარმოქმნილიყო ანბანური ხასიათის ავესტური დამწერლობა, რომელიც 48 გრაფიკული სიმბოლოსაგან შედგება, მათ შორის სხვადასხვა გრაფიკული გზით დიფერენცირებული თანხმოვნებისა და ხმოვნების გამომხატველი ნიშნებისაგან (შდრ. *Junker 1926:11* და შმდ.).

უშუალოდ ბერძნული დამწერლობიდან მომდინარე ანბანურ სისტემებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს იტალიკური წერიითი სისტემები, რომელთაც დასავლურ-ბერძნული დამწერლობა უდევთ საფუძვლად: ამ წყაროდან წარმოიქმნა უშუალოდ ე. წ. პროტოტირენული ანბანი და ეტრუსკული დამწერლობა, რომელმაც

ღარა საფუძველი ფანტასტიკური თვალსაზრისების წამოყენებისა სიტყვათა მნიშვნელობებისა და მათი წარმოშობის შესახებ („ნიშანთსიტკის“ შესახებ ძველ აღმოსავლურ და ბერძნულ სამყაროში იხ. *Dornseiff 1925:91* და შმდ.).

იტალიკური დამწერლობანი

	დასავლურ-ბერძნული	კრიშტიანული	აბრუსკული	უფორული	ოსკური	ფალისკური	კაპანული ლათინური	კლასიკური ლათინური
a	Α	A	A	A	Α	Α	Α	Α
b	Β	B	A	Β	Β	Β	Β	Β
g	Γ	Γ	Γ	Γ	Γ	Γ	Γ	Γ
d	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	Δ	Δ
e	Ε	Ε	Ε	Ε	Ε	Ε	Ε	Ε
v	Ϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ	Ϝ
z	Ζ	Ζ	Ζ	Ζ	Ζ	Ζ	Ζ	Ζ
h	Η	Η	Η	Η	Η	Η	Η	Η
th	Θ	Θ	Θ	Θ	Θ	Θ	Θ	Θ
i	Ι	Ι	Ι	Ι	Ι	Ι	Ι	Ι
k	Κ	Κ	Κ	Κ	Κ	Κ	Κ	Κ
l	Λ	Λ	Λ	Λ	Λ	Λ	Λ	Λ
m	Μ	Μ	Μ	Μ	Μ	Μ	Μ	Μ
n	Ν	Ν	Ν	Ν	Ν	Ν	Ν	Ν
s	Ξ	Ξ	Ξ	Ξ	Ξ	Ξ	Ξ	Ξ
o	Ο	Ο	Ο	Ο	Ο	Ο	Ο	Ο
p	Π	Π	Π	Π	Π	Π	Π	Π
ś	Ϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ	Ϙ
q	ϙ	ϙ	ϙ	ϙ	ϙ	ϙ	ϙ	ϙ
r	Ρ	Ρ	Ρ	Ρ	Ρ	Ρ	Ρ	Ρ
ś	Σ	Σ	Σ	Σ	Σ	Σ	Σ	Σ
t	Τ	Τ	Τ	Τ	Τ	Τ	Τ	Τ
u	Υ	Υ	Υ	Υ	Υ	Υ	Υ	Υ
ks	Χ	Χ	Χ	Χ	Χ	Χ	Χ	Χ
ph	Φ	Φ	Φ	Φ	Φ	Φ	Φ	Φ
kh	Ψ	Ψ	Ψ	Ψ	Ψ	Ψ	Ψ	Ψ
f			Ϟ	Ϟ		Ϟ		
ř(rs)			ϙ	ϙ		ϙ		
ç			Ϛ	Ϛ		Ϛ		
i			ϛ	ϛ		ϛ		
ú			Ϝ	Ϝ		Ϝ		

დასაბამი მისცა, ერთი მხრით, ფალსიკურ და ლათინურ ანბანს, ხოლო მეორე მხრით, ოსკურ და უმბრულ დამწერლობას (იხ. ტაბულა 13; შდრ. *Jensen 1969:500*).

ყველა ამ წერით სისტემაში X ნიშანი გამოხატავს [ks] მნიშვნელობას, ისე როგორც დასავლურ-ბერძნულში (და არა აღმოსავლურ-ბერძნულისათვის დამახასიათებელ [kx] მნიშვნელობას); სპეციფიკურია აგრეთვე l ასოს მოხაზულობა იტალიკურში, დამახასიათებელი დასავლურ-ბერძნული წერისათვის.

წერის მიმართულებაა მარჯვნიდან მარცხნივ, რაც მარცხნივ მიბრუნებულ ასოებში აისახება. ამაში ვლინდება იტალიკური დამწერლობის არქაულობა და მისი წარმომავლობა არქაული ბერძნული მარცხნივ მიმართული დაწერილობისაგან.

ეტრუსკული დამწერლობა, ისევე როგორც მისგან წარმომდგარი ოსკური და უმბრული, შეიცავს დამატებით B ნიშანს, რომელიც ლაბიალურ f სპირანტს გამოხატავს, რაც შესაძლებელია FB u-h ნიშანთა კომბინაციისაგან მომდინარეობდეს.

რამდენადაც ეტრუსკული არ განარჩევს მჟღერ და ყრუ ხშულ თანხმოვნებს, დამწერლობაში არ არის წარმოდგენილი სპეციალური ნიშნები მჟღერი b d g თანხმოვნებისათვის; ph th kh და p t k თანხმოვანთნიშნები მონაცვლეობს ეტრუსკულ ხშულთა ამ ორი რიგის გამოხატვისას. /k/ ფონემის სხვადასხვა ვარიანტების აღმნიშვნელი ნიშნებისაგან () e, i ხმოვნების წინ; X a ხმოვნის წინ; Y u, o ხმოვნების წინ) მოგვიანებით მხოლოდ ერთი X ნიშანი რჩება (შდრ. *Jensen 1969:503*).

ყველაზე გავრცელებულ დამწერლობას ბერძნულიდან მომდინარე იტალიკურ დამწერლობებს შორის ლათინური დამწერლობა წარმოადგენს, რომელიც მსოფლიო ანბანის მნიშვნელობას იძენს. რომაულ ქრისტიანობასთან ერთად იგი ევროპის უდიდეს ნაწილში ვრცელდება (იმ აღმოსავლური და სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილების გამოკლებით, სადაც ბერძნულ-სლავური ანბანები იკიდებს ფეხს). უფრო გვიან საუკუნეებში ლათინური ანბანი სხვა კონტინენტებზედაც გადადის და მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული დამწერლობა ხდება.

მთელი რიგი შინაგანი მონაცემები ლათინური ანბანისა მიუთითებს მის წარმომავლობას ეტრუსკული დამწერლობისაგან.

როგორც ცნობილია, ლათინურ ანბანში ბერძნული Γ γάμμα სიმბოლოსაგან მომდინარე γ ასო აღნიშნავდა როგორც მკვლერ *g*, ისე ყრუ

k თანხმოვანს, რაც ეტრუსკულის გრაფიკულ თავისებურებას უნდა ასახავდეს, რომელიც არ განარჩევს მკვლერ და ყრუ ხშულ თანხმოვნებს. ამასთანავე *K* სიმბოლოს ხმარება *a*'ს წინ და სიტყვის ბოლოს, *C* ნიშნის ხმარება *e* და *i* ხმოვნების, ხოლო *Q* ნიშნისა—*u*'ს წინ უძველეს ლათინურ წარწერებში სავსებით შეესაბამება ამ ნიშანთა ეტრუსკულ დამწერლობაში ხმარების წესებს.

ლათინურისათვის დამახასიათებელი მკვლერი *b d g* თანხმოვნებისათვის გამოყენებულ იქნა ბერძნული წარმომავლობის *B* და *D* ნიშნები, რომლებიც, თუმცაღა წარმოდგენილი ეტრუსკულ ანბანში, მოკლებული იყო კონკრეტულ ფონეტიკურ მნიშვნელობას. მკვლერი *g* ფონემა ლათინურში აღინიშნა მოგვიანებით *G* ნიშნით, რომელიც ძველი *C* ნიშნის ($= k, g$) გრაფიკულ მოდიფიკაციას წარმოადგენს. ამავე დროს ფშვინვიერ *ph th kh* თანხმოვანთა გამომხატველი ნიშნები, როგორც ლათინურისათვის ჭარბი, ამოგდებულ იქნა ანბანიდან.

ლათინური ანბანის ასოთა სახელწოდებანი არსებითად განსხვავდება ბერძნულ ნიშანთა სახელებისაგან და მთლიანად ფონეტიკურ საფუძველზე შეთხზულ პირობით ნიშანთსახელთა ხასიათისაა. ზოგი მკვლევარი ლათინური ანბანის ამ თავისებურებასაც ეტრუსკულიდან მომდინარედ მიიჩნევს.

აქ არსებითია არა ის, თუ სად და რა ნიადაგზე შეიქმნა პირველად დამწერლობის ნიშანთა ამ ტიპის სახელწოდებები, არამედ თვით პრინციპი წერის ნიშანთა სახელდებისა, არსებითად განსხვავებული ძველი სემიტური და სხვა დამწერლობათა პრინციპისაგან.

სახელდების საფუძველად აქ გამოყენებულია კონკრეტული ნიშნით გამოხატული კონსონანტური ან ვოკალური ბგერა, რომელიც სპეციფიკური ფონეტიკური გაფორმებით სათანადო გრაფემის პირობით სახელწოდებას გვაძლევს.

ვოკალურ ნიშნებს ლათინურ ანბანში აქვთ შესაბამისი ხმოვნის სახელი: *a, e, i, o, u*

ლათინური კონსონანტური ნიშნის სახელი ხასიათდებოდა სათანადო თანხმოვნით, რომელსაც ერთვოდა *e* ხმოვანი, ე. ი. *be, de, fe, me* და სხვ. (გამონაკლისს ქმნიდა *ka, qu, ha* სახელები). უფრო მოგვიანებით თანხმოვანთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: *mutae* და *semiuoca-*

დასაპლურ- ბერძნული	ფრიგიული	
A	A	a
B	BB	b
Γ	Γ	g
Δ	Δ	d
E	E	e
F	FF	v
I	IIII	z
ι	ι	i
K	KK	k
Λ	Λ	l
M	MM	m
N	N	n
O	O	o
P	Π	p
P	P	r
Σ	Σ	s
T	T	t
Υ	Υ	u
Φ	Φ	ph
Υ	Υ	kh, χ

ტაბულა 14

les — l, m, n, f, s, r, x. ამ უკანასკნელთა სახელები გარდაიქმნა ხმოვნის წინ გადასმით: *el, em, en, ef, es, er, ex* (ეს უკანასკნელი შემდგომ ბერძნული *αϛ* ს გავლენით *ix* ფორმით იქნა წარმოდგენილი); *ka* და *qu* სახელწოდებანი (განსხვავებული ხმოვნებით). *k* და *q* ნიშანთა სინტაგმატური თავისებურებებით აიხსნება: *k* იხმარებოდა მხოლოდ *a*-ხმოვნის წინ, *q* კი *u*-ს წინამავალ პოზიციაში;

h ბგერა არ განეკუთვნება არც *mutae*, არც *semivocales* ჯგუფს. იგია ფშვინვა, *adspiratio*, რითაც გამართლებულია *a* ხმოვნის წარმოდგენა სათანადო *ha* სახელწოდებაში (შღრ. *Strzelecki 1958: 24—32*).

ბერძნული ანბანი საფუძვლად უდევს აგრეთვე მცირეაზიურ ანბანებს, ისეთ წერილობით სისტემებს, როგორცაა ფრიგიული, ლიკიური, ლიდური, კარიული.

განსაკუთრებით ახლოსაა არქაულ ბერძნულ წერილობით სისტემასთან ფრიგიული დამწერლობა, რომელიც გამოყენებული იყო ინდოევროპული ფრიგიული ენის ჩასაწერად. ამ დამწერლობის დასავლურ-ბერძნული წყაროდან მომდინარეობა ელინდება *χ* ფონემის *Υ* ნიშნით გადმოცემაში, აგრეთვე ფრიგიული წერის მთელ რიგ სხვა პალეოგრაფიულ თავისებურებებში (იხ. ტაბულა 14).

ფრიგიულ დამწერლობას თითქმის ემთხვევა ცნობილი ლემნოსის სტილის დამწერლობა, რომელიც ძვ. წელთ-

აღრიცხვის VII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. რამდენადაც ლემნოსის წარწერის დამწერლობა ეტრუსკულთანაც ავლენს მსგავსებასა და ახლო ურთიერთობას. ფრიგიულ-ლემნოსური და ეტრუსკული დამწერლობანი ერთი და იმავე ბერძნული წერილობითი წყაროდან წარმოშობილად ივარაუდება (შდრ. *Jensen 1969:462—472*).

10. ბერძნული შერიითი სისტემისაგან შარმომდგარი ქრისტიანული ეპოქის დამწერლობანი

ბერძნული წერილობითი სისტემისაგან შარმომდგარ ანბანურ დამწერლობათა სპეციფიკურ ჯგუფს ქმნიან ქრისტიანული ხანის დამწერლობანი: კოპტური, გოთური, სომხური და სლავური ანბანური წერილობითი სისტემები.

კოპტური დამწერლობა. ეგვიპტეში ქრისტიანობის ეროვნულ რელიგიად გამოცხადებასთან ერთად აღორძინებას განიცდის ახალი ეგვიპტური ენა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ეგვიპტეში ლაშქრობის დროიდან აქ განდევნილი იყო როგორც ოფიციალური სახელმწიფო ენა ბერძნულის მიერ.

ქრისტიანული კულტურა აქ უკვე ადგილობრივი, ეროვნული ახალ-ეგვიპტური (ანუ კოპტური*) ენის ნიადაგზე იქმნება, რომელიც რთული ეგვიპტური (დემოტური) დამწერლობიდან წერის ახალ, ბერძნულ ანბანზე დამყარებულ სისტემაზე გადადის (შდრ. *Morenz 1973*).

უძველესი კოპტური ძეგლები ახალი წელთაღრიცხვის II—III საუკუნეებით თარიღდება.

კოპტური დამწერლობა მომდინარეობს ბერძნული დამწერლობის იმ ვარიანტისაგან, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იყო გავრცელებული. კოპტური წერილობითი ნიშნების მოხაზულობა არსებითად იგივეა, რაც სათანადო მრგოლოვანი ნიშნებისა ბერძნულ უნიკოდურ დამწერლობაში.

ბერძნული ანბანიდან აქ აღებულია 25 ასო-ნიშანი სათანადო კოპტური ბგერების გადმოსაცემად. ამათგან ერთი ნიშანი, კერძოდ, ანბან-

* სახელწოდება „კოპტური“ მომდინარეობს არაბული *qibṭ* ფორმისაგან, რაც არასწორ წაკითხვას ემყარება *qibṭ* სიტყვისა, რომელიც თავის მხრივ ბერძნულ

Αἰγυπτίος > ὑπαιτός „ეგვიპტელი; ეგვიპტური“ სიტყვის შვეკვილ ფორმას ასახავს.

ში მე-6 ადგილას მდგომი, აქ მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობით იხმარება, რაც სათანადო დროის ბერძნული ანბანის თავისებურებას ასახავს, სადაც მე-6 ადგილას წარმოდგენილია არქაული ბერძნული *digamma* საგან წარმომდგარი ნიშანი $\var�$, მოკლებული ფონეტიკურ ლირებულებას და მხოლოდ „0“ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი.

ბერძნული $\var�$ $\alpha\pi\alpha$ ნიშნის შესაბამისად კოპტურ ანბანში წარმოდგენილია $\var�$ $f\bar{a}j$ ნიშანი ფონეტიკური მნიშვნელობით f და რიცხვითი მნიშვნელობით „90“. ფონეტიკურ მნიშვნელობას მოკლებულ ბერძნულ $\alpha\pi\alpha$ ნიშანს კოპტურში კოპტურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური $[f]$ მნიშვნელობა მიეწერა და იგი წარმოდგენილ იქნა ანბანში სათანადო ადგილას პროტოტიპული ბერძნული ნიშნის შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობით „90“*.

ბერძნული ანბანის ბოლო, ოცდამეშვიდე $\var�$ $\sigma\mu\pi$ ნიშნის შესაბამისი კოპტური ნიშანი აქ, ისევე როგორც ბერძნულ სისტემაში, იხმარება მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველ სიმბოლოდ „900“ (იხ. ტაბულა 15, გვ. 99).

ამგვარად, კოპტური დამწერლობის „ბერძნულ ნაწილში“ სრულადაა დაცული პროტოტიპული ბერძნული ანბანის რიგი და თანმიმდევრობა სათანადო რიცხვითი მნიშვნელობების გამომხატველი სიმბოლოების შენარჩუნებით ($\sigma\lambda\gamma\mu$ და $\sigma\mu\pi$). ერთ შემთხვევაში, ბერძნულში მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი $\var�$ $\alpha\pi\alpha$ ნიშნის შესაბამის $\var�$ $f\bar{a}j$ სიმბოლოს აქ კოპტურისათვის სპეციფიკური ფონეტიკური $[f]$ მნიშვნელობაც მიეწერება.

„საკუთრივ კოპტურ“ ნაწილში ნიშნები სათანადო დემოტურ სახელწოდებებს ასახავენ (შღრ. *Schwyzler 1931: 193—194*).

* $\var�$ $f\bar{a}j$ ნიშანს ჩვეულებრივ სპეციფიკურ კოპტურ დანართ სიმბოლოებში ათავსებენ (*Jensen 1969: 478*). მაგრამ ამ ნიშნის გრაფიკული მოხაზულობა და რიცხვითი მნიშვნელობა „90“ უნდა მოწმობდეს ბერძნულ $\var�$ $\alpha\pi\alpha$ სთან მის შესაბამისობას. ამდენად იგი უნდა მოთავსდეს კოპტური ანბანის საკუთრივ ბერძნულ ნაწილში. ამ ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობა $[f]$ კოპტურში და სახელწოდება $f\bar{a}j$ აიხსნება ამ სიმბოლოს გრაფიკული მსგავსებით დემოტურ ნიშანთან. ამ ნიშანთა გრაფიკული მსგავსება უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ბერძნული $\var�$ $\alpha\pi\alpha$ საგან მომდინარე ნიშანს კოპტურში, გარდა რიცხვითი მნიშვნელობისა „90“, მიეწერა აგრეთვე კოპტურისათვის სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობა f და სათანადო დემოტური ნიშნის სახელწოდება.

ამგვარად, კობური ანბანი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ბერძნული ანბანის შესაბამისი ნაწილისაგან სათანადო ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობებით, და მასზე დართული „საკუთრივ კობტური“ ნაწილისაგან სპეციფიკური კობტური ბგერების გამომხატველი სიმბოლოებით. კობტური ანბანის „ბერძნულ ნაწილში“ უნდა ვიგულისხმოდ აგრეთვე კობტური *fāj* ნიშანი (რიცხვითი მნიშვნელობა „90“), რომელიც აქ ბერძნული **Ϟ** *xiptax*

ნიშნის შესაბამის ადგილს იმკვიდრებს კობტურისათვის სპეციფიკური ფონეტიკური *f* მნიშვნელობით.

საკუთრივ კობტურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბგერები, რაც არ იყო წარმოდგენილი სათანადო ნიშნების სახით ბერძნულ დამწერლობაში, გამოიხატა ახლად შექმნილ კობტურ სისტემაში კიდევ ექვსი დამატებითი ნიშნით, რომლებიც ადგილობრივი დემოტური დამწერლობიდან იყო აღებული და მოათავსდა კობტური ანბანის „საკუთრივ ბერძნული“ ნაწილის მომდევნოდ.

რისხაითი მნიშვნელობა	ბერძნული მნიშვნელობა	სახელწოდება	სახელი	სახელწოდება
1	a	alfa	Α	Α
2	b, v	beta	Β	Β
3	g	gamma	Γ	Γ
4	d	delta	Δ	Δ
5	e	ēje	Ε	Ε
6	-	sou	Σ	Σ
7	z	zāda	Ζ	Ζ
8	ē	hāda	Η	Η
9	t-h	tutte	Θ	Θ
10	j, l	jōda	Ι	Ι
20	k	kabba	Κ	Κ
30	l	lōla	Λ	Λ
40	m	mēj	Μ	Μ
50	n	nī	Ν	Ν
60	ks	ekal	Ξ	Ξ
70	ō	ou	Ο	Ο
80	p	bej	Π	Π
100	r	rou	Ρ	Ρ
200	e	samma	Σ	Σ
300	t	daū	Τ	Τ
400	i	he	Υ	Υ
500	p-h	fij	Φ	Φ
600	k-h	kij	Χ	Χ
700	ps	ebal	Ψ	Ψ
800	ō	ō	Ω	Ω
900	-	-	ΡΡ	ΡΡ

აქ მოყვანილი ტაბულა 16 წარმოგიდგენს დემოტურიდან მომდინარე შეიღ გრაფიკულ სიმბოლოს, გამომხატველს სპეციფიკური კოპტური ბგერებისა (მათ შორის ერთ ნიშანს — *li* ლიგატურისათვის), მათ ჰიეროგლიფურ პროტოტიპებთან ერთად (შდრ. *Jensen 1969:478*).

ნიშანთა სახელწოდებები კოპტური ანბანის სათანადო ნაწილში ემყარება არსებითად ბერძნულ სახელწოდებებს იმ განსხვავებებით, რომლებიც კოპტურ ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოიქმნა.

ბოთური დამწერლობა. ანალოგიური ხასიათისა არის დაახლოებით ამავე პერიოდში ასევე ბერძნულის ნიადაგზე შექმნილი გოთური დამწერლობა.

აქაც ახალი ანბანის შექმნა ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული.

ძველი ისტორიკოსების ცნობით, გოთების ეპისკოპოსი ეულფილა (*Ulfilas 318—388*) ბიბლიის გოთურად თარგმნისას ხელს იღებს ძველ გოთურ რუნულ დამწერლობაზე, რომელიც დაკავშირებული იყო წარმართულ კულტურასა და წარმოდგენებთან*, და კმნის ბერძნულ ანბანზე დაყრდნობით ახალი ტიპის დამწერლობას — გოთურ ანბანს.

წერით ნიმუშად გოთური ანბანისათვის აღე-

რისკენით შნიშანდება	ბაერით შნიშანდება	სახელწოდება	კოპტური	დამწერარი	კლასიკური კოპტური
-	š	šāj	Ⲅ	𐌸	Ⲅ
90	f	faj	Ⲙ	𐌺	Ⲙ
-	b	baj	Ⲏ	𐌶	Ⲏ
-	h	hōri	Ⲙ	𐌷	Ⲙ
-	ǵ	ǵangā	Ⲙ	𐌸	Ⲙ
-	(g.č)š	šima	Ⲙ	𐌸	Ⲙ
-	ti	dij	Ⲙ	𐌸	Ⲙ

ტაბულა . 16

*) გერმანიელი რუნული დამწერლობის სხვადასხვა სახეობათა შესახებ იხ. *Arntz 1944*. ავტორი თვლის, რომ გოთურისათვის ახალი, ბერძნულზე დამყარებული დამწერლობის შექმნა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ დროს მწიგნობრული დამწერლობის შექმნის აუცილებლობასთან. რუნული დამწერლობა თავისი მონუმენტური ხასიათის გამო ასეთ დამწერლობად ვერ გამოდგებოდა. მაგრამ ზოგი ნიშანი გოთური ანბანისა (აგრეთვე ასო-ნიშანთა სახელები) სწორედ ძველი რუნული დამწერლობიდან იქნა აღებული (გვ. 101).

ბულია ბერძნული უნციალური დამწერლობა, რაც სრულიად უდავოდ ვლინდება გოთურ ასოთა მოხაზულობაში და არსებითად ბერძნულ ანბანთ-რიგში, რომელიც აისახება გოთური ან-ბანის პარადიგმატიკაში.

ბერძნული ანბანის ნიშანთრიგი და შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები შენარჩუნებულია გოთურ ანბანში იმის წყალობით, რომ სპეციფიკური გოთურ-ი ფონეტიკური მნიშვნელობები, სა-თანადო გრაფიკული სიმბოლოებით გამოხატული, მოთავსებულია ანბანთ-რიგში იმ ადგილებზე, სადაც ბერძნულ ანბანში წარმოდგენილია გოთურისა-თვის უცხო ბგერების გამომხატველი სიმბოლოები (იხ. ტაბულა 17).

ასე, მაგალითად, მე-6 ადგილას გო-თურ ანბანში და შესაბამისად რიცხვითი მნიშვნელობით „6“ ზის სიმბოლო

U გოთურისათვის სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობით [q^u] (ე. ი. ბერძნული *digamma* ნიშნის ადგილას, რომელიც ამ პერიოდის სისტემაში მხო-ლოდ „6“ რიცხვით მნიშვნელობას გა-მოხატავს, ბერძნ. [σι:γμα). სათა-ნადო გოთური ნიშანი ივარაუდება ლა-თინური ანბანიდან წარმომდგარად.

მე-8 ნიშნად ანბანთრიგში (რიცხ-ვითი მნიშვნელობით „8“) ბერძნული Η ἥξας ადგილას ზის h ფონემის გა-მომხატველი სიმბოლო (ხმოვანთა სი-გრძე უცხოა გოთურისათვის); მის მო-მდევნოდ, რიცხვითი მნიშვნელობით „9“ (ბერძნული Θ θήξα ნიშნის შე-აბამის ადგილას) — გოთურისათვის

არსა- სიმბო- ლო	არსა- მნიშ- ვობა	სა- ბერძ- ნული	სა- გოთურ- ული	არსა- სიმბო- ლო
1	a	Α	𐌰	
2	b	Β	𐌱	
3	g	Γ	𐌲	
4	d	Δ	𐌳	
5	e	Ε	𐌴	
6	q	Ϝ	𐌶	ლათ.
7	z	Ζ	𐌷	
8	h	Η	𐌸	
9	θ	Θ	𐌹	
10	i	Ι	𐌺	
20	k	Κ	𐌻	
30	l	Λ	𐌼	
40	m	Μ	𐌽	
50	n	Ν	𐌾	
60	j	Ϟ	𐌿	ლათ.
70	u	Ϛ	𐍀	რახ.
80	p	Π	𐍁	
90	-	Ϝ	𐍂	
100	r	Ρ	𐍃	ლათ.
200	s	Σ	𐍄	ლათ.
300	t	Τ	𐍅	
400	w	Ϟ	𐍆	
500	f	Ϝ	𐍇	ლათ.
600	χ	Χ	𐍈	
700	hw	Ϟ	𐍉	
800	ō	Ϟ	𐍊	რახ.
900	-	Ϛ	𐍋	

სპეციფიკური (ინტერდენტალი) სპირანტი *β* (ფშენიფიერი ხშულები არ არის წარმოდგენილი გოთურში). ამ ფონემის გამომხატველ სიმბოლოდ გამოყენებულია ბერძნული *ψ* *πσι* ნიშანი, ხოლო ბერძნული *πσι*'ს შესაბამის ადგილას გოთურში ზის გრაფიკულად ბერძნული *ψ* *ψα*'-დან მომდინარე *Ϸ* ნიშანი გოთურისათვის სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობით [xʰ] (რიცხვითი მნიშვნელობა „700“).

ბერძნული *Ξ* *ξει* ნიშნის შესაბამის ადგილას რიცხვითი მნიშვნელობით „80“ გოთურ ანბანში წარმოდგენილია *///* ფონემის გამომხატველი ნიშანი, რომელიც ლათინურიდან მომდინარედ არის მიჩნეული*. გოთური ფონეტიკისათვის არადამახასიათებელი [ks] კომპლექსის გამომხატველი ნიშნის ადგილას ანბანთრიგში ჩაისვა გოთურისათვის საჭირო *///* ფონემის გამომხატველი *ϸ* ნიშანი.

მომდევნო *Π* ნიშანი ანბანთრიგში რიცხვითი მნიშვნელობით „70“

(ბერძნ. *Ϻ* *μικρον* ნიშნის ადგილას) გამოხატავს */u/* ფონემას და მომდინარეობს ძველი რუნული დამწერლობიდან. *u* ხმოვნის გამოსახატავად *Ϸ* უ ლ ფ ი ლ ა იყენებს არა ბერძნული *ΟΥ* დიგრაფის ეკვივალენტს (და არც *Υ* *Ϻ* *ψι* ნიშანს, რომელიც აქ *u* ფონემის გამოსახატავად არის გამოყენებული, რიცხვითი მნიშვნელობა „400“), არამედ იღებს ნიშანს ძველი დამწერლობიდან. ასევე იქცევა იგი *ō* ხმოვნის *Ϲ* ნიშნით გამოხატვის შემთხვევაში, რომელიც ზის ანბანთრიგში ბერძნული *Ω* *ω* *μέγα*'ს ადგილას (რიცხვითი მნიშვნელობა „800“).

გოთურ ანბანში *Ϻ* ნიშანი რიცხვითი მნიშვნელობით „90“ მომდინარეობს ბერძნული *Ϻ* *χιπτα*'საგან, და როგორც *χιπτα*'ს გვიანბერძნულში,

მას არ გააჩნია აქ ფონეტიკური მნიშვნელობა. იგი გოთურ ანბანთრიგში სათანადო ადგილს იკავებს და ამის შესაბამისად მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველია. აღნიშნული გოთური ნიშნის ეს სპეციფიკა იმეორებს არსებითად შესაბამისი ნიშნის თავისებურებას გვიანბერძნულ ანბანში** (განსხვავებით მე-6 ადგილას წარმოდგენილი ნიშნისა,

*) ზოგი შეკლევარი გოთ. *ϸ* *j* ნიშანს რუნულიდან მომდინარედ მიიჩნევს (შდრ. *Gutenbrunner* 1950:501). ბერძნულისაგან განსხვავებული გოთური ნიშნების მთლიანად რუნული დამწერლობიდან გამოყვანის ტენდენციის საწინააღმდეგოდ შდრ. *Marchand* 1959.

**) შდრ. ამ მხრივ კობტური ანბანი, სადაც *Ϻ* ნიშანი რიცხვითი მნიშვნელობით „90“ კობტურისათვის სპეციფიკურ *f* ფონეტიკურ მნიშვნელობასაც გამოხატავს (იხ. ზემოთ).

რომელსაც გოთურისათვის სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობა მიეწერება. მიუხედავად გვიანბერძნულში შესაბამის ადგილას წარმოდგებილი ნიშნის მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობისა).

ამგვარად, გოთურისათვის ბერძნული ანბანის გამოყენებისას ე უ ლ ფ ი ლ ა არ ახდენს ბერძნულისათვის სპეციფიკური ბგერების გამომხატველ ნიშანთა „ამოგდებას“ ანბანიდან, რაც ანბანის პარადიგმატიკის სრულ დარღვევასა და შესაბამისად რიცხვითი მნიშვნელობების შეცვლას გამოიწვევდა; ამგვარი ნიშნები ანბანთრიგში შენაცვლებულია სათანადო ადგილებზე გოთურისათვის სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობების გამომხატველი ნიშნებით.

ამ გზით გოთური ანბანის ნიშნები ინარჩუნებენ არსებითად იმ თანმიმდევრობას (და ამასთან დაკავშირებით იმ რიცხვით მნიშვნელობებს), რაც შესაბამისი ბერძნული ნიშნებისთვისაა დამახასიათებელი. განსხვავებას ანბანთრიგში მხოლოდ გოთურისათვის სავარაუდო ბგერების გამომხატველი ნიშნები ქმნიან, რომლებიც იკავებენ იქ ბერძნულისათვის სპეციფიკური ბგერების აღმნიშვნელ ნიშანთა ადგილებს.

გოთური ანბანის პარადიგმატიკა არსებითად ბერძნული სისტემის პარადიგმატიკას ასახავს; მას არ გააჩნია დანართი ასოები ბერძნულ ანბანთან შედარებით, როგორც ეს, მაგალითად, კოპტურ სისტემაში გვაქვს. გოთური ანბანი, ისევე როგორც ბერძნული, შეიცავს სულ ოცდაშვიდ (ე. ი. $9 \times 3 = 27$) გრაფემას, რომელთაგან პირველი ცხრა გამოხატავს „ერთეულებს“, მეორე ცხრა — „ათეულებს“. მესამე ცხრა ნიშანი — „ასეულებს“. დამასრულებელი ოცდამეშვიდე სიმბოლო გოთური ანბანისა, რომელიც აქ მხოლოდ „ 𐍆00 “ რიცხვითი მნიშვნელობით გამოიყენება, ასახავს ბერძნულ Ϟ σϙα ეპისემონს რიცხვითი მნიშვნელობით „ 900 “.

ამგვარად, გოთური და ბერძნული სისტემები მთლიანად „ფარავენ“ ერთმანეთს; გოთური სისტემა მთლიანად ჯდება ბერძნულ სისტემაში, მთლიანად „გადაისახება“ ბერძნულზე (რამდენიმე ადგილას ანბანთრიგში ფონეტიკურ შენაცვლებათა გათვალისწინებით).

ძველ რუნულ დამწერლობასთან კავშირს ბერძნულ სისტემაზე დამყარებული გოთური ანბანი განსაკუთრებით ნიშანთა სახელწოდებებში ავლენს, რომლებიც მთლიანად ძველი ნიშანთსახელებისაგან არის წარმომდგარი:

a aza, b bercna, g geuua, d daaz, e eyz, q^w quertra, z ezec, h hual, þ thyth, i iiz, k chozma, l laaz, m manna, n noicz, j gaar, u uraz, p pertra, r reda, s sugil, t tyz, w uuinne, f fe, x enguz, h^w uuaer, o utal.

სახელები დამახინჯებულ გერმანიკულ (გოთურ) სიტყვებს უნდა წარმოადგენდეს, რომლებიც შერჩეულ იქნა სათანადო ასო-ნიშნების სახელწოდებებად სიტყვათა თავკიდური ბგერის მიხედვით, *Arntz 1944: 171* და შმდ. (შდრ. ზემოთ ძველი სემიტური დამწერლობის ნიშანთა ამავე აკროფონული პრინციპით სახელდების შესახებ, გვ. 56).

ხერხდება ზოგიერთი მათგანის ეტიმოლოგიზირება და სათანადო გოთურ სიტყვებთან დაკავშირება (შდრ. *Jensen 1969:551*):

შდრ. გოთურა

<i>fe</i>	<i>faihu</i>	„საქონელი; ქონება“
<i>haal</i>	* <i>hagl</i>	„სეტყვა“
<i>iiz</i>	* <i>eis</i>	„ყინული“
<i>gaar</i>	<i>jēr</i>	„წელი“
<i>sugil</i>	<i>sauil</i>	„მზე“
<i>manna</i>	<i>manna</i>	„კაცი“
<i>laaz</i>	* <i>lagus</i>	„წყალი; ტბა“
<i>daaz</i>	<i>dags</i>	„ღღე“
<i>uuinne</i>	<i>winja</i>	„სიხარული“

და სხვ.

ძველი სომხური დამწერლობა. ბერძნულ წერით სისტემაზე დამყარებულ ქრისტიანულ დამწერლობათა ამავე წყებაში უნდა დადგეს ძველი სომხური ანბანი — „ერკათაგირი“ — *Երկաթագիր* „რკინის დამწერლობა“, რომლის შექმნა V საუკუნის დასაწყისში სომხური ისტორიული ტრადიციის მიხედვით სომხეთის სამეფო კარის მდივანს და მერმინდელ მისიონერსა და სომეხთა განმანათლებელს მესროპ-მამათოს მიეწერება. მას უნდა შეექმნა ახალი სომხური დამწერლობა „ბერძნულ მარცვალთა სისტემის მიხედვით“, რომელმაც შეცვალა უფრო ადრინდელი, სირიელი ეპისკოპოსის დანიელის მიერ ჩატარებული ცდა სომხურისათვის დამწერლობის შექმნისა.

ახლად შექმნილი სომხური წერითი სისტემით ბიბლიის სომხური თარგმანის შესრულება ხელს უწყობს „ერკათაგირის“ გავრცელებას და მის სომხურ ეროვნულ დამწერლობად გადაქცევას.

ძველი სომხური ანბანის ბერძნული საფუძვლები ვლინდება ასო-ნიშანთა არსებითად ბერძნულ წყობაში, რომელიც თავს იჩენს სისტემაში სპეციფიკური სომხური, ბერძნულისათვის არადადამახასიათებელი ბგერების გამოხატველ ნიშანთა გამოყოფის შემდეგ: სომხური ანბანის ქვემოთ წარმოდგენილ ტაბულაში გამოცალკევებულია საკუთრივ სომხური. ბგერების გამოხატველი ასო-ნიშნები იმ ნიშნებისაგან, რომლე-

ბიც სომხურში ბერძნულის ანალოგიურ ბგერებს აღნიშნავენ. ეს უკანასკნელი ზუსტად მისდევნ ბერძნული ანბანისათვის დამახასიათებელ ნიშანთორიგს (მღრ. *Hübschmann 1876:63; Meillet 1936:14; III-სიძე 1957:36—37*):

სომხური ანბანი ბერძნულთან შეპირისპირებით

1. Ա a	1. A a	19. ժ շ	
2. Բ b	2. B b	20. Մ m	2. M m
3. Գ g	3. Γ g	21. Յ y	
4. Դ d	4. Δ d	22. Ն n	13. N n
5. Ե e	5. E e	23. Շ ջ	
6. Զ z	6. Z z	24. Ո o	14. O o
7. Է է	7. H է	25. Ջ զ	
8. Ը օ		26. Պ p	5. Π p
9. Թ Է ^h	8. Θ Է ^h	27. Զ j	
10. Ժ շ		28. Բ Ի	16. Ρ r
11. Ի i	9. I i	29. Ս s	17. Σ s
12. Լ l		30. Վ v	
13. Խ x		31. Տ t	18. Τ t
14. Մ c		32. Ր r	
15. Կ k	10. K k	33. Յ ց	
16. Զ h		34. Ի ա	19. Υ ւ, ա
17. Զ j		35. Փ ք ^h	20. Φ ք ^h
18. Զ զ	11. Λ l	36. Բ Կ ^h	21. Χ Կ ^h

სომხური დამწერლობის შემქმნელს ანბანის საფუძვლად, საწყის ნიმუშად აღებული აქვს ბერძნული წერითი სისტემა, რომლის თითო-ეულ ასო-ნიშანს მან შეუსაბამა სათანადო ბგერის გამომხატველი ნიშანი სომხურში. ამგვარად მიღებული რიგი სომხური ბგერებისა, რომლებიც სათანადო გრაფიკული სიმბოლოებით აღინიშნა, უნდა დამთხვევოდ დაიხატა ბერძნული ანბანის რიგს, და ამაში გამოიხატა არსებითად ბერძნული საფუძველი სომხური ანბანისა, სომხური ანბანის „ბერძნულ მარცვალთა სისტემის მიხედვით“ შექმნა.

მაგრამ სომხური ხასიათდება, ბერძნულთან შედარებით, უფრო დიდი რაოდენობის კონსონანტური ფონემებით; მხოლოდ ერთი ნაწილი სომხური თანხმოვნებისა ფარავს ბერძნულ თანხმოვნებს. ამ აზრით „დამატებითი“ თანხმოვნებისათვის სომხურში უნდა შექმნილიყო „დამატებითი“ ნიშნები, სპეციფიკური სომხური ბგერები უნდა გამოხატულიყო წერილობით სისტემაში სპეციალური ნიშნებით, რომლებიც დაემატებოდა ბერძნულისადმი შესატყვის სომხური ბგერების გამომხატველ ასო-ნიშნებს, როგორც ეს, მაგალითად, კოპტურ ანბანში მოხდა (იხ. ზემოთ, გვ. 99—100)*.

მაგრამ სომხური ანბანის შემქმნელი განსხვავებულ პროცედურას მიმართავს: სომხურისათვის ბერძნულთან შედარებით „დამატებითი“ ნიშნები მოთავსებულია სისტემაში არა საკუთრივ ბერძნულის შესაბამისი ნაწილის მომდევნოდ, მსგავსად კოპტური ანბანისა, არამედ „ჩართულია“ თვით ბერძნულის შესაბამისი ნაწილის ფარგლებში, მოქცეულია ბერძნულის შესაბამისი ნაწილის ჩარჩოებში, დაწყებული *Ա* ნიშნით და დამთავრებული *Չ* *ჩ* სიმბოლოთი.

ამ მხრივ სომხური ანბანი ერთი შეხედვით შეესაბამება უფრო ამავე გზით შექმნილ გოთურ ანბანს, რომელიც მოთავსებულია მთლიანად ბერძნული სისტემის ჩარჩოებში. მაგრამ თუ გოთური ანბანი, შესაბამისად გოთური ენის ბგერითი ერთეულებისა, რომელთა რაოდენობა დაახლოებით იგივეა, რაც ბერძნულისა, მისდევს ბერძნულ პროტოტიპს არა მხოლოდ ნიშანთრიგის თვალსაზრისით, არამედ ნიშანთა რაოდენობითაც სისტემაში, სომხური ანბანი ხასიათდება ბერძნულთან შედარებით ნიშანთა უფრო დიდი რაოდენობით (შდრ. 36 ნიშანი სომხურში, საპირისპიროდ კლასიკური ბერძნული სისტემის 27 ნიშნისა) სომხური კონსონანტიზმის უფრო დიდი (ფართო) მოცულობის შესაბამისად.

*) ამგვარ „დამატებით“ ფონემებს ბერძნულ სისტემასთან შედარებით სომხურში წარმოადგენს ბგერები (ანბანთრიგის მიხედვით): *Ձ* *Ճ* *Է* *Լ* *Խ* *Հ* *Ի* *Ջ* *Կ* *Վ* *Ր* *Բ*.

ამიტომ, თუ გოთური კმაყოფილება სისტემაში რამდენიმე სპეციფიკური ბერძნული ბგერითი მნიშვნელობის შენაცვლებით, ისე რომ გოთურ სისტემაში არ ირღვევა ბერძნული პროტოტიპისათვის დამახასიათებელი ნიშანთრიგი და ნიშანთრაოდენობა (რითაც გოთური სისტემა ინარჩუნებს ბერძნული პროტოტიპისათვის დამახასიათებელ ნიშანთრიცხვით მნიშვნელობებს), სომხური ანბანის შემქმნელი იძულებულია მთელი რიგი დამატებითი ნიშნები შემოიღოს, აღმნიშვნელი სომხურისათვის სპეციფიკური (ძირითადად კონსონანტური) ბგერებისა.

მაგრამ ამ დამატებით ნიშნებს მესროპ-მართოცი ათავსებს სომხურ ანბანში არა ბერძნული ნაწილის მომდევნოდ, როგორც ეს კოპტური ანბანის შემთხვევაში გვაქვს, არამედ განაბნევს მათ რაიმე გარკვეული კანონზომიერების გარეშე საკუთრივ ბერძნული ნაწილის შესაბამის ნიშნებს შორის. ამით სომხური სისტემა ბერძნულ პროტოტიპთან მიმართების თვალსაზრისით პრინციპულად განსხვავდება კოპტური და აგრეთვე გოთური სისტემებისაგან*.

„დამატებითი“ ნიშნების მოთავსება, „გაფანტვა“ საკუთრივ ბერძნული სისტემის შესაბამისი ნაწილის ფარგლებში მთლიანად არღვევს რიცხვით მნიშვნელობათა იმ რიგს, რომელიც სომხურში ბერძნულის შესაბამისად იყო მოსალოდნელი.

სომხური ანბანის რიცხვითი მნიშვნელობები მთლიანად განსხვავდება პროტოტიპული ბერძნული სისტემის რიცხვითი მნიშვნელობებისაგან. რიცხვით მნიშვნელობათა დამთხვევა ბერძნულსა და სომხურს შორის

*) არსებით სხვაობას სომხური სისტემისას კოპტურთან და გოთურთან შედარებით წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ სომხურისათვის საწყის ბერძნულ სისტემაზე აღებული არა სრული ბერძნული ანბანი, როგორც ეს კოპტური და გოთური ანბანის შემთხვევაში გვაქვს, რომელთა საფუძველს სრული ოცდაშვიდნიშნის ბერძნული სისტემა ქმნის სხვადასხვა ფონეტიკური ჩანაცვლებებით, არამედ ბერძნული სისტემის მხოლოდ ის ნაწილი, რომლის ფონეტიკური მნიშვნელობები შეესაბამება სომხურ ბგერებს. ამდენად, სომხური ანბანის ბერძნული საფუძვლიდან ამოვადებულია ყველა ეპისემონი (ე. ი. მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის მქონე სიმბოლოები: **Ϛ** *σενγμα*,

Ϙ *αθπα* და **ϙ** *σδμπι*), აგრეთვე სომხურთან შეუსაბამო ფონეტიკურ

მნიშვნელობათა გამომხატველი ყველა ნიშანი: ე. ი. **Ξ ks**, **Ψ ps** და **Ω σ**.

ამგვარად, სომხური ანბანის ბერძნულ სავსეზე და გამომდინარე სისტემა, რომელიც სულ ოცდაერთ ასო-ნიშანს შვიცავს, სომხური ბგერებისადმი შესატყვისი ფონეტიკური მნიშვნელობებით; სომხური ანბანის ბერძნულ საფუძველს გარკვეული თვალსაზრისით „რელუციოზებული“ ბერძნული სისტემა ქმნის, რაც არსებითად განასხვავებს სომხურს კოპტურისა და გოთურისაგან.

მხოლოდ ანბანის პირველი შვიდი ნიშნისათვის გვაქვს. მოყოლებული მე-8 ასოდან სომხური სისტემის გრაფემები უკვე განსხვავებულ მნიშვნელობებს გვიჩვენებს, რამდენადაც პირველი ასო დამატებით ნიშანთა ჯგუფიდან, რომელიც ჩართულ იქნა ბერძნულის შესაბამისი ნაწილის ფარგლებში, კერძოდ α ბგერის აღმნიშვნელი ι ნიშანი, ანბანში მე-8 ადგილას მოხვდა $\bar{\epsilon}$ ზმოვნის გამომხატველი ϵ ნიშნის მომდევნოდ. რომელიც ბერძნული $\text{H } \eta\alpha\prime\text{s}$ სომხური ეკვივალენტია.

რამდენადაც სომხური ანბანი ხასიათდება ნიშანთა უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე ბერძნული სისტემა, სომხურში შესაძლებელი იყო რიცხვ-ნიშანთა უფრო სრულყოფილი სისტემა ჩამოყალიბებულიყო. სომხური ანბანის $9 \times 4 = 36$ ფონეტიკურ მნიშვნელობათა მქონე ნიშნის საშუალებით გამოიხატა რიცხვ-ნიშანთა სრული სისტემა „ათასეულების“ აღნიშვნით:

ერთეულები	ათეულები	ასეულები	ათასეულები
$\text{Ա } a$ 1	$\text{Ժ } \bar{z}$ 10	$\text{Ճ } \bar{c}$ 100	$\text{Դ } \bar{r}$ 1.000
$\text{Բ } b$ 2	$\text{Ի } i$ 20	$\text{Մ } m$ 200	$\text{Ս } s$ 2.000
$\text{Գ } g$ 3	$\text{Լ } l$ 30	$\text{Ծ } y$ 300	$\text{Վ } v$ 3.000
$\text{Դ } d$ 4	$\text{Խ } x$ 40	$\text{Ն } n$ 400	$\text{Տ } t$ 4.000
$\text{Ե } e$ 5	$\text{Մ } c$ 50	$\text{Շ } \bar{z}$ 500	$\text{Ր } r$ 5.000
$\text{Զ } z$ 6	$\text{Կ } k$ 60	$\text{Ո } o$ 600	$\text{Ց } \bar{c}$ 6.000
$\text{Է } \bar{e}$ 7	$\text{Հ } h$ 70	$\text{Ջ } \bar{c}$ 700	$\text{Խ } w$ 7.000
$\text{Ը } \bar{a}$ 8	$\text{Ջ } j$ 80	$\text{Պ } p$ 800	$\text{Փ } ph$ 8.000
$\text{Թ } th$ 9	$\text{Ղ } t$ 90	$\text{Ջ } j$ 900	$\text{Ք } kh$ 9.000

აღნიშნულით არ ამოიწურება სხვაობა სომხურ ანბანსა და იმავე ბერძნული წერითი პროტოტიპისაგან მომდინარე კოპტურსა და გოთურ ანბანებს შორის. არსებით სხვაობას ამ დამწერლობათა სისტემებს შორის, რაც უკვე ტიპოლოგიურ ღირებულებას იძენს, ის ქმნის, რომ ისინი დიამეტრულად განსხვავებულ გრაფიკულ დამოკიდებულებას ავლენენ პროტოტიპული ბერძნული წერითი სისტემისადმი, რომელსაც ისინი ემყარებიან.

თუ კოპტური და გოთური სისტემები თითქმის შეუცვლელად იმეორებენ ფონეტიკურად ეკვივალენტური ბერძნული ბგერების გამომხატველი ნიშნების გრაფიკულ ფორმასა და მოხაზულობას (კერძოდ, მათთვის თანადროული ბერძნული უნციალური დამწერლობისა), სომხური ანბანი წყვეტს ყოველგვარ გრაფიკულ კავშირს ბერძნული ანბანის სათანადო ნიშნებთან; სომხურ ნიშნებს, რომლებიც ბერძნულის ფონეტი-

კურად ეკვივალენტურ ბგერებს გამოხატავენ, გარდა რამდენიმე გრაფემისა, არაფერი აქვთ საერთო გრაფიკულად, მოხაზულობის მხრივ, ბერძნული ანბანის სათანადო ნიშნებთან: სომხური ანბანის ნიშნები სულ სხვა გრაფიკულ საფუძველს ემყარება.

სომხური ანბანის ეს გრაფიკული თავისებურება ხშირად გამხდარა მიზეზი სომხურ პალეოგრაფიაში მრავალი სხვადასხვა, ერთმანეთის საპირისპირო თვალსაზრისის წამოყენებისა „ერკათაგირის“ წარმომავლობის შესახებ.

ძველი სომხური წერითი სისტემა გამოჰყავდათ სემიტურიდან და ნაწილობრივ ბერძნულიდან (სომხ. Φ და Ψ ნიშანთა შემთხვევაში)*, შდრ. *Müller 1864*, ფალაურიდან, რომელიც თავის მხრივ არამეულისაგან მომდინარეობს, და ავესტურიდან (შდრ. *Taylor 1899:268* და შმდ.; *Marquart 1917; Junker 1925* და *1926*), უშუალოდ ჩრდილო-მესოპოტამიური ტიპის არამეულიდან (*Перишамия 1966: 111* და შმდ.) და სხვ. სომხურ ნიშანთა მოხაზულობა ზოგ მკვლევარს უშუალოდ სათანადო ბერძნული ნიშნების გრაფიკიდან გამოჰყავს, კერძოდ, ბერძნული კურსივისაგან, რომლის ნიშნები სტილიზებული ფორმით ჩამოყალიბდება თითქოს სომხურ ლაპიდარულ დაწერილობად (შდრ. *Gardthausen 1876*).

ვერც ერთი ეს თვალსაზრისი ვერ ჩაითვლება სრულად და მეთოდოლოგიურად გამართლებულად, რამდენადაც ცალკეული ნიშნების გარეგანი გრაფიკული მსგავსების საფუძველზე შეუძლებელია მტკიცება მთელი დამწერლობის ამა თუ იმ წყაროდან წარმომავლობის შესახებ. ამგვარი მტკიცებისათვის საჭიროა უფრო არსებითი, სისტემური მონაცემები, რომლებიც სავარაუდოს გახდიდა ამა თუ იმ წერითი სისტემის სხვა სისტემაზე დამოკიდებულებას თუ მისგან წარმომავლობას.

ერთ-ერთ ასეთ შინაგან სისტემურ მახასიათებელს დამწერლობის პარადიგმატიკა ქმნის, და სწორედ ამ თვალსაზრისით სომხური დამწერლობა სრულიად უდავო კავშირს ავლენს ბერძნულ წერით სისტემასთან, რომელიც სომხური ანბანის შემქმნელისათვის საწყის წერილობით მოდელს წარმოადგენდა.

ამ თვალსაზრისით ძველი სომხური დამწერლობა ბერძნული დამწერლობისაგან წარმომდგარად უნდა იქნეს მიჩნეული. სწორედ ბერძნული წერილობითი მოდელის მიხედვით გამოიყო სათანადო სომხური ბგერები, აგრეთვე სომხურისათვის სპეციფიკური ბგერითი ერთეულები, და გაიწყო სისტემაში გარკვეული თანმიმდევრობის მიხედვით.

*) შდრ. გრაფიკულად სომხ. Φ *ph*, Ψ *kh* და ბერძნული Φ *ph*, χ *kh*; აგრეთვე სომხ. Σ *e* და ბერძნული უნიკალური Σ და სხვ.

მაგრამ. ამასთანავე სომხური ანბანის შემქმნელი, როგორც ჩანს, შეგნებულად წყვეტს ყოველგვარ კავშირს ბერძნული წყარო-სისტემის გრაფიკულ სიმბოლოებთან და სათანადო ნიშნებს თავისუფლად თხზავს გარკვეული პრინციპის მიხედვით. ამგვარი თხზვის პროცესში მას შეეძლო, ბუნებრივია, გამოეყენებინა სხვადასხვა მისთვის ხელმისაწვდომი გრაფიკული ნიმუშები; ამგვარი ნიმუშების წრეში შესაძლებელია ბუნებრივად შემოსულიყო არამეულ – ფალაური, სირიული, ეთიოპური, აგრეთვე ბერძნული და სხვა დამწერლობანი, რომელთა გრაფიკა ვარკვეულ მსგავსებას ავლენს ძველი სომხური დამწერლობის ცალკეულ გრაფიკულ სიმბოლოებთან*.

*) ბოლო ხანებში წამოყენებული თვალსაზრისის თანახმად (Севак 1962:46; Olderogge 1974), ძველი სომხური დამწერლობის გრაფიკული სიმბოლოების დიდი ნაწილი ემთხვევა ეთიოპური დამწერლობის ნიშნებს. შესაძლებელია მესროპ-მამსეს-თოცის შეექმნა თავისი ანბანის ნიშნები ეთიოპური სისტემის ეოკალიზაციის გრაფიკული პრინციპის გათვალისწინებით, რაც გამოიხატება ძირითადი ნიშნისადმი ძირში, შუაში ან თავში დამატებითი შტრიხის ან წრეხაზის მიწერაში. იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილასა აქვს ძირითად ნიშანს ამგვარი დამატებითი გრაფიკული ელემენტები, ეთიოპურ სისტემაში ვიღებთ ძირითად თანხმოვანზე დართულ სხვადასხვა ხმოვნის მიმდევრობათა ნიშნებს:

Ո	Ռ	Ղ	՛	Պ
ბა	ბა	ბი	ბე	ბე
Դ	Դ	Զ	Շ	Պ
გა	გა	გი	გე	გე
Ս	Ս	Ս	Ս	
ხა	ხა	ხა	ხა	

იგვევ გრაფიკული ხერხი უნდა ჰქონდეს გამოყენებული მესროპ-მამსეს-თოცის სულ სხვადასხვა ფონეტიკური მნიშვნელობის გამომხატველი გრაფიკული სიმბოლოების შესაქმნელად გარკვეული საწყისი სიმბოლოდან: შდრ., მავალითად, სომხ. Ո Օ Ռ Ի და Խ Ի; Ս s და Մ m; Դ d და Զ z; Բ r, Բ b და Ը e და სხვ. მაშასადამე, სომხური ანბანის შემქმნელი იყენებს ეთიოპური ეოკალიზაციის გრაფიკულ ხერხს სულ სხვა მიზნით – სხვადასხვა ფონეტიკურ მნიშვნელობათა გამომხატველი ახალი გრაფიკული სიმბოლოების შესაქმნელად. დ. ო. ლ. დ. ე. რ. გ. ე. ს. მიანჩია, რომ ამ გრაფიკული ხერხით არის

ძველი სომხური დამწერლობის გრაფიკა მისი შექმნელის, მესროპ-მათოსის ორიგინალური შემოქმედების შედეგია; გრაფიკული სიმბოლოები აქ შექმნილია სხვადასხვა ნიმუშების მიხედვით; იგი არ წარმოადგენს ერთი რომელიმე წერითი სისტემის გრაფიკულ გამეორებას ან მოდიფიკაციას.

ამით აიხსნება ის, რომ ძველი სომხური დამწერლობა სულ სხვადასხვა სისტემებთან ავლენს გარკვეულ გრაფიკულ კავშირებს და ვერ დაიყვანება მთლიანად რომელიმე ერთ ვრაფიკულ სისტემაზე.

საფუძველი სომხურ გრაფიკულ სიმბოლოთა ამგვარი თავისუფალი თხზვისათვის, რის წყალობითაც არ ჩანს გარეგნულად, ნიშანთა გრაფიკული ფორმის მიხედვით. სომხური დამწერლობის დამოკიდებულება ბერძნულზე, მისი ბერძნული პროტოტიპისაგან წარმომავლობა, უნდა ყოფილიყო მისწრაფება, დაფარულიყო ყოველგვარი კავშირი და დამოკიდებულება ადგილობრივი ქრისტიანული კულტურისა ბერძნულზე, რაც იმდროინდელი პოლიტიკურ-რელიგიური მოსაზრებებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

ამგვარი წარმოდგენების მიხედვით, ეროვნული ენა ეროვნულ დამწერლობას გულისხმობს და ეს უკანასკნელი ეროვნული კულტურის პროდუქტს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც თითქოს დამოუკიდებელია გარეშე გავლენებისაგან (შდრ. *Peeters 1929*).

ყველაზე მარტივი და ბუნებრივი გზა პროტოტიპულ ბერძნულ წერლობით სისტემასთან „კავშირის გაწყვეტისა“ და ორიგინალური დამწერლობის შექმნისა ნიშანთა განსხვავებული გრაფიკული ფორმის ხელოვნური შეთხზვა იქნებოდა, და სწორედ ამ გზით წარიმართა ძველი სომხური ანბანის შექმნა. ანალოგიურ ტენდენციებს სხვა ქრისტიანულ დამწერლობათა შექმნის შემთხვევაშიც ვადასტურებთ (იხ. ქვემოთ).

როგორც ჩანს, ამავე მოსაზრებით უნდა მომხდარიყო სომხურისათვის სპეციფიკურ ბგერათა ნიშნების საკუთრივ ბერძნულისადმი შესა-

მიღებული სომხურ სისტემაში 22 თუ 23 გრაფიკული სიმბოლო, ე. ი. გრაფიკული სისტემის თითქმის ორი მესამედი (*Olderogge 1974: 202*).

ამასთანავე მთელი რიგი ნიშნები ძველი სომხური დამწერლობისა ავლენს ერთმანეთის მიმართ აშკარა გრაფიკულ სიახლოვეს. ასეთი გრაფიკული სიმბოლოებია, მაგალითად, *ⲓ*, *ⲓ* და *ⲓ*; *Ⲕ* და *Ⲕ*. ნიშანთა გრაფიკული სიახლოვე მოტივირებული უნდა იყოს ამ შემთხვევაში მათ მიერ გამოხატულ ფონეტიკურ მნიშვნელობათა სიახლოვით. სომხური ანბანის შემქმნელს, როგორც ჩანს, კარგად აქვს შეგნებული ამ ნიშნებით გამოხატული აფრიკატი ბგერების ფონეტიკური ნათესაობა.

განსხვავებული თვალსაზრისისათვის ძველი სომხური ანბანის გრაფიკული საფუძვლების შესახებ იხ. *Муравьева 1980*.

ბამის ნაწილში ჩართვა და ამ გზით რიცხვით მნიშვნელობათა ბერძნულისაგან განსხვავებული სისტემის ჩამოყალიბება.

შესაძლებელია ამავე მიზეზით ყოფილიყო შეცვლილი სომხურში ბერძნული პროტოტიპისათვის დამახასიათებელი ასოთსახელები. დიდი ნაწილი ამ სახელებისა საკუთრივ სომხურ ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილ სიტყვებს წარმოადგენს; ზოგი სახელი, შესაძლებელია, გაფორმდა უცხოური ნიმუშების მიხედვით. ასე, მაგალითად, სომხ. *pē* შესაძლებელია სათანადო სემიტური (სირიულ - ებრაული) სახელწოდების გავლენით იყოს შექმნილი; ამავე მოდელს მისდევს სახელები *žē, hē, čē, jē, sē, rē, khē*; ასევე შესაძლებელია სემიტურ ნიმუშს ემყარებოდეს სახელები *sew* (შდრ. სემ. *šaw*), *gim* (შდრ. ებრ. *gimel*), *da* (შდრ. ებრ. *dālath*, სირ. *dālath*); ამავე მოდელის მიხედვით გვაქვს *za, ca, ja, ša, ča, řa; tho, ho* და *co* სახელთა ხმოვანი შესაძლებელია ბერძნ. ტან პროტოტიპით იყოს ნაკარნახევი და სხვ. (შდრ. *Schwyzler 1931*).

ძველი სლავური დამწერლობა. ანალოგიურმა ტენდენციებმა თავი იჩინეს აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში უფრო გვიან პერიოდშიც, კერძოდ, სლავურ კულტურულ წრეში, სადაც IX საუკუნიდან მოყოლებული ბერძნულ დამწერლობაზე დამყარებული სლავური წერილობითი სისტემები იქმნება.

ძველი სლავური წერილობითი სისტემები, „გლაგოლიცად“ (*Глаголица*) და „კირილიცად“ (*Кириллица*) წოდებული, შეიქმნა ძველსლავურად ტექსტების ჩასაწერად. ამ პერიოდში იწყება აქლეთის-მსახურება და იქმნება სლავური ქრისტიანული ლიტერატურა, ბიბლიის თარგმანი და სხვა სასულიერო წიგნები. ეს საქმიანობა ქრისტიან მისიონერებს, სლავთა განმანათლებლებს, ძმებს კონსტანტინეს (შემდგომ კირილედ წოდებულს, 827—869) და მეთოდეს (გარდ. 885 წ.) მიეწერება (შდრ. *Diels 1963:19* და შმდ.).

სლავური „გლაგოლიცა“ მომდინარეობს ბერძნული IX საუკუნის მინუსკულური წერისაგან, რაც გლაგოლიცური ანბანის არსებითად ბერძნულ წყობაში, ნიშანთა პარადიგმატიკაში ვლინდება. პროტოტიპული ბერძნული სისტემის პარადიგმატიკა მხოლოდ რამდენიმე ადგილას ირღვევა სისტემაში საკუთრივ სლავურ ბგერათა გამომხატველი ზოგი ნიშნის ჩართვით. არსებითად ბერძნულ სისტემას მისდევს აგრეთვე გლაგოლიცური ანბანის რიცხვითი მნიშვნელობები (შდრ. *Trubetzkoy 1954:22*).

ძველი სლავური ბგერების გამომხატველი ნიშნები, რომელთაც არ მოეძებნებათ ფონეტიკური შესატყვისი ბერძნულ სისტემაში, სლავურში მოთავსდა ძირითადად საკუთრივ ბერძნულისადმი შესაბამისი ნაწილის მომდევნოდ, როგორც ერთგვარი „დანართი“ ძირითადი ნაწილისადმი. ამ „დანართში“ მოთავსდა ისეთი ტიპიური სლავური ფონემები, როგორცაა \check{z} \check{s} \check{z} x_1 და სხვ.*

რამდენადაც ფონემათა რაოდენობა, რომლებიც უნდა გამოხატულიყო სლავურ დამწერლობაში, მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბერძნულს (სადაც წარმოდგენილია $9 \times 3 = 27$ სიმბოლო), საჭირო იყო ბერძნულთან შედარებით დამატებითი ნიშნების შექმნა. რიცხვ-ნიშნათა სრული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ნიშნათა რაოდენობა ახლად შექმნილ დამწერლობაში არ უნდა ყოფილიყო $9 \times 4 = 36$ სიმბოლოზე ნაკლები, და სწორედ 36 ასო-ნიშანს შეიცავდა თავდაპირველად ძველი სლავური გლაგოლიტური დამწერლობა. ანბანთრიგის ბოლო ცხრა ნიშანი აქ „ათასეულების“ აღმნიშვნელ რიცხვით სიმბოლოებად იქნა გამოყენებული (იხ. ტაბულა 19; შდრ. *Trubetzkoy 1954: 22*):

1	ⲁ	a	10	Ⲛ	i_1	100	ⲃ	r	1000	Ⲙ	č
2	Ⲃ	b	20	ⲛ	i_2	200	Ⲅ	s	2000	ⲙ	š
3	Ⲅ	v	30	Ⲟ	h	300	ⲅ	l	3000	Ⲛ	š
4	Ⲇ	g	40	ⲟ	k	400	Ⲉ	$ü_2$	4000	ⲛ	ž
5	ⲇ	d	50	Ⲑ	l	500	ⲉ	/	5000	Ⲝ	ä (h)
6	Ⲉ	e	60	ⲑ	m	600	Ⲋ	x_1	6000	ⲝ	x_1
7	ⲉ	ž	70	Ⲓ	n	700	ⲋ	o_2	7000	Ⲟ	š
8	Ⲋ	z	80	ⲓ	o_1	800	Ⲍ	γ	8000	ⲟ	$ü_1$
9	ⲋ	z	90	Ⲕ	p	900	ⲍ	c	9000	Ⲑ	n

ტაბულა 19

*) ზოგი ასეთი ბგერის გამომხატველი ნიშანი ჩართულ იქნა თვით ანბანის ძირითად, ბერძნულისადმი შესაბამის ნაწილში, რაც, როგორც ჩანს, ბერძნულ ფონოლოგიურმა სიახლოვემ განსაზღვრა. ასე, მაგალითად, ლაბიალური ზშული *č* და ლაბიალური სპირანტი *v*; სიბილანტური ფონემები \check{z} , \check{s} , \check{z} ; ხმოვნები i_1 და i_2 მოთავსებულია სლავურ ანბანში ერთმანეთის მომდევნოდ, რაც ნაწილობრივ არღვევს ბერძნულისათვის დამახასიათებელ პარადიგმატიკას და ერთგვარად ცვლის ბერძნულთან მომდინარე რიცხვით მნიშვნელობათა სისტემას (შდრ. *Trubetzkoy 1954: 22* და შდრ.).

გლაგოლიცური დამწერლობის გრაფიკულ სპეციფიკას ქმნის ის, რომ ბერძნული მინუსკულური კურსივის ერთმანეთთან გადაბმული ასო-ნიშნები აქ გრაფიკულად ერთმანეთისაგან იზოლირებულ სიმბოლოებად არის წარმოდგენილი. ამასთანავე „გლაგოლიცას“ ნიშნები ბერძნული მინუსკულური დამწერლობის შესაბამის ნიშნებთან შედარებით გარკვეულ გრაფიკულ მოდიფიკაციებს ავლენენ, რაც მათ ფორმალურად ბერძნულ პროტოტიპებს აშორებს.

გლაგოლიცური სლავური დამწერლობის ნიშანთა მოხაზულობა იმდენად თავისებური და ორიგინალურია და არ იმეორებს ბერძნულ გრაფიკულ პროტოტიპებს, რომ ზოგ მკვლევარს იგი კონსტანტინე-კირილეს დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფად მიაჩნია (*Леопиус 1952*)*. უდავოა, რომ „გლაგოლიცას“ შემქმნელს მოუხდენია მთელი რიგი ბერძნული წერილობითი ნიშნების გრაფიკული მოდიფიკაცია და სტილიზაცია, საფიქრებელია, იმ მიზნით, რომ ბერძნულ საფუძველზე დამყარებული სლავური წერითი სისტემა დასცილებოდა ფორმალურად ბერძნულ პროტოტიპს და შექმნილიყო ქრისტიანული სლავური ეროვნული დამწერლობის ბერძნულისაგან სრული დამოუკიდებლობისა და ორიგინალობის შთაბეჭდილება (შდრ. *Фортуатов 1913:13*)**.

ზოგიერთი ძველი სლავური, ძირითადად „დანართ. ნაწილში“ წარმოდგენილი ასო-ნიშნის შემთხვევაში შესაძლებელია ვივარაუდოთ აგრეთვე უცხოური გრაფიკული ნიმუშების გავლენა. ასე, მაგალითად, გლაგოლიცური ξ , ζ და x_1 ნიშნებისათვის გრაფიკულ პროტოტიპად კობტურ $\xi \dot{\alpha} j$, $\zeta \alpha n - \dot{\zeta} a$ და $\xi \dot{\alpha} j$ ნიშნებს ვარაუდობენ, ასევე სლავური c ნიშნისათვის ებრაულ $\zeta \dot{\alpha} d \dot{e}$ ნიშანს და სხვ. (შდრ. *Фортуатов 1913:19*). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ასეთი სლავური ფონემა უცხოა ბერძნულისათვის, და ძველი სლავური დამწერლობის შემქმნელი ამგვარი ბგერების აღსანიშნავად გრაფიკულ პროტოტიპებს სხვა, ძირითადად აღმოსავლურ, დამწერლობებში ეძიებს, რომლებსთვისაც დამახასიათებელია ამ ტიპის ბგერათა გამოხატვა.

* არ არის გამორიცხული, რომ ძველ სლავებს რაღაც სახის შერა კონსტანტინე-კირილეს მიერ შემოღებულ „ანბანურ დამწერლობაზე“ მოეპოვებოდათ (შდრ. *Лихачев 1951*).

** სლავური „გლაგოლიცას“ ეს გრაფიკული თავისებურება ბერძნულ დამწერლობასთან შედარებით, მისი გრაფიკული „დამოუკიდებლობა“ ხშირად გამხდარა მიზეზი სხვადასხვა თვალსაზრისების წამოყენებისა ძველი სლავური დამწერლობის წარმოშობის შესახებ. იგი გამოჰყავდათ გერმანიკული რუნებიდან, ფინიკიურიდან, ებრაულიდან და სამარტულიდან; ეთიოპურიდან და ლათინურიდან და სხვ. (ლიტერატურათათვის იხ. *Jensen 1969: 481*; შდრ. აგრეთვე *Истриш 1961 : 258* და შმდ.).

გლაგოლიტური ანბანის ნიშანთა სახელწოდებანი მთლიანად ორიგინალურ საფუძველზე შექმნილი ჩანს გარკვეული სლავური სიტყვების შერჩევით აკროფონული პრინციპის მიხედვით, ე. ი. ისეთი სიტყვებისა, რომელთა თავიკიდური ბგერა ემთხვევა სათანადო ნიშნებით გადმოცემულ ბგერით ერთეულებს: *az, buki, vedi, glagol, dobro*. და სხვ. ასო-ნიშანთა სახელდების ეს პრინციპი იმეორებს გერმანიკული რუნებისათვის და გოთურისათვის დამახასიათებელ პრინციპს (*Schwyzler 1931:198*), აგრეთვე გრაფიკულ სიმბოლოთა სახელდების იმ პრინციპს, რომელიც ძველი სემიტური წერისათვის ივარაუდება (იხ. ზემოთ, გვ. 56).

უფრო ნათელია წარმომავლობის თვალსაზრისით მეორე სახეობა ძველი სლავური დამწერლობისა — „კირილიცა“. ამ ანბანის 43 ნიშნიდან 24 ასო-ნიშანი წარმოადგენს IX—X სს. ბერძნული უნიციალური დამწერლობის გრაფიკულ სიმბოლოებს სათანადო ფონეტიკური მნიშვნელობებით: *α* ხმოვნის ნიშანი ბერძნული პროტოტიპის შესაბამისად *ΟΥ* ნიშანთა კომბინაციით გამოიხატება. ბერძნულ პროტოტიპთან შედარებით გრაფიკულ ინოვაციას წარმოადგენს ლიგატურები: $i+a=[ja]$, $i+e=[je]$, $i+o=[ju]$;

რამდენიმე ნიშანი, სპეციფიკური სლავური ბგერების გამოხატველი:

გლაგოლისა	რუსაჲთუ მნიშვნელობა	კირილისა	რუსაჲთუ მნიშვნელობა	ბაერით მნიშვნელობა
Ⲁ	1	Ⲁ	1	a
Ⲃ	2	Ⲃ	—	b
Ⲅ	3	Ⲅ	2	v
Ⲇ	4	Ⲇ	3	g
Ⲉ	5	Ⲉ	4	d
Ⲋ	6	Ⲋ	5	e
Ⲍ	7	Ⲍ	—	z
Ⲏ	8	Ⲏ	—	dz
Ⲑ	9	Ⲑ, ⲑ	7	z
Ⲓ	10	Ⲓ	10	i
Ⲕ	20	Ⲕ	8	i
Ⲗ	30	—	—	γ
Ⲙ	40	Ⲙ	20	k
Ⲛ	50	Ⲛ	30	l
Ⲝ	60	Ⲝ	40	m
Ⲟ	70	Ⲟ	50	n
Ⲡ	80	Ⲡ	70	o
Ⲣ	90	Ⲣ	80	p
Ⲥ	100	Ⲥ	100	r
ⲧ	200	ⲧ	200	s
ⲉ	300	ⲧ	300	t
ⲉ	400	ⲉ, Ⲋ	400	u
ⲉ	500	ⲉ	500	f
ⲉ	—	ⲉ	9	θ
ⲉ	600	ⲉ	600	x
ⲉ	700	ⲉ	800	α
ⲉ	800?	ⲉ	—	β
ⲉ	900	ⲉ	900	c
ⲉ	1000	ⲉ	—	č
ⲉ	—	ⲉ	—	z
ⲉ	—	ⲉ	—	š
ⲉ	—	ⲉ	—	h
ⲉ	—	ⲉ	—	ch
ⲉ	800?	ⲉ	—	zh
ⲉ	—	ⲉ	—	ju
ⲉ	—	ⲉ	—	ja
ⲉ	—	ⲉ	—	je
ⲉ	—	ⲉ	800	f
ⲉ	—	ⲉ	—	p
ⲉ	—	ⲉ	—	ph
ⲉ	—	ⲉ	—	ps
ⲉ	—	ⲉ	60	E
ⲉ	—	ⲉ	700	ψ
ⲉ	—	ⲉ	400	υ

ჭ, ც, წ, ლ, შ და სხვ., გარკვეული გრაფიკული მოდიფიკაციითა და გამარტივებით გლაგოლიტური დამწერლობიდან იქნა აღებული (*Trubetzkoj 1954: 38* და *შმდ.*), იხ. *ტაბულა 20*; *შდრ. Die's 1963: 22—23*).

მას შემდეგ, რაც „გლაგოლიცა“ XIII საუკუნეში გრაფიკულად უფრო მარტივი „კირილიცათი“ შეიცვალა, ეს უკანასკნელი ერთადერთი გაბატონებული დამწერლობა ხდება ორთოდოქსული ეკლესიის წარმომადგენელი სლავებისათვის: რუსების, უკრაინელების, ბელორუსების; ბულგარელებისა და სერბებისათვის.

რა მიმართებაა სლავური დამწერლობის ამ ორ სახეობას შორის? ისტორიული ტრადიცია („კირილეს ცხოვრება“, *Vita Cyrilli*) ორიგინალური სლავური ანბანის შექმნას ქრისტან მისიონერს კონსტანტინე-კირილეს მიაწერს, თუმცა ამ ცნობაში გარკვევით არ არის მითითებული, თუ რომელი სლავური ანბანი იგულისხმება კონსტანტინე-კირილეს მიერ შექმნილად.

სახელწოდება „კირილიცა“ თითქოს თავისთავად ცხადყოფს ამას, მაგრამ ამისდა მიუხედავად დღესდღეობით გაზიარებული თვალსაზრისის თანახმად, კონსტანტინე-კირილეს სწორედ „გლაგოლიცა“ უნდა შეექმნა ძირითადად ბერძნულ წერილობით პროტოტიპზე დამყარებით და დამატებითი ნიშნების სხვადასხვა აღმოსავლური დამწერლობებიდან გადმოღებით (ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა თვალსაზრისების შესახებ, იხ. *Нечкин 1961: 300* და *შმდ.*)*.

დროთა ვითარებაში კონსტანტინე-კირილეს მიერ შექმნილი გრაფიკულად რთული გლაგოლიტური დამწერლობა ადგილს უთ-

*) სლავთა განმანათლებელსა და „ფილოსოფოსს“ კონსტანტინე-კირილეს მიეწერება ისტორიული ტრადიციის თანახმად სრულიად ორიგინალური სლავური დამწერლობის შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა სლავებს ღვთისმსახურება ეწარმოებინათ მშობლიურ ენაზე. ეს ფაქტი კონსტანტინეს ბიოგრაფიის მიერ უდიდესი მნიშვნელობის ეროვნულ აქტად იყო აღიარებული, რამდენადაც ამიერიდან სლავებიც იმ „დიდ ხალხთა შორის მოექცა, რომელნიც ღმერთს საკუთარ ენაზე აღიღებენ“. კონსტანტინე-კირილეს მიერ შექმნილი ეს სრულიად ახალი და ორიგინალური სლავური დამწერლობა, რომელიც არ იმეორებდა გრაფიკულად არც ერთ იმდროინდელ ცნობილ წერილობით სისტემას, სწორედ გლაგოლიტური დამწერლობა უნდა ყოფილიყო და არა მეორე სახეობა ძველი სლავური დამწერლობისა, რომელიც ძირითადად ბერძნულ გრაფიკულ პროტოტიპს მისდევს (*შდრ. Duornik 1970:103*).

კონსტანტინე-კირილეს ფართო ფილოლოგიური განათლება და ლინგვისტური ერუდიცია გასაგებს ხდის აგრეთვე იმ კავშირებს, რომლებსაც „გლაგოლიცა“ ზოგ აღმოსავლურ შერით სისტემასთან ავლენს (ძველი სლავური დამწერლობის ურთიერთობის შესახებ) ქართულ „ასომთავრულ“ დამწერლობასთან—იხ. ქვემოთ).

მობს უფრო მარტივი მოხაზულობის მქონე, ბერძნულ გრაფიკაზე დამყარებულ მეორე სახეობას ძველი სლავური დამწერლობისას, ე.წ. „კირილიცას“, რომელიც მცირე სისტემური და გრაფიკული გამარტივებითა და -მოდულირებით წარმოდგენილია თანამედროვე რუსული ანბანის და რუსულ გრაფიკაზე დამყარებულ სხვა დამწერლობათა სახით.

ქართული ასომთავრული დამწერლობა

1. ანბანურ დამწერლობათა შიგნით ტიპოლოგია

სხვადასხვა სისტემის ანბანურ დამწერლობათა შედარებითი შესწავლა ალგვიდგენს ანბანის შექმნის პროცესს ნიმუშად აღებული საწყისი წერითი სისტემის მიხედვით, წარმოგვიდგენს დამწერლობის წარმოქმნის ტიპოლოგიას.

პირველი და ძირითადი ეტაპი ამ პროცესისა არის ენის დანაწევრება ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომლებიც უნდა გამოისახოს დამწერლობაში გრაფიკული სიმბოლოებით. ეს არის არსებითად ენის ბგერითი, ფონემური ანალიზი, რაშიც ვლინდება დამწერლობის შემქმნელის ლინგვისტური ალღო და ინტუიცია: იგი წინასწარ ანაწევრებს ენას უმცირეს ბგერით ერთეულებად, რომელთა ერთობლიობა ენის ბგერით სისტემას ქმნის (შდრ. *Rosén 1984:226*).

ამდენად, ყოველი წერითი სისტემა და განსაკუთრებით ანბანური დამწერლობა გულისხმობს იმპლიციტურად ჩატარებულ საკმაოდ მაღალი დონის ფონემურ ანალიზს, და შესაბამისად ყოველი დამწერლობა წარმოადგენს სათანადო ენის ლინგვისტური კვლევის პირველ ნიმუშს*.

რომელიმე *B* ენისათვის დამწერლობის შექმნისას ამ ენის ბგერით ერთეულებს უპირისპირებენ ნიმუშად აღებული *A* ენის ბგერით სისტემას, რომელიც წარმოდგენილია ანბანში გარკვეული თანმიმდევრობით გაწყობილი და შესაბამისი გრაფიკული სიმბოლოებით გამოხატული ბგერების სახით. ნიმუშად აღებული *A* ენის ანბანის მიხედვით

*ა შესაძლებელია საერთოდ ვამტკიცოთ, რომ მეცნიერების დასაბამი საზოგადოდ (და, კერძოდ, ენათმეცნიერული კვლევისა) ამა თუ იმ ხალხის კულტურულ ისტორიაში მოდის სათანადო ენისათვის დამწერლობის შექმნის პერიოდზე; დამწერლობის შექმნა საზოგადოდ მეცნიერული კვლევის დასაწყისს უნდა გულისხმობდეს.

განლაგდება B ენის ფონეტიკურად მსგავსი ბგერები, რომლებიც სათანადო გრაფიკულ გამოსახულებას იძენენ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება შესაბამისობის დადგენა ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე B ენის ბგერებსა და ნიმუშად აღებული A ენის ბგერებს შორის, რომლებიც გარკვეული თანმიმდევრობით წარმოდგენილია ანბანთრიგში.

ამგვარი შესაბამისობის დადგენის შედეგად შესაძარებელი (ანუ პროტოტიპული) A ენის ეს ბგერითი მიმდევრობა ბუნებრივად „გადაისახება“ B ენის ბგერათა წყობაზე.

ამგვარად, შესაძარებელი A ენის პროტოტიპული დამწერლობის პარადიგმატიკა „გადაისახება“ B ენის ახლად შექმნილი დამწერლობის პარადიგმატიკაზე: ეს უკანასკნელი განისაზღვრება სანიმუშოდ აღებული A ენის წერითი სისტემის პარადიგმატიკით.

თუ B ენაში, რომლისთვისაც იქმნება დამწერლობა, აღმოჩნდა უფრო დიდი რაოდენობა ბგერითი ერთეულებისა, ვიდრე შესაძარებელ A ენაშია, B ენის დამწერლობისათვის საჭირო იქნება მეტი გრაფიკული სიმბოლოს შექმნა სათანადო დამატებითი ბგერების გამოსახატავად (შდრ. ამ თვალსაზრისით ვითარება, მაგალითად, კოპტური და სომხური — ბერძნულთან შედარებით, ან ბერძნულში — სემიტურთან შედარებით).

ასეთი დანართი გრაფიკული ნიშნები, გამომხატველი შესაძარებელი ენის თვალსაზრისით „დამატებითი“ ბგერებისა, ემატება სიმბოლოთა ძირითად ნაწილს, რომელიც ნიმუშად აღებული ენის ანბანთრიგის შესაბამისად არის გაწყობილი (შდრ. კოპტური — საპირისპიროდ ბერძნული სისტემისა), ან ჩართულია ძირითად ნაწილში, რითაც არსებითად ირღვევა ნიმუშად აღებული A ენის ანბანის აქ ასახული პარადიგმატიკა (შდრ. სომხური დამწერლობის სისტემა — საპირისპიროდ ბერძნული სისტემა — საპირისპიროდ ძველი სემიტური და სხვ.).

პირუტყვ ვითარების შემთხვევაში, ე. ი. თუ ნიმუშად აღებული A ენის ბგერათა რაოდენობა აღემატება B ენის ბგერათრაოდენობას, რომლისთვისაც იქმნება ანბანი, პროტოტიპულ დამწერლობაში რჩება მთელი რიგი „ქარბი“ სიმბოლოები, რომლებიც აქ B ენის თვალსაზრისით „ზედმეტ“ ბგერით ერთეულებს გამოხატავენ.

მაგრამ პრაქტიკულად იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთი ენის ბგერითი სიმრავლე მთლიანად ფარავს მეორე ენის ბგერით სიმრავლეს, ე. ი. როდესაც ერთ-ერთი ენის ბგერები მთლიანად ემთხვევა მეორე ენის ბგერებს. ჩვეულებრივ, შესაძარებელ ენებში, გარდა ფონეტიკურად

მსგავსი ბგერებისა, არსებობს ბგერათა რაღაც ჯგუფი, რომელიც „სპეციფიკური“ თითოეული ენისათვის (შდრ., მაგალითად, ლარინგალურ-ფარინგალური თანხმოვნები, აგრეთვე ჩ , წ სპირანტები სემიტურში—ბერძნულთან შედარებით, ან $[ks]$, $[ps]$ თანხმოვანთკომპლექსები ბერძნულში—სემიტურთან შედარებით; ფშვინვიერი ph lh kh თანხმოვნები ბერძნულში—გოთურთან შედარებით, და q^w , h^w , β თანხმოვნები გოთურში—ბერძნულთან შედარებით და სხვ.).

ასეთ შემთხვევაში საწყისი, ნიმუშად აღებული ანბანის პარადიგმატიკაში ხდება სათანადო ნიშნების ბგერათმნიშვნელობათა შენაცვლება მოცემული ენისათვის სპეციფიკური მნიშვნელობებით, როგორც წესი, იმ ადგილების შენარჩუნებით, რომლებიც სათანადო ნიშნებს პროტოტიპულ ანბანში ჰქონდათ (შდრ. ბერძნულ სისტემაში ხმოვანთა გამომხატველი ნიშნების ადგილები და მათი წარმომავლობა ძველი სემიტური ლარინგალურ-ფარინგალური თანხმოვნების გამომხატველი ნიშნებისაგან; შდრ. აგრეთვე გოთური ანბანის პარადიგმატიკაში სპეციფიკურ β და h^w თანხმოვანთა გამომხატველი ნიშნები შესაბამისად ბერძნულ $[th]$ და $[ps]$ თანხმოვანთა აღმნიშვნელ სიმბოლოთა ადგილებზე და სხვ.).

ფონეტიკურ მნიშვნელობათა ამგვარი შენაცვლებები საწყისი სისტემის გარკვეულ სიმბოლოებთან (და არა სიმბოლოთა ამოღება სისტემიდან) ნაკარნახევია მიდრეკილებით პროტოტიპული სისტემის პარადიგმატიკის მაქსიმალური შენარჩუნებისადმი ახლად შექმნილ ანბანთსისტემაში, რაზედაც არსებითად დამოკიდებულია სისტემის რიცხვით მნიშვნელობათა ადეკვატურობა საწყისი სისტემის რიცხვითი მნიშვნელობებისადმი*.

მხოლოდ გამოწვევის შემთხვევაში თუ ხდება სისტემაში ფონეტიკურად არაადეკვატური ნიშნის ამოგდება და ანბანის ერთგვარი „შემქიდროება“ საწყის სისტემასთან შედარებით, რაც ახალი სისტემის რიცხვით მნიშვნელობათა ერთგვარ მოდიფიკაციას იწვევს. ასეთი შემ-

* ა) ზოგ შემთხვევაში საწყისი სისტემის გრაფიკული სიმბოლოები შემონახულია ამ მიზნით ახალ სისტემაში სათანადო ადგილებზე ფონეტიკურ მნიშვნელობათა გარეშე კ (შდრ. გვიანბერძნულ სისტემაში ფონეტიკური მნიშვნელობებისაგან დატოლი

⟨ $\sigma\epsilon\lambda\mu\alpha$ — რიცხვითი მნიშვნელობა „ σ “ — და Ψ $\alpha\delta\alpha\alpha$ — რიცხვითი მნიშვნელობა „ θ “). მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ აგრეთვე გოთურ ანბანში ბერძნული $\alpha\delta\alpha\alpha$ საგან მომდინარე ნიშანი, რომელიც მოკლებულია ფონეტიკურ მნიშვნელობას, მაგრამ, ანბანთრიგში ბერძნულს შესაბამის ადგილას წარმოდგენილი, გამომხატავს რიცხვით მნიშვნელობას „ θ “; აგრეთვე კოპტურ სისტემაში ბერძნული $\sigma\epsilon\lambda\mu\alpha$ საგან მომდინარე ნიშანი, რიცხვითი მნიშვნელობით „ σ “.

თხვევა წარმოდგენილია ბერძნულ ანბანში სემიტური ζ *šādē* ნიშნისაგან მომდინარე სიმბოლოსთან დაკავშირებით, რომლის მეტად ადრეულ ამოღებას სისტემაში რიცხვით მნიშვნელობათა გადასაცელებამ მოჰყვა: მნიშვნელობა „90“. რომელიც სისტემაში ζ *šādē* ნიშნისაგან წარმომდგარი სიმბოლოთი უნდა გამოსახულიყო, Υ *χόππα* ნიშანზე გადადის და მნიშვნელობები „100“, „200“ და ა. შ.— შესაბამისად *χόππα* წარმოდგენო ნიშნებზე. მხოლოდ მოგვიანებით ჯდება ζ *šādē* საგან მომდინარე ბერძნული ნიშანი ζ *σάμπαι* ანბანის ბოლოს, რიცხვითი მნიშვნელობით „900“.

ნიმუშად აღებული *A* ენის წერითი სისტემის მიხედვით მოცემული *B* ენის ბგერით ერთეულთა გაწყობა გულისხმობს ამავე დროს ამ ბგერათათვის სპეციალური გრაფიკული სიმბოლოების დადგენას — შეთხზვას, რომელთა საშუალებით ეს ბგერები უნდა გამოიხატოს. ეს ორი პროცესი — მოცემულ *B* ენაში ნიმუშად აღებული *A* ენის მიხედვით ბგერითი ერთეულების გამოყოფა-დალაგება და მათი გამომხატველი გრაფიკული სიმბოლოების შექმნა — ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცედურას წახავეს და ერთმანეთს გულისხმობს; დამწერლობის როგორც შინაარსის, ისე გამოხატულების პლანის შექმნა ორიგინალური შემოქმედების ერთიან პროცესს წარმოადგენს*.

* ყოველი დამწერლობის სათავეში, იქნება ეს ძველი სემიტური, არქაული ბერძნული, კობტური, გოთური თუ რომელიმე სხვა, დგას კონკრეტული პიროვნება ან, შესაძლებელია, პიროვნებათა ჯგუფი, ამ დამწერლობის შემქმნელი, რომელიც ერთიანი გაგმის მიხედვით ადგენს ახალ წერით სისტემას გარკვეული წერილობითი პროტოტიპის საფუძველზე. ნიმუშად აღებული ამ პროტოტიპის თანახმად გამოიყოფა ბგერითი ერთეულები საკუთარ ენაში, გამოიხატება სათანადო გრაფიკულ სიმბოლოებით და გაიწყობა გარკვეული წესის მიხედვით ახლად შექმნილ წერით სისტემაში. ამავე დროს ახალი დამწერლობის შექმნა კონკრეტული წერილობითი პროტოტიპის მიხედვით ერთდროულ შემოქმედებით აქტს წარმოადგენს; იქნება ახალი დამწერლობის მთლიანი სისტემა, რომლის დროთა ვითარებაში მხოლოდ ერთგვარი მოდიფიცირება და სრულყოფა თუ შეიძლება, რაც გარკვეული ნიშნების მიმატებასა, გამოკლებასა თუ გარდაქმნაში გამოიხატება.

ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება ისე, თითქოს თავდაპირველად იქმნება რამდენიმე ნიშანი, რომლებსაც შემდგომ კიდევ რამდენიმე ემატება; ამას კიდევ რაღაც რაოდენობა ერთის და ა. შ., სანამ ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში არ მიიღება საკმაოდ სრული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხერხდება ამა თუ იმ ენაზე ტექსტის ჩაწერა. წერილობითი სისტემა, რამდენადაც იგი დამწერლობას წარმოადგენს, იმთავითვე სრული სისტემის სახით ყალიბდება, რომელიც შეიცავს ამა თუ იმ ენის ადეკვატური წერილობითი გამოსახვისათვის საჭირო და აუცილებელი ძირითადი გრაფიკული სიმბოლოების რაოდენობას, და ამ აზრით არის სწორედ წერილობითი

ყველაზე მარტივი გზა დამწერლობის გამოხატულების პლანის გაფორმებისა და ენის ბგერითი ერთეულებისათვის გრაფიკული სიმბოლოების შექმნისა იქნებოდა, ბუნებრივია, შესაქმნელ ანბანში სანიმუშოდ აღებული დამწერლობიდან იმ ნიშნების გრაფიკული ფორმის გადმოღება, რომლებიც საწყის ენაში ფონეტიკურად მსგავს ბგერებს გამოხატავენ, და შექმნილ სისტემაში მათი სათანადო, საწყისი სისტემისადმი შესაბამისი, განლაგება. დამატებითი ნიშნები, გამოხატველი მოცემული ენისათვის სპეციფიკური ბგერებისა, შესაძლებელია წარმოიქმნას საწყისი სისტემიდან გადმოღებული ნიშნების გრაფიკული მოდიფიკაციით ან სხვა წერილობითი წყაროებიდან სესხების გზით, სადაც შესაძლებელია აღმოჩნდეს მოცემული ენისათვის დამახასიათებელ დამატებით ბგერათა ფონეტიკურად ანალოგიური ბგერების გამოხატველი ნიშნები.

დამწერლობის შექმნის აღწერილი პროცესის ამსახველია სწორედ არქაული ბერძნული ანბანი, რომელიც არსებითად იმეორებს ძველი ჩრდილო-სემიტური დამწერლობის ნიშანთა მოხაზულობას, ხოლო დანართი ნიშნები იქმნება ძირითად ნიშანთა გრაფიკული მოდიფიკაციით ან რომელიმე სხვა წერილობითი წყაროებიდან სესხების გზით.

ანალოგიური ხასიათისაა სისტემის გამოხატულების პლანის თვალსაზრისით კოპტური და გოთური ანბანები და სლავური „კირილიცა“, რომლებიც ბერძნულ წერით სისტემას ემყარებიან არა მარტო შინაგანი სტრუქტურის თვალსაზრისით, არამედ შესაბამის წერილობით ნიშანთა გრაფიკული მოხაზულობითაც, რაც ბერძნული უწყიალური დამწერლობის მრგლოვან დუქტუსს ასახავს. დამატებითი ნიშნები ამ სისტემებში იქმნება არსებულ ძირითად ნიშანთა გრაფიკული მოდიფიკაციებით ან ცალკეულ ნიშანთა სხვა წერითი წყაროებიდან სესხებით (ზოგ შემთხვევაში ამავე ენებზე არსებულ უფრო ადრინდელი წერითი სისტემიდან, შდრ. დემოტური ნიშნები კოპტურ დამწერლობაში,

სისტემის შექმნა „ერთდროული აქტი“, განხორციელებული კონკრეტული პიროვნების თუ პიროვნებათა ჯგუფის ერთიანი შემოქმედების შედეგად.

ამ თვალსაზრისით ნებისმიერი წერილობითი სისტემის მიმართ უნდა დაისვას კითხვა არა იმის შესახებ, არის თუ არა იგი ერთდროული შემოქმედებითი აქტის პროდუქტი (დამწერლობის კონკრეტული შემქმნელი ყოველი ისტორიულად არსებული წერილობითი სისტემის შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ); კითხვა შეიძლება დაისვას იმის თაობაზე, არის თუ არა გარკვეული წერითი სისტემა ჩვენთვის ცნობილი იმ სახით, რა სახითაც იგი გამოვიდა მისი შემქმნელის ხელიდან, თუ ჩვენამდე მოღწეული დამწერლობა წარმოადგენს პირვანდელი სისტემის ევოლუციისა და განვითარების შედეგად გრაფიკულად შეცვლილ და შედგენილობის თვალსაზრისით მოდიფიცირებულ ვარიანტს.

რუნული ნიშნები გათუჩვი, გლაგოლიცური ნიშნები სლავურ „კირილიცაში“).

დამწერლობის გამოხატულების პლანის შექმნის აღწერილისაგან არსებითად განსხვავებულ გზას წარმოგვიდგენს შემთხვევა, როდესაც საწყისი, ნიმუშად აღებული დამწერლობის ნიშნები, რომლებიც მსესხებული ენის სათანადო ფონეტიკურად მსგავს ბგერებს გამოხატავენ, გადმოდიან ახალ დამწერლობაში არა გრაფიკულად უცვლელი სახით, არამედ გარკვეული გრაფიკული, შესაძლებელია შეგნებულად განხორციელებული, მოდიფიკაციებით, რაც მნიშვნელოვნად ცვლის სათანადო ნიშნების გრაფიკულ ფორმას პროტოტიპული სისტემის სიმბოლოებთან შედარებით, ისე რომ იჩრდილება სათანადო სიმბოლოთა ერთმანეთთან ფორმალური კავშირი (მდრ. სლავური „გლაგოლიცა“ საპირისპიროდ ბერძნული მინუსკულური დამწერლობისა).

საწყისი სისტემის ამგვარი გრაფიკული მოდიფიკაციები შეიძლება განხორციელებულიყო მოცემული დამწერლობისათვის ნიმუშად აღებული წერით სისტემასთან კავშირის დაფარვის მიზნით, რასაც შესაძლებელია გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური საფუძვლები ჰქონოდა.

ამ ტენდენციის უკიდურეს გამოვლენას წარმოგვიდგენს ძველი სომხური დამწერლობა, რომელიც ასევე ბერძნულ წერილობით სისტემას ემყარება, მაგრამ რომელსაც არსებითად გარდაქმნილი აქვს სისტემის გამოხატულების პლანი. ბერძნულ ბგერიო სისტემასთან შეფარდებით დადგენილი და განლაგებული სომხური ბგერთი ერთეულები გამოიხატა არა შესაბამის ბერძნულ გრაფიკულ სიმბოლოებზე დამყარებული ნიშნებით, არამედ მთლიანად ბერძნული გრაფიკისაგან დამოუკიდებლად შეითხზა, შესაძლებელია, ორიგინალურ ნიადაგზე ან სხვადასხვა გრაფიკული ნიმუშების გამოყენებით.

ამ თვალსაზრისით ძველი სომხური დამწერლობა ბერძნულ წერით სისტემაზე დამყარებულ დამწერლობათა შორის მეტად თავისებურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც უპირისპირდება ამ მხრივ ბერძნული სისტემის გამოხატულების პლანის ამსახველ დამწერლობებს: კოპტურს, გათურს, სლავურ „კირილიცას“ და სხვ. ეს წერითი სისტემები ბერძნული დამწერლობისაგან წარმომდგარ ანბანურ დამწერლობათა ტიპოლოგიაში უკიდურეს პოლუსებს ქმნიან. ამათ შორის მოთავსდება ტიპოლოგიურად სლავური „გლაგოლიცა“, რომელიც არ წყვეტს მთლიანად გრაფიკულ კავშირს პროტოტიპული დამწერლობის გამოხატულებასთან, მაგრამ წარმოგვიდგენს ბერძნული სისტემის გრაფიკულ სიმბო-

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა

ა	ა	a	an	ბ	ბ	r	rae
ბ	ბ	b	ban	ს	ს	s	san
გ	გ	g	gan	ქ	ქ	t'	t'ar
დ	დ	d	don	ღ	ღ	wi	wie
ე	ე	e	en	ყ	ყ	p ^h	p ^h ar
ვ	ვ	v	vin	ჩ	ჩ	k ^h	k ^h an
ზ	ზ	z	zen	ც	ც	q'	q'ar
თ	თ	t ^h	t ^h an	ძ	ძ	š	šin
ი	ი	i	in	წ	წ	č	čin
კ	კ	k'	k'an	ც	ც	c	can
ლ	ლ	l	las	ძ	ძ	z	zil
მ	მ	m	man	წ	წ	c'	c'il
ნ	ნ	n	nar	ჭ	ჭ	č'	č'ar
ო	ო	j	je	ხ	ხ	x	xan
პ	პ	o	on	ჯ	ჯ	q ^h	q ^h ar
ჟ	ჟ	p'	p'ar	რ	რ	ž	žan
ჭ	ჭ	ž	žan	ს	ს	h	hae

ლოებს უარესად მოდიფიცირებული და გრაფიკულად სტილიზებული წერილობითი ნიშნების სახით.

ამავე ჩგუფში უნდა მოთავსდეს ტიპოლოგიურად კიდევ ერთი წერილობითი სისტემა, რომელიც ბერძნულ დამწერლობას ემყარება. ეს არის ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა (იხ. ტაბულა 21).

ქართული ანბანის ბერძნული პროტოტიპის მიხედვით შექმნა, ბერძნული წერილობითი ნიმუშისაგან მომდინარეობა ვლინდება ძველი ქართული დამწერლობის მთელი რიგი შინაგანი სტრუქტურული მონაცემების საფუძველზე, ქართული წერილობითი სისტემის შინაგანი წყობისა და პარადიგმატიკის მიხედვით*.

2. კრქული ქართულის ფონეზური (ბგერითი) შედგენილობა

ძველი ქართული დამწერლობა შეიქმნა სათანადო პერიოდის ქართულის წერილობითი ფიქსაციისათვის ენის ბგერითი ერთეულების სპეციალური გრაფიკული სიმბოლოებით გამოხატვის საშუალებით.

უძველესი პერიოდის ქართულის ბგერითი სისტემა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს ისტორიულ ქართველურ ენათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე და თვით ქართული ენის შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, მისი განვითარების უძველესი წერილობითი ფიქსირებული ეტაპების გათვალისწინებით.

ქართული ენის ბგერითი სისტემის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო სპეციფიკას მისი განვითარების მთელს მანძილზე წარმოადგენს საოცარი ფონეტიკური კონსერვატიზმი, ფონეტიკური ცვლილებებისადმი უმნიშვნელო მიდრეკილება, რამაც უძველესი პერიოდის ქართული ბგერითი შედგენილობა დღემდე შემოგვინახა არსებითი ხასიათის ფონეტიკური გარდაქმნების გარეშე.

უძველესი პერიოდის ქართულისათვის შემდეგი ბგერითი შედგენილობა არის სავარაუდებელი:

*) ქართული ასომთავრული დამწერლობის ბერძნულისაგან მომდინარეობას ვარაუდობდა ჟერ კიდევ ვ. გარდტაუზენი (*Gardthausen* 1876; 1879:109); ანალოგიურ თვალსაზრისს გამოთქვამდნენ აგრეთვე დ. ბაქრაძე (1889: 82—85), დ. კარიჭაშვილი (1914), ე. ქეკელიძე (1929), პ. ინგოროყვა (1939).

არქაული ქართულის ფონემური სისტემა

I თანხმოვნები

ხმულები:	მკდერი	ყრუ (ფშვინვიერი)	გლოტალიზებული (ყელბზული)
ლაბიალი:	b ბ	ph ფ	p' პ
დენტალი:	d დ	th თ	t' ტ
ველარი:	g გ	kh ქ	k' კ
პოსტველარი:	— —	qh ჭ	q' ყ

აფრიკატები:

სისინა:	ʒ ძ	c ც	c' წ
(ალვეოლარული)			
შიშინა:	ʒ' ჯ	č ჩ	č' ჳ
(პალატალური)			

სპირანტები:

სისინა:	z ზ	s ს
(ალვეოლარული)		
შიშინა:	ʒ' ჟ	ʃ შ
(პალატალური)		
უკანაენისმიერი:	ɣ ლ	x ხ

სონორები: l ლ r რ m მ n ნ

II სონანტები

ლაბიალური: w ჳ (ვარიანტებით: [w] [უ], [v] [ვ], [u] [უ])

პალატალური: j ა (ვარიანტებით: [j] [ა], [i] [ი])

III ხმოვნები

a ა e ე o ო

სონანტები წარმოადგენდა არქაულ ქართულში ისეთი ფონემური ერთეულების კლასს, რომლებიც ვლინდებოდა სინტაგმატურად ორი ძირითადი ვარიანტის სახით: მარცვლოვანი და უმარცვლო — ფონეტიკური პოზიციებისა და მიხედვით. ამის შესაბამისად, /w/ სონანტი განარჩევს მარცვლოვან [u] და უმარცვლო [w], [v] ვარი-

ანტებს, ხოლო // სონანტი ელინდება მარცვლოვანი [l] და უმარცვლო [j] ვარიანტის სახით.

არქაული პერიოდის ქართულში ამ ბგერითი ერთეულების საერთო /w/ და // სონანტურ ფონემათა ვარიანტებად ფუნქციონირება, რაც საერთო-ქართველური ენობრივი სისტემიდან მომდინარეობს, ჩანს ჯერ კიდევ ძველი ქართულიდან, სადაც ეს ბგერითი ერთეულები ერთმანეთთან პოზიციურად მონაცვლე ბგერით სეგმენტებს წარმოადგენს: შდრ. ძველ ქართულში ისეთი პარადიგმატურად მონაცვლე ფორმები, როგორიცაა ვ-თქუ, ს-თქუ~თქტ-ა; ვ-სუ, ჰ-სუ~სტ-ა; უ-კჷ-ან-ა~უ-კუ-ნ-; ვ-კჷეთ~სა-კუთ-არ- და სხვ.

ი/ა მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში შდრ. სახელობითი ბრუნვის დაბოლოება თანხმოვან- და ხმოვანფუძიან სახელებში: კაც-ი, ქალ-ი~მამა-ა, მზე [მზე-ა], წყარო-ა და მისთ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით /w/ სონანტის უმარცვლო [v] და [w] ვარიანტთა მონაცვლეობა, რაც განისაზღვრებოდა ინტერვოკალური პოზიციით: V—V, და პოზიციით თანხმოვანსა და ხმოვანს ან ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: C—V ან V—C, შდრ. თავ-ი~თჯი [თჯისი]~თაჯყანის-ხცეს [თაჯყანის-]; ვ-შევ~მშჷ-ა; შჯლი [შჯილი]; მო-ვედ~მო-ხ-ჷედ და მისთ.

ფონეტიკურად ეს ვარიანტები, საფიქრებელია, უპირისპირდებოდა ერთმანეთს როგორც კბილ-ბაგისმიერი ლაბიალი ბგერა წყვილ-ბაგისმიერს.

საერთო-ქართველურ სონანტურ ფონემათა კლასი /w j r l m n/ ქართულ ენობრივ სისტემაში დაყვანილ იქნა მხოლოდ ორ, /w/ და // ფონემურ ერთეულზე, რამდენადაც /r l m n/ ფონემათა მარცვლოვანი ალოფონების ვოკალიზაციის შედეგად ქართულში /r l m n/ სონორები ჩამოყალიბდა თანხმოვანი ფონემების სახით (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 38 და შმდ.).

საკუთრივ ხმოვანთა კლასს არქაულ ქართულში ქმნიან a, e და o ბგერითი ერთეულები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც მარცვლოვანი ელემენტები ყველა მათთვის დამახასიათებელ პოზიციებში.

საკუთრივ ხმოვნები /w/ და // სონანტებთან კომბინაციაში სპეციფიკურ სინტაგმატურ ერთეულებს, დიფთონგებს ქმნიან, რომელთა მეორე ელემენტი სწორედ სონანტურ ფონემას წარმოადგენს მისი უმარცვლო ვარიანტის სახით. ამგვარ დიფთონგებად არქაული ქართულისათვის აღდგება [ეჷ] ew, [ეა] ej; [აჷ] aw, [აა] aj და [ოჷ] ow, [ოა] oj სეგმენტები, რომელთა უხმოვნო სახეობანი მორფონოლოგიურ მონაცვლეობათა პროცესში (ე. ი. e ა o ხმოვანთა გარეშე) წარმოდგენი-

ლი იყო მხოლოდ სონანტებით, შესაბამისი მარცვლოვანი [u] და [i] ვარიანტების სახით. ამ ტიპის მორფოლოგიური მონაცვლეობანი არქაულ ქართულში, ისევე როგორც საერთო-ქართველურ ენობრივ სისტემაში, ენის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი სტრუქტურული თავისებურება უნდა ყოფილიყო, რაც "მას ძველ ქართულ სისტემაში (და ნაწილობრივ ახალ ქართულშიც) გადმოჰყვა.

არქაული ქართული ენის თანხმოვანთა კლასი არსებითად იმავე შედგენილობისაა, რაც ისტორიული ხანის ძველი ქართულისა.

შედარებით გვიანდელ წარმომავლობას აელენს მქლეური სპირანტი /ვ/ [z] ფონემა. რომელიც ქართულ ენობრივ სისტემაში მეორეულია (შდრ. ჩიქობავა 1936: 28; I'okhuanashvili 1937). ამისდა მიუხედავად, შესაძლებელია ამ ბგერის პოსტულირება ჯერ კიდევ არქაული პერიოდის ქართულისათვის.

არქაული ქართული კონსონანტიზმის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე /h/ ფონემის უქონლობა, რაც ასახულია ჯერ კიდევ V—VI საუკ. ძველი ქართულის „ხანმეტ“ ტექსტებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ /ჰ/ ფონემა ჩნდება ძველ ქართულში შედარებით მოგვიანებით, VII საუკუნიდან მოყოლებული, ცალკეულ სიტყვებში (ძირითადად შორისდებულებში) და /ხ/ [x] ფონემის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად გარკვეული ტიპის მორფოლოგიურ სტრუქტურებში (სუბიექტ-ობიექტური პირის გამომხატველ მორფემებში), რაც ძველქართულ „ჰამეტ“ ტექსტებში აისახა (შდრ. ჯავახიშვილი 1949: 310—314; ონიანი 1972).

ფონოლოგიური თვალსაზრისით არქაული ქართულის ხშულთა სამეულები, ისევე როგორც ძველი ქართულისა, უპირისპირდებიან ერთმანეთს მქლეობა—სიყრუისა და გლოტალიზაციის (ყელხშულობის) ნიშნით. ყრუ ხშულთა ფშვინეირება ფონოლოგიურად ქარბ ნიშანს წარმოადგენს, რომელიც ქმნის ამ ბგერათა სპეციფიკურ ფონეტიკურ მახასიათებელს (ისევე როგორც ეს, მაგალითად, სემიტურ კონსონანტიზმში უნდა გვქონოდა). არქაული ქართული კონსონანტიზმის ეს სტრუქტურა და თავისებურებანი საერთო-ქართველური ფონემური სისტემის უშუალო ასახვასა და ვაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს (შდრ. მაჭავარიანი 1965).

3. კველი ქართული ასომთავრული ანბანის შესაკლებელი წერიტი პროტოტიპები

სრბაული ქართულის ამ ბგერითი სისტემის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო სწორედ ძველი ქართული ანბანის შექმნა, რომელიც მოწოდებული იყო წერილობით, სათანადო გრაფიკული ნიშნების საშუალებით გამოეხატა ქართულისათვის დამახასიათებელი ბგერითი შედგენილობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველი დამწერლობის, და განსაკუთრებით ანბანური წერითი სისტემის, შექმნის პირველ და აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს ენის ბგერითი სისტემის წინასწარი სეგმენტირება ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომლებიც უნდა გამოისახოს გრაფიკული სიმბოლოების საშუალებით; ამა თუ იმ ენისათვის ანბანური დამწერლობის შექმნა გულისხმობს ამ ენის ბგერით ერთეულთა საკმაოდ სრული და ამომწურავი სისტემის წინასწარ მოცემულობას. ენის ბგერითი სისტემის ამ წინასწარ ანალიზზე არსებითად დამოკიდებული მის შესაბამისად შექმნილი დამწერლობის ხასიათი და ფუნქციური სრულყოფილების ხარისხი. რაც უფრო თანმიმდევრული, სრული და ენის ბგერითი შედგენილობისადმი ადეკვატურია ანბანის შემდგენლის მიერ ჩატარებული ამგვარი წინასწარი ფონემურ-ფონეტიკური ანალიზი, მით უფრო სრულყოფილია ენის ბგერითი შედგენილობის ამსახველი დამწერლობა, მით უფრო შეესაბამება იგი ენის გრაფიკული ფიქსირების მიზნებს.

ირკვევა, რომ ქართული ანბანის შემქმნელს ზედმიწევნითი სისრულით აქვს წარმოდგენილი თანადროული ქართული ენის ბგერითი სისტემა: იგი სრულად და ამომწურავად ითვალისწინებს ქართული ენის ბგერათა (ფონემათა) ინვენტარს, რომელთა გრაფიკული გამოხატვა აუცილებელია ქართული ენის ადეკვატური წერილობითი გადმოცემისათვის.

ქართული ენის ბგერითი ინვენტარი იმდენად სრულად და თანმიმდევრულად არის ასახული ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, რომ მას ამ თვალსაზრისით (ე. ი. ნიშანთა შემადგენლობისა და მათ ფონეტიკურ მნიშვნელობათა მხრივ) შემდგომ არსებითი ცვლილებები არც კი განუცლია.

თანამედროვე ქართული დამწერლობა თავისი შინაგანი სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით ასახავს ძირითადად ძველ ქართულ

წერით სისტემას (რამდენიმე ნიშნის ამოღებით: *შ*, *ა* და *ჭ*, რომელნიც გამოხატავდნენ ძველ სისტემაში ახალი სალიტერატურო ქართულისათვის არასაკირო ბგერებს).

მაგრამ რომელი წერითი სისტემა აქვს აღებული ქართული ანბანის შემქმნელს ნიშნად, წერილობით პროტოტიპად, რომელ დამწერლობას უფარდებს იგი ქართულ ბგერათა ინვენტარს, ქართული ენის ბგერათა სიმრავლეს, რათა მოახდინოს სისტემაში მოცემულ ბგერათა გარკვეული წესით დალაგება და გამოხატოს ისინი შესაბამისი გრაფიკული სიმბოლოებით? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნიშნად აღებული რომელი დამწერლობის მიხედვით უნდა ყოფილიყო გაწყობილი ახლად შექმნილი ქართული ანბანი, რომელი წერითი სისტემა უდევს მას საფუძვლად?

ეს არის არსებითად პრობლემა ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობისა, დაყვანილი სრულიად კონკრეტულ ამოცანაზე, სახელდობრ იმის გარკვევაზე, თუ რომელ წერილობით სისტემას ემყარება ქართული დამწერლობა როგორც ნიშნულს, როგორც პროტოტიპულ მოდელს, რომელიც განსაზღვრავს მის წყობასა და პარადიგმატიკას.

ამ თვალსაზრისით ძველი ქართული ანბანის შესაძლებელ პროტოტიპებად წარმოგვიდგება პირველ რიგში ძველი სემიტური დამწერლობა (ან მისგან წარმომდგარი რომელიმე სემიტური წერითი სისტემა) [ჯავახიშვილი 1949; შდრ. ახლა აგრეთვე კატარიძე 1980], ან ბერძნული ანბანური დამწერლობა (ან მისგან წარმომდგარი სხვა ტიპის ანბანური დამწერლობანი), შდრ. Gardthausen 1876; 1879:109; ბაქრაძე 1889:82 და შმდ.; კეკელიძე 1929 და სხვ.

ყველა შემთხვევაში (ე. ი. ქართული დამწერლობის სემიტური თუ ბერძნული წერითი სისტემისაგან წარმომავლობის დაშვებით) ერთი რამ წინასწარ ცხადია: როგორც სემიტურ, ისე ბერძნულ სისტემასთან შედარებით ქართული ბგერითი სისტემა ხასიათდება ბგერათა (კერძოდ, თანხმოვან ფონემათა) უფრო დიდი რაოდენობით. მაშასადამე, ორივე ამ სისტემასთან შეფარდებისას ქართულში დარჩება ერთი ჯგუფი თანხმოვნებისა, რომლებიც ვერ პოვებენ ფონეტიკურ ეკვივალენტებს შესაძარებელ სისტემებში.

ეს ქართული თანხმოვნები ამ თვალსაზრისით „დანართ“, „დამატებით“ ბგერებად შეიძლება ჩაითვალოს შესაძარებელ სისტემებთან შეფარდებით; ეს „დამატებითი“ თანხმოვნები ქართულისათვის „სპეციფიკური“ თანხმოვნებია შესაძარებელ სისტემათა თვალსაზრისით.

ამგვარად, ქართული დამწერლობის შექმნის პროცესში ნიშნად აღებულ სისტემებთან ქართულ ბგერათა შეფარდების დამყარებისას,

მთელი სიმრავლე ქართული ბგერითი ერთეულებისა ორ ჯგუფად უნდა გაყოფილიყო, რომელთაგან პირველი და ძირითადი ჯგუფი განისაზღვრებოდა შესაღარებელი სისტემის ბგერითი ერთეულებით და ამ უკანასკნელის ანბანთრიგის მიხედვით გაიწყობოდა, ხოლო მეორე ჯგუფი ბგერებისა იქნებოდა ქართულისათვის შესაღარებელი სისტემის თვალსაზრისით „სპეციფიკური“ და ამ აზრით იგი დამატებით ბგერათა სიმრავლეს შექმნიდა, რომელიც ანბანში „დანართ ბგერათა“ სახით დაემატებოდა გარკვეული წესის მიხედვით გაწყობილ ძირითად ბგერებს.

ამდენად, ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა ორი ძირითადი ასპექტით ხასიათდება. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, გარკვევა იმ წერილობითი პროტოტიპისა, რომლის მიხედვითაც უნდა გაწყობილიყო ქართული ანბანის „ძირითადი ნაწილი“ და მეორე: გამოვლენა იმ წერითი წყაროებისა (თუ კი ასეთი არსებობს) და პრინციპებისა, რომელთა მიხედვით ანბანის „დანართი ნაწილი“ უნდა შექმნილიყო და დამატებოდა ძირითად ნაწილს ერთიანი ქართული ანბანთსისტემის საწარმოებლად.

ამდენად, ჩვენი ამოცანა—ძველი ქართული დამწერლობის წარმომავლობის გარკვევა—ამ ეტაპზე კიდევ უფრო კონკრეტულ სახეს იძენს და დაიყვანება იმის გარკვევაზე, თუ რომელი წერილობითი ნიმუშის მიხედვით იქნა გაწყობილი ქართული ანბანის ძირითადი ნაწილი, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რომელი წერითი პროტოტიპი—სემიტური თუ ბერძნული—განსაზღვრავს ქართული ანბანის ძირითადი და დამატებითი ნაწილების შინაგან სტრუქტურასა და შედგენილობას.

გასაგებია, რომ სხვადასხვა დამწერლობათა საწყის ნიმუშად, პროტოტიპად ან წერით მოდელად აღება სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს ახლად შექმნილი დამწერლობის „ძირითად“ და „დანართ“ ნაწილებს; სხვადასხვა წერითი პროტოტიპის მიხედვით სხვადასხვაგვარად განაწილდება ბგერითი ერთეულები და მათი გამომხატველი სიმბოლოები ანბანის „ძირითად“ და „დამატებით“ ნაწილში.

ამ თვალსაზრისით სემიტური და ბერძნული დამწერლობის შეფარდება ძველ ქართულ ანბანურ დამწერლობასთან გამორიცხავს ამ უკანასკნელის მომდინარეობას სემიტური წერითი სისტემისაგან და ავლენს მის გენეტურ კავშირს ბერძნულ დამწერლობასთან.

ქართული ანბანის წარმომავლობა სემიტურისაგან ნაკლებ სავარაუდოა უკვე იმის გამო, რომ ძველი სემიტური წერითი სისტემა (და მისგან წარმომდგარი სხვა სემიტური დამწერლობანი) ნარევი „კონსონანტურ-სილაბური“ ტიპის დამწერლობაა, მაშინ როდესაც ქართულ

დამწერლობაში მკაცრად და თანმიმდევრულადაა გატარებული წერის „ანბანური პრინციპი“, რაც პირველად დამწერლობათა ისტორიაში ბერძნულ წერით სისტემაში განხორციელდა ძველი სემიტური სისტემის სათანადო სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად (იხ. ზემოთ, გვ. 66 და შმლ.).

ამავე დროს, ქართული ანბანის შექმნისას წერით ნიმუშად სემიტური სისტემის აღების შემთხვევაში, ქართულ ანბანს სულ სხვა წყობა და სტრუქტურა ექნებოდა, ანბანის „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილები სულ სხვაგვარი შედგენილობისა იქნებოდა, ვიდრე ეს ძველ ქართულ დამწერლობაშია დადასტურებული.

ქართული ანბანის შექმნისას ბერძნული (და არა სემიტური) წერითი სისტემა იქნა გამოყენებული როგორც წერითი ნიმუში, როგორც პროტოტიპი, რომლის მიხედვითაც გამოიყო ბგერითი ერთეულები ქართულში, გაიწყო ანბანი და განისაზღვრა მისი „ძირითადი“ და „დანართი“ ნაწილების შედგენილობა და სტრუქტურა.

ძველი ქართული ანბანის შექმნისათვის საყრდენ ნიმუშად ბერძნული დამწერლობის მიჩნევა სავსებით გასაგებს ხდის ქართული სისტემის სტრუქტურასა და პარადიგმატიკას, მისი „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილების ხასიათსა და ბგერით შედგენილობას.

ამასთანავე საგულისხმოა, რომ ყველა ის თავისებურება ბერძნული დამწერლობისა, რითაც ეს უკანასკნელი განსხვავდება ძველი სემიტურისაგან, ყველა ის სპეციფიკური, საკუთრივ ბერძნულისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული ნიშანი, წარმოქმნილი ბერძნულ ანბანში მისი შექმნისას სემიტურისაგან და აგრეთვე მისი შემდგომი განვითარების პროცესში, ასახულია სრულად ქართულ ანბანში, რაც ნათლად მიწმობს ძველი ქართული დამწერლობის ბერძნული (და არა უშუალოდ სემიტური) სისტემისაგან წარმომავლობას.

ძველი ქართული დამწერლობის მთელი რიგი სტრუქტურული თავისებურებანი აიხსნება ბერძნული დამწერლობის საშუალებით; ისინი ბერძნული დამწერლობის სტრუქტურულ მახასიათებლებს იმეორებენ.

ძველი ქართული ანბანის შეპირისპირება ძველ სემიტურ სისტემასა და ბერძნულ დამწერლობასთან ავლენს ქართული სისტემის სემიტურისაგან განსხვავებულ წყობას და ქართული ბგერების ანბანთრიგში განაწილებას ფონეტიკურად მსგავსი ბერძნული ბგერების ანბანური წყობის მიხედვით (იხ. ტაბულა 22).

ქართული ანბანის პარალიგმატიკა
სემიგურთან და ბერძნულთან შედარებით

სემიგური	ბერძნული	ქართული
ა 1	A a 1	ა ა 1
ბ 2	B b 2	ბ ბ 2
გ 3	Γ γ 3	ღ ღ 3
დ 4	Δ δ 4	რ რ 4
ე 5	E ē 5	ე ე 5
ვ 6	Ϝ ϝ 6	ვ ვ 6
ზ 7	Z z 7	ზ ზ 7
ი 8	H ē(ej) 8	ი ი 8
ქ 9	Θ θ 9	ო თ 9
ლ 20	I i 10	ი ი 10
მ 30	K k 20	კ კ 20
ნ 40	Λ λ 30	ლ ლ 30
ო 50	M m 40	მ მ 40
პ 60	N n 50	ნ ნ 50
ჟ 70	Ξ ks 60	პ პ 60
რ 80	O õ 70	ო ო 70
ს 90	Π p 80	პ პ 80
ტ 100	Ϟ ϟ 90	ტ ტ 90
ყ 200	P r 100	ყ რ 100
შ 300	Σ s 200	ს ს 200
ჩ 400	T t 300	ტ ტ 300
	Υ u, y 400	ყ უ, ყ აი(ა)ყ 400
	Φ ρh 500	ფ ფ ρh 500
	X kh 600	ქ ქ kh 600
	Ψ ps 700	ჩ ჩ ლ 700
	Ω õ 800	ყ ყ გ' 800
	Ϡ - 900	ყ ყ გ 900

4. ასომთავრული ანბანის კარადიგმატიკა ბერძნულ და სემიტურ სისტემებთან შეფარდებით

პირველი ასო ქართული ანბანისა **ა** „ან“, ფონეტიკური მნიშვნელობით [a] და რიცხვითი მნიშვნელობით „1“, შეეფარდება ბერძნული ანბანის პირველ გრაფიკულ სიმბოლოს **A**, ფონეტიკური მნიშვნელობით **a** და რიცხვითი მნიშვნელობით „1“. როგორც ცნობილია, **a** ხმოვის აღმნიშვნელი ეს ანბანის საწყისი სიმბოლო ბერძნულში სემიტური **א** 'aleph' ისაგან მომდინარეობს, რომელიც აქ ლარინგალური ' თანხმოვის გამოხატველია. ქართულ ანბანში ეს საწყისი სიმბოლო, ბერძნულის მგავსად, **a** ხმოვანს გამოხატავს;

მეორე ასო ქართულ ანბანში **ბ** „ბან“, ფონეტიკური მნიშვნელობით [b] და რიცხვითი მნიშვნელობით „2“, შეეფარდება ბერძნული ანბანის მეორე ადგილას მდგომ **B** სიმბოლოს ამავე მნიშვნელობებით;

მესამე ასო ქართულ ანბანში **გ** „გან“, ფონეტიკური მნიშვნელობით [g] და რიცხვითი მნიშვნელობით „3“, იმეორებს სათანადო მნიშვნელობებს ბერძნული ნიშნისას;

მეოთხე ასო ქართულ ანბანში **დ** „ღონ“, ფონეტიკური მნიშვნელობით [d] და რიცხვითი მნიშვნელობით „4“, შეეფარდება ბერძნული ანბანის **Δ** ნიშანს ამავე მნიშვნელობებით;

მეხუთე ასო ქართული ანბანისა **ე** „ენ“, ფონეტიკური მნიშვნელობით [e] და რიცხვითი მნიშვნელობით „5“, შეესაბამება ბერძნული ანბანის **E** **Ξ** ψιλόν ნიშანს, რომელიც ძველი სემიტური **ו** **he** სიმბოლოსაგან მომდინარეობს. ეს უკანასკნელი ძველ სემიტურ წერით სისტემაში აღნიშნავს [h] თანხმოვანს. ბერძნულში მომხდარი გარდაქმნის შედეგად სემიტური **he** ნიშანი გამოყენებულია ხმოვის გამოსახატავად, და სწორედ ბერძნული სისტემის შესაბამისად გვაქვს სათანადო ადგილას ქართულ ანბანში [e] ხმოვის გამოხატველი სიმბოლო;

მეექვსე ასო ქართული ანბანისა **უ** „ვინ“, ფონეტიკური მნიშვნელობით [v] და რიცხვითი მნიშვნელობით „6“, იმეორებს ზუსტად არქაული ბერძნული ანბანის **F** digamma ნიშნის ფონეტიკურ და რიცხვით მნიშვნელობებს.

Digamma არქაულ ბერძნულში, როგორც აღნიშნული გვქონდა, გამოხატავს /w/ სონანტის ერთ-ერთ უმარცვლო ვარიანტს, კერძოდ, კბილ-ბაგვანმიერ [v] სპირანტს პოზიციებში ხმოვნებს შორის (βωFαδ), სიტყვის თავში ხმოვის წინ (Fδvαδ) და თანხმოვანსა და ხმოვანს შორის (δFV...), და სწორედ ასეთი პოზიციური ქცევა ახასიათებს არქაულ

ქართულში [ვ] ბგერას, რომელიც აქ /ჳ/ სონანტის ერთ-ერთ უმარცველო პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს (იხ. ზემოთ, გვ. 73 და შმდ.; 127).

ასეთი ზუსტი ფონეტიკურ-ფუნქციონალური შესაბამისობა ბერძნული *F digamma* ნიშნით და ქართული *ჴ ვ* „ვინ“ ასოთი გამოხატულ ბგერით ერთეულებს შორის ავლენს ქართული ანბანის შემდგენლის უაღრესად ფაქიზ ლინგვისტურ ალღოსა და ერუდიციას. [უ] ბგერის გამოხატველი სიმბოლო. ქართულ ანბანში მოთავსდა სათანადო ადგილას არჩაული ბერძნული ანბანის *F digamma* ნიშნის შესაბამისად, რომლის ფონეტიკური [უ] მნიშვნელობა ქართული [ვ] ბგერის ფონეტიკურ-ფუნქციონალურ ეკვივალენტად იქნა მიჩნეული. საგულისხმოა, რომ სემიტურ სისტემაში ამ ადგილას წყვილბაგისმიერი [w] თანხმოვნის გამოხატველი *ʾšmā* ნიშანი ზის. ქართული ანბანი ამ თვალსაზრისითაც ასახავს ბერძნულის (და არა სემიტური დამწერლობის) ვითარებას*;

მეშვიდე ასო ქართული ანბანისა *ზ ზ* „ზენ“, ფონეტიკური მნიშვნელობით [z] და რიცხვითი მნიშვნელობით „7“, შესაბამებდა ბერძნულ ანბანში მე-7 ადგილზე წარმოდგენილ *Z ζηζ* ნიშანს, ფონეტიკური მნიშვნელობით [z] (აგრეთვე [zd]) და რიცხვითი მნიშვნელობით „7“;

მერვე ასო ძველი ქართული ანბანისა *ც ც* „ჰე“, პირობითად „ე-მერვედ“ წოდებული (რიცხვითი მნიშვნელობა „8“), შეეჯარღება ბერძნული ანბანის *Η η:α* ნიშანს, რომელიც ბერძნულში გამოხატავდა გრძელ /ē/ ხმოვანს. ეს ეოკალური ფონემა ბერძნულში გამოითქმოდა როგორც ვიწრო [ē] ხმოვანი, რომელიც [ej] ლიფთონგში გადადიოდა. ამ ფონე-

* ანბანში მე-8 ადგილას წარმოდგენილი *ჴ ვ* „ვინ“ ნიშნის ხმარება [ვ] ფონეტიკური მნიშვნელობით, შესაბამისად ბერძნულ *F digamma* ნიშნისა (რიცხვითი მნიშვნელობა „8“), გულისხმობს ქართული ანბანის შემქმნელის მიერ არჩაული ბერძნული

სისტემის ცოდნას. გვიანბერძნულში სათანადო ადგილას სისტემაში **Ϛ σελμα** ნიშანი ზის, რომელიც დაკლულია ფონეტიკური მნიშვნელობისაგან და მხოლოდ როგორც რიცხვ-ნიშანი იხმარება (იხ. ზემოთ, გვ. 74). ქართული ანბანის თავისებურებას, კერძოდ, ის წარმოადგენს, რომ ბერძნული სისტემის ყველა ეპისემონს (ანბანის სიმბოლოებს, რომელთაც მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობები აქვთ) აქ სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობებიც მიეწერება. ბერძნული **Ϛ σελμα** ნიშნის ეკვივალენტ სიმბოლოს ქართულ სისტემაში სპეციფიკური [ვ] ფონეტიკური მნიშვნელობა მიენიჭა, შესაძლებელა, **σελμα** ნიშნის პროტოტიპის არჩაული ბერძნული *F digamma* ნიშნის მიხედვით (ფონეტიკური მნიშვნელობა [უ]). არჩაული ბერძნული სისტემის, ისე როგორც ბერძნული ფონეტიკური თეორიის ცოდნა ქართული ანბანის შემქმნელის მიერ სხვა მონაცემების საფუძველზედაც არის საყარაულებელი (იხ. ქვემოთ).

მის ერთ-ერთი ძირითადი ფონეტიკური მახასიათებელი იყო მისი სიგრძესთან ერთად ვიწრო წარმოება, რაც ხელს უწყობდა მის დიფთონგიზაციას (და საბოლოოდ [i] ხმოვანში გადასვლას); სწორედ დიფთონგური [ej] მნიშვნელობით გადმოდის ეს სიმბოლო ქართულ ანბანში* და ბერძნულის შესაბამისად იკავებს აქ ანბანთრიგში მე-8 ადგილს.

მაგრამ რატომ შეიქმნა ქართულ ანბანში ცალკე ნიშანი [ej] დიფთონგის გამოსახატავად, მაშინ როდესაც დანარჩენი დიფთონგებისათვის არ გამოიყენება სპეციალური სიმბოლოები; რას უნდა გამოეწვია ბერძნული Η ჯაჲ ნიშნისაგან მომდინარე ქართული „ჰე“ სიმბოლოს შენარჩუნება სისტემაში და მისი ხმაურება დიფთონგური [ej] მნიშვნელობით; ასეთი [ej] დიფთონგი ხომ $e + j$ ნიშნებითაც შეიძლებოდა გამოსახულიყო ქართულ სისტემაში, როგორც ეს დანარჩენი j -დიფთონგების შემთხვევაში გვაქვს: $a + j, o + j, u + j$?

რამდენადაც ქართული ბგერითი ერთეულების შეფარდებისას ბერძნული ანბანით წარმოდგენილ ბგერებთან ბერძნული Η ჯაჲ ნიშნით გამოხატული ბგერითი სეგმენტი (ვიწრო ჰ თუ ej დიფთონგი) შეიძლება არც ყოფილიყო გათვალისწინებული ქართულისათვის, ამ ნიშნის შესაბამისი სიმბოლო შეიძლება ამოვარდნილიყო ბერძნულის მიხედვით გაწყობილი ქართული ანბანიდან და ანბანთრიგი ამ ადგილას „შეჭვიდროებულიყო“. მაგრამ ეს გამოიწვევდა ქართულ ანბანში მომდევნო ნიშნების რიცხვით მნიშვნელობათა შეცვლას და ამ მხრივ შეუსაბამობას ქართულ სისტემასა და ნიმუშად აღებულ ბერძნულ სისტემას შორის. ეს მიდრეკილება ახლად შექმნილ ანბანში პროტოტიპული ანბანის რიცხვით მნიშვნელობათა სისტემის შენარჩუნებისადმი ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ტენდენციაა ძველ ანბანურ დამწერლობათა შექმნის პროცესში; იგი თავს იჩენს ქართულ ანბანში ზოგ სხვა ნიშანთან დაკავშირებითაც.

ამიტომაც სწორედ, რომ ბერძნული Η ჯაჲ ნიშნის შესაბამისი „ჰე“ სიმბოლო („ე-მერვე“) შენარჩუნებულია ანბანში სათანადო ადგილას რიცხვითი მნიშვნელობით „8“ და ბერძნულის შესაბამისი ფონეტიკური მნიშვნელობით [ej]**.

*ა) შდრ. ძვ. ქართული დაწერილობანი ძმ, დღმ, მზმ და მისთ. „მერვე ე“ ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობებისათვის ძველ ქართულში იხ. ყ ა უ ხ ჩ ი ძ ე ი ლ ი 1945; ს ა რ ჯ ე ე ლ ა ძ ე 1975:28 და შმდ.

**ა) ამ ასო-ნიშნის ქართული სახელწოდება „ჰე“ შესაბამისი ბერძნული სიმბოლოს ჯაჲ სახელისაგან უნდა მომდინარეობდეს (თავკიდური ფშენივერი h თანხმონით — *spiritus asper*), იხ. ქვემოთ.

მეორე მხრით, არც ის არის გამორიცხული, რომ ბერძნული **Η** ზღა ნიშნისაგან მომდინარე **ⴈ** ნიშნის ხმარებას ქართულ ანბანში გარკვეული ფონეტიკური გამართლებაც ჰქონოდა. საქმე ისაა, რომ **ⴈ** ნიშნის ხმარება ძველ ქართულში, გარდა [ej] დიფთონგის გამოხატვისა, ისეთი *ე-ხმოვნის* აღსანიშნავად, რომელიც საერთო-ქართველური გრძელი ***ē** ხმოვნისაგან უნდა მომდინარეობდეს*, შესაძლებელია მიუთითებდეს ჭერ კიდევ ძველ ქართულში საერთო-ქართველური მოკლე ***ĕ** და გრძელი ***ē** ხმოვნების რეჟლექსთა ფონეტიკურ გარჩევას. საერთო-ქართველური გრძელი ***ē** ფონემისაგან მომდინარე ხმოვანი ბგერა შესაძლებელია უფრო ვიწრო წარმოების [j] ხმოვანი ყოფილიყო, ფონეტიკურად [ej] დიფთონგში გადასვლის ტენდენციით.

სწორედ ეს ვიწრო ქართული [j] ხმოვანი გაუტოლდებოდა ბერძნული **Η** ზღა ნიშნით გამოხატულ გრძელ (ფონეტიკურად ვიწრო წარმოების) **ē** ხმოვანს და ამ ხმოვნის გამომხატველი სიმბოლო დაიკავებდა ანბანთრიგში ბერძნული ნიშნის შესაბამის ადგილს სათანადო რიცხვითი მნიშვნელობით**.

ანბანთრიგში მეორე ადგილას წარმოდგენილი სიმბოლოს ხმარება ქართულში ხმოვნის (*resp.* დიფთონგის) და არა თანხმოვნის მნიშვნელობით ქართულ ანბანს უკავშირებს ბერძნულს, საპირისპიროდ სემიტური დამწერლობისა, სადაც შესაბამის ადგილას **Ⲙ** *ħēth* სიმბოლოა წარმოდგენილი კონსონანტური მნიშვნელობით***.

***ⴈ** შდრ. „ჰე~ჰე-მერვე“ ნიშნის ხმარება სისტემატურად შტნ-, ცტნ- და მისთ. ფორმებში (ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი 1945:5), სადაც სტრუქტურული მონაცემების საფუძველზე თავდაპირველი საერთო-ქართველური გრძელი ხმოვანი უნდა ვივარაუდოთ (გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე . მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი 1965:240 და შმდ.).

****ⴈ** შდრ. ანალოგიური ვითარება სომხური **⸄** ნიშნის შემთხვევაში, რომელიც აქ გამოხატავს ინდოევროპული დიფთონგისაგან მომდინარე ვიწრო **ē** ხმოვანს, საპირისპიროდ მოკლე **ĕ** ხმოვნის ამსახველი **⸄** ნიშნისა (*Meillet* 1936: 40, 45).

*****ⴈ** ქართული ანბანის ბოლო **ⴈ** „ჰე“ სიმბოლოს ხმარება (ფონეტიკური მნიშვნელობა **h**, რიცხვითი მნიშვნელობა „0000“ რიცხვითი მნიშვნელობით „8“, რაც გვიანდელ ძეგლებშია დადასტურებული (ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი 1949:150; 201), არ უნდა ასახავდეს ქართული ასო-რიცხვნიშანთა უძველესი სისტემისათვის დამახასიათებელ მნიშვნელობებს. „ჰე“ ნიშნის ამგვარი რიცხვითი მნიშვნელობით ხმარების ცალკეული შემთხვევების საფუძველზე ძნელია დაეასკვნათ, რომ მე-8 ადგილას ქართულ ანბანში ოდესღაც **h** მნიშვნელობის გამომხატველი სიმბოლო უნდა ყოფილიყო, რომელსაც შემდეგში, ჭერ გამოურკვეველი მიზეზების გამო, გამოთქმა შეეცვალა და „ეა“ მნიშვნელობა მიენიჭა (ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი 1949: 201).

ⴈ „ჰე“ ნიშნის ხმარების ამგვარი შემთხვევები (რიცხვითი მნიშვნელობით „8“), ნაცვლად კანონზომიერი **ⴈ** „ჰე“ („ჰე-მერვე“) ნიშნისა, უნდა აიხსნებოდეს „ჰე“ და

მეცხრე ასო ქართული ანბანისა **Թ** თ „თან“, ფონეტიკური მნიშვნელობით [th] და რიცხვითი მნიშვნელობით „9“, შეესაბამება ბერძნულ სისტემაში **Θ** **θ** **ϑ** ნიშანს, რომელიც გამოხატავს ბერძნულ ფშვინვიერ [th] თანხმოვანს და იხმარება რიცხვითი მნიშვნელობით „9“. აქ ჩვენს წინაშეა სრული ფონეტიკური შესაბამისობა ქართულ ყრუ ფშვინვიერ [th] ბგერასა და ბერძნულ ყრუ ფშვინვიერ [th] ბგერას შორის და სავსებით ბუნებრივია, რომ ეს ქართული ბგერა სათანადო ბერძნულ ბგერას გაუტოლდა და გამოიხატა ქართულ ანბანში ბერძნული **θ** ნიშნის შესატყვისი სიმბოლოთი შესაბამის ადგილას ანბანთ-რიგში.

აღსანიშნავია, რომ ამ ადგილას სემიტურ სისტემაში (ძველ ფინიკურში, ქანაანურში, არამეულში) ზის ემფატიკური (არაფშვინვიერი) [t], მაშინ როდესაც ფშვინვიერი [th] წარმოდგენილია დამწერლობაში ბოლო **𐤌** სიმბოლოს სახით.

სემიტურისაგან მომდინარე ბერძნულ დამწერლობაში მოხდა სათანადო ნიშნების ფონეტიკურ მნიშვნელობათა ერთგვარი გარდაქმნა იმ მხრივ, რომ ემფატიკური [t] ბგერის გამოხატველი სემ. **𐤌** ნიშანი ბერძნულში გადმოვიდა ფშვინვიერი [th] ბგერის მნიშვნელობით (ბერძ. **θ** **ϑ**), ხოლო ფშვინვიერი [th] ბგერის გამოხატველი სემ. **𐤌** ნიშანი ბერძნულში გადმოღებულ იქნა არაფშვინვიერი [t] ბგერის მნიშვნელობით (ბერძ. **τ**).

ასეთივე გარდაქმნა განიცადა ბერძნულში სემიტური ფშვინვიერი [ph] და [kh] ბგერების გამოხატველმა **ϕ** **phē** და **χ** **khaph** ნიშნებმა, რომლებიც გადმოვიდა აქ შესაბამისი არაფშვინვიერი [p] და [k] ბგერების აღმნიშვნელი **Π** **π** და **Κ** **κ** ნიშნების სახით, ხოლო საკუთრივ ბერძნულისათვის დამახასიათებელი ფშვინვიერი [ph] და [kh]

„ჰე“ ნიშანთა აღრევით, რაც ამ სიმბოლოების სახელწოდებათა მსგავსებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. უფრო გვიან პერიოდში, როდესაც „ჰე“ ნიშანი („ჰ-მერეე“) ხმაურბიდან გამოდის, მის ადგილს ანბანთრიგში სწორედ „ჰე“ ნიშანი იკავებს.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ქართული კრიპტოგრაფიის (საიდუმლო დამწერლობის) მონაცემები (იხ. შ ა ნ ი ძ ე 1921; ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი 1949:131 და შმდ.). საიდუმლო ანბანის ერთ-ერთი სახეობა ანბანთრიგის შებრუნებით მიიღებოდა: ანბანის პირველი ასოს ნაცვლად იხმარება ბოლო სიმბოლო, მეორეს ნაცვლად—ბოლოდან მეორე და ა. შ.; შედეგად მიიღება ასოთა წყვილების შემდეგი რიგი (ე. წ. „ანჯანის ანბანი“, XVII—XVIII სს.):

აჭ. ბბ. გკ. დე. ეწ. ვჟ. ზც. მჩ. თშ. იუ. კლ. ლქ. მფ. ნუ. ოტ. პს. რუ. საგულისხმოა, რომ ამ სისტემაში „ჩან“ ასო მიჩნეულია ანბანის ბოლო სიმბოლოდ (და ამიტომ იხმარება კრიპტოგრაფიაში „ან“-ის ნაცვლად), ხოლო „ჰე“ ზის ანბანში მე-8 ადგილას, ე. ი. იქ, სადაც თავდაპირველად **ϕ** („ჰ-მერეე“) სიმბოლო უნდა გვექონოდა.

თანხმოვნები გადმოიცა დამატებითი, საკუთრივ ბერძნულ ნიადაგზე შექმნილი Φ φ და X χ ნიშნების საშუალებით (იხ. ზემოთ, გვ. 81).

ქართულ ანბანში ყრუ ფშვინიერი $[ph\ th\ kh]$ და გლოტალიზებულ (მკვეთრ, არაფშვინიერი) p' t' k' თანხმოვანთა გამომხატვის წესი და სათანადო ფ თ ქ და პ ტ კ ნიშნების ანბანთრიგში განლაგება მთლიანად და ცალკეულ დეტალებში მისდევს ბერძნული ანბანის წყობას და ასახავს იმ გადახრებს ფონეტიკურ მნიშვნელობებში, რომლებიც ბერძნულ ანბანში განხორციელდა სემიტურ წერით სისტემასთან შედარებით. ეს არის უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ქართული ანბანის სისტემა ბერძნულის მიხედვით გაიწყო, რომ ქართული ანბანი ბერძნულის წყობას ითვალისწინებს და არა სემიტურისას (შდრ. *III анал. 1957:34*).

კერძოდ, ბერძნული Θ θ ნიშნის შესაბამის ადგილას ქართულ ანბანში ზის, როგორც აღინიშნა, ფშვინიერი $[th]$ ბგერის გამომხატველი Φ φ ნიშანი (რიცხვითი მნიშვნელობა „9“), ხოლო ბერძნული Τ τ ნიშნის ეკვივალენტად (რიცხვითი მნიშვნელობა „800“) — მკვეთრი (არაფშვინიერი) $[t']$ ბგერის გამომხატველი Ε ϵ სიმბოლო (რიცხვითი მნიშვნელობა „800“). ამავე დროს ბერძნულ Κ κ (რიცხვითი მნიშვნელობა „20“) და Π π (რიცხვითი მნიშვნელობა „80“) ნიშანთა შესატყვისებად ქართულ სისტემაში წარმოდგენილია მკვეთრ (არაფშვინიერი) $[k']$ და $[p']$ ხშულთა გამომხატველი Կ $կ$ და Ս $ს$ სიმბოლოები (რიცხვითი მნიშვნელობები შესაბამისად „20“ და „80“), ხოლო ბერძნულ Φ φ (რიცხვითი მნიშვნელობა „500“) და X χ (რიცხვითი მნიშვნელობა „800“) ნიშანთა ეკვივალენტებად — ფშვინიერი $[ph]$ და $[kh]$ თანხმოვანთა გამომხატველი Փ $ფ$ და Ի $ქ$ გრაფემები (რიცხვითი მნიშვნელობები შესაბამისად „500“ და „800“)*.

ქართული დამწერლობის სემიტური სისტემიდან მომდინარეობის შემთხვევაში, ე. ი. სემიტური წერითი ნიმუშის მიხედვით ქართული ანბანის გაწყობისას, მოსალოდნელი იქნებოდა ქართულ ხშულ თანხმო-

* როგორც ჩანს, ბერძნული ყრუ არაფშვინიერი Ϡ ϡ ხშულები გაიგივებულა ფონეტიკურად ქართულ მკვეთრ პ ტ კ თანხმოვნებთან, რომელთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ფონეტიკური ნიშანია მათი არაფშვინიერი ხასიათი; ხოლო ბერძნული ყრუ ფშვინიერი Ϡ ϡ ხშულები გაიგივებულა ქართულ ფ თ ქ ფშვინიერებთან. ასეთი შეფარდება დატულია ბერძნულ სიტყვათა ქართულად გადმოცემის შემთხვევაშიც: შდრ. ქართ. ექისკაობ(სს)ა, ექისკ'აობსი~ბერძნ. *Ἐπισκοπος*; ეკლე-სიაჰსაჰ, ეკლესია[ს]ა~ბერძნ. *Ἐκκλησία* (ბოლნისის სონის წარწერა);

პატრიკოსი~ბერძნ. *Πατριάρχης*; სტეფანოს~ბერძნ. *Στέφανος*; კპატ'ოსსსა~ბერძნ. *Ἰπάτος* („მცხეთის ჯვრის წარწერა“); თეოდორე~ბერძნ. *Θεόδωρος* (პალესტინის უღაბნოს ქართული მონასტრის წარწერა) და სხვ.

ვანთა განსხვავებული წყობა ანბანთრიგში. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ქართული ფშინიერი ფ *ph th kh* თანხმოვნები, რომლებიც ფონეტიკურად სემიტურ *ph th kh* ხშულებს შესაბამება, მოთავსებულიყო ანბანთრიგში ამ უკანასკნელთა შესაბამის ადგილებზე (რიცხვითი მნიშვნელობებით შესაბამისად „80“, „400“ და „20“), ხოლო ქართული მკვეთრი (არაფშინიერი) ტ *t' k'* თანხმოვნები, რომლებიც ფონეტიკურად ახლოსაა სემიტურ ემფატიკურ [t] და [q] თანხმოვნებთან და ამ მხრივ ამ უკანასკნელთ გაუტოლდებოდნენ*, უნდა მოთავსებულიყვნენ სისტემაში მათ შესაბამის ადგილებზე (რიცხვითი მნიშვნელობებით შესაბამისად „9“ და „100“). ქართული მკვეთრი პ *p'* თანხმონისათვის, რომელსაც არ გააჩნია ფონეტიკური ეკვივალენტი სემიტურში, უნდა შექმნილიყო ასეთ შემთხვევაში დამატებითი ნიშანი, რომელიც დაერთვოდა სემიტურის შესაბამის ბგერათა გამომხატველ ძირითად ნიშანთა ჯგუფს.

ამგვარად, ქართული ანბანის ს ე მ ი ტ უ რ ი სისტემისაგან წარმომავლობის შემთხვევაში ხშულ თანხმოვანთა (ფშინიერი და გლოტალიზებულ ხშულთა) სულ სხვა წყობა უნდა გვექნოდა, ვიდრე ეს ისტორიულად დადასტურებულ ძველ ქართულ წერით სისტემაში გვაქვს. ძველი ქართული ასომთავრული ანბანი ამ მხრივ ბერძნულის (და არა ს ე მ ი ტ უ რ ი ს) წყობას ასახავს;

მეათე ასო ქართულ ანბანში Ⴆ ი „ინ“, ფონეტიკური მნიშვნელობით [i] და რიცხვითი მნიშვნელობით „10“, შესაბამება ბერძნულ ἰαα ნიშანს ასეთივე მნიშვნელობებით.

ბერძნულში სათანადო ნიშნის i-ხმოვნის ფუნქციით ხმარება, განსხვავებით სემიტური j-მნიშვნელობისაგან, სათანადოდ აისახა ქართულ სისტემაში**;

*) შდრ. ამ მხრივ ისეთი სემიტური (არაბული) ნასესხობანი ქართულში, როგორცაა ტ ა ბ ა კ ა ~ არაბ. طابق; მ უ ტ რ ი ბ ი ~ مطرب; ა შ ი კ ი ~ არაბ. عاشق; მ უ კ ა ~ სირ. kmaq (შდრ. წერეთელი კ. 1976:154) და სხვ.

***) არქაულ ბერძნულ სისტემაში ἰ წადა ნიშანი [i] მნიშვნელობასთან პარალელურად დიფთონგებში j- მნიშვნელობასაც გამოხატავდა, რითაც ბერძნული სემიტურს უახლოვდებოდა. ეს იყო არსებითად ნიშანი, რომელიც აღნიშნავდა არქაულ ბერძნულ სისტემაში //j/ სონანტის როგორც მარცვლოვან [i], ისე უმარცვლო [j] ვარიანტებს. მაგრამ მოგვიანებით, j-დიფთონგის მონოფთონგოზაციის შედეგად, ἰაა ნიშანი ბერძნულში კარგავს უმარცვლო j ბგერის გამოხატვის ფუნქციას და მხოლოდ i ხმოვნის გამომხატველი სიმბოლო ხდება (იხ. ზემოთ). ბერძნული სისტემის სწორედ ეს ვითარებაა ასახული ქართულ ანბანში. ბერძნული ἰაა ნიშნის შესაბამისი „ინ“ სიმბო-

მეთორმეტე ასო ქართულ ანბანში **Ⴤ კ** „კან“, ფონეტიკური მნიშვნელობით [kʰ] და რიცხვითი მნიშვნელობით „20“, წარმოდგენილია აქ ბერძნული **Κ** $\kappa\acute{\alpha}\pi\alpha\kappa$ ნიშნის ეკვივალენტად სათანადო მნიშვნელობებით (შდრ. ზემოთ).

მეთორმეტე ასო ქართულ ანბანში **ზ ლ** „ლას“, ფონეტიკური მნიშვნელობით [l] და რიცხვითი მნიშვნელობით „30“, შეესაბამება ბერძნული სისტემის **Λ** $\lambda\acute{\alpha}\mu\mu\acute{\alpha}$ ნიშანს შესატყვისი მნიშვნელობებით;

მეცამეტე ასო ქართულ ანბანში **შ მ** „მან“, ფონეტიკური მნიშვნელობით [m] და რიცხვითი მნიშვნელობით „40“, შეეფარდება ბერძნულ **Μ** $\mu\acute{\alpha}\nu$ ნიშანს შესაბამისი მნიშვნელობებით;

მეთოთხმეტე ასო ქართულ ანბანში **ნ ნ** „ნარ“, ფონეტიკური მნიშვნელობით [n] და რიცხვითი მნიშვნელობით „50“, შეესაბამება ბერძნული ანბანის **Ν** $\nu\acute{\eta}$ ნიშანს ამავე მნიშვნელობებით;

მეთხუთმეტე ასო ქართულ ანბანში **ი ა** „აე“, ფონეტიკური მნიშვნელობით [j] და რიცხვითი მნიშვნელობით „60“, ანბანთრიგში ზის ბერძნული **Ξ** $\xi\iota$ ნიშნის შესაბამის ადგილას (ფონეტიკური მნიშვნელობა [ks], რიცხვითი მნიშვნელობა „60“). იგი გამოხატავს არქაული ქართული // სონანტის უმარცვლო .[j] ვარიანტს; ამავე სონანტური ფონემის მარცვლოვანი [i] ვარიანტი გამოხატება სპეციალური **Გ** „ინ“ ნიშნით, რომელიც ქართულ ანბანში ბერძნული **Ι** $\iota\omicron\tau\alpha$ ნიშნის შესაბამის ადგილასა წარმოდგენილი (იხ. ზემოთ).

ი ა სიმბოლოს შემთხვევაში სრული შეუსაბამობა გვაქვს ქართული ნიშნის [j] ფონეტიკურ მნიშვნელობასა და სათანადო ადგილას წარმოდგენილი ბერძნული **Ξ** ნიშნის [ks] ფონეტიკურ მნიშვნელობას შორის. ქართული ბგერითი შედგენილობის თვალსაზრისით „ზედმეტი“ ბერძნული [ks] ფონეტიკური მნიშვნელობის გამომხატველი ნიშანი შენაცვლებულია ქართულ სისტემაში *j*-მნიშვნელობის გამომხატველი ნიშნით, რომელიც იმავე მეთხუთმეტე ადგილს იკავებს ანბანთრიგში და შესაბამისად „60“ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველია.

მიუხედავად ბერძნული ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობის შეუსაბამობისა ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერებთან, მოხდა არა ნიშნის ამოგდება სისტემიდან, რაც ანბანთრიგის „შემქიდროებას“ და მომდევნო სიმბოლოთა რიცხვითი მნიშვნელობების გადანაცვლებას გამოიწვევდა, არამედ ქართულ სისტემაში სათანადო ადგილას ნიშნის ჩა-

ლო ქართულში მხოლოდ მარცვლოვან [i] ბგერას გამოხატავს, ხოლო სონანტის უმარცვლო [j] ვარიანტისათვის აქ სპეციალური ნიშანი იქმნება, რომელსაც ბერძნულ სისტემაში არ მოეძებნება უშუალო ეკვივალენტი (იხ. ქვემოთ).

ნაცვლება სხვა, ქართულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მნიშვნელობით და პროტოტიპული ნიშნის შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობის შენარჩუნებით.

ამ ნიშნის მაგალითზედაც ნათლად ვლინდება ქართული ანბანის ბერძნული და არა სემიტური საწყისები. ქართული ანბანის სემიტური სისტემიდან მომდინარეობის შემთხვევაში ამ ადგილას მოსალოდნელი იქნებოდა ანბანთრიგში სისინა [s] ბგერის გამომხატველი ს „სან“ ნიშანი, რამდენადაც სათანადო ადგილას სემიტურ სისტემაში ზის სისინა [s] სპირანტის აღმნიშვნელი Δ *sāmekh* სიმბოლო რიცხვითი მნიშვნელობით „80“. არქაულ ბერძნულ სისტემაში მომხდარი სემიტური [s] მნიშვნელობის [ks] მნიშვნელობად შეცვლისაგან განსხვავებით (იხ. ზემოთ, გვ. 79), გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ქართულ ანბანში ამ ნიშანთან სემიტური [s] მნიშვნელობის შენაცვლება [j] მნიშვნელობით.

მეორე მხრით, ქართული სისტემის ბერძნულიდან წარმომავლობა გასაგებს ხდის, თუ რატომ აღმოჩნდა სათანადო ადგილას ანბანთრიგში Δ სიმბოლო: ბერძნულ სისტემაში j ბგერის გამომხატველი სპეციალური ნიშნის არარსებობა კომპენსირებულია ქართულში სათანადო ნიშნის შექმნით, რომელიც იკავებს ანბანთრიგში ერთ-ერთ იმ ადგილს, სადაც ბერძნულში ქართულისათვის შეუფერებელი ფონეტიკური მნიშვნელობები გამოიხატება, ამ შემთხვევაში Ξ [ks] სიმბოლოს ადგილს, რიცხვითი მნიშვნელობით „80“.

პროტოტიპული სისტემის ფონეტიკურ მნიშვნელობათა ამგვარი სუბსტიტუცია ანბანის მსესხებელი ენისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობებით ერთ-ერთი ხერხია ახლად შექმნილ სისტემაში ნიმუშად აღებული დამწერლობის წყობისა და პარადიგმატიკის (შესაბამისად რიცხვნიშანთა სისტემის) შენარჩუნებისა. ამ პროცედურის ნათელი მაგალითებია ის შენაცვლებები, რომლებიც ბერძნულიდან წარმომდგარ კოპტურ და განსაკუთრებით გოთურ სისტემებში განხორციელდა (იხ. ზემოთ გვ. 97 და შმდ.).

მეთექვსმეტე ასო ქართულ ანბანში Ω ო „ონ“, ფონეტიკური მნიშვნელობით [o] და რიცხვითი მნიშვნელობით „70“, შეესაბამება ბერძნული ანბანის $\text{O } \mu$ $\mu\alpha\rho\sigma$ ნიშანს სათანადო მნიშვნელობებით. სემიტური ფარინგალური თანხმოვნის აღმნიშვნელი ψ 'ajin სიმბოლო, რომელიც ბერძნულ სისტემაში გამოყენებულია O -ხმოვნის გამოსახატა-

ვად, ადევნატურად აისახება ქართულ ანბანში *o*-ხმოვნის აღსანიშნავად*;

მეზვიდმეტე ასო ქართულ ანბანში *ს* კ „პარ“, ფონეტიკური მნიშვნელობით [p'] და რიცხვითი მნიშვნელობით „80“, შეესაბამება ბერძნულ *Π* *π* ნიშანს სათანადო მნიშვნელობებით (იხ. ზემოთ, გვ. 139 და შმდ.);

მეთვრამეტე ასო ქართული ანბანისა *ყ* „უან“ ფონეტიკური მნიშვნელობით [č] და რიცხვითი მნიშვნელობით „90“, იკავებს სისტემაში ბერძნული *Ϛ* *χ* *π* *α* ნიშნის შესაბამის ადგილს (რიცხვითი მნიშვნელობა „90“).

/ე/ ბგერა ქართული ანბანის ბერძნულისადმი შესაბამის ნაწილში ერთის შეხედვით მოულოდნელიცაა, რამდენადაც ბერძნულისათვის უცხოა [č] ტიპის შიშინა სპირანტი. მაგრამ ქართულისათვის დამახასიათებელი ეს სპეციფიკური ბგერითი მნიშვნელობა დაუკავშირდა ქართულ ანბანში ბერძნული *Ϛ* *χ* *π* *α* ნიშნის შესაბამის სიმბოლოს, რამდენადაც *Ϛ* *χ* *π* *α* შედარებით მოგვიანო ბერძნულ სისტემაში მოკლებული იყო კონკრეტულ ფონეტიკურ მნიშვნელობას და მხოლოდ „90“ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველად იხმარებოდა (იხ. ზემოთ, გვ. 77). ამ შემთხვევაშიც სისტემა გაურბის კონკრეტული ნიშნის ანბანთრიგი-

* ა, ე, ო, ი ხმოვანთა გამომხატველი გრაფიკული სიმბოლოები ქართულ წერით სისტემაში, რომლებიც ანბანთრიგში ბერძნულის შესაბამის ადგილებს იკავებენ, ნათელი დადასტურებაა ძველი ქართული ანბანის ბერძნული წარმომავლობისა. სწორედ ბერძნულ სისტემაში შეიქმნა პირველად სათანადო ნიშნები ენის ხმოვან ფონემათა გაზოსახატავად, რამაც ძველი სემიტური დამწერლობისაგან მომდინარე ბერძნული დამწერლობა თანმიმდევრულად ანბანურ წერით სისტემად აქცია (იხ. ზემოთ, გვ. 70 და შმდ.). ძველი ქართული დამწერლობის უ შ უ ა ლ ო დ სემიტური სისტემიდან გამოყვანის შემთხვევაში უნდა დაგვეშვა, რომ ანბანის ხმოვან ბგერათა გამომხატველი ნიშნები უფრო ადრეულ პერიოდში, სემიტურის მსგავსად, თანხმოვნებს აღნიშნავდნენ და მხოლოდ შემდგომ დაიწყო მათი გამოყენება „ბერძნულის მიმბაძველობით“ საკუთრივ ხმოვან ბგერათა გამომხატველ სიმბოლოებად (ქ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი 1949:219 და შმდ.). მაგრამ ძველი წარმოსადგენია, თუ რა უნდა ყოფილიყო ასეთ შემთხვევაში ის თანხმოვნები, რომლებიც არქაულ ქართულში ამ ნიშნებით აღინიშნებოდა, დამატებით იმ თანხმოვნებისა, რომლებიც სათანადოდ გამოიხატა ძველი ქართული ანბანის კონსონანტური სიმბოლოებით.

ქართული ენის ლინგვისტური ანალიზი გვაეარაუდებინებს უკვე არქაულ პერიოდის ქართულისათვის ძირითადად იმ თანხმოვან ფონემებს, რომლებიც ძველ ქართული ენის ისტორიულ პერიოდშია დადასტურებული, არქაული ქართულის ბგერათ-სისტემაში ამგვარ დამატებით თანხმოვნებს ადგილი ვერ ექებნებათ (შმდ. ზემოთ, გვ. 126).

დან ამოღებას, რათა არ დაირღვეს მომდევნო ნიშნების პროტოტიპული სისტემისადმი შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები*.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ ანბანში ამოგდებული სემიტური ζ *šādē* ნიშანი ვერ პოვებს ასახვას სათანადო ადგილას ქართულ სისტემაში, რაც ქართულის ისევ ბერძნული (და არა სემიტური) სისტემისაგან წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს.

საქმე ისაა, რომ სემიტურ სისტემაში ζ *šādē* ნიშნის წინ ზის ζ *šādē* ნიშანი, რომელიც არქაულ ბერძნულ სისტემაში [s] სპირანტის გამოსახატავად იხმარებოდა, მაგრამ მოგვიანებით მთლიანად ამოვარდა ანბანთრიგიდან. რამდენადაც [s] სპირანტის გამოხატვა სემიტური ψ *šin'*-იდან მომდინარე Σ *š:μx* ნიშანს დაეკისრა, ბერძნული ანბანთრიგი ერთგვარად „შეშქიდროვდა“ სისტემიდან სემიტური ζ *šādē* სიმბოლოს ამოღების შედეგად.

ეს არის ერთადერთი შემთხვევა ბერძნულ სისტემაში გარკვეული ნიშნის სათანადო ადგილიდან ამოღებისა (და არა მისი ანბანთრიგში შენარჩუნებისა ფონეტიკური მნიშვნელობის შენაცვლებით ან მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის გამოხატველად კონკრეტული ფონეტიკური მნიშვნელობის გარეშე); ამის გამო ბერძნულ

სისტემაში „ θ “ რიცხვით მნიშვნელობას უკვე Γ *χ:πx* გამოხატავს (და არა ζ *šādē*, როგორც სემიტურში), ხოლო მნიშვნელობა „100“ გამოიხატება ანბანთრიგში მომდევნო Π *ρw* ნიშნით (მაშინ როდესაც სემიტურში მნიშვნელობა „ θ “ გამოიხატება ζ *šādē* ნიშნით, ხოლო „100“ მის მომდევნო ζ *šādē* ნიშნით (იხ. ზემოთ, გვ. 91).

თუ ჩვენ ქართულ ანბანს სემიტურისაგან გამოვიყვანდით და ქართული /j/ ბგერის აღმნიშვნელ სიმბოლოს სემიტურ *šādē*-ს დაუვკავშირებდით რიცხვითი მნიშვნელობით „ θ “ (ჯავახიშვილი 1949:224—225), გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ არ აისახა ქართულ დამწერლობაში *šādē*-ს მომდევნო სემიტური *šādē* ნიშანი რიცხვითი მნიშვნე-

*) საგულისხმოა, რომ ბერძნული დამწერლობისაგან წარმომდგარ გოთურ ანბანში შესაბამის ადგილას ანბანთრიგში ზის Γ *χ:πx*-საგან მომდინარე გრაფიკული სიმბოლო კონკრეტული ფონეტიკური მნიშვნელობის გარეშე, მაგრამ რიცხვითი მნიშვნელობით „ θ “. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ქართულ ანბანში ჩვენ ანალოგიური ვითარება ვივარაუდოთ „ θ “ რიცხვითი მნიშვნელობის გამოხატველი ბერძნული *χ:πx*-საგან მომდინარე გრაფიკული სიმბოლოს შემთხვევაში. შესაძლებელია, ქართულ ანბანში თავდაპირველად მხოლოდ კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობის გამოხატველ ამ ნიშანს მოგვიანებით დაუვკავშირდა [z] ფონეტიკური მნიშვნელობა, ქართულში /j/ ფონემის გაჩენის შემდგომ.

ლობით „100“ ([j] ბგერის გამომხატველი ნიშნის მომდევნოდ მეცხრა-მეტე ადგილას ქართულ ანბანში, ისევე როგორც ბერძნულში, წარმოდგენილია [r] ბგერის აღმნიშვნელი ნიშანი ო რ „რაე“ რიცხვითი მნიშვნელობით „100“, ბერძნ. Ρ ρᾶ).

თუ სემიტური **צ** *šādē'*-საგან მომდინარე ნიშნის ამოღება ბერძნულ ანბანში გასაგებია ფონეტიკურ საფუძველზე როგორც ბერძნულისათვის ფონეტიკურად არაადეკვატური ნიშნისა (ზღრ. ზემოთ, გვ. 78 და შმდ.), ქართულის თვალსაზრისით სემიტური **ק** *qōp* ნიშნის ამოგდება ქართული წერითი სისტემიდან გაუმართლებელი იქნებოდა, რამდენადაც სემიტური *qōp* ნიშნით აღნიშნული ემფატიკური ველარი თანხმოვანი ახლოსაა ფონეტიკურად ქართულში გამოსახატავ რიგ ბგერებთან (როგორცაა, მაგალითად, მკვეთრი **ქ** კ და **ყ** ბგერები, ზღრ. ქვემოთ).

ეგვე შეიძლება ითქვას სემიტური **צ** *šādē* ნიშნის მიერ გამოხატული ფონეტიკური მნიშვნელობის შესახებაც, რასაც შესაძლებელია ქართულში დასძებნოდა ფონეტიკური ეკვივალენტი. მაგრამ ეს ნიშანი სწორედ იმიტომ ვერ აისახა ამ ადგილას ქართულ ანბანში, რომ იგი არ იყო წარმოდგენილი ქართული ანბანის პროტოტიპულ ბერძნულ სისტემაში. ამისაგან განსხვავებით, ბერძნული **Ϛ** *αόππ*, რომელიც სემიტურ **ק** *qōp* სიმბოლოს აგრძელებს, ფონეტიკური მნიშვნელობის სათანადო შენაცვლებით, გადმოტანილ იქნა ქართულ სისტემაში ბერძნულის შესაბამის ადგილას რიცხვითი მნიშვნელობით „100“:

მეოცე ასო ქართული ანბანისა ს „სან“, ფონეტიკური მნიშვნელობით [s] და რიცხვითი მნიშვნელობით „200“, შეესაბამება ამავე მნიშვნელობების მქონე ბერძნულ **Σ** *σιγμα* ნიშანს, რომელიც ბერძნულ ანბანთრიგში სწორედ მეოცე ადგილას არის წარმოდგენილი.

ყრუ სისინა /s/ ფონემის გამომხატველი ბერძნული **Σ** *σιγμα* მომდინარეობს სემიტური **ש** *šin* ნიშნისაგან, რომელიც აქ შიშინა /š/ ფონემის გამომხატველია. ბერძნულისათვის უცხო შიშინა [š] სპირანტის ნაცვლად **Σ** *σιγμα* ნიშანი ბერძნულში სისინა [s] სპირანტის გამოსახატავად იქნა გამოყენებული (იხ. ზემოთ, გვ. 79). სწორედ ამ ფონეტიკური მნიშვნელობით, ე. ი. სისინა [s] სპირანტის აღსანიშნავად, იხმარება ქართულ ანბანში შესაბამის ადგილას წარმოდგენილი გრაფიკული სიმბოლო.

ქართული დამწერლობის სემიტური სისინაგან მომდინარეობის დაშვებით გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ გამოიხატა სემიტური **ש** *šin* ის

შესაბამისი ნიშნით ქართულში სისინა [s] და არა შიშინა [š] სპირანტი, რომელიც შედის ქართული ენის ბგერით შემადგენლობაში და რომელიც, ამდენად, უნდა გამოსახულიყო სათანადო ადგილას გრაფიკული სიმბოლოს საშუალებით.

ქართული ანბანის ბერძნული პროტოტიპის აგან მომდინარეობა მთლიანად ხსნის ამ შეუსაბამობას სემიტურ სისტემასთან შეფარდებით: ქართული ანბანი ასახავს უშუალოდ ბერძნულ სისტემაში სემიტურთან შედარებით მომხდარ სტრუქტურულ-ფონეტიკურ ცვლილებებს;

ოცდამეერთე ასო ქართული ანბანისა E ტ „ტარ“, ფონეტიკური მნიშვნელობით [tʰ] და რიცხვითი მნიშვნელობით „800“, შესაბამება ბერძნული სისტემის T ταν ნიშანს, რომელიც ყრუ არაფშინიერი [t] ხშულს გამოხატავს (რიცხვითი მნიშვნელობა „800“). ეს ნიშანიც, ისევე როგორც ყრუ ხშულ თანხმოვანთა გამომხატველი დანარჩენი ნიშნები ქართულ ანბანში, მთლიანად ბერძნულ სისტემას მისდევს, საპირისპიროდ სემიტური სისტემისა (იხ. ზემოთ, გვ. 139 და შმდ.);

ოცდამეორე ასო ქართული ანბანისა 4 ვ „ჭიე“ წარმოგვიდგენს ქართულ წერით სისტემაში გრაფემას, რომლის ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობა „400“ მთლიანად პროტოტიპული ბერძნული I Ϛ ψιδν ნიშნით განისაზღვრება.

ბერძნული სისტემა განსაზღვრავს როგორც ამ ნიშნის ადგილს ანბანთრიგში, ასევე მის ფონეტიკურ მნიშვნელობასა და ფუნქციურ დანიშნულებას ქართულ წერით სისტემაში. შესაბამისი ბერძნული ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობა [i] გადმოდის სათანადო ქართულ ნიშანზე [wi] მარცვლის სახით. ცნობილია, რომ პალატალური [i] და [wi] სეგმენტები ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია, რომლებიც სხვადასხვა ენებში მონაცვლეობენ და ერთმანეთში გადადიან*. ბუნებრივია ამიტომ პალატალური [i] ხმოვნის გამომხატველი ბერძნული გრაფემა გადმოსულიყო სათანადო ადგილას ქართულ სისტემაში [wi] ფონეტიკური მნიშვნელობით (და არა უშუალოდ პალატალური [i] ხმოვნის მნიშვნელობით**, რომელიც არ არის დამახასიათებელი ქართული

*ა შდრ. ამ მხრივ სვანური ენის მონაცემები, სადაც პალატალური [i] და [wi] სეგმენტები მონაცვლეობენ. ამასთან ქართული [ვი] სეგმენტი ხშირად გადმოიცემა სვანურში [ჳ] ხმოვნით. საინტერესოა ამ მხრივ აგრეთვე მანიჭურ დამწერლობაში თურქული პალატალური [i] ხმოვნის გადმოცემა w+i ნიშნების საშუალებით (შდრ. Jensen 1969: 398).

**ა შდრ. ისეთი დაწერილობანი, როგორც თ ვ ს ი [თჳისი], თ ვ ნ ი ე რ [თჳინიერ] და მისთ.

ვოკალიზმისათვის). ამასთანავე არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, ეს ნიშანი გამოყენებული ყოფილიყო ზოგ შემთხვევაში, კერძოდ ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში, საკუთრივ ბერძნული სიტყვის [z] ხმოვნის გამოსახატავად: შდრ. ან მხრივ ვპატოსსა სიტყვის დაწერილობა „მცხეთის ჯვრის წარწერაში“ (ბერძ. Ἐπιταφίαι „მთავარი, მმართველი“) — ზნიშანი ზის ბერძნული ἠ ψιλὸν ნიშნის ფონეტიკურ ეკვივალენტად (შდრ. შანიძე 1973:18).

ბერძნული Y ნიშნის სხვა ფონეტიკური მნიშვნელობა არის უმარცვლო [ʃ], რაც თავს იჩენს აჲ და ეჲ დიფთონგებში (იხ. ზემოთ, გვ. 73*)-სწორედ ამავე მნიშვნელობით, უმარცვლო [ʃ] ელემენტის გამოსახატავად, გამოიყენება სათანადო ქართული 4 ჯ სიმბოლო არქაულ ქართულ დამწერლობაში: შდრ. ისეთი დაწერილობა, როგორცაა თავყანის-ხცეს, თავყანის-მცემელნი (ბოლნისის სიონის წარწერა), ხშორავს, შეწეწენითა („უქანგორის წარწერა“) და მისთ.*

აღსანიშნავია, რომ X ნიშანი ბერძნულში წარმოადგენს დანართს სემიტურ სისტემასთან შედარებით, რიგით პირველ ნიშანს არქაულ ბერძნულ სისტემაში, დამატებულს ოცდოანე ნიშანთან ძველ სემიტურ სისტემაზე ბერძნული [u] და [ʃ] ბგერების გამოსახატავად (იხ. ზემოთ, გვ. 83). ქართული ანბანი 4 ჯ „ჩიე“ ნიშნის სახით ზუსტად და ყველა დეტალში იმეორებს ამ სპეციფიკურად ბერძნული დანართი სიმბოლოს თავისებურებებს, რაც მოწმობს ქართული სისტემის უშუალო კავშირს ბერძნულ და არა სემიტურ სისტემასთან, სადაც ეს ნიშანი (და მომდევნო სიმბოლოები) საერთოდ არ არსებობდა.

ეგვე 4 ჯ ნიშანი Q ო ნიშანთან გრაფიკულ კომბინაციაში გამოყენებულია ქართულ წერით სისტემაში [u] ბგერის გამოსახატავად**.

[u] ბგერის გამოხატვა ქართულ დამწერლობაში Q ნიშანთკომბინაციით მთლიანად ბერძნული წერითი სისტემით არის ნაკარნახევი და ბერძნულ ორთოგრაფიულ წესს ასახავს (შდრ. ამ თვალსაზრისით [u] ხმოვნის გამოხატვის ანალოგიური გრაფიკული წესი სომხურ და სლავურ ანბანებში).

* უმარცვლო [ʃ] ელემენტის გამოხატვა კ ასოთი საკმაოდ ხშირი მოვლენაა ძველ ქართულ ტექსტებში (Deeters 1926:62; სარჯველაძე 1975:47).

** ნიშანთა ეგვე Q კომბინაცია, ანუ დიგრაფი, გადმოგვცემს უმარცვლო [ʃ] ბგერას, რომელიც მარცვლოვან [u] ბგერასთან ერთად არქაულ ქართულში ერთი და იმავე სონანტური /ʃ/ ფონემის ორ სხვადასხვა პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს: შდრ. ვ-სუ, პ-სუ, მგარამ ს-უა [ს-ჟ-ა]; ვ-თქუ, ს-თქუ, მგარამ თქუ-ა [თქ-ჟ-ა]; ს-უმა [ს-ჟ-მა], თქუმა [თქ-ჟ-მა] და მისთ. (გამყარელიძე, მაქავარიანი 1965:46 და შმდ.). მარცვლოვანი [u] და უმარცვლო [ʃ] ბგერათა ვარიანტული ხასიათი

OY ნიშანთა კომბინაცია, რომელიც არქაულ ბერძნულში [ow] დიფთონგს გადმოგვცემდა, ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქაში გრძელი [ū] ხმოვნის გამომხატველი ხდება, რამდენადაც [ow] დიფთონგი ამ დროისათვის აქ მონოფთონგიზაციის შედეგად [ū] ხმოვანში გადადის (განსხვავებით AY და EY დიფთონგებისაგან, რომლებიც არ განიცდიან მონოფთონგიზაციას).

Y ნიშნით გამოხატული პირვანდელი [u] ხმოვნის (უფრო ზუსტად სონანტის მარცვლოვანი [u] ვარიანტის) ზოგ დიალექტში პალატალურ [ū] ბგერად გარდაქმნის შემდეგ OY ნიშანთკომბინაცია ერთადერთ გრაფიკულ საშუალებად რჩება არაპალატალური [ū] ხმოვნის გამოხატვისა (იხ. ზემოთ, გვ. 73*). ბერძნული დამწერლობის სწორედ ეს გრაფიკული თავისებურება უდევს საფუძვლად ძველ ქართულ წერით სისტემაში (და სხვა ბერძნულ სისტემაზე დამყარებულ დამწერლობებში) [u] ბგერის გრაფიკულ გამოხატვას QY ოვ ნიშანთა კომბინაციით; ოცდამესამე Φ ფ „ფარ“ და ოცდამეოთხე Ψ ქ „ქან“ გრაფემები ძველი ქართული ანბანისა, ფონეტიკური მნიშვნელობებით შესაბამისად [pʰ] და [kʰ] და რიცხვითი მნიშვნელობებით „500“ და „800“, ზუსტად შეესაბამება ფონეტიკურ-რიცხობრივად და ადგილით ანბანთრიგში სათანადო ბერძნულ გრაფიკულ Φ ϕ და X χ სიმბოლოებს, რომელთაც ძველ სემიტურ სისტემაში არ მოეძებნებათ გრაფიკული პროტოტიპები და საკუთრივ ბერძნულში შექმნილ დანართ ასოებს წარმოადგენენ (იხ. ზემოთ, გვ. 80 და შმდ.).

X χ ასო-ნიშნის მომდევნოდ ბერძნულ ანბანში წარმოდგენილია მთელი სისტემის დამასრულებელი სამი გრაფიკული სიმბოლო: Ψ ψ, Ω ω და Ϝ ϝ, რომელთაგან პირველი ორი გამომხატავს ფონეტიკურ მნიშვნელობებს, შესაბამისად [ps] და [θ], ხოლო მესამე, ანბანის უკანასკნელი სიმბოლო, მხოლოდ რიცხვ-ნიშანია, „800“ მნიშვნელობის გამომხატველი (იხ. ზემოთ, გვ. 90*).

ქართული წერითი სისტემა სპეციფიკური ბერძნული ბგერების გამომხატველ სიმბოლოებს, აგრეთვე ბერძნულში მხოლოდ რიცხვ-ნიშნებად გამოყენებულ სიმბოლოებს რეგულარულად საკუთრივ ქართულ

ასახება ქართულ დამწერლობაში მათ გამოსახატავად საერთო ნიშნის (resp. ნიშანთა კომბინაციის) ხმარებაში, რაც ფონემური დაწერილობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს, და თუმცა ძველი ქართული დამწერლობა არ არის თანმიმდევრულად ფონემური (შდრ. სისტემაში განსხვავებული ნიშნების არსებობა /i/ სონანტის მარცვლოვანი [i] და უმარცვლო [j] ვარიანტების გამოსახატავად, აგრეთვე ცალკე ნიშანი [v] ბგერისათვის), მაგრამ [u] და [w] ვარიანტების გამოხატვის შემთხვევაში საერთო სიმბოლოს საშუალებით იგი ფონემურ პრინციპს მისდევს.

ბევრით მნიშვნელობებს უფარდებს (შდრ. შანიძე 1973:19): შდრ. ზემოთ **ⴒ** „ვინ“, **ⴓ**, „ე“ და **ⴔ** „უან“ ასო-ნიშნებთან დაკავშირებული მნიშვნელობები. ამიტომ სავარაუდებელია, რომ ბერძნული დამწერლობის ეს ბოლო სამი სიმბოლოც ქართულ სისტემაში განხორციელებული საერთო პრინციპისა და შესაბამისად, სათანადოდ ასახულიყო ქართულ ანბანში. ბერძნული სისტემის ამ სამი უკანასკნელი სიმბოლოს შესაბამისი ერთეულებია ქართულ ანბანში **ი** ლ „ლან“, **ყ** **ყ** „ყარ“ და **ჟ** **ჟ** „ჟინ“ გრაფემები ქართულისათვის სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობებით: [ყ], [q'] და [ჟ], რომლებიც არ არის დამახასიათებელი ბერძნულისათვის (შდრ. ანალოგიური ვითარება ბოლო ასო-ნიშნების მიმართ გოთურ ანბანში, იხ. ზემოთ, გვ. 101).

5. კველი ქართული ასომთავრული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემა

ქართული ანბანის ზემოთ განხილული ოცდაშვიდი გრაფიკული სიმბოლო, გამოშხატველი განსაზღვრული ფონეტიკური მნიშვნელობებისა, გაიწყობა სისტემაში, როგორც დაენახეთ, ბერძნული პროტოტიპის მიხედვით; ქართული ანბანის პარადიგმატიკა ამ ნაწილში მთლიანად ბერძნულ სისტემას მისდევს და არსებითად ბერძნულისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ და სტრუქტურულ თავისებურებებს ასახავს.

ამის შესაბამისად, ბერძნული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემა მთლიანად „გადაისახა“ ქართულ წერით სისტემაზე; რიცხვით მნიშვნელობათა აღნიშვნის სისტემა ქართულში მთლიანად ბერძნულს მისდევს*.

ბერძნული სისტემის $9 \times 3 = 27$ ასო-ნიშნის საშუალებით გამოიხატებოდა თანმიმდევრულად „ერთეულები“, „ათეულები“ და „ასეულები“. მსგავსად ამისა, პირველი $9 \times 3 = 27$ ასო-ნიშანი ქართული ანბანისა, რომლებიც სათანადო ბერძნულ სიმბოლოებს შეესაბამება, გამოხატავენ თანმიმდევრულად „ერთეულებს“, „ათეულებს“ და „ასეულებს“:

*ა საინტერესოა, რომ ქართულის „ოცობით“ თელის სისტემა წერილობით „ათობით“ სისტემით გამოიხატება. რიცხვ-ნიშანთა „ათობითი“ სისტემა ქართულში არსებითად არ შეესაბამება ენაში გამოხატულ თელის „ოცობით“ სისტემას, რაც რიცხვ-ნიშანთა სისტემის უცხოურ (ამ შემთხვევაში, ბერძნულ) წარმომავლობას მოწმობს (შდრ. შანიძე 1957). თელის სისტემა ენაში (Zahlsprache), რაც ენის არქაულ სტრუქტურ-

ბერძნული ქართული ერთეულები			ბერძნული ქართული ათეულები			ბერძნული ქართული ასეულები		
A a	1	Ⴀ Ⴁ	I i	10	Ⴀ Ⴂ	P r	100	Ⴀ Ⴃ
B b	2	Ⴂ Ⴃ	K k	20	Ⴂ Ⴃ	Σ s	200	Ⴂ Ⴄ
Γ g	3	Ⴄ Ⴅ	Λ l	30	Ⴄ Ⴅ	T t	300	Ⴄ Ⴆ
Δ d	4	Ⴆ Ⴇ	M m	40	Ⴆ Ⴇ	Υ Ⴈ, ω	400	Ⴆ Ⴇ (wi, w)
E e	5	Ⴇ Ⴈ	N n	50	Ⴇ Ⴈ	Φ ρh	500	Ⴇ Ⴉ
Ϛ (v)	6	Ⴈ Ⴉ	Ξ ks	60	Ⴈ Ⴉ	Χ kh	600	Ⴈ Ⴊ
Z z	7	Ⴉ Ⴊ	Ο o	70	Ⴉ Ⴊ	Ψ ps	700	Ⴉ Ⴋ
H Ⴋ(ej)	8	Ⴋ Ⴌ(ej)	Π p	80	Ⴋ Ⴌ	Ω Ⴍ	800	Ⴋ Ⴍ
Θ th	9	Ⴌ Ⴍ	Ϛ —	90	Ⴌ Ⴍ	Ϛ —	900	Ⴌ Ⴎ

6. ქართული ანბანის „დანართი“ ნაწილი ბერძნული სისტემის თვალსაზრისით

უიზინა [ჭ] სპირანტის გამომხატველ ოცდამეშვიდე მ შ „შინ“ ასო-ნიშნით მთავრდება ქართულ ანბანთრიგში ის ნაწილი, რომელიც გაიწყო და დალაგდა ნიმუშად აღებული ბერძნული წერითი სისტემის მიხედვით. ამ ნაწილში, მაშასადამე, მოთავსდა გარკვეულ თანმიმდევრობით ის ქართული ბგერითი ერთეულები, რომელთაც ბერძნულ სისტემაში ფონეტიკური შესატყვისები დაეძებნათ, და აგრეთვე რამდენიმე სპეციფიკური ქართული, ბერძნულისაგან განსხვავებული ბგერა, რომლებიც იკავებენ ანბანთრიგში სპეციფიკური ბერძნული ბგერების (ან მხოლოდ რიცხვით მნიშვნელობათა გამომხატველი ნიშნების) ადგილებს.

რამდენადაც ქართული ბგერითი სისტემა ბგერითი ერთეულების უფრო დიდი რაოდენობით ხასიათდება, ვიდრე ბერძნული, ბერძნულთან ბგერათშესაბამისობის დამყარებისა და ქართულ ბგერათა ნაწილის ბერძნული ანბანთრიგის მიხედვით გაწყობის შემდეგ ქართულში უნდა

არულ სპეციფიკას ასახავს, ხშირად არ შეესაბამება ამავე ენაში წარმოდგენილ რ ი ც ხ ე-ნიშანთა სისტემას (*Zahlschrift*), რომელიც შედარებით გვიანდელ კულტურულ შენაძენს წარმოადგენს, შესაძლებელია, უცხოური წყაროდან მომდინარეს (შდრ. *Menninger* 1957:64).

დარჩენილიყო მთელი რიგი ბგერითი ერთეულები, რომელთაც ბერძნულში ვერ მოეძებნებოდათ სათანადო ფონეტიკური ეკვივალენტები*.

ასეთი ქართული ბგერები სპეციფიკურ ჯგუფს ქმნიან, რომელიც ერთგვარი „დანართის“ სახით ემატება პროტოტიპული სისტემისადმი შესაბამის ძირითად ნაწილს.

ძველი ქართული ანბანის ეს ძირითადი, ბერძნულისადმი შესაბამისი ნაწილი განისაზღვრება ანბანთრიგით Γ ა „ანიდან“ ~ Ψ Ψ „შინ“ ნიშნამდე, ხოლო ამ უკანასკნელის მომდევნო, ოცდამეგრეე χ χ „ჩინ“ ნიშნით მოყოლებული (ფონეტიკური მნიშვნელობა [წ], რიცხვითი მნიშვნელობა „1.000“) ქართულ ანბანში წარმოდგენილია „ს ა კ ე თ რ ი ვ“ ქართული, ბერძნულისაგან განსხვავებული დამატებითი ბგერები და მათი გამომხატველი გრაფემები.

რამდენადაც ქართული ხასიათდება ენობრივ ბგერათა (ფონემათა) უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე ბერძნული, გრაფიკულ სიმბოლოთა რიცხვი ქართულ წერით სისტემაში უნდა აღემატებოდეს $9 \times 3 = 27$ 'ს. ეს კი საშუალებას იძლევა რიცხვ-ნიშანთა უფრო სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბებისა, ვიდრე ეს ბერძნულ სისტემაში გვაქვს, კერძოდ, „ათასეულების“ გამოხატვით სპეციალური გრაფემების საშუალებით.

„ათასეულების“ სრული რიგის გამოსახატავად აუცილებელი და საკმარისია დამატებით ცხრა გრაფიკული სიმბოლოს შემოღება, რათა ასო-ნიშანთა საერთო რაოდენობა სისტემაში შეადგენდეს $9 \times 4 = 36$ 'ს.

სწორედ ასეთი ცხრა გრაფემა, რომლებიც გამოხატავენ „სპეციფიკურ“ ქართულ, ბერძნულისაგან განსხვავებულ ბგერებს, ერთვის ქართულ ანბანში „ძირითად“, ბერძნულისადმი შესაბამის ნაწილს რიცხვით მნიშვნელობათა სრული სისტემის საწარმოებლად. ქართულ ანბანში გრაფიკულ სიმბოლოთა და მათ მიერ გამოხატულ ფონეტიკურ და რიცხვით მნიშვნელობათა ეს „დანართი“ ნაწილი შემდეგი თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი:

ნიშანი		ფონ. მნიშვნ.	რიცხვ. მნიშვნ.	სახელი
h	ჩ	ჩ	1.000	‘ჩინ’
ც	ც	ც	2.000	‘ცან’
ძ	ძ	ძ	3.000	‘ძილ’
წ	წ	წ	4.000	‘წილ’

* „სპეციფიკური“ ქართული ბგერები რჩება მას შემდეგაც, რაც რამდენიმე ასეთი ბგერა ანბანში ბერძნულის შესაბამის ნაწილში განაწილდა „სპეციფიკური“ ბერძნული ბგერების ან რიცხვ-ნიშნების სუბსტიტუტებად.

ს	კ	წ	5.000	'ქარ'
ჟ	ხ	ჩ	6.000	'ხან'
ყ	ც	ჭ	7.000	'ქარ'
ჯ	ძ	ჭ	8.000	'ჯან'
ღ	ჭ	(h)	9.000	'ჰაე'

არქაულ ქართულ სისტემაში უ „ჰაე“ ნიშანი თავდაპირველად ეპისემონი უნდა ყოფილიყო, ე. ი. მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი სიმბოლო (მსგავსად კლასიკური ბერძნული Θ θ μ π ნიშნისა). ქართული ანბანის შექმნის ეპოქაში β [h] ბგერა არ წარმოადგენდა ქართულსათვის დამახასიათებელ ფონემურ ერთეულს, რომელიც უნდა გამოსახულიყო სპეციალური გრაფიკული სიმბოლოს საშუალებით. იგი მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება ქართულში (ხ [x] სპირანტის გარკვეული პოზიციური გარდაქმნების შედეგად) და იმკვიდრებს ადგილს ქართულ ფონემურ სისტემაში (იხ. ზემოთ, გვ. 128). ამისდა კვალად უ β ნიშანი, რომელიც არქაულ სისტემაში მხოლოდ ეპისემონის ფუნქციით უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რიცხვითი მნიშვნელობით „9.000“, და რომელიც, ამდენად, არ იქნებოდა დატვირთული ფონეტიკური მნიშვნელობით, ხდება ახლად წარმოქმნილი β /h/ ფონემის აღმნიშვნელი სიმბოლო (ანალოგიური ვითარება არქაულ ქართულ ანბანში შესაძლებელია β „ქან“ სიმბოლოს მიმართაც ვივარაუდოთ, შდრ. ზემოთ, გვ. 128)*.

ქართული დამწერლობის „დანართი“ ნაწილის გათვალისწინებით ქართულ რიცხვ-ნიშანთა სრული არქაული სისტემა შემდეგ ოთხ ჯგუფად ჩამოყალიბდება:

„ერთეულები“	„ათეულები“	„ასეულები“	„ათასეულები“
Ⴀ Ⴁ 1	Ⴂ Ⴃ 10	Ⴃ Ⴄ 100	Ⴅ Ⴆ 1.000
Ⴇ Ⴈ 2	Ⴉ Ⴊ 20	Ⴋ Ⴌ 200	Ⴍ Ⴎ 2.000
Ⴏ Ⴐ 3	Ⴑ Ⴒ 30	Ⴓ Ⴔ 300	Ⴕ Ⴖ 3.000
Ⴗ Ⴘ 4	Ⴙ Ⴚ 40	Ⴛ Ⴜ 400	Ⴝ Ⴞ 4.000
Ⴟ Ⴀ 5	Ⴛ Ⴜ 50	Ⴝ Ⴞ 500	Ⴟ Ⴀ 5.000
Ⴁ Ⴂ 6	Ⴃ Ⴄ 60	Ⴅ Ⴆ 600	Ⴇ Ⴈ 6.000
Ⴄ Ⴅ 7	Ⴇ Ⴈ 70	Ⴉ Ⴊ 700	Ⴋ Ⴌ 7.000
Ⴈ Ⴉ 8	Ⴌ Ⴍ 80	Ⴎ Ⴏ 800	Ⴐ Ⴑ 8.000
Ⴒ Ⴓ 9	Ⴔ Ⴕ (ჟ) 90	Ⴖ Ⴗ 900	Ⴘ Ⴙ (ჰ) 9.000

*) ყველაზე გვიანდელ წარმომავლობას ავლენს ქართულ ანბანში ოცდამეჩვიდმეტე სიმბოლო Ⴚ „ოქ“ („ოქე“) (რიცხვითი მნიშვნელობა „10.000“), რომელიც ბერძნული

ძველი ქართული ანბანის „დანართი“ ნაწილის ბევრითი შედგენილობა სრულიად უდავოს ხდის ქართული ანბანის შექმნისათვის ნიმუშად აღებული წერითი სისტემის ხასიათს და ადასტურებს იმას, რომ ქართული დამწერლობა თავის ძირითად ნაწილში ემყარება სწორედ ბერძნულ (და არა სემიტურ) წერით პროტოტიპს, რომ ქართული ანბანის ამ „დანართ“ და სპეციფიკურ ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ ისეთი ბევრითი ერთეულები, რომლებსაც არ მოეძებნებათ ფონეტიკური ეკვივალენტები ბერძნულ სისტემაში და ამ თვალსაზრისით საკუთრივ ქართულისათვის დამახასიათებელ ბევრებს წარმოადგენენ*.

ქართული ანბანის პროტოტიპად სემიტური წერითი სისტემის გამოყენების შემთხვევაში ანბანის „დანართ“, „სპეციფიკურ“ ნაწილში არ უნდა გვეჩინოდა ისეთი ბევრები, როგორცაა, მაგალითად, [შ], [წ], [ყ], რომელთაც მოეძებნებათ ფონეტიკური ეკვივალენტები სემიტურ სისტემაში *š šin*, *š šādē* და *q qōp* ნიშნებით გამოხატულ ბგერათა სახით** და რომლებიც, ამდენად, უნდა მოთავსებულიყვნენ ანბანთრიგში სადღაც ზემოთ, ძირითადი ნაწილის გრაფიკულ სიმბოლოებს შორის, პირველი ოცდარეი სიმბოლოს ფარგლებში როგორც ამ სემიტურ ბგერათა მსგავსი ბევრების გამოხატველი ნიშნები.

წოდებით *შ* ნაწილკის (შორისდებულის) გავლენით არის შემოღებული ქართულში (ფონეტიკური მნიშვნელობა [ოა || ჰოა]). იგი რიცხვ-ნიშანთა სისტემის თვალსაზრისითაც „ზედმეტ“ სიმბოლოს წარმოადგენს.

* საინტერესოა, რომ ბერძნულსაგან მომდინარე კომპლური ანბანის „დანართ“ ნაწილში ქართულის ფონეტიკურად მსგავსი ბევრებია წარმოდგენილი: *ჰ, ჭ, ჳ, ჸ*. ბერძნული ანბანის საფუძველზე შექმნილ კომპლურ დამწერლობაში, ისევე როგორც ქართულში, „დანართ“ ნაწილში ბერძნულსაგან ფონეტიკურად განსხვავებული ბევრითი ერთეულები მოთავსდა (იხ. ზემოთ, გვ. 100).

** *š šādē* და *q qōp* ნიშნებით გადმოცემულ სემიტურ ემფატიკურ [š] და [q] თანხმოვანთა ფონეტიკურ ეკვივალენტებად ქართულში [წ] და [ყ] თანხმოვნები იქნებოდა საეარაუღებელი. სემიტური ემფატიკური [š] სპირანტი ქართულში ნასესხებ სიტყვებში გადმოღის [წ] ბგერის (ფერიატის) სახით, რაც ამ ბგერების ფონეტიკურ (აქუსტიკურ) სიახლოვეზე მეტყველებს: შდრ. ქართ. *წ ი ნ წ ი ლ ა* - არაბ. *ن ل ي ع*; დამახასიათებელია, რომ თვით სემიტური სახელწოდება *šādē* ქართულში გადმოცემულია როგორც „წ ა დ ე“ (*Церетеу*. 1941:16); ასევე სემიტური [q] ბგერა ქართულში, როგორც *ყ* სი, [ყ] ბგერით გადმოიცემა: შდრ. ქართ. *ა რ ა ყ ი* - არაბ. *ع ر ق*;

ქართ. *ყ ა დ ი* - არაბ. *ق ا د ي*; ქართ. *ყ ა ბ უ ლ ი* - არაბ. *ق ب و ل* და სხვ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ასურულის ერთ-ერთ დიალექტში, რომელიც ქართულგრაფიკას იყენებს, სემიტური [q] ბგერა ქართული „ყარ“ ნიშნით არის გადმოცემული (წერეთელი კ. 1958:59).

თუ ქართული ანბანი თავის ძირითად ნაწილში გვიჩვენებს ძველი სემიტური დამწერლობისათვის დამახასიათებელ ზოგ თავისებურებას (როგორცაა, მაგალითად, ქართულ და სემიტურ დამწერლობებში *ხ, d, g* ან *l, m, n* თანხმოვნების გამომხატველ ნიშანთა ადგილი და შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობები და სხვ.), ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ბერძნული ანბანის სტრუქტურას ასახავენ, რომელიც თავის მხრივ ძველი სემიტური სისტემის თავისებურებებს იმეორებს. ამდენად ძველი ქართული ანბანის სემიტურთან მსგავსება ამ ნაწილში ბერძნული სისტემით არის გაშუქებული და ვერ გამოდგება სემიტურ-ქართულ სისტემებს შორის უშუალო ურთიერთობის საილუსტრაციოდ.

ამგვარად, ქართული ანბანის პირველი და ძირითადი ნაწილი გაიწყო ბერძნული ანბანის მიხედვით, ქართული ანბანური დამწერლობის პირველი ოცდაშვიდი სიმბოლო განაწილდა ანბანთრიგში ბერძნული სისტემის სათანადო ნიშნებისა და შესაბამისად*.

მაგრამ რა პრინციპს ემყარება ქართული ანბანის შეორე, „დანართი“ ნაწილის ნიშანთა განლაგება, რომელ სისტემას მისდევს აქ ქართული ანბანთრიგი?

მიუხედავად სემიტური წერითი სისტემის ცალკეული გავლენებისა ამ ნაწილში, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი ქართული ანბანის ნიშანთა გრაფიკულ ანალიზთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ანბანის დანართი ნაწილის სტრუქტურა არ ემყარება რომელიმე

* ქართულში ასომთავრული ანბანის უტყუარი კავშირი ბერძნულ დამწერლობასთან, რაც ვლინდება უწინარეს ყოვლისა ბერძნული პარადიგმატიკის ამსახველ ანბანთრიგში, შესაძლებელია ვაგებულოყო ისე, თითქოს გარკვეულ პერიოდში მოხდა ბერძნულის გავლენით ძველი ქართული დამწერლობის რაღაც რეფორმა, რომლის შედეგად მან მიიღო ის სახე, რაც ჩვენთვის ისტორიულად არის ცნობილი.

მაგრამ რამდენად ლოგიკურია ან ფაქტობრივი მონაცემებით გამართლებული ამგვარი ვარაუდი? რა მონაცემების საფუძველზე უნდა დაეუშვათ დამწერლობის ისეთი სისტემის არსებობა ქართულში, რომელიც წარმოიქმნა რომელიმე არაბერძნული (დაეუშვათ, სემიტური) სისტემისაგან ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი პარადიგმატიკით და რომელიც მხოლოდ შემდგომ იქნებოდა მოყვანილი შესაბამისობაში ბერძნულთან და მიიღებდა ისტორიულად ცნობილი „ასომთავრული დამწერლობის“ სახეს? ამგვარი რადიკალური გარდაქმნები ერთხელ შექმნილ წერით სისტემაში უცნობია დამწერლობათა ისტორიაში, ხოლო თვით ძველ ქართულ ასომთავრულ წერით სისტემაში არავითარი მონაცემები არ არსებობს იმისათვის, რომ ვივარაუდოთ მისი უფრო ადრინდელი, „არაბერძნული“ სახეობა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა სემიტურ წერით სისტემასთან. სემიტურთან უფრო ადრინდელი კავშირი (იმ აზრით, რა აზრითაც ძველი ქართული წერითი სისტემა ბერძნულს უკავშირდება) ქართული ასომთავრული ანბანისათვის არ არის საყარაუდებელი.

კონკრეტულ წერით პროტოტიპს; იგი, საფიქრებელია, უფრო გარკვეული ფონეტიკური პრინციპის მიხედვით განლაგებულ ბგერათა წყობით განისაზღვრება, რისი მაგალითებიც ცნობილია სხვადასხვა ტიპის დამწერლობებში (შდრ. ამ მხრივ ფონეტიკური პრინციპით განსაზღვრული ძველი ინდური დამწერლობის წყობა, იხ. ზემოთ, გვ. 45).

ქართული ანბანის „დანართი“ ნაწილის ცენტრალურ წვერს წარმოადგენს მკლერი /ძ/ აფრიკატი, რომლის მარცხნივ და მარჯვნივ (*resp.* ზემოთ და ქვემოთ) მოთავსებულია სიმეტრიულად განლაგებული ბგერები, შესაბამისად ყ რ უ (ფშენიერი) და (ყ რ უ) გლოტალი ზეპული აფრიკატები.


ამ თვალსაზრისით ამავე ჯგუფში შემავალი /ზ/ სპირანტი, რომელსაც სისტემაში არ მოეძებნება გლოტალიზებული მკვეთრი ეკვივალენტი, ერთგვარ ასიმეტრიულ წვერს წარმოადგენს.

სიბილანტური აფრიკატი და სპირანტი თანხმოვნების ამ წესით დალაგებული ჯგუფი შემოიფარგლება ორივე მხრიდან წყვილ-წყვილად წარმოდგენილი უკანაენისმიერი (პოსტერიორული) თანხმოვნებით, რომელთაგან პირველი ელემენტი წყვილში სპირანტია, მეორე ელემენტი — ხ შ უ ლ ი.

თანხმოვნების მთელ ამ ჯგუფს ასრულებს /ჩ/ თანხმოვნის გამომხატველი გრაფემა, რომელიც ამგვარად შექმნილი სისტემის გარეშე დგას და ბგერით ერთეულთა ამ ჯგუფის დამასრულებელ სიმბოლოს წარმოადგენს.

/ჩ/ თანხმოვნის მომდევნოდ ანბანთრიგში წარმოდგენილია ს კ „პაე“ სიმბოლო, რომელიც არქაულ სისტემაში მხოლოდ რიცხვ-ნიშანს წარმოადგენდა ფონეტიკური მნიშვნელობის გარეშე (იხ. ზემოთ, გვ. 152):

„სამსიფიკურ“ ქართულ თანხმოვნათა ანბანში განლაგების სქემა



ქართული ანბანის „დანართი“ ნაწილის* თანხმობანთა ამგვარი სიმეტრიული განლაგება აშკარად მოწმობს გრაფიკულ სიმბოლოთა შეგნებულ განაწილებას ანბანის ამ მონაკვეთში გარკვეული ფონეტიკური პრინციპის მიხედვით და ავლენს ქართული ანბანის შემქმნელის ლინგვისტურ ალღოსა და ფონეტიკურ ერუდიციას (შდრ. ჯავახიშვილი 1949:267).**

*) შეატყობთ თუ ვიმსჯელებთ, ქართული ანბანის „დანართ“ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მიმდევრობა, დაწყებული ანბანში ჩ ჩინ სიმბოლოთი, ე. ი. საკუთრივ „ათასეულების“ აღმნიშვნელი რიცხვ-ნიშნებით, სათანადო ფონეტიკური მნიშვნელობებით. ამ ჭკუფის წინ წარმოდგენილი ი ლ „ლან“, ყ ყ „ყარ“ და ჟ ჟ „ჟინ“ ასო-ნიშნები, თუმცაღა სპეციფიკური ქართული, ბერძნულისაგან განსხვავებული ბგერების გამომატეველი, უნდა ჩაითვალოს სისტემაში ბერძნული ანბანის სამი უქანასენელი („ასეულების“ გამომატეველი) Ϸ Ϸ „ძი“, ϸ ϸ „ძე“ და Ϲ Ϲ „ჯი“ ნიშნები, იხ. ზემოთ, გვ. 141; 143).

მაგრამ რამდენადაც ქართული ანბანის საკუთრივ დანართი ნაწილი („ათასეულების“ გამომატეველი სიმბოლოები სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობებით) უშუალოდ მოსდევს ძირითადი, ბერძნულისადმი შესაბამისი ნაწილის სამ დამასრულებელ სიმბოლოს სპეციფიკური ფონეტიკური მნიშვნელობებით და ამ ნაწილებს შორის გარკვეული ფონეტიკური ურთიერთობა არსებობს, საკუთრივ „დანართი“ ნაწილის ფონეტიკური სტრუქტურისა და შედგენილობის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ძირითადი ნაწილის დამასრულებელი სიმბოლოებიც. ქართული ანბანის „დანართი“ ნაწილი თავისი ფონეტიკური შედგენილობით ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ძირითადი ნაწილის დამასრულებელი სიმბოლოებისას. ამდენად ნიშანთრიგის ეს მონაკვეთები ქართულ ანბანში სპეციფიკური ფონეტიკური შედგენილობის თვალსაზრისით ნიშანთა საერთო ქვეკლასს ქმნიან.

***) ე. ბედერიის თვალსაზრისით (Boeder 1975), „სპეციფიკურ“ ქართულ თანხმობანთა ამგვარ დალაგებაში შესაძლებელია ასახული იყოს კლასიკური ბერძნული ფონეტიკური თეორია, რომლის ცოდნა ივარაუდება ბერძნული განათლების მქონე ქართული ანბანის შემქმნელის მიერ. დიონისეთრაკელი თავის „გრამატიკის ხელნაწილში“ (*Τέχνη Γραμματική*, § 6: *Περί σπειζ(ων)*) გამოპყოფს თანხმობანთა (σύμφωναν) შორის 9 თანხმობანს, რომელნიც ხასიათდებიან როგორც „უხმონი“—*ἀφωσαν*: ესენია 3 თანხმობანი: „მკვეთრი“, „უფშვინვი“—*ψιλδ* (შდრ. ლათ. *tenues*): π, τ, κ ; 3 თანხმობანი: „სქელი“ (ე. ი. „ფშვინვიერი“)—*ბაძა* (შდრ. ლათ. *aspiratae*): φ, θ, χ ; და 3 თანხმობანი: „შუათანა“—*μέσα* (შდრ. ლათ. *mediae*): β, ζ, γ . ეს „შუათანა“—*μέσα, mediae*—თანხმობენები დახასიათებულა როგორც $\text{ῥῶ ψιλῶ μῶσ βῆσψερεα, ῥῥῶ δῆσῆσῶ ψιλῆσῆσῶ}$ „მკვეთრებზე უფრო ფშვინვიერი, ფშვინვიერებზე უფრო მკვეთრი“ (შდრ. *Robins 1957: 87 — 89*);

ბერძნულ თანხმობანთა ამგვარი კვალიფიკაცია ითვალისწინებს საკლასიფიკაციო პრინციპად მხოლოდ თანხმობენის რაგვეარობას და არა წარმოების ადგილს

7. ქართული ანბანის ასო-ნიშანთა სახელები

ქართული ანბანის ასოთა სახელები არ იმეორებენ ბერძნული პროტოტიპის (ან სხვა რომელიმე წერითი სისტემის) სიმბოლოთა სახელწოდებებს და ფონეტიკურ ნიდაგზე წარმოქმნილი თავისუფალი თხზვის შედეგს უნდა წარმოადგენდნენ.

ქართული ენის ფონეტიკური ბუნების გათვალისწინებით იქმნება ასოთა სახელებად თავისებური ფონეტიკური უღერადობის ხელოვნური სიტყვები, რომლებიც, ანბანთრიგში შესაბამისად გაწყობილნი, გართმულობისაკენ მიდრეკილებას ავლენენ (შდრ. ამ მხრივ ლათინური, სომხური და სხვ. ანბანთა ასოების ფონეტიკურ ნიდაგზე ხელოვნურად შექმნილი სახელების სისტემა, იხ. ზემოთ, გვ. 95 და შმდ.).

ხმოვანი ბგერების გამოხატველი ნიშნების სახელები იწარმოება სათანადო ხმოვანზე – თანხმოვნის დართვით: ან, ენ, ინ, ონ, უნ;

თანხმოვანთა გამოხატველი ნიშნების სახელებიც გაფორმდა როგორც ცალმარცვლიანი სიტყვები ბოლოკიდური – თანხმოვნით: მან, გან, დონ, ვინ, ზენ, თან, კან, მან, ჟან, სან, ქან, ღან, შინ, ჩინ,

(Schwyzer 1939: 173), თუმცა წარმოების ადგილის ცნება (επιθε) არ არის უცხო ბერძნული ფონეტიკური თეორიისათვის (ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს მიხედვით ბგერები განიჩევიან ერთმანეთისაგან σ χ ῥ ῖ μ α σ τ ῶ ς ε ε σ θ σ ε ς μ α σ ε ς και τ ῥ ῖ ο ι ζ και θ ἄ σ ῶ ς η ς και ψ ἰ λ ῥ ῖ η ς και μ ῆ ς και β ρ α χ ῶ ς η ς, ჳ ი ბ ბ ძნ ῶ ς η ς και β ρ ἄ ῶ ς η ς και ε ψ ἰ μ ῆ ς σ α) „ბირის (ლრუს) მოყვანილობითა და (წარმოების) ადგილით, ფშინივნიერებითა და სიმკვეთრით, სიგრძითა და სიმოკლით, აგრეთვე სიმაღლითა და სიდაბლით და მკლერობით“).

ქართულ ანბანში, როგორც ენახეთ, ბერძნული „ერუ ხშულები“: π τ χ (ψιλძ) „ერუ ფშინივნიერები“: φ ψ χ (ბასძა) და „მკლერები“ β θ γ (მესძა) გაივიწყლებულია შესაბამისად ქართულ გლოტალიზებულ (მკვეთრ) პ ტ კ, ერუ ფშინივიერ ფ თ ქ და მკლერ ზ დ ჳ თანხმოვნებთან. ამის შესაბამისად ქართული მკლერი /d/ თანხმოვანი ალიქმება როგორც „შუათანა“ (მესძი) ფშინივიერი /ჩ ც/ (ბასძა) და მკვეთრი /ჭ კ/ (ψილძ) თანხმოვნების მიმართ, რაც სათანადოდ ასახება ანბანთრიგში /d/ თანხმოვნის მთელი ამ ჭკუდის ცენტრში მოქცევით.

ანბანის მეორე, „სპეციფიკური“ ქართული ნაწილის თანხმოვანთა დალაგების კანონზომიერებათა შესახებ ბოლო დროს მრავალი სხვადასხვა ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალსაზრისი იქნა გამოთქმული, შდრ., მავალითად, Myrales 1984; ფ ა რ ჯ ა ნ ა ძ ე 1984.

კან, ხან, ჯან. შეინიშნება ხმოვანთა განსხვავებული ტემბრი ამგვარად ნაწარმოებ ცალმარცვლიან სიტყვებში.

შეიდი ასოს ცალმარცვლიანი სახელწოდებები ხასიათდება ბოლო-კიდური -რ თანხმოვნით: ნარ, ქარ, ტარ, ფარ, ყარ, ქარ, ვარ. ამ ტიპის სახელებში სტაბილურად წარმოდგენილია -ა- ხმოვანი; ორი ასოს სახელწოდება ხასიათდება ბოლოკიდური -ლ თანხმოვნით და -ი- ხმოვნით: ძილ, წილ; ერთადერთი ასოს სახელი გვიჩვენებს ბოლოკიდურ ელემენტად -ს თანხმოვანს: ლას.

თავისებურ ორმარცვლიან სტრუქტურას ქმნიან სახელები რაე და ჰაე; ასევე -ე ხმოვანზე ბოლოვდება ჰე, ჟე და ვიე სახელები.*

საზოგადოდ, სრულიად უდავოა ამ სახელთა თავისუფალი თხზვის პრინციპი ქართულისათვის ბუნებრივი ბგერათკომპლექსების შერჩევით. ასოთა სახელები ისეა ანბანთრიგში გაწყობილი, რომ ისინი გართიმულობის შთაბეჭდილებას ქმნიან, რაც სახელთა დახსოვნების ხელშემწყობი პირობა უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი 1949:269). საგულისხმოა, რომ ქართული ანბანის ასოთა სახელები მხოლოდ სონორ ნ, რ, ლ (ერთ შემთხვევაში ს სპირანტს) შეიცავენ, და სწორედ ეს ის თანხმოვნებია, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ქართული ლექსის სარიტმო კლაუზულაში; სწორედ სონორი და მჟღერი თანხმოვნებია აქ ყველაზე ხშირი კონსონანტური ელემენტები (შდრ. წერეთელი 1973:76—77).

* არ არის გამორიცხული, რომ ქართული ანბანის ზოგი სახელი სხვა სისტემათა ზეგავლენით ყოფილიყო ნაწარმოები. ასე, მაგალითად, ქართული „შინ“ის პროტოტიპად შესაძლებელია სემიტური *šin* სახელი ყოფილიყო, ხოლო „შინ“ სახელის მიხედვით იწარმოვა „ჩინ“; შდრ. აგრეთვე ქართ. „ზენ“ და სემ. *zajin*, ქართ. „სან“ და ბერძნ. (დორ.) *σάν*; ქართ. „პე“ (*pe*) და ბერძნ. *πέ* (შდრ. *Schwyzler* 1931:197). რაც შეეხება ქართ. „ინ“ სახელის მსგავსებას სომხურ *in* თან, აქ ჩვენ უფრო შემთხვევით დამთხვევას უნდა გვეჩინდეს საქმე. ადვილ დასაანხია, რომ ქართული ასო-ნიშნების სახელწოდებები არსებითად განსხვავდება ფონეტიკურად შესაბამისი სომხური ნიშნების სახელებისაგან (შდრ. ჟავახიშვილი 1949: 268), თუმცა უაზრო სიტყვების საშუალებით ასოთა სახელების ზოგადი პრინციპი ამ სისტემებში საერთოა (ისევე როგორც ლათინურ სისტემაში).

სუკი ქართ. „ინ“ და სომხ. „in“ სახელწოდებათა შემთხვევაში მაინცდამაინც ვილაპარაკებდით „ესსებაზე“ და „გავლენებზე“ (*Перихания* 1966:132), გავლენა უფრო სავარაუდოებელია ქართულიდან სომხურისაკენ წარმართულიყო, ვიდრე პირუკუ, რამდენადაც ქართულ სისტემაში „ინ“ სახელი ხმოვნის ნიშანთა გარკვეული პრინციპით შედგენილი სახელწოდებაა (კერძოდ, სათანადო ხმოვანი + ნ თანხმოვანი: შდრ. ან, ენ, ონ, უნ ხმოვანთსახელები ქართულ სისტემაში), მაშინ როდესაც სომხური „in“ ერთადერთი ამ სტრუქტურის სახელია სომხურ ხმოვანთსახელებს შორის, შდრ. სომხ. *ajb*, *ef*, *o* და სხვ.

8. ასომთავრული დამწერლობის სიმბოლოთა ბრკეფიკული ანალიზი

ძველი ქართული ანბანის გაწყობა ბერძნული პროტოტიპის მიხედვით, ქართული დამწერლობის საფუძვლად ბერძნული წერითი სისტემის მიჩნევა ბუნებრივად სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორაა ასახული ქართულ ანბანში ბერძნული დამწერლობის გამოხატულების პლანი, რა მიმართებაშია ძველი ქართული ანბანის ასონიშანთა გრაფიკული მოხაზულობა ბერძნული სისტემის შესაბამის ნიშნებთან, რომელიც წერით ნიმუშად იყო აღებული ქართული დამწერლობის შექმნისას?

ქართული ანბანის ასონიშანთა სინქრონული გრაფიკული ანალიზი ავლენს ნიშანთა გრაფიკულ ხასიათს და მათ შორის არსებულ გრაფიკულ მიმართებებს.

ძირითად გრაფიკულ შემადგენელ ელემენტებს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობისას წარმოადგენს სხვადასხვა სიგრძის სწორი ხაზი, სხვადასხვა სიღიღის წრეხაზი და ნახევარწრეხაზი. ამ ელემენტთა ერთმანეთთან კომბინირებით იწარმოება მონუმენტური სტილის დამწერლობა თანაზომიერი სიმალლის გრაფიკული ნიშნებით, რომლებიც ორხაზოვან სისტემაშია მოქცეული*.

თუ ჩვენ ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკებს განვიხილავთ როგორც გეომეტრიულ ფიგურებს, რომლებიც მოიხაზება ფარგლისა და სახაზავის საშუალებით (შდრ. Boeder 1975:10), აუცილებელი და საკმარისია მათ საწყის გრაფიკულ ელემენტებად ორი კომპონენტი ვივარაუდოთ: სწორი ხაზი და ნახევარწრეხაზი, რომლებიც კომბინირებენ ერთმანეთთან ერთი კვადრატული უჯრედის ფარგლებში და გარკვეულ კონფიგურაციებს ქმნიან. ასეთი კვადრატული

* ვ. ბედერი ქართული მრგოლოვანი ანბანის გრაფიკებს სხვადასხვა "მდებარეობაში" წარმოდგენილი მარტივი ხაზისა: | — და ნახევარწრეხაზის: () ორთა კვადრატულ უჯრედში მოთავსებულ კომბინაციად განიხილავს. ნიშანთა კონსტრუირების გარკვეული წესების ფორმულირებით მიიღება ძველი ქართული მრგოლოვანი დამწერლობის ყველა გრაფიკული სიმბოლო (Boeder 1975). ასომთავრული დამწერლობის სიმბოლოს ამგვარი გრაფიკული ანალიზი გულისხმობს თვალსაზრისი ქართული ასონიშნების ხელოვნურად შექმნის შესახებ. ანალოგიური თვალსაზრისი ასომთავრული გრაფიკის, როგორც სწორი ხაზისა და წრეხაზის საშუალებით შედგენილი ხელოვნური სიმბოლოების შესახებ, რომლებიც კვადრატში ან ნახევარკვადრატში ჩაიხაზება, წარმოდგენილი ჰქონდა აგრეთვე ე. მაკაეარიანს (შდრ. ჩხენკელი 1977). ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკისათვის შდრ. აგრეთვე პატარიძე 1972, 3: 156 და შმდ. და განსაკუთრებით პატარიძე 1980.

უჯრედი ერთგვარი უხილავი ჩაჩოა, რომლის ფარგლებშიც და რომლის პროპორციების მიხედვით გამოიყენება ასომთავრული დამწერლობის თითოეული გრაფემა (შდრ. მაჭავარიანი ე. 1970; 1977; 1982; ჩხენკელი 1977:67 და შმდ.; 1981).

ეს გრაფიკული კონფიგურაციები ან მთელ კვადრატს ავსებენ, ანდა ნახევარკვადრატის ფარგლებში თავსდებათ. ამასთანავე სწორი ხაზები ერთმანეთის მიმართ პერპენდიკულარულად განლაგდებიან კვადრატის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კათეტების გასწვრივ და სწორ კუთხეს ქმნიან, განსხვავებით ანალოგიური ხასიათის ბერძნული გრაფემებისაგან, რომლებიც ხასიათდებიან აგრეთვე სწორი ხაზების დახრილი მდებარეობით შესაბამისად კვადრატის ან ნახევარკვადრატის დიაგონალებისა: შდრ. ბერძნული გრაფემები:

Α Δ Λ Χ Ζ Κ Μ Ν Σ Υ Ψ;

ერთადერთ გამონაკლისს ამ თვალსაზრისით ქართული ასომთავრული X „ჩან“ გრაფემა ქმნის (შდრ. Boeder 1975:19).

ამ ორი საწყისი გრაფიკული ელემენტის ერთმანეთთან კომბინირებით მიიღება ასომთავრული ანბანის ყველა ძირითადი გრაფემა.


ამგვარი კომბინირების წესები საკმაოდ სრულად აქვს ჩამოყალიბებული დასახელებულ ნაშრომში ვ. ბ ე დ ე რ' ს. დასაზუსტებელია ამ წესებში მხოლოდ ის, რომ ნახევარწრეხაზები) და (უშუალოდ კი არ მიერთვის ასოს „ძირითად ხაზს“, რომელიც კვადრატული უჯრედის ვერტიკალურ შუახაზს (მედიანას) გასდევს, არამედ მოკლე შტრიხების—კვადრატის გვერდის მეოთხედი სიგრძის სწორი ხაზების საშუალებით; ე. ი. გვაქვს არა



შესაბამისად გამოიყოფა სხვადასხვა სიგრძის სწორი ხაზი—კვადრატის სიმაღლის ან მისი სამი მეოთხედი სიმაღლისა*, აგრეთვე კვადრატის გვერდის ნახევრის ან მეოთხედის სიგრძისა**:

*) ამ სიგრძის სწორი ხაზები გამოყენებულა ყოველთვის როგორც კონფიგურაციის „ძირითადი ხაზი“, რომელიც კვადრატის ვერტიკალურ შუახაზს გასდევს.


***) ეს ხაზები, როგორც წესი, კონფიგურაციის „დამატებით ელემენტებად“ გვევლინება, რომლებიც მიერთვის კონფიგურაციის „ძირითად ელემენტს“.



და ორი სიდიდის ნახევარწრეხაზი—კვადრატის ნახევარსიმაღლის რადიუსით და მისი მეოთხედი სიმაღლის რადიუსით:




ნახევარწრეხაზი შეიძლება გაგრძელდეს მერვედი სიგრძის რკალით ან შეივსოს სრულ წრეხაზამდე, რომელიც ასეთ შემთხვევაში განიხილება როგორც ორი ნახევარწრეხაზისაგან შედგენილი გეომეტრიული ფიგურა:




ამ გრაფიკული ელემენტების ერთმანეთთან კომბინირებას გარკვეული შეზღუდვები ედება. ასე, მაგალითად, კვადრატის გვერდის ნახევარი სიგრძის ხაზი შეიძლება მიუერთდეს გრაფემის ძირითად ხაზს ქვემო, შუა ან ზემო პოზიციაში მხოლოდ მარჯვენა მხრიდან:





11. თ. გამყრელიძე












მარცხენა მხრიდან გრაფემის ძირითად ხაზს კვადრატის გვერდის ნახევარი სიგრძის ხაზი მხოლოდ ზემო პოზიციაში შეიძლება მიუერთ-





ქვემოთ მოცემულია თითოეული ასომთავრული გრაფემის გეომეტრიული კონსტრუირების საგარაულო ეტაპები:











ამგვარად, გრაფემათა ერთი ჯგუფის „ძირითად გრაფიკულ ელემენტს“ წარმოადგენს ვერტიკალური ხაზი, ასოს ბუნი, რომელსაც მარცხნივ და/ან მარჯვნივ, თავში ან ბოლოში მიერთვის სხვა გრაფიკული ელემენტები — სხვადსხვაგვარად კომბინირებული სწორი ხაზი ან ნახევარწრეხაზი.

ასოთა ამ ტიპის გრაფიკულ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი ნიშნები, როგორიცაა:

ღ ლ ო ო ო ო ო ო ო ო ო ო
 ს ქ ყ ფ ჯ ვ ხ ძ ჩ ე ზ

ასოთა მეორე ჯგუფის ძირითად გრაფიკულ ელემენტს წარმოადგენს ნახევარწრებაზი ან წრებაზი, რომელსაც შეიძლება დამატებითი ხაზები დაერთოს*:

შ დ ტ ც ა ი მ

შ „თან“ ნიშნის შემთხვევაში შეუძლებელია ძირითადი ელემენტის ფორმალური განსაზღვრა: ნახევარწრებაზი თუ ვერტიკალური ხაზი.

ამგვარი წრებაზი და ნახევარწრებაზი, რომლებიც წარმოადგენენ ასო-ნიშნების „ძირითად“ ან „დამატებით“ გრაფიკულ ელემენტს— მათ გრაფიკულ კომპონენტებს — განსაზღვრავს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის „მრგლოვანობას“, მის მრგლოვან ღუქტუსს.

მეორე ჯგუფში შემავალ ასო-ნიშანთაგან, მაგალითად, შ „ღონ“ ნიშნის, ძირითადი გრაფიკული ელემენტია წრებაზი, რომელსაც დამატებითი ელემენტის სახით ზემოდან ერთვის გაჩდიგარდმო სარქველივით დარქმული ჰორიზონტალური ხაზი (ჯავახიშვილი 1949:207)**.


ასეთივე დამატებითი ჰორიზონტალური ხაზი ახასიათებს აგრეთვე X „ჩან“ ნიშანს, რომელიც შესაძლებელია „ჯვრის“ მოხაზულობას წარმოადგენდეს ზევითა გასწვრივი ხაზით (ჯავახიშვილი 1949:231)***.

ჰორიზონტალური ხაზი წარმოადგენს აგრეთვე ტ „ან“ ასოს დამატებით გრაფიკულ ელემენტს, რომელიც ზემოდან ერთვის ნახევარწრებაზს — ნიშნის ძირითად გრაფიკულ ელემენტს.


ამ ჰორიზონტალური ხაზით უპირისპირდება იგი გრაფიკულად ც „ცან“ ნიშანს, რომელიც მოკლებულია ზემოდან ამგვარ დამატებით ხაზს.

ასეთივე დამატებითი გრაფიკული ელემენტი — მარცხნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზის სახით — ახასიათებს ასომთავრულ უ „პარ“ ნიშანს****, განსხვავებით ს „სან“ ნიშნისაგან, რომელიც მხოლოდ ძირითად გრაფიკულ ელემენტს გვიჩვენებს დამატებითი ხაზის გარეშე.

*) წრებაზი თავისთავად შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი ნახევარწრებაზის კომბინირებით მიღებული კონფიგურაცია.

**) ჩვეულებრივ შ „ღონ“ გრაფემა ხასიათდება აგრეთვე მოკლე ვერტიკალური ხაზით, რომელიც უღლივით ერთვის წრებაზს; ეს ხაზი ერთგვარი დამატებითი, შედარებით გვიანდელი გრაფიკული ელემენტია. ამ გრაფემის პირველადი, კვადრატულ უჩრედში გამოყვანილი ფორმა მხოლოდ ჰორიზონტალურ, წრებაზს ზემოდან დართულ სწორ ხაზს უნდა გულისხმობდეს. ამ მხრივ ნიშანდობლივია „ღონ“ გრაფემის ფორმა „ბოლნისის წარწერაში“ ამგვარი უელის გარეშე:  (შღრ. Boeder 1975:22).

***) X „ჩან“ გრაფემა ერთადერთი ნიშანია ქართულ ასომთავრულ გრაფემათა შორის, რომლის შემადგენელ სწორი ხაზები დახრილი მდებარეობით ხასიათდებიან.

****) ქართულ ასომთავრული „პარ“ ნიშანი მე-ნ საუკუნის წარწერებში ხასიათდება რკალის მარცხენა და მარჯვენა ტოტის არათანაბარი სიმაღლით:  ; მის

დამატებითი ხაზი მარჯვნივ მოქცეული კულის სახით ახასიათებს აგრეთვე ასომთავრულ **ღ** „ონ“ ნიშანს.

დამატებითი ხაზები გრაფემათა ამ ჯგუფში არსებითად უფუნქციო გრაფიკული ელემენტებია (გარდა **წ** „ან“ ნიშნის ზემოდან მოთავსებული ჰორიზონტალური ხაზისა), რომელთა საშუალებით არ ხდება ერთი გრაფიკული ნიშნის განსხვავება მეორე ნიშნისაგან. ასე, მაგალითად, **ს** „პარ“ და **ჯ** „ჯან“ ნიშნები არ დაემთხვეოდა სისტემის სხვა ნიშნებს მათთვის დამახასიათებელი მარცხნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზის გარეშე; ასევე **ღ** „ონ“ არ აირიოდა გრაფიკულად სხვა ნიშანში მარჯვნივ წარზიდული კულის გარეშე.

ამ თვალსაზრისით შესაძლებელია გამოვყოთ ასო-ნიშანთა ისეთი ჯგუფი, სადაც „დამატებითი ელემენტები“, ძირითად გრაფიკულ ელემენტებზე დართული, ფუნქციონალური ელემენტებია, რომელთა საშუალებით გარკვეული ნიშნის გრაფიკული დაპირისპირება ხდება სისტემის სხვა რომელიმე ასო-ნიშანთან, რომელთა საშუალებით, მაშასადამე, ერთი ნიშანი გრაფიკული ფორმის მხრივ სისტემის სხვა გრაფემისაგან განსხვავდება.

ამის საპირისპიროდ გამოიყოფა გრაფემათა სხვა ჯგუფი, სადაც ასოთა „დამატებითი ელემენტები“ უფუნქციო გრაფიკული ერთეულებია, რომელნიც არ ახდენენ გრაფემის დიფერენცირებას ამავე სისტემის სხვა ნიშნისაგან.

ამგვარ უფუნქციო დამატებით გრაფიკულ ელემენტებს, გარდა ზემოთ განხილული ერთეულებისა, წარმოადგენენ:

ი „ეინ“ ნიშნის ბუნის მარცხნივ ზემოთ და მარჯვნივ შუაში მიერთებულ ჰორიზონტალურ ხაზებზე დართული ვერტიკალური შტრიხები;

ო „მან“ და **ძ** „ძილ“ ასოთა ასწერივი ხაზის მარჯვნივ მოთავსებული ხაზი, რომელიც ნახევარწრეხაზის ერთგვარ მარჯვნივ წარზიდულ გაგრძელებას წარმოადგენს;

ქ „ჯან“ ნიშნის ჯვრისებურად გადაკვეთილ ძირითად ხაზებზე დართული ჰორიზონტალური ხაზი;

ღ „რაე“ ასოს ძირითადი ვერტიკალური ხაზის ქვედა ნაწილის მარცხნივ წარზიდული რკალისებრი გაგრძელება და სხვ.

მდიფერენცირებელი ფუნქციის მქონე დამატებითი გრაფიკული ელემენტების მაგალითს წარმოგვიდგენენ ისეთი ელემენტები ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფემებისა, როგორცაა:

მარჯვენა, თავდაპირველად უფრო მოკლე ტოტი მე-7 და შემდეგ საუკუნეებში სიმაღლით მარცხენას უთანასწორდება, და ასო იღებს **ს** ფორმას (ქ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი 1949: 215).

ღ „გან“ ასოს ბუნთან ქვედა ნაწილში მიერთებული ჰორიზონტალური ხაზი, რითაც ეს ასო გრაფიკულად Ⴇ „ენ“ გრაფემას უპირისპირდება;

Ⴇ „ენ“ ასოს მარცხენა ჰორიზონტალურ ხაზს მიერთებული ვერტიკალური შტრიხი (საპირისპიროდ Ⴇ „ინ“ ასოსა; შდრ. ამასთან ამავე ხასიათის უფუნქციო შტრიხები Ⴇ „ვინ“ გრაფემისა);

ზ „ლას“ ასოს მარცხენა ჰორიზონტალურ ხაზს მიერთებული ვერტიკალური შტრიხი, რითაც იგი გრაფიკულად ზ „ზენ“ ასოს უპირისპირდება;

ჩ „ნარ“ ასოს ბუნის ზემოთ მარჯვნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზი, საპირისპიროდ ამ შტრიხს მოკლებული ჩ „ჩინ“ გრაფემისა;

ყ „უან“ ასოს ზედა ნაწილში მარცხნივ წარზიდული შტრიხი, საპირისპიროდ ამგვარ შტრიხს მოკლებული ყ „ყარ“ ნიშნისა;

ყ „შინ“ ნიშნის ძირითადი ხაზის ქვედა რკალისებრი გაგრძელება, საპირისპიროდ ყ „ყარ“ ნიშნის ძირითადი ვერტიკალური ხაზის სწორხაზოვანი დასრულებისა (შდრ. ამ მხრივ შ „რაე“ ნიშნის რკალისებრი გაგრძელების გრაფიკულად უფუნქციო ხასიათი)*.

9. ასომთავრული დამწერლობის ბრავიკულ სიმბოლოთა შჯარმომავლობა

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ასო-ნიშანთა შედარებითი გრაფემული ანალიზი სემიტიური და ბერძნული წრის დამწერლობებთან ავლენს ქართული დამწერლობის ორი გინალობას, მის ერთგვარ დამოუკიდებლობას ისტორიულად ცნობილ დამწერლობათა გრაფიკისაგან. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა ვერ დაიყვანება მთლიანად რომელიმე კონკრეტულ ისტორიულად ცნობილ გრაფიკულ სისტემაზე.

ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფემების შედარებითმა შესწავლამ (ჯავახიშვილი 1949:205 და წმდ.) ცხადყო ის მეტად მნიშვნე-

*) ორივე ეს თავდაპირველად თავშეკრული ნიშანი **ყ,შ** მოგვიანებით გრაფიკულ ევოლუციას განიცდის და მათ პირი ეხსნებათ (ყ „ყარ“, ყ „შინ“), ისევე როგორც არქაულ **ღ** „ბან“ ნიშანს, რომელსაც მოგვიანო წერილობით ძეგლებში პირგახსნილი ზედატანი ახასიათებს: **ღ** (ჯ ა ე ხ ი შ ე ი ლ ი 1949 : 206); შდრ. ტიპოლოგიურად ანალოგიური გრაფიკული პროცესი სემიტიური — არამეული — *beth* ნიშნის შემთხვევაში, იხ. ზემოთ, გვ. 38).

ლოვანი გარემოება ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობისა და ისტორიის თვალსაზრისით, რომ ეს ნიშნები ვერ ჩაითვლება ერთი რომელიმე წერიითი სისტემის (ბერძნული ან სემიტური) ბუნებრივ გრაფიკულ განვითარებად (რასობრივად, მაგალითად, არქაული ბერძნული გრაფიკა ძველი სემიტური გრაფიკის ამსახველია, ან მცირე აზიის ძველი დამწერლობანი და ეტრუსკული — ბერძნულია, ასევე კობტური და გოთური უნციალური — ბერძნულია და სხვ.). და თუმცა ცალკეულ ქართულ ასომთავრულ ნიშნებს შეიძლება დაეძინოს სხვადასხვა ხასიათის გრაფიკული ანალოგები სხვადასხვა წერიტ სისტემებში (როგორცაა, მაგალითად, ფინიკიურ-ბერძნული, არამეული, ფალაური, პალმირული და სხვ. გრაფიკული სისტემები), ეს არაფერს მტყვევლებს ქართული დამწერლობის გრაფიკული პროტოტიპის შესახებ, თუ რომელი კონკრეტული წერიტ სისტემის გრაფიკულ ნიშანთა მიხედვით უნდა შექმნილიყო ძველი ქართული მრგლოვანი დამწერლობის ასო-ნიშანთა მოხაზულობა, და მით უმეტეს ვერ ავლენს იმას, თუ რომელი სისტემის გრაფიკულ გაგჩქელებას, ევოლუციას შეიძლება წარმოადგენდეს უძველესი ქართული ასომთავრული ნიშნები (თუ ისინი საერთოდ რომელიმე ცალკეული სისტემის ამგვარი გრაფიკული ევოლუციის პროდუქტად შეიძლება იქნეს მიჩნეული).


ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიშანთა გრაფიკა უფრო ხელოვნურად შექმნილი გრაფემების შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლებიც იწარმოვა სხვადასხვა ტიპის სწორი ხაზებისა და წრებების გრაფიკული კომბინაციით. ამ გზით იქმნება გრაფიკული თვალსაზრისით მეტად ეკონომიური სისტემა გრაფემებისა, რომლებიც ფორმალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (*resp.* უპირისპირდებიან გრაფიკულ სისტემაში ერთმანეთს) მინიმალური რაოდენობის დამატებითი ხაზების საშუალებით. შედარებით იშვიათია გრაფიკულ სისტემაში შემთხვევები ნიშნებში ამგვარი დამატებითი ხაზების უფუნქციო გამოყენებისა (იხ. ზემოთ). ბუნებრივია ამასთანავე ვივარაუდოთ, რომ ძველი ქართული დამწერლობის გრაფიკულ ნიშანთა შედგენა-შეთხზვისას რომელიმე სხვა გრაფიკული სისტემა ყოფილიყო საფუძვლად აღებული, ქართული დამწერლობის ნიშანთა გრაფიკული მოდელირება მომხდარიყო რომელიმე სხვა წერიტ სისტემის (ან სისტემების) გრაფიკული ნიმუშების მიხედვით*.

) როგორც ეს, მაგალითად, ძველი სომხური დამწერლობის შექმნისას არის სავარაუდებელი, სადაც ბერძნული სისტემის მიხედვით შედგენილი ანბანის ნიშანთა გარკვეულ ნაწილს გრაფიკულ გაუორმებისას, როგორც ჩანს, ეთოპური გრაფიკული ნიშნები და პრინციპები იქნა გამოყენებული (იხ. ზემოთ, გვ. 110).

ძველი ქართული წერილობითი სისტემის წარმომავლობა ბერძნული დამწერლობისაგან, ან, უფრო ზუსტად, ძველი ქართული ანბანის შექმნისას წერილობით ნიმუშად და მოდელად ბერძნული ანბანის გამოყენება გვაყარადღებინებს ქართულ გრაფიკულ ნიშანთა შედგენა-შეთხზვისას პირველ რიგში ბერძნული გრაფიკული სისტემის აღებას, ქართულ ასო-ნიშანთა გრაფიკულ საფუძვლად შესაბამის ბერძნულ ნიშანთა მოხაზულობის გამოყენებას*.

ქართული წერილობითი სისტემა იმეორებს ბერძნულ სისტემას, უპირველეს ყოვლისა, გამოხატულების პლანის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელში—წერის მიმართულებაში მარცხნიდან მარჯვნივ (საპირისპიროდ სემიტურ სისტემათა მარცხნივ მიმართული წერისა).

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ასახავს ბერძნულ გრაფიკას აგრეთვე თავისი ზოგადი მონუმენტურობით და გრაფემათა გეომეტრიული ხასიათით. ქართული ასომთავრული გრაფემები, ისევე როგორც კაპიტალური ბერძნული დამწერლობის ნიშნები (შდრ. Harder 1942), თითქოს ერთ კვადრატულ უჯრედში ჩახაზულ გეომეტრიულ ფიგურებს წარმოადგენს, შედგენილს სწორი ხაზისა და ნახევარწრეხაზის სხვადასხვა კონფიგურაციებისაგან (შდრ. ზემოთ, გვ. 159 და შმდ.). განსხვავებას აქ მხოლოდ ის ქნის, რომ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, ერთადერთი „ჩან“ ნიშნის გარდა, ყველა გრაფემა შედგენილია სწორი ხაზების ერთმანეთთან ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მდებარეობაში კომბინირებით საერთო კვადრატული უჯრედის ფარგლებში, მაშინ როდესაც ბერძნულ გრაფიკაში არაიშვიათია ასეთივე ხაზების დახრილ მდებარეობაში კომბინირება, მაგალითად, ისეთი გრაფემების საწარმოებლად, როგორიცაა:



და სხვ.

* ქართული ანბანის შინაგანი სტრუქტურული მახასიათებლები, მაგალითად, სემიტურ წერით სისტემას რომ უკავშირდებოდეს (როგორც კავშირიც ბერძნულ სისტემასთან ვლინდება), მაშინ ბუნებრივი იქნებოდა ქართულ გრაფიკულ ნიშანთა შესადარებლად სემიტური ნიშნები მოგვეხმო, რომელიმე სემიტურ სისტემასთან დავეენახა ქართულ ასო-ნიშანთა გრაფიკული მსგავსება.

არსებოდა გრაფიკული მსგავსება ერთი სისტემისა შესაძლებელია მრავალსხვა სისტემასთან აღმოჩნდეს. ბუნებრივია ასეთ ვითარებაში შესაძლებელია სწორ-

ამ საერთო მონუმენტური სტილისა და ნიშანთა გეომეტრიული ხასიათის გარდა, ნიმუშად აღებული ბერძნული წერილობითი სისტემის გავლენა ქართულ ასომთავრულ გრაფიკაზე თავს იჩენს აგრეთვე მთელი რიგი ასომთავრული ნიშნების კონკრეტულ მოხაზულობაში, რომელთა გრაფიკული ფორმა მსგავსია სათანადო ბერძნული გრაფემების ფორმისა.

ასეთი გრაფიკული მსგავსება ბერძნულთან ვლინდება განსაკუთრებით ქართული ასომთავრული დამწერლობის „ძირითად“, ბერძნულისადმი შესაბამის ნაწილში. ამ ნაწილის ნიშანთა უმრავლესობის მოხაზულობა შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც სათანადო ბერძნულ ნიშანთა გრაფიკაზე დამყარებული ფორმები; ამ ნიშანთა გრაფიკული ფორმები უნდა ასახავდეს სათანადო ბერძნული ასოების მოხაზულობას, გართულებულს ქართულ სისტემაში დამატებითი ხაზებით ან გრაფიკულად გამარტივებულს გარკვეული ხაზების მოცილებით. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის „ძირითადი“, ბერძნულისადმი შესაბამისი ნაწილის ეს გრაფემები შესაძლებელია ბერძნული დამწერლობის შესაბამისი ერთეულთა გრაფიკული მოდიფიკაციის შედეგად ყოფილიყო მიღებული.

ქართული **Ⴀ** „ან“ ნიშნის გრაფიკულ პროტოტიპად შესაძლებელია არქაული ბერძნული **Α** ძღჲა იქნეს მიჩნეული ქართულში დამატებითი ჰორიზონტალური ხაზის მიწერით, რომელიც ნიშნის ძირითად გრაფიკულ ელემენტს—ნახევარწრეხაზს—ზემოდან ერთვის;

ქართული **Ⴁ** „ბან“, რომლის არქაული გრაფიკული სახეობა თავშეკრულია (ხოლო მოგვიანო ხანაში ნიშანს პირი ეხსნება, იხ. ზემოთ, გვ. 169*), შესაძლებელია იწარმოვა არქაული ბერძნული **Β** βჲა ნიშნის მიხედვით, რომელიც პირმარცხნივ არის შებრუნებული. ბერძნული ნიშნის გრაფიკული მოდიფიკაცია ქართულში გამოიხატა ასოს ქვედა მუცლის მოცილებასა და ბუნის ქვედა ნაწილში მარჯვნივ წარზიდული დამატებითი ხაზის მიწერაში (რაც მეტად დამახასიათებელი გრაფიკული ზერხია კვადრატულ უჯრედში მოქცეულ ქართულ ასო-ნიშანთა მოდიფიცირებისა);

რედ ის გრაფიკული სისტემა დავსახოთ, რომელთანაც მოცემული წერითი სისტემა შედარო შენაგან სტრუქტურულ კავშირებს ავლენს.

ასეთ სისტემად ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შემთხვევაში ძველი ბერძნული დამწერლობა გვევლინება, და სწორედ ბერძნული გრაფიკა უნდა ვივარაუდოთ პირველ რიგში ქართული გრაფიკის საყრდენად.

ქართული **ღ** „გან“ ემყარება არქაული ბერძნული **Γ γίμμα** ნიშნის

მოხაზულობას მარცხნივ მიქცეული პირით, რასაც ერთვის დამატებითი, ქართულ სისტემაში ფუნქციონალური ღირებულების ხაზები ბუნის ბოლოში მარჯვნივ წარზიდული პორიზონტალური ხაზისა და ასოს ზედა ნაწილში ვერტიკალური შტრიხის სახით;

ძველი ქართული ასომთავრული **Ი „ღონ“** უნდა წარმოადგენდეს ბერძნული **Δ δέλα** ნიშნის გრაფიკულ მოდიფიკაციას ასოს ტანზე, რომელიც ჩვეულებრივ წრეხაზს წარმოადგენს, ზედ გარდიგარდმო პორიზონტალური ხაზის დამატებით:

ქართული ასომთავრული **ⴁ „ენ“** წარმოადგენს ბერძნული **Ε ε ψιλό** გრაფემის მოდიფიკაციას ორი ქვედა პორიზონტალური ხაზის მოცილებით და ქართულ ასოში დამატებით ვერტიკალური შტრიხის—სისტემაში გრაფიკულად ფუნქციონალური ღირებულების მქონე დანამატის—მიწერით. ქართულ ასოს პირი მარცხნივ აქვს მიქცეული, ისე როგორც ეს არქაულ ბერძნულ სისტემაშია სავარაუდებელი: **Ξ**.

ქართული ასომთავრული **ⴂ „ვინ“** ავლენს უტყუარ გრაფიკულ კავშირს არქაულ ბერძნულ **Ϝ digamma** ნიშანთან, რომელიც მარცხნივ მიმართული (ან ბ უ ს ტ რ ო ფ ე დ ო ნ) წერისდა შესაბამისად არქაულ ბერძნულ სისტემაში მარცხნივაც უნდა ყოფილიყო მიქცეული: **Ϝ** . ეს

ასო წარმოადგენს გრაფიკულ პროტოტიპს ქართული **ⴂ** ნიშნისას, რომელიც იწარმოვა შუა გასწვრივი ხაზის ბუნის მარჯვნივ გატანით და პორიზონტალური ხაზების ბოლოებში ვერტიკალური შტრიხების—ამ შემთხვევაში უკვე გრაფიკულად უფუნქციო ელემენტების—მიწერით;

ქართული ასომთავრული **ⴃ „ზენ“** წარმოადგენს შესაბამისი ბერძნული **Ζ** გრაფიკული პროტოტიპისაგან მეტად დაშორებულ ნიშანს, რომელიც, ამდენად, ვერ ჩაითვლება ბერძნული ასოს გრაფიკული გარდაქმნის შედეგად. ეს უნდა იყოს მთლიანად ხელოვნურად შექმნილი გრაფიკული ნიშანი, რომელიც ზედა პორიზონტალურ ხაზთან ვერტიკალური შტრიხის უქონლობით **ⴃ „ლას“** ნიშანს უპირისპირდება. ეს უკანასკნელიც არ ავლენს აშკარა გრაფიკულ კავშირს ბერძნული (ან რომელიმე სხვა სისტემის) სათანადო გრაფიკულ ერთეულებთან და მთლიანად ორიგინალურ ნიდაგზე შეთხზულ გრაფიკულ ნიშანს უნდა წარმოადგენდეს. ამ ორი ნიშნის ერთმანეთისაგან მხინძალური გრაფიკული განსხვავებულობა და ამავე დროს მათი შესაძლებელ გრაფიკულ

პროტოტიპთაგან დაშორება მოწმობს ორივე ამ ნიშნის ორიგინალურ ნიადაგზე შეთხზვას ერთმანეთის გრაფიკული დაპირისპირებით ვერტიკალური შტრიხის საშუალებით;

ქართული ასომთავრული 1 „ჰე“ ნიშანი წარმოადგენს ბერძნული Η ნიშნის გრაფიკულ მოდიფიკაციას მარჯვენა პარალელური ასწვრივი ხაზის ჩამოცილებით*.

ეგვევ გრაფიკული ხერხი პროტოტიპული ნიშნის მოდიფიკაციისა გამოაყენებელი უნდა ყოფილიყო ქართული ასომთავრული 1 „თან“ ნიშნის შექმნისას არჩეული ბერძნული ⊕ მიჯნა ნიშნის საფუძველზე. ბერძნული ასოს მარჯვენა ნახევრის ჩამოცილებითა და პორიზონტალური შტრიხის ასწვრივ ხაზს გარეთ გატანით (შდრ. ანალოგიური გრაფიკული პროცედურა 1 ნიშნის შექმნისას) მიღებულ იქნა ასომთავრული 1 „თან“ ნიშანი. აღსანიშნავია, რომ ასწვრივ ხაზს ამგვარად შუაში მარჯვნიდან მიწერილი პორიზონტალური შტრიხი ქართულ გრაფიკულ სისტემაში უფუნქციო ელემენტად იქცა. ამ ხაზის ბოლო უფრო გვიანდელ ნიმუშებში ქვევით იხრება და გრძელდება; თვით ხაზი ასწვრივი ხაზის ზევით მიიწევს (შდრ. ჯავახიშვილი 1949: 209);

ასომთავრული 1 „ინ“ პროტოტიპულ ბერძნულ Ι ორჯერ ნიშანთან უტყუარ გრაფიკულ კავშირს ავლენს. გრაფიკული მოდიფიკაცია ქართულ სისტემაში გამოიხატა მხოლოდ ასწვრივი ხაზის თავში მარცხნივ პორიზონტალური შტრიხის მიწერაში;

ქართული ასომთავრული 1 „კან“ ხასიათდება კვანძის მსგავსი მოყვანილობით, რომლის ერთი ტოტი ასწვრივ, მეორე კი, უფრო მოკლე, დასწვრივ არის ჩამოყვანილი (ჯავახიშვილი 1949: 210). ქართული ასო, შესაძლებელია, ბერძნული Κ ორჯერ ნიშნის გრაფიკულ მოდიფიკაციას წარმოადგენს;

ქართული ასომთავრული 1 „მან“ და 1 „ნარ“ თავიანთი მოხაზულობით მეტად დაცილებულია სათანადო ბერძნულ გრაფემებს და მთლიანად ხელოვნურად შექმნილი გრაფიკული ნიშნები ჩანს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1 „მან“ და 1 „ნარ“ ნიშნები გრაფიკულად მინიმალურად უპირისპირდებიან ქართული ანბანის დამატებით ნაწილში მოთავსებულ „სპეციფიკურ“ ქართულ თანხმომთანა გამომხატველ 1 „ძილ“ და 1 „ჩინ“ გრაფემებს, რომელთაც, პირველთაგან განსხვავებით, არ ახა-

* ახალი ასოს შექმნის ამგვარი გრაფიკული ხერხი ნიშნის განახევრებით ბერძნულშიც დასტურდება, სადაც ფშვინის აღმნიშვნელი 1 ნიშანი გვიანბერძნულ კლასიკურ დამწერლობაში ძველი Η ნიშნისაგან იყო მიღებული.

სიათებთ ასოს ბუნის თავში შესაბამისად მარცხნივ და მარჯვნივ დართული ჰორიზონტალური ხაზი.

მაშასადამე, ქართული ანბანის „ძირითად“, ბერძნულისადმი შესაბამის ნაწილში ნიშანთა სათანადო ბერძნული გრაფიკული პროტოტიპებისადმი სრული შეუსაბამობა და გრაფიკული დამოუკიდებლობა შეინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც ნიშანი გრაფიკულად მინიმალურად უპიროსპირდება ანბანის „დამატებით“ ნაწილში წარმოდგენილ „სპეციფიკური“ ქართული თანხმოვნის გამომხატველ სიმბოლოს.

როგორც ჩანს, ამ რიგის გრაფემები ქართულ ანბანში შეიქმნა არა ბერძნული გრაფიკული პროტოტიპების გამოყენებით და მათ საფუძველზე, არამედ მთლიანად ორიგინალურ ნიადაგზე ანბანის „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილების გრაფემათა ერთმანეთთან შეპიროსპირებით.

საგულისხმოა ამ თვალსაზრისით აგრეთვე ქართული ანბანის „ძირითად“ ნაწილში მოთავსებულ ს „სან“ და ლ „ტარ“ ნიშანთა მოხაზულობა, რომლებიც გრაფიკულად მნიშვნელოვნადაა დაცილებული, შეიძლება ითქვას, არაფერი აქვთ საერთო ბერძნული სისტემის (და არც რომელიმე სემიტური სისტემის) სათანადო ნიშნებთან. ეს ნიშნები გრაფიკულად მინიმალურად უპიროსპირდება ანბანის „დანართ“ ნაწილში წარმოდგენილ ს „პაე“ და ლ „ხან“ ნიშნებს. ეს ნიშნებიც სავარაუდოა შეთხზულიყო ერთიმეორის შესაბამისად ბერძნული გრაფიკული პროტოტიპის გათვალისწინების გარეშე;

ქართული ასომთავრული Ⴑ „ჟე“ ნიშანი, რომელიც ქართულ ანბანთრიგში ზის ბერძნული Ξ ξ ნიშნის ნაცვლად, გრაფიკულადაც ამ უკანასკნელისაგან მთლიანად განსხვავებული ნიშანია და ბერძნულისაგან დამოუკიდებელ ნიადაგზე უნდა იყოს შექმნილი. საოცარ დამთხვევას ავლენს ეს ნიშანი, როგორც ფონეტიკური მნიშვნელობით, ისე თავისი ადგილით ანბანთრიგში და მოხაზულობით, გათურ Ⴑ j ნიშანთან, რომელიც აქ ლათინური დამწერლობიდან წარმომდგარად არის მიჩნეული (იხ. ქვემოთ);

ასომთავრული Ⴐ „ონ“ მოდიფიცირებულია ბერძნულ პროტოტიპთან შედარებით წრეხაზის მარჯვნივ მოკლე კუდის დართვით, რომელსაც გრაფიკული განმსხვავებელი ფუნქცია არ გააჩნია;

ქართული ასომთავრული Ⴑ „პარ“ ნიშანი, რომლის უძველესი ფორმა ხასიათდება მარჯვენა ტოტის სიმოკლით მარცხენასთან შედარებით: **Ⴑ** (ჯავახიშვილი 1949: 215), უნდა წარმოადგენდეს არქაული ბერ-

ძნული **Π** ან ნიშნის გრაფიკულ მოდიფიკაციას, განხორციელებულს ასოს გადმობრუნებით და ამგვარად მიღებულა **Σ** რკალის მარცხენა მალალ ტოტზე ზემოთ მარცხნივ პორიზონტალური ხაზის მიწერით;

ქართული ასომთავრული **ჟ** „ჟან“ ემყარება ბერძნულ **Ζ** *ζόπανα* ნიშანს, გართულებულს ნახევარწრეხაზის ზემოთ მარცხნივ მიმატებული შტრიხით;

ქართული ასომთავრული **ი** „რაე“, რომლის არქაული ფორმა ხასიათდება მარჯვენა ნახევარწრეხაზის ასწვრივ ხაზზე მალალი მდებარეობით:

Ι, ემყარება, როგორც ჩანს, ბერძნულ **Ρ** *ρ* ნიშანს, მოდიფიცირებულს ასოს ბუნის ქვედა ნაწილის წაგრძელებით და მარცხნივ რკალისებრი მოხრით. „რაე“ ასოს გრაფიკული განვითარება ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში გამოიხატა ასწვრივი ხაზის მარჯვნივ მოთავსებული რკალის (*resp.* ნახევარწრეხაზის) ქვემოთ ჩამოწევაში ბუნის შუა წერტილის სიმაღლეზე (*ჯავახიშვილი 1949 : 216*);

ქართული ასომთავრული **კ** „ჟიე“ არქაული ბერძნული **Υ** *υ* ნიშნის გრაფიკულ მოდიფიკაციას უნდა წარმოადგენდეს ძირითადი ასწვრივი ხაზის დაგრძელების გზით და მის მარცხნივ შუა წერტილში ან ოდნავ ზემოთ ნახევარწრეხაზის მიერთებით;

ამ ასოს მომდევნო **ქ** „ფარ“ და **†** „ქან“ ნიშნები ემყარება სათანადო ბერძნულ გრაფიკულ პროტოტიპებს, წარმოდგენილს **Φ** *φ* და **Χ** *χ* ასოთა სახით.

ამგვარად, ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ბერძნულის შესაბამისი ნაწილის ასო-ნიშანთა გრაფიკული შედარება ბერძნულ ნიშნებთან ავლენს ამ უკანასკნელთა გრაფიკულ საყრდენად გამოყენებას სათანადო ქართულ ასო-ნიშანთა მოხაზულობისათვის. ამასთანავე, მიუხედავად ქართული წერის მარჯვნივ მიმართულებისა, ქართულ ნიშანთა გრაფიკულ პროტოტიპებად გამოყენებულია მარცხნივ მიქცეული ბერძნული ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო არქაული ბერძნული წერითი სისტემისათვის მარჯვნიდან მარცხნივ წერის დროს (სემიტური სისტემის შესაბამისად) ან ბ უ ს ტ რ ო ფ ე ლ ო ნ წერის პირობებში*.

*) განსხვავებას ამ მხრივ ქმნის ქართული ასომთავრული **ი** „რაე“ ნიშნისათვის გრაფიკულ პროტოტიპად ბერძნული სისტემის **Ρ** ნიშნის გამოყენება, რომელსაც პირი მარჯვნივ აქვს მიქცეული. ქართულისათვის საყრდენ გრაფიკულ პროტოტიპებად სხვადასხვა მიმართულებით მიქცეული ბერძნული ნიშნების გამოყენება იმაზე უნდა მიუთი-

მაშასადამე, ძველი ქართული მრგლოვანი დამწერლობა წარმოადგენს ბერძნული წერითი სისტემის ერთგვარ „არქაიზებულ“ ვარიანტს, რომელიც მიღებულია ასო-ნიშანთა გარკვეული სტილიზაციითა და მოდიფიკაციით. „არქაიზაცია“ აქ ვლინდება ძირითადად კლასიკური ბერძნული სისტემის ასო-ნიშანთა პირმარცხნივ შებრუნებაში*.

განსხვავებით ძველი ქართული ანბანის „ძირითადი“, ბერძნული-სადმი შესაბამისი ნაწილისაგან, „დანართი“ ნაწილის ნიშანთა გრაფიკა უკვე არ ავლენს სისტემურ კავშირს რომელიმე კონკრეტულ დამწერლობასთან. ამ ნიშანთა უმრავლესობა წარმოადგენს, როგორც ჩანს, ძირითადად ცალკეული გრაფიკული პროტოტიპის მიხედვით შეთხზულ გრაფიკულ ვარიანტებს ან საკუთრივ ქართულ ნიადაგზე აკროფონული პრინციპის მიხედვით შექმნილ გრაფიკულ ნიშნებს.

აქვე დასაშვებია შესაძლებლობა, ქართული დამწერლობის „დანართი“ ნაწილის ნიშანთა შექმნისას გამოყენებული და გათვალისწინებული ყოფილიყო სხვა წერილობითი სისტემები, რომლებშიც გრაფიკულად გამოხატულია ზოგი სპეციფიკური ქართული ბგერის ფონეტიკურად მსგავსი ბგერითი ერთეულები.

ამ თვალსაზრისით პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ქართული ანბანის „დანართ“ ნაწილში [y] q' და [ŷ] c' ბგერათა გამომხატველი ყ „ყარ“ და წ „წილ“ ნიშნები, რომელთა გრაფიკულ პროტოტიპად ქართული დამწერლობის შემქმნელს სავარაუდოა რომელიმე სემიტური წერითი სისტემის, შესაძლებელია არამეულის, Ꝛ qōp^h და 𐤑 šādē ნიშნები აეღო.

სემიტური ემფატიკური [q] და [š] ბგერები აქუსტიკურად იმდენად ახლოსაა ქართულ პოსტველარულ [q'] ხშულსა და [c'] აფრიკატთან, რომ ამ ბგერათა შემცველი სემიტური სიტყვები გადმოიცემა ქართულში შესაბამისად [y] და [ŷ] ბგერათა საშუალებით (იხ. ზემოთ, გვ. 153**).

ასეთ ვითარებაში საეხვებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ბგერათა გრაფიკული აღნიშვნისათვის ქართულში გამოყენებინათ სათებდეს, რომ ბერძნული ნიშნების უარესად არქაული, მარცხნივ მიქცეული ფორმები ხელოვნურად შერჩეული გრაფიკული ნიშნებია შესაბამისი ქართული ასოების გრაფიკული გაფორმებისათვის დამწერლობის შექმნის პროცესში.

*1) ამ ტიპის არქაიზაცია ნიმუშად აღებული ბერძნული დამწერლობისა ქართულში შესაძლებელია ნაკარნახევი ყოფილიყო თვით „ლოკალური, საქართველოში გავრცელებული ბერძნული წერითი სისტემის თავისებურებებით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ე ა ნ შ ი აღმოჩენილი ბერძნული წარწერა გვიჩვენებს სიტყვის დაწერილობას მარჯვნიდან მარცხნივ, ე. ი. მარცხნივ მიქცეული ასო-ნიშნებით (მდრ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი 1967).

თანალო სემიტური ბგერების გამომხატველი ნიშნები *qōp̄h* და *šādē*. ეს მეტად სავარაუდებელია სემიტური (არამეული) *qōp̄h* ნიშნის მიმართ, რომელიც მოხაზულობით ახლოსაა ქართულ *ყ* „ყარ“ ნიშნთან (თუმცა ქართულ ნიშანს პირი მარცხნივ აქვს მიქცეული).

ასეთი დაშვებით გასაგები გახდებოდა აგრეთვე, თუ რატომ ავლენს ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში გრაფიკულ სიახლოვეს *ყ* „ყან“ და *ყ* „ყარ“ ასოები, რომელთა შორის გრაფიკულ სხვაობას მხოლოდ „ყან“ ნიშნის მარცხენა ირიბი შტრიხი ქმნის: ქართული ასომთავრული *ყ* „ყან“, რომლის გრაფიკული საყრდენია ბერძნული *Ϟ* *κίππ*, და ქართული ასომთავრული *ყ* „ყარ“ საბოლოო ანგარიშით ერთსა და იმავე გრაფიკულ პროტოტიპზე — სემიტურ *qōp̄h* ასოზე დაიყვანება.

ქართული ასომთავრული *წ* „წილ“ ნიშნის გრაფიკულ პროტოტიპადაც შესაძლებელია სემიტური (არამეული) *šādē* ვივარაუდოთ, კერძოდ, ამ ასოს ის ფორმა, რომელიც მან მიიღო გვიანარამეულში ასწვრივი ხაზისადმი მარჯვნივ მიერთებული ტუხილი ხაზის მომრგვალების შედეგად: *𐌗* (შდრ. *ჯავახიშვილი 1949 : 227*)*.

ამ „სპეციფიკურ“ ქართულ ბგერათა გამომხატველი ნიშნების სავარაუდო სემიტური გრაფიკული პროტოტიპები ასახავს იმ გავლენებს, რაც სემიტურ სისტემას შეეძლო მოეხდინა ძველი ქართული ანბანის შექმნისას.

ძველი ქართული ანბანის დანარჩენი ნიშნები ამ ნაწილში შეიქმნა უკვე, როგორც ჩანს, სისტემის სხვა ნიშნების გრაფიკული მოდიფიკაციის შედეგად ან საკუთრივ ქართულ ნიადაგზე აკროფონული პრინციპის მიხედვით:

ყ „ყარ“ ნიშნის გრაფიკული მოდიფიკაციით მიღებულ იქნა, როგორც ჩანს, *შ* „შინ“ ნიშანი, რომელიც ხასიათდება ასწვრივი ხაზის ქვემოთ მარცხნივ მომრგვალებით; ამასთანავე დასტურდება ამ ასოს მოხაზულობა *შ*, ძალზე მოკაუჭებული ბოლოკიდურით, რომელიც მარცხნიდან ბუნს უერთდება;

ქართული ასომთავრული *ჩ* „ჩინ“ ნიშანი გვევლინება ძირითად ნაწილში წარმოდგენილი *ჩ* „ნარ“ ნიშნის გრაფიკულ ვარიანტად;

* საინტერესოა აღინიშნოს, რომ *šādē* ასოს არმაზული არამეული *𐌗* ფორმა არსებითად ემთხვევა „წილ“ ასოს მოხაზულობას ქართულ ნუსხა-ხუტურ დამწერლობაში *წ*, რაც შესაძლებელია დაბტებით არგუმენტად გამოდგეს ძველი ქართული ანბანის „წილ“ ნიშნის კავშირისა სემიტურ *šādē* ნიშნთან (შდრ. *Церетели 1949:64*). ასომთავრულ „წილ“ ნიშნთან დაკავშირებული განსაკუთრებული გრაფიკული მახასიათებლის თაობაზე შდრ. აგრეთვე *კ ა ნ დ ე ლ ა კ ი 1985*.

ეგვე შეეხება ძ „ძილ“ და Է „ხან“ ნიშნებს, რომლებიც შესაბამისად შ „მან“ და Ը „ტარ“ ნიშნების გრაფიკული ვარიანტებია.

უფრო რთულია ძველი ქართული ასომთავრული ი „ლან“, Ը „ცან“ და Թ „ჰარ“ ნიშნების წარმომავლობის გარკვევა, რამდენადაც ისინი გრაფიკული თვალსაზრისით სისტემაში იზოლირებულ გრაფემებს წარმოადგენენ და ვერ განიხილებიან როგორც რომელიმე სხვა ნიშნის გრაფიკული ვარიანტები.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ი „ლან“ სიმბოლოს გრაფიკულ პროტოტიპად ბერძნული ანბანის უკანასკნელი Ω ὦ μεγα ნიშანი ვცნოთ, რომელიც თავისებურად, ფონეტიკური მნიშვნელობის შენაცვლებით, აისახა ქართულ დამწერლობაში, ხოლო ასომთავრული Ը „ცან“ ნიშნისათვის (ფონეტიკური მნიშვნელობა [ts]) გრაფიკულ პროტოტიპად ლათინური C გრაფემა ვივარაუდოთ, რომელიც თანადროულ ლათინურ წერით სისტემაში [k] თანხმოვანთან ერთად ამ უკანასკნელის ასიბილატიით [ts] აფრიკატსაც გამოხატავდა (შდრ. *Кыпчае* 1952 : 47).

ქართული ასომთავრული დამწერლობის Կ ჯ „ჰარ“ ნიშანი თავისი მოხაზულობით და სახელწოდებით შესაძლებელს ხდის ვივარაუდოთ ანბანის შემქმნელის მიერ ხარის (ძვ. ქართ. ჰარ ი) გამოსახულების გრაფიკულ სიმბოლოდ მიღება, რომელსაც მიეწერა აკროფონული პრინციპის მიხედვით /ჰ/ თანხმოვნის ფონეტიკური მნიშვნელობა (ნიშნით გამოსახული საგნის სახელწოდების თავკიდური ბგერის შესაბამისად). შდრ. *Карагачишце* 1957: 202—203.

ეგვე აკროფონული პრინციპი დაედო, საფიქრებელია, საფუძვლად ქართული ასომთავრული დამწერლობის Ը „ჯან“ ნიშანს, რომელიც ჯერის მოხაზულობით ხასიათდება (ზემოდან დართული დამატებითი პორიზონტალური ხაზის გამოკლებით) და რომელმაც ამდენად /ჯ/ თანხმოვნის მნიშვნელობა მიიღო (ჯავახიშვილი 1949:231; შდრ. *პატარიძე* 1972, 2 : 170);

ქართული ასომთავრული ანბანის ბოლო სიმბოლო უ „ჰაე“ (რიცხვითი მნიშვნელობა „0.000“), როგორც ჩანს, ძველი მოხაზულობის (მოკლე მარჯვენა ტოტის მქონე) უ „პარ“ ნიშნის გრაფიკული ვარიანტია. ეგვე უ „ჰაე“ ნიშანი შეიძლება აგრეთვე ს „სან“ ნიშნის გრაფიკულ ვარიანტად ვცნოთ.

ამგვარად, ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულ სიმბოლოთა შედარებითი ანალიზი ავლენს მათ მსგავსებას არქაულ ბერძნულ

ნიშნებთან, რაც გვაგვარაუდებინებს ქართული ნიშნების შექმნისას ძირითადად ბერძნული გრაფიკული ნიმუშების გამოყენებას.

ამავე ქართული გრაფიკული სიმბოლოების მსგავსება შესაძლებელია ჩვენ სხვა სისტემებთანაც დაგვეანახა (როგორცაა, მაგალითად, ფინიკიური, არამეული და სხვ.) და ძველი ქართული ასო-ნიშნები შესაბამისად ამ სისტემათა სიმბოლოებთან შეგვედარებინა ქართულ სიმბოლოთა წარმომავლობის გარკვევის მიზნით. მაგრამ ყველა ამ სისტემასთან შედარებით უპირატესობა ამ თვალსაზრისით სწორედ ბერძულს უნდა მიენიჭოს, სწორედ ბერძნულ გრაფიკას უნდა შეუპირისპირდეს ძველი ქართული დამწერლობა.

ასო-ნიშნათა გარეგნულ მსგავსებას სხვა სისტემის სიმბოლოებთან მხოლოდ მაშინ აქვს გარკვეული ღირებულება და მნიშვნელობა, თუ მოცემული დამწერლობის ამ სისტემიდან მომდინარეობა სხვა, უფრო არსებითი მონაცემების საფუძველზე ივარაუდება.

ძველი ქართული დამწერლობის ასო-ნიშნათა შესაძლებელ გრაფიკულ პროტოტიპად ძირითადად ბერძნულ სიმბოლოთა დაშვება იმ დასკვნას ემყარება, რომ ქართული წერითი სისტემა არსებითად ემთხვევა სწორედ ბერძნულ სისტემას (და არა სემიტურს ან რომელიმე სხვა სისტემას) მთელი რიგი შინაგანი სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით, და ამდენად უფრო სავარაუდოა ძველი ქართული დამწერლობის ნიშნებისათვის ბერძნული გრაფიკული პროტოტიპი, ვიდრე რომელიმე სხვა (მით უმეტეს, რომ ძველი ქართული ანბანი ამ ნაწილში ავლენს გარკვეულ გრაფიკულ მსგავსებასაც ბერძნულთან).

მაშასადამე, გრაფიკული მსგავსება წერით სისტემებს შორის ისტორიულ ურთიერთობათა დადგენის თვალსაზრისით მეორეული მონაცემია, დამყარებული სისტემათა გარეგან მახასიათებლებზე, და არა ძირითადი მონაცემი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დავასკვნათ ამა თუ იმ დამწერლობის წარმომავლობის შესახებ.

მხოლოდ ნიშნათა მოხაზულობის გათვალისწინებით ძველ ქართულ დამწერლობას მრავალი სხვა წყარო აღმოაჩნდებოდა, და სწორედ ამიტომ, რომ ქართულ დამწერლობას ამ თვალსაზრისით სულ სხვადასხვა სისტემებს უკავშირებდნენ (ბერძნულს, ფინიკიურს, არამეულს, ფალაურსა და სხვ.).

10. ქართული ასომთავრული ანბანი როგორც ბერძნული დამწერლობის გრაფიკული სტილიზაციის შედეგად შექმნილი ახალი ეროვნული დამწერლობა

„და ესე ენაჲ,
შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა...“
„ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“

როგორ უნდა აიხსნას ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ასო-ნიშანთა შედარებითი ანალიზით გამოვლენილი გრაფიკული სხვაობა სათანადო ბერძნულ ნიშანთა მოხაზულობასთან? არის თუ არა ეს გრაფიკული სხვაობა შედეგი ბერძნული წერითი სისტემისაგან წარმომდგარი ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ბუნებრივი განვითარებისა და გრაფიკული ევოლუციის, რომლის პროცესში იგი უნდა დაშორებოდა პროტოტიპული ბერძნული დამწერლობის ნიშანთა მოხაზულობას?

ამ ვარაუდის დაშვებით ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნა ბერძნული ანბანის მიხედვით უნდა გადაგვეტანა იმ ეპოქაში, როდესაც არქაული ბერძნული წერითი სისტემა იყო გავრცელებული მარცხნივ მიმართული წერით და შესაბამისად მარცხნივ მიქცეული ასო-ნიშნებით; ფონეტიკური მნიშვნელობის მქონე [s] ბგერის გამომხატველი *F digamma* ნიშნით და მთელი რიგი სხვა არქაული გრაფიკული და ფონეტიკური თავისებურებებით, რომლებიც ბერძნულ წერით სისტემას ძველი წელთაღრიცხვის VIII—VII საუკუნეებში ახასიათებდა (იხ. ზემოთ, გვ. 67 და შმდ.).

ამასთანავე ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ავლენს ბერძნული წერითი სისტემისაგან მომდინარე ისეთ გრაფიკულ და ფონეტიკურ თავისებურებებს, რომლებიც ბერძნულ სისტემაში შედარებით უფრო გვიან პერიოდში წარმოიქმნა, როდესაც უკვე მარჯვნივ მიმართული წერა იყო გავრცელებული, *Ι Ξ ψ: λ ς* ნიშნით პალატალური [ɰ] ხმოვანი გამოიხატა, ხოლო თავდაპირველად [ɔw] დიფთონგის გამომხატველი *ΟΙ* ნიშანთა კომბინაციის საშუალებით [ɰ] ხმოვანი აღინიშნა; სემიტური *צ ḥādē* ნიშნისაგან მომდინარე სიმბოლო ანბანიდან ამოვარდა და ბერძნულისათვის დამახასიათებელი ბგერების გამომხატველი დამატებითი ნიშნები გაჩნდა და სხვ. (იხ. ზემოთ, გვ. 73 და შმდ.).

ქართული ასომთავრული დამწერლობის ძველი წელთაღრიცხვის VII—VI სს. გავრცელებული არქაული ბერძნული წერითი სისტემისაგან წარმომავლობის მიღების შემთხვევაში (რაც თავისთავად უკვე ქართუ-

ლი დამწერლობისათვის მეტად ადრეული ქრონოლოგიით შეპირობებულ კულტურულ-ისტორიული ხასიათის სირთულეებს ბადებს)* უნდა დაგვეშვა, რომ ქართულ დამწერლობაში აისახა ყველა ის ძირითადი ცვლილება და გარდაქმნა, რომლებიც ბერძნულმა წერითმა სისტემამ შემდგომ განიცადა, რაც, რასაკვირველია, ძნელი საფიქრებელია.

მაშასადამე, უნდა დავეუშვათ, რომ ქართული ანბანის შექმნისას წერით ნიმუშად აღებული იყო ძველი ბერძნული ანბანი იმ გრაფიკული და ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ბერძნულ წერილობით სისტემაში მომდევნო პერიოდში წარმოიქმნა**.

ყოველივე ეს გვევარაუდებინებს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ხელოვნურად შექმნას ნიმუშად აღებული ბერძნული გრაფიკული სისტემის გარდაქმნისა და სტილიზაციის შედეგად.

ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი წერით ნიმუშად, გრაფიკულ პროტოტიპად და მოდელად იღებს მის თანადროულ მონუმენტურ ბერძნულ წერით სისტემას და ახდენს მის სტილიზებულ „არქაიზაციას“, რაც გამოიხატა ძირითადად სათანადო ბერძნულ გრაფიკულ სიმბოლოთა პირმარცხნივ შებრუნებაში.

* ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის უძველესი ნიმუშები თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის პირველი ნახევრით. 433 წლით თარიღდება გ. წერეთლის მიხედვით, ორი ქართული წარწერა პალესტინიდან (წერეთელი 1960), რომლებიც, ამდენად, მთელი ნახევარი საუკუნით წინ უსწრებენ 478 — 493 წლებით დათარიღებულ ბოლნისის სიონის წარწერას (იხ. ამ საკითხთან დაკავშირებით ახლა მაკავარიანი ე. 1985). ეს უკანასკნელი მრავალი მეკლერის მიერ ამჟამად უძველეს ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წარწერად ითვლება (შლრ. შოშიაშვილი 1980:73 და შმდ.).

მიუღებელია თვალსაზრისი იმის შესახებ, თითქოს არმაზის საპიტაგზო ნეკროპოლში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგარზე 70 — 96 წლებისა ამოკვეთილია ქართული ასომთავრული დამწერლობით შესრულებული ბერცუმპიტიაშის ინიციალები: ბ. პ. ან ბ. ქ. (იხ. ინგოროყვა 1941). ასეთ შემთხვევაში ეს იქნებოდა ყველაზე ადრინდელი ნიმუში ქართული ასომთავრული ნიმუშების ხმაარებისა. სამწუხაროდ, ლანგარის ფსკერზე ამოკვეთილი ეს ნიშნები ვერ ჩაითვლება ქართული ასომთავრული და მწერლობის სიმბოლოებად. ეგვეე შევხება მეფის მიჰრდატვარსმანის ძის დროინდელ სტელაზე წარმოდგენილ ევზელს, რომელიც პ. ინგოროყვას აგრეთვე ქართული დამწერლობით შესრულებულად მიჩნია.

** საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგი ქართული ასომთავრული ნიშანი თავისი მოხაზულობით იმდენად არქაულ ხასიათს ამჟღავნებს, რამ ემსგავსება გრაფიკულად (ასოს პირის მარცხნივ მიქცევით) არქაული ბერძნული ანბანისაგან მომდინარე იტალიურ დამწერლობათა სათანადო ნიშნებს (იხ. ზემოთ, ტაბულა 13; გვ. 93). მაგრამ ამასთანავე ქართული წერითი სისტემა ავლენს შედარებით გვიანი პერიოდის ბერძნული-საგან მომდინარე ისეთ გრაფიკულ-ფონეტიკურ თავისებურებებს, რომლებიც უცხოა იტალიურ დამწერლობებისათვის.

ამასთანავე იგი შეგნებულად ცვლის შესაბამის ბერძნულ გრაფიკულ სიმბოლოთა მოხაზულობას სხვადასხვა გრაფიკული ხერხის გამოყენებით: ასოს ძირითადი ხაზისათვის დამატებითი ხაზების მიმატებით ან გამოკლებით, რითაც გარკვეული გრაფიკული პროტოტიპის საფუძველზე შექმნილი ნიშანი ამ უკანასკნელს სცილდება და ორიგინალურ გრაფიკულ იერს იძენს.

მაგრამ ამისდა მიუხედავად, პროტოტიპულ ბერძნულ დამწერლობასთან გრაფიკული კავშირი ქართული ასომთავრული დამწერლობის მომონუმენტურობასა და მის მრგლოვან დუქტუსში გამოიხატა, რაც თანადროული ბერძნული უნციალური დამწერლობის ძირითადი გრაფიკული მახასიათებლის ამსახველია.

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ არ იქნა აღებული ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელის მიერ ნიმუშად ბერძნული წერილობითი სისტემა იმ გრაფიკული სახით, რა სახითაც იგი ქართული ანბანის შექმნისას არსებობდა? რატომ არ იქნა გამოყენებული ახლად შექმნილ ანბანში სათანადო ბერძნულ ნიშანთა მოხაზულობა, როგორც ეს, მაგალითად, კოპტური ან გოთური ანბანების შექმნისას მოხდა, როგორც ეს ბერძნულისა ან სემიტურისაგან წარმომდგარ სხვა დამწერლობათა შემთხვევაშიც გვაქვს?

ამ მოვლენის ერთ-ერთი შესაძლებელი ახსნა იქნებოდა დაშვება იმისა, რომ ასომთავრული დამწერლობის შემქმნელი ცდილობს ამ გზით დაფაროს ახლად შექმნილი ქართული ანბანის დამოკიდებულება და კავშირი მისი დროის ბერძნულ წერით სისტემასთან. იგი ამ მიზნით ახდენს ბერძნულ გრაფიკულ სიმბოლოთა ისეთ მოდიფიკაციას ქართულში, რომ სათანადო ბერძნულ და ქართულ ასო-ნიშნებს შორის იკარგება ყოველგვარი ფორმალურ-გრაფიკული კავშირი, რომლის გამოვლენა მხოლოდ სპეციალური გრაფიკული ანალიზის საშუალებით თუ ხერხდება. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიშნები სათანადო ბერძნული წერითი სიმბოლოების შეგნებულ გრაფიკულ სტილიზაციას წარმოადგენს.

ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შემდგენელი ქმნის ეროვნულ დამწერლობას ეროვნულ ენაზე ტექსტების ჩასაწერად, ხოლო ეროვნული დამწერლობა დამოუკიდებელი უნდა იყოს, ამგვარი წარმოდგენების მიხედვით, ყოველი სხვა დამწერლობისაგან, არ უნდა იმეორებდეს რომელიმე სხვა დამწერლობის გრაფიკულ ფორმას.

გვეუ მოსაზრებები ედო საფუძველად მესროპ-მამთოციის ეული სომხური დამწერლობის ბერძნული პროტოტიპისაგან სრულიად გან-

სხვაეგვარი მოხაზულობის შექმნას; ამავე მიზეზით ხდება სლავურ „გლაგოლიცაში“ ბერძნულ მინუსკულურ ასო-ნიშანთა მოხაზულობის სტილიზაცია და მოდიფიკაცია, რაც მათ სრულიად განსხვავებულ დუქტუსს ანიჭებს. ამ გზით ხერხდება ახლად შექმნილი დამწერლობის ეროვნული თვითმყოფობის განმტკიცება და მისი სხვა დამწერლობათაგან დამოუკიდებლობის დემონსტრაცია.

ამ ტენდენციამ სომხური ანბანის შემქმნელი მიიყვანა ბერძნულ ნიშანთა მოხაზულობის სრულ უკუგდებამდე და სათანადო გრაფიკული სიმბოლოების ორიგინალურ ნიშანებზე შეთხზვამდე სხვადასხვა გრაფიკული ხერხისა და ნიმუშების გამოყენებით (იხ. ზემოთ, გვ. 111 და შმდ.).

ქართული ანბანის შემქმნელი ანალოგიური ტენდენციის განსახორციელებლად სხვა გზას ირჩევს: იგი არ წყვეტს ყოველგვარ კავშირს ნიმუშად აღებული დამწერლობის გამოხატულების პლანთან, პროტოტიპული ანბანის ნიშანთა მოხაზულობასთან; იგი მხოლოდ ახდენს პროტოტიპულ ნიშანთა გრაფიკულ სტილიზაციას სხვადასხვა გრაფიკული მეთოდების გამოყენებით. მიზანი ორივე ამ ანბანის შემდგენელთ ერთი და იგივე აქვთ, ამ მიზნის გრაფიკული განხორციელების გზა—არსებითად განსხვავებული*.

* რამდენადაც ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა წარმოადგენს ორიგინალური შემოქმედების ნაყოფს, ჩვენი ვარაუდები კონკრეტულ ნიშანთა წარმომავლობის, მათი შეთხზვის შესახებ სხვადასხვა გრაფიკული ხერხის გამოყენებით უალრესად პირობითი და ჰიპოთეტურია.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია ზუსტად დადგენა იმისა, თუ რა გრაფიკული ასოციაციები შეიძლება გასჩენოდა ანბანის შემქმნელს ამა თუ იმ ნიშნის შეთხზვისას. ხშირად ასეთი დასკვნები მკვლევრის სუბიექტურ შთაბეჭდილებებს უფრო გამოხატავს, ვიდრე იმ პროცესების ობიექტურ ასახვას, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ამა თუ იმ ანბანის შემქმნელის „შემოქმედებით ლაბორატორიაში“.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ამა თუ იმ დამწერლობის წერილობითი ნიშნების სინქრონულ გრაფიკულ ურთიერთმიმართებათა ერთგვარი მოდელირება (იხ. ზემოთ, გვ. 159 და შმდ., ქართული ასომთავრული დამწერლობის სიმბოლოთა გეომეტრიული „აგები“ შესახებ სწორი ხაზისა და ნახევარწრეხაზის ერთმანეთთან კომბინირების გზით), მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმ გრაფიკული პროცედურის აღდგენას, რომელსაც განახორციელა ამ დამწერლობის შემოქმედმა ასო-ნიშნების შეთხზვისა და გრაფიკული გაფორმების დროს. მით უფრო გაუშართლებელია მეთოდოლოგიურად ცალკეულ წერით სიმბოლოთა ამგვარი გრაფიკული ანალიზის საფუძველზე შორსმომავალი ისტორიული დასკვნების გაკეთება მთლიან წერილობით სისტემათა წარმომავლობისა და შექმნის შესახებ.

მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ კავკასიურ დამწერლობათა (ძველი სომხურის, ძველი ქართლის, ალბანურის) ანალიზის მეთოდი, რომელსაც ს. მურაკაიოვი იყენებს თავის მრავალრიცხოვან ნაწერებში (იხ. ბიბლიოგრაფია წერილში *Муравьев* 1982). ავტორი თვლის ქართული ასომთავრული დამწერლობის ხმოვანსიმბოლოებს

ამგვარი ნაციონალური ტენდენციები დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო აღმოსავლური ქრისტიანობისათვის, რომელიც აცხადებს ღვთისმსახურების თვალსაზრისით ენათა თანასწორუფლებიანობის პრინციპს და მიისწრაფვის ახალი ქრისტიანული კულტურის შექმნისაკენ ეროვნული ენისა და ეროვნული დამწერლობის საფუძველზე (შდრ. *Jakobson 1945*).*

ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად გულისხმობდა ამავე დროს ფართო მუშაობის გაშლას ეროვნულ ენაზე საღმრთო წიგნების სათარგმნელად სპეციალურად ამ მიზნებისათვის ახლად შექმნილი ეროვნული დამწერლობის საშუალებით.

ასე მოხდა ეს კოპტურ, გოთურ, სომხურ და სლავურ დამწერლობათა შექმნის შემთხვევაში. ეგვიპტე უნდა ყოფილიყო ძირითადი საფუძველი ძველი ქართული „ასომთავრული დამწერლობის“ შექმნისა, რომელიც თავდაპირველად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ქრისტიანული საეკლესიო წიგნების ქართულად გადმოღებისათვის და აგრეთვე ეროვნულ ენაზე ორიგინალური ქრისტიანული წერილობითი ძეგლების შესაქმნელად.

ღვთის წინაშე ენათა თანასწორუფლებიანობის იდეას აღმოსავლურ-ქრისტიანული ეკლესიის დოქტრინაში, რამაც წარმოშვა თავდაპირველად აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში მთელი რიგი ახალი დამწერლობანი და დასაბამი მისცა წერილობით ფიქსირებული ქრის-

სათანადო ძველი სომხური ხმოვანთიწმენებისაგან შექმნილად „გრაფიკული დერივაციის“ გზით, რაც მას საფუძველს აძლევს „გამოაცხადოს“ (*oznacutis*), თი:ქოს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა მესროპ-მამათოციის მიერ შექმნილი სომხური დამწერლობისაგან მომდინარეობს.

ძველი სომხური დამწერლობის მთელ რიგ გრაფიკულ სიმბოლოთა ანალოზის (ამ შემთხვევაში „სპეციფიკური თანხმონების“ გამოშვატეული ნიშნებისა) ანალოგიური გრაფიკული მეთოდის მოშველიებით რ. პატარიძე, ს. მურავიოვამდე ბევრად უფრო ადრე (იხ. *Patariдзе 1972*), პირდაპირ საპირისპირო დასკვნამდე მიდის ძველ ქართულ და სომხურ წერილობით სისტემათა ისტორიული ურთიერთობის შესახებ: იგი თვლის ძველ სომხურ დამწერლობას ძველი ქართულისაგან მომდინარედ. ყოველივე ეს ნათელი ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად ნებისმიერი და სუბიექტური დასკვნები ამა თუ იმ დამწერლობის წარმომავლობის თაობაზე, დამყარებული ამ დამწერლობათა უპირატესად გრაფიკული ანალოზის საფუძველზე.

* აღმოსავლური, ბერძნული ქრისტიანობა ამ თვალსაზრისით მკვეთრად ემიჯნება რომაულ ეკლესიას, რომელიც ავრცელებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას დასავლურ სამყაროში ლათინური ენისა და დამწერლობის საფუძველზე ეროვნული ენისა და ეროვნული კულტურის გაუთვალისწინებლად (შდრ. *Marquart 1917:1—2; Meyendorff 1982:7* და შმდ.).

ტიანული ლიტერატურის შექმნას ეროვნულ ენებზე, მოჰყვა ამ ენათა სოციალური ფუნქციისა და მნიშვნელობის ზრდა, ეროვნული ენისა და დამწერლობის გადაქცევა ხალხთა ეროვნული იდენტოფიკაციისა და კულტურული თვითდამკვიდრების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად.

ბერძნულ ენასთან და ეკლესიის სხვა ოფიციალურ ენებთან ახლად-გაქრისტიანებული ერების ენათა თანასწორუფლებიანობის პრინციპი თანდათან ეროვნულ ენათა პრიმატისა და თვისებრივი აღმატებულობის იდეით იცვლება, რაც, მაგალითად, X საუკუნის ქართულ მწიგნობარს იოანე-ზოსიმეს ქართული ენის „ქებასა და ღიღებას“ ატყვევინებს და აცხადებინებს, რომ „მეორედ მოსელის“ ეამს „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. ანდა XIII საუკუნის სომეხ მოღვაწეს ვარდან არეველციის სომხურ ენას წარმოადგენინებს როგორც „გვირგვინს ყოველთა ენათა ქვეყანასა ზედა“.

ყოველივე ეს ერთი და იმავე ტენდენციის გამოვლინებაა აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში—მშობლიური ენის განდიდებისა და აღზევების, ამ ეპოქაში გაბატონებული ბერძნული ენის საპირისპიროდ. ამ წარმოდგენების თანახმად, მშობლიური ენა ბერძნულის თანასწორი და ტოლი ენაა, „ესე არიან ორნი დანი“ (მღრ. *Boeder 1983*). ამგვარი პარტიკულარისტული ტენდენციები ალბათ მნიშვნელოვნად უფრო ადრე დაიწყო აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში, რითაც უნდა აიხსნებოდეს სწორედ ასეთი სწრაფვა ადრე-ქრისტიანულ ეპოქაში, ახლად შექმნილ დამწერლობაში ბერძნული წერითი ნიშნების ნაცვლად სრულიად ორიგინალური და ხელოვნურად შეთხზული წერითი სიმბოლოების გამოყენების საშუალებით დაფარულიყო ეროვნული ანბანის ბერძნულზე დამოკიდებულება და ბერძნული-საგან წარმომავლობა.

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ქრისტიანულ დამწერლობად მიჩნევა და მისი წარმომავლობის დროის განსაზღვრა ქართული სახელმწიფოს გაქრისტიანების ხანით აგრეთვე გასაგებს ხდის ძველ ქართულ ანბანში „ჯერის“ მოხაზულობის X „ჯან“ ასოს მოთავსებას ანბანის ბოლოში ფონეტიკური მნიშვნელობის მქონე უკანასკნელ ნიშნად, რასაც ამ თვალსაზრისით გასაგები სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდა.

ამითვე უნდა აიხსნებოდეს რიგი მსგავსი სტრუქტურული ნიშნები, რასაც ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ამავე ეპოქაში შექმნილ ბერძნულ ანბანზე დამყარებულ სხვა ქრისტიანულ დამწერლობებთან ავლენს*.

*) ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე წერასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინოლოგიის ბერძნული წარმომავლობა, რაც ე. კეკელიძეს ქართული დამ-

11. ქართული ასომთავრული დამწერლობა შედარებით კოპტურთან, ბოთურთან, სომხურთან და სლავურთან

ძველი ქართული ასომთავრული ანბანის განსაზღვრა როგორც ბერძნული წერითი სისტემის საფუძველზე შექმნილი ქრისტიანული ხანის დამწერლობისა ბუნებრივად აყენებს ტიპოლოგიურად ამ უკანასკნელს ბერძნულზე დამყარებულ სხვა ქრისტიანულ დამწერლობათა რიგში: კოპტურ, გოთურ, სომხურ და ძველ სლავურ დამწერლობებთან.

კოპტურთან და გოთურთან ქართულ ასომთავრულ დამწერლობას აერთიანებს პროტოტიპული ბერძნული ანბანისადმი პარადიგმატული დამოკიდებულების პრინციპი. ამ თვალსაზრისით ძველი ქართული დამწერლობა ეთანხმება კოპტურსა და გოთურს და უპირისპირდება სომხურს.

ძველ ქართულ დამწერლობაში, ისე როგორც კოპტურსა და გოთურში, ასახულია უკლებლივ და სრულად მთელი პროტიტიპული ბერძნული პარადიგმატიკა. ყველა $9 \times 3 = 27$ ნიშანი ბერძნული ანბანისა, რომლებიც როგორც ფონეტიკური, ისე რიცხვითი მნიშვნელობებით ხასიათდება (ან მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობებით — C $\sigma\iota\gamma\mu\alpha$, P $\alpha\beta\pi\alpha$ და M $\sigma\delta\mu\alpha$; ნიშანთა შემთხვევაში), გადატანილია ამ ანბანებში იმავე თანმიმდევრობით და სათანადო ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობებით.

ბერძნული ეპიკემონები (მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის მქონე გრაფიკული სიმბოლოები) გადმოდის აქ ამავე ფუნქციით (ე. ი. მხოლოდ სათანადო რიცხვით მნიშვნელობათა გამომხატველ სიმბოლოებად, შდრ. კოპტური რიცხვ-ნიშნები „8“ და „900“, გოთური რიცხვ-ნიშნები „90“ და „900“), ან ისინი იძენენ ახალ სისტემებში სათანადო ენათათვის დამახასიათებელ „სპეციფიკურ“ ფონეტიკურ მნიშვნელობებს (შდრ.

წერლობის ბერძნულიდან მომდინარეობის ერთ-ერთ საბუთად მაინცა (კეკელიძე 1929, V — VI: 157); შდრ. საწერი იარაღის სახელები ქართულში: კალამი~ბერძნ. $\kappa\alpha\lambda\alpha\mu\iota$; მელანი~ბერძნ. $\mu\epsilon\lambda\alpha\iota$. თვით სიტყვა $\phi\iota\gamma\kappa\iota$, რომელიც ძველ ქართულში როგორც ბერძნ. $\phi\iota\gamma\kappa\iota\sigma$ და $\epsilon\pi\iota\sigma\iota\lambda\iota$ სიტყვათა შესატყვისია, ასევე „ასოს“ ნიშნავს (ბერძნ. $\varphi\delta\mu\alpha$), და ბერძნული $\sigma\iota\gamma\mu\alpha$ სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს [რომელიც თავის მხრივ შემოსულია ბერძნულში ლათინურიდან (*signum*) არა უადრეს ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნისა].

ყ *ǰaj* ნიშანი კოპტურში— ფონეტიკური მნიშვნელობა [f], რიცხვითი

მნიშვნელობა „90“; **Ա** ნიშანი გოთურში—ფონეტიკური მნიშვნელობა [qʰ], რიცხვითი მნიშვნელობა „8“; **Პ** „ვინ“, **ჲ** „უან“ და **ჳ** „შინ“ ნიშნები ქართულში—ფონეტიკური მნიშვნელობა შესაბამისად [v], [z] და [z̄], რიცხვითი მნიშვნელობა—„8“, „90“ და „900“).

ბერძნული ნიშნები, ბერძნულისათვის „სპეციფიკური“ ფონეტიკური მნიშვნელობებით: [ks], [ps], [θ] და სხვ., რომლებიც არ არის დამახასიათებელი სათანადო ენებისათვის, გადმოდის აქ ახალი, ამ ენათათვის „სპეციფიკური“ ფონეტიკური მნიშვნელობით (შდრ. გოთური

ნიშნები **ψ** **Ϸ** **Ϡ**—ფონეტიკური მნიშვნელობა შესაბამისად [β], [j], [hʷ], რიცხვითი მნიშვნელობა—„9“, „80“, „700“; ქართული **ა** „აე“, **ი** „ლან“, **ყ** „ყარ“ ნიშნები—ფონეტიკური მნიშვნელობა შესაბამისად [j], [ɣ], [qʰ], რიცხვითი მნიშვნელობა—„80“, „700“, „800“).

ახლად შექმნილ ანბანებში ამგვარი ფონეტიკური შენაცვლებების განხორციელებით და ბერძნული ანბანის ეპისემონების (რიცხვ-სიმბოლოთა) სათანადო ადგილებზე შენარჩუნებით (შესაძლებელია, „სპეციფიკური“ ფონეტიკური მნიშვნელობის მიწერით) არსებითად შემოინახება პროტოტიპული ანბანის პარადიგმატიკა და სათანადო რიცხვითი მნიშვნელობები. ამ პრინციპით გაწყობილი ანბანების პარადიგმატიკა მთლიანად პროტოტიპული ანბანის პარადიგმატიკაზე „გადაისახება“.

ეს პირველ რიგში შეეხება გოთურს, სადაც ამგვარი ფონეტიკური შენაცვლებების შედეგად ამოიწურა ყველა ის ბერძნულთან შედარებით „სპეციფიკური“ ბგერა, რომლებიც უნდა გამოხატულიყო ანბანში სპეციალური გრაფიკული სიმბოლოების საშუალებით. ამიტომ გოთური ანბანი გრაფიკულ სიმბოლოთა იმავე $9 \times 3 = 27$ რაოდენობას შეიცავს, რასაც პროტოტიპული ბერძნული; ამათგან პირველი ცხრა სიმბოლო ანბანთრიგში გამოხატავს „ერთეულებს“, მომდევნო ცხრა სიმბოლო— „ათეულებს“, ხოლო ანბანის დამასრულებელი ცხრა სიმბოლო— „ასეულებს“.

კოპტურსა და ქართულ ანბანებში ბერძნულის შესაბამის ნაწილში ჩატარებული ამგვარი ფონეტიკური „შენაცვლებების“ შემდეგაც რჩება მთელი რიგი ბერძნულთან შედარებით „სპეციფიკური“ ბგერები, რომლებიც უნდა გამოიხატოს ანბანში. ასეთი ბგერები, სათანადო გრაფიკული სიმბოლოებით წარმოდგენილი, დაერთვის კოპტურ და ქართულ ანბანებში „ძირითად“, ბერძნულისადმი შესაბამის ნაწილს და აწარმოებს ანბანის სპეციფიკურ დამასრულებელ ჯგუფს. ამგვარი „დამატებითი“

სიმბოლოების საშუალებით შესაძლებელი ხდება რიცხვ-მნიშვნელობათა დამატებითი ჯგუფის — „ათასეულების“ — გამოხატვა.

არსებითად განსხვავებული პარადიგმატული პრინციპია გამოყენებული ძველი სომხური ანბანის შედგენისას, რაც ამ უკანასკნელს ტიპოლოგიურად კოპტურ, გოთურ და ქართულ ანბანებს უპირისპირებს.

ძველი სომხური ანბანის შედგენისას პროტოტიპული ბერძნული ანბანიდან ამოვადებულია ყველა ეპისემონი (ანუ მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი ნიშნები — ე. ი. Γ $\sigma\acute{\iota}\nu\mu\alpha$, Ψ $\alpha\acute{\iota}\pi\alpha$ და Θ

$\sigma\acute{\alpha}\mu\alpha$), აგრეთვე ყველა ის ასო-ნიშანი, რომლებიც სპეციფიკურ ბერძნულ, სომხურისათვის არადამახასიათებელ ბგერებს გამოხატავენ: Ξ ξ (ფონეტიკური მნიშვნელობა [ks]), Ψ ψ (ფონეტიკური მნიშვნელობა [ps]) და Ω ω $\mu\acute{\epsilon}\chi\alpha$ (ფონეტიკური მნიშვნელობა [ō]).

ამდენად, ძველ სომხურ ანბანში მომხდარია არა „სპეციფიკურ“ ბერძნულ მნიშვნელობათა ფონეტიკური შენაცვლება, როგორც ეს კოპტურ, გოთურ და ქართულ ანბანებში გვაქვს, არამედ პროტოტიპული ბერძნული ანბანი წინასწარ დაყვანილია იმ ნაწილზე, რომელიც შეიცავს სომხურისათვის დამახასიათებელ ბგერით ერთეულთა გამომხატველ სიმბოლოებს. ამგვარად, ბერძნული პროტოტიპული ანბანის ეს ნაწილი, მთელი რიგ „სპეციფიკურ“ ბერძნულ სიმბოლოთა ამოვადებით მიღებული, წარმოადგენს იმ ჩონჩხს, რაზედაც აიგო ძველი სომხური წერითი სისტემა.

„სპეციფიკური“ სომხური, ბერძნულისაგან განსხვავებული ბგერების გამომხატველი ასო-ნიშნები მოთავსებულია არა ბერძნული ნაწილის მომდევნოდ, როგორც ეს კოპტურ და ქართულ ანბანებში გვაქვს, არამედ გაფანტულია ბერძნულის შესაბამისი ნაწილის სიმბოლოებს შორის, რაც არსებითად არღვევს სომხური ანბანის ბერძნულისადმი შესაბამის პარადიგმატიკას და მთლიანად ცვლის ბერძნულის შესაბამისი სიმბოლოების რიცხვ-მნიშვნელობათა სისტემას.

პროტოტიპული ბერძნული ანბანის რიცხვ-მნიშვნელობათა შენარჩუნების პრინციპი, რაც ასე მკაფიოდ არის გატარებული კოპტურ, გოთურ და ქართულ ანბანებში, მთლიანად უკუუღებელია სომხური ანბანის შემქმნელის მიერ, რომელიც იყენებს ბერძნულ დამწერლობას როგორც საყრდენ სისტემას მხოლოდ სათანადო სომხურ ბგერით ერთეულთა გამოსაყოფად. ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ სომხური ანბანის შემქმნელი ბერძნულ ანბანში არ ითვალისწინებს იმ სიმბოლოებს, რომელთაც არ გააჩნიათ ფონეტიკური მნიშვნელობა და არც იმ სიმბოლოებს,

რომელნიც „ზედმეტი“ სომხურისათვის მათთვის დამახასიათებელ „სპეციფიკურ“ ბერძნულ ფონეტიკურ მნიშვნელობათა გამო. ამიტომაც სწორედ, რომ ბერძნული ანბანის ჩონჩხი, რომელიც საფუძვლად უდევს სომხურს, იწყება A ჰაფა და მთავრდება X ჯესაო-ნიშნით, რომლებიც სათანადოდ აისახა სომხურში შესაბამისად U აყხ და Ψ ხიჰ ნიშნებით. ამათ შორის მოთავსდა სხვადასხვა ადგილას, ყოველგვარი შესამჩნევი კანონზომიერების გარეშე, მთელი რიგი დანართი სიმბოლოები, რომელთაც „სპეციფიკური“ სომხური, ბერძნულისაგან განსხვავებული ფონეტიკური მნიშვნელობები მიეწერათ*. ამის შედეგად მთლიანად იროვევა შესაბამისობა პროტოტიპულ ბერძნულსა და სომხურ ანბანებს შორის ასო-ნიშანთა რიცხვ-მნიშვნელობების თვალსაზრისით. ამით სომხური ანბანი მკვეთრად უპირისპირდება კოპტურ, გოთურ და ქართულ წერით სისტემებს, რომლებიც ამ თვალსაზრისით საერთო ტიპოლოგიურ ჯგუფს ქმნიან.

გარდა პროტოტიპული ბერძნული ანბანისადმი პარადიგმატული დამოკიდებულების ერთიანი პრინციპისა აღნიშნულ ტიპოლოგიურ ჯგუფში შემავალ წერით სისტემებს რიგი სხვა სპეციფიკური მახასიათებლებიც აერთიანებს.

საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ის მსგავსებანი, რაც ძველ გოთურ და ქართულ წერით სისტემებში იჩენს თავს. ძველ ქართულ დამწერლობას აერთიანებს გოთურთან არა მხოლოდ ზოგადი პრინციპი სპეციფიკურ ბერძნულ ბგერათა სათანადო ფონეტიკური მნიშვნელობებით შენაცვლებისა, არამედ ერთ შემთხვევაში სისტემაში შენაცვლებული ფონეტიკური მნიშვნელობის დამთხვევაც.

გოთურ ანბანში, ისე როგორც ძველ ქართულში, ბერძნული Ξ ჰესი ნიშანი (ფონეტიკური მნიშვნელობა [ks], რიცხვითი მნიშვნელობა „80“) შენაცვლებულია ერთი და იმავე j -ფონეტიკური მნიშვნელობის მქონე სათანადო სიმბოლოებით (რიცხვითი მნიშვნელობა „80“), რომლებიც ამავე დროს გრაფიკულ მსგავსებასაც ამჟღავნებენ: შდრ. გოთური

G j ~ ძველი ქართული D ა.

*) C ჰესი ნიშანი სომხურში (რიცხვითი მნიშვნელობა „500“) ბერძნული C ჰესი ნიშნის ადგილას კი არ ზის, მის „სუბსტიტუტს“ კი არ წარმოადგენს (შდრ. *Перихания* 1966:119), არამედ „დანართი“ ნაწილის სიმბოლოა, რომელიც მოთავსდა სომხურ ანბანში ბერძნული N უხ და O მუჰრეხ სიმბოლოების შესაბამის N ი და O ი ნიშნებს შორის. ეგვეუ შეეხება სომხურ K j ნიშანს (რიცხვითი მნიშვნელობა „900“), რომელიც ანბანში ბერძნული P ჰესის ადგილს კი არ იკავებს, არამედ შემთხვევით ხვდება ანბანდრიგში ბერძნული H იი და P ჰეს ნიშნების შესაბამის სომხურ K p და H r სიმბოლოებს შორის.

როგორ მოხდა, რომ ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სისტემაში, ერთი და იმავე ბერძნული მნიშვნელობის შენაცვლება განხორციელდა იდენტური ფონეტიკური მნიშვნელობით [j], რასაც არაფერი აქვს საერთო ფონეტიკურად თავდაპირველ ბერძნულ მნიშვნელობასთან? მეტად მცირეა ალბათობა იმისა, რომ ამგვარი დამთხვევა, რაც გამოიხატა j-ფონეტიკური შენაცვლებით ერთი და იმავე ბერძნული ნიშნისა ორივე ამ სისტემაში, წმინდა შემთხვევითობა იყოს. უფრო შესაძლებელია ამ სისტემებს შორის გარკვეული ისტორიული ურთიერთობა ვივარაუდოთ: ძველი ქართული ანბანის შემქმნელი იცნობს მის თანადროულ სხვადასხვა წერით სისტემებს, მათ შორის გოთურ ანბანსაც, რომლის მონაცემებს იგი ახალი დამწერლობის შექმნისას ითვალისწინებს*.

ამ თვალსაზრისით შესაძლებელია არც ის იყოს შემთხვევითი, რომ რამდენიმე ქართული ასო-ნიშნის სახელწოდება შესაბამის გოთურ ნიშანთა სახელებს ემთხვევა: ქართული ზ ნიშნის „ლას“ სახელი, რომელიც ფონეტიკურად განცალკევებით დგას დანარჩენ სახელწოდებებთან შედარებით (შდრ. ზემოთ, გვ. 158). მეტად ემსგავსება გოთური [l] ნიშნის „laaz“ სახელს; შდრ. აგრეთვე ქართული უ ე „ვინ“ და გოთური „uwinne“ ([w]), ქართ. შ მ „მან“ და გოთ. „mannan“ ([m]).

ბერძნულ წერით სისტემაზე დამყარებულ ქრისტიანული ხანის დამწერლობათა ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით საგულისხმოა აგრეთვე ამავე ტიპოლოგიურ ჯგუფში შემავალი ძველი სლავური დამწერლობის მონაცემები.

*) ცნობილია, რომ გოთები მე-3 საუკუნის შუა ხანისათვის მოსახლეობდნენ შავი ზღვის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაპირებზე. აქედან ისინი გადადიან ისტორიული ყირიმის ტერიტორიაზე, ტავრიის ნახევარკუნძულზე. აქ გოთები იპყრობენ ბოსფორის სამეფოს და ეუფლებიან მის ხომალდებს, რომელთა საშუალებითაც მთელ რიგ გაბედულ რეიდიებს აწარმოებენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ზიქვინთა) და ეგვიპტისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსაც აღწევენ.

ტავრიის ნახევარკუნძულზე ყირიმელი გოთები იღებენ მე-3 საუკუნის ბოლოს აღმოსავლურ, ბერძნულ ქრისტიანობას და საკუთარ ენაზე აწარმოებენ ლეთისმსახურებას; მათ ჰყავთ საკუთარი ეპისკოპოსი — უნილა (გარდ. 404 წ.). მოღწეულია ცნობა იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში კონსტანტინოპოლში, წმინდა პავლეს ეკლესიაში გოთურად იქნა წაკითხული ერთი თავი სახარებიდან (იხ. Vasiliev 1936: 3 და შმდ.; 32). ყოველივე ეს მოწმობს ყირიმის გოთებში ვულფილას მიერ თავგმნილი გოთური სახარების არსებობას, რომელიც შესრულებული იყო მის მიერვე შექმნილი ორიგინალური გოთური დამწერლობით. არ არის გამორიცხული, რომ ქართველები გოთურ დამწერლობას სწორედ ყირიმელი გოთებისაგან გაეცნენ.

სლავეურ „გლაგოლიცაში“ არსებითად იგივე პრინციპებია განხორციელებული პროტოტიპული ბერძნული სისტემისადმი პარადიგმატული დამოკიდებულებისა, რაც კოპტურ, გოთურ და ძველ ქართულ ანბანებში.

„გლაგოლიცას“ ძირითადი, ბერძნულის შესაბამისი ნაწილი გაწყობილია ბერძნული ანბანის მიხედვით მასში განხორციელებული სათანადო „ფონეტიკური შენაცვლებებით“.

„სპეციფიკური“, ბერძნულისაგან განსხვავებული სლავეური ბგერები წარმოდგენილია აქ „დანართი“ ნაწილის სახით, რომელიც აგრძელებს ძირითად, ბერძნულისადმი შესაბამის ნაწილს და ასრულებს მთელ სისტემას „ათასეულთა“ გამომხატველი რიცხვითი მნიშვნელობებით (იხ. ზემოთ, გვ. 113).

„გლაგოლიცას“ დანართი („ათასეულების“ გამომხატველი) ჯგუფის ნიშანთა ანბანთრიგში განაწილებისას ძველი სლავეური ანბანის შეძგენელი ითვალისწინებს, როგორც ჩანს, სხვა სისტემათა მონაცემებსაც, მათ შორის ძველი ქართული დამწერლობის ანბანთრიგს*. ეს ვლინდება როგორც „ათასეულთა“ ჯგუფის 8 ნიშნით დაწყებაში (რიცხვითი მნიშვნელობა „1.000“), შდრ. ქართული ასომთავრული **ჩ**, რომელიც „ათასეულთა“ ჯგუფს იწყებს (ფონეტიკური მნიშვნელობა [č], რიცხვითი მნიშვნელობა „1.000“), ასევე ამ ჯგუფის მეექვსე **ს** x_1 ნიშნის „8.000“ რიცხვითი მნიშვნელობით გამოყენებაში (შდრ. ქართული ასომთავრული **ც** ნიშნის — მხედრული **ს** — ფონეტიკური მნიშვნელობა [x] და რიცხვითი მნიშვნელობა „8.000“). ამგვარ გავლენას ძველი ქართული დამწერლობისას სლავეურ „გლაგოლიცაზე“ შესაძლებლად მიიჩნევს ნ. ტრუბეტკოვი (იხ. *Trubetzkoy 1954: 23*). საგულისხმოა აგრეთვე „გლაგოლიცაში“ **с** „900“ ~ **ѡ** „1.000“ ~ **ѣ** „2.000“ ნიშანთა მიმდევრობა (შდრ. ქართული ანბანის **ჟ** **ჭ** „900“ ~ **ჩ** **ც** „1.000“ ~ **ც** **ძ** „2.000“ მიმდევრობა), რაც ასახულია „კირილიცაშიც“ **Ц** **ц** ~ **Ч** **ч** ~ **Ш** **ш** მიმდევრობის სახით.

*) სლავეური „გლაგოლიცას“ შემქმნელი კონსტანტინე-კირილეს მიერ ძველი ქართული დამწერლობის ცოდნა დასტურდება მისი ცხოვრების აღწერილობითაც: *Vita Cyrilli*. კონსტანტინე-კირილეს ბიოგრაფიის აღგვიწერს მის გამოსვლას მაღალი წოდების სასულიერო პირთა შეკრებილობაზე, სადაც იგი „საღმრთო წერილის“ მოშველიებით თავგამოდებით იცავს დებულებას ღვთისმსახურების შესაძლებლობის შესახებ სხვადასხვა ენებზე, მათ შორის სლავეურად: ყოველ ერს უნდა მიეცეს უფლება ღმერთი თავის მშობლიურ ენაზე აღიღოს. ამასთან დაკავშირებით იგი იმოწმებს, თუ რამდენ ერს, გარდა ებრაელებისა, ბერძნებისა და ლათინებისა, მოეპოვება საკუთარი ანბანი; ამ ხალხთა შორის კონსტანტინე-კირილე „ქართველებაც“ იხსენიებს (იხ. *Duornik 1970:129*; შდრ. *Meyendorff 1982:25*).

პარადიგმატული სტრუქტურის მსგავსების გარდა ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობასა და სლავურ „გლაგოლიცას“ აერთიანებს აგრეთვე ზოგადი გრაფიკული პრინციპი ახლად შექმნილი დამწერლობის პროტოტიპული სისტემის გრაფიკისაგან დაშორებისა, რათა ამ გზით წარმოშობილიყო „ორიგინალური“ ეროვნული დამწერლობა, გარეგნულად დამოუკიდებელი ყოველივე უცხოური წერითი სისტემისაგან.

ამ პრინციპის უკიდურეს გამოვლინებას წარმოადგენს მესროპ-მართოციის ძველი სომხური ანბანი ბერძნულისაგან სრულიად განსხვავებული გრაფიკით. მესროპ-მართოცი, რომელიც სომხური ანბანის შედგენისას საყრდენად ბერძნულ წერით სისტემას იღებს, მთლიანად ცვლის ბერძნულ ნიშანთა მოხაზულობას და სათანადო სომხური ასო-ნიშნებისათვის ქმნის ორიგინალურ და თავისებურ გრაფიკულ სისტემას, რათა ამ გზით გაწყვეტილიყო კავშირი პროტოტიპულ ბერძნულ დამწერლობასთან და განმტკიცებულიყო ახლად შექმნილი ანბანის დამოუკიდებლობის შთაბეჭდილება.

ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი ამავე მიზნით ახდენს პროტოტიპული ბერძნული გრაფიკული სისტემის შეგნებულ მოდიფიცირებას; იგი არ წყვეტს ახლად შექმნილ ანბანში კავშირს ბერძნულ გრაფიკასთან. იგი მხოლოდ გარდაქმნის მას სისტემის მოდიფიკაციისა და სათანადო ნიშანთა გრაფიკული ცვლილებების განხორციელების შედეგად*. ამით ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი აღწევს არსებითად იმავე შედეგს ორიგინალური ეროვნული დამწერლობის შედგენის თვალსაზრისით, რასაც მესროპ-მართოცი ძველი სომხური დამწერლობის ბერძნულისაგან სრულიად განსხვავებულ გრაფიკულ ნიადაგზე აგებით იღებს.

ამგვარი ტენდენციები აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში, რაც იმდროინდელი პოლიტიკურ-ეროვნული და რელიგიური მოტივებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული (იხ. ზემოთ, გვ. 111; 114), დასაბამს აძლევს ბერძნულზე დამყარებული რამდენიმე გრაფიკულად ერთმანეთისაგან განსხვავებული წერითი სისტემის შექმნას, რომლებიც ამავე დროს გრაფიკულ დამოუკიდებლობას ავლენენ პროტოტიპულ ბერძნულ სისტემასთან შედარებით.

*) ამაში ვლინდება ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელის უპირესად ფართო ფოლოლოგიური ვრდილია, რომელიც მოიცავდა იმდროინდელი ბერძნული ლინგვისტური თეორიისა და ბერძნული გრაფიკული სისტემების ცოდნას. საგულისხმოა ამ თვალსაზრისით აგრეთვე ქართული ანბანის „სპეციფიკური“ ქართული ნაწილის თანხმობა ვანთა დალაგება ბერძნული ფონეტიკური თეორიის შესაბამისად (იხ. ზემოთ, გვ. 156**).

ამ თვალსაზრისით ძველი ქართული „ასომთავრული დამწერლობა“, სომხური „ერკათაგირი“ და სლავური „გლაგოლიცა“ ერთ ტიპოლოგიურ კლასში ექცევა, საპირისპიროდ კომპლური და გოთური დამწერლობებისა და სლავური „კირილიცასი“, რომელთა გრაფიკული გამოხატულება სათანადო ბერძნული უნციალური დამწერლობის გრაფიკას ასახავს.

მაგრამ ძველი ქართული წერითი სისტემა (ისევე როგორც ძველი სლავური „გლაგოლიცა“) არსებითად განსხვავდება ძველი სომხური ანბანისაგან სისტემის შინაგანი სტრუქტურის მიხედვით.

პროტოტიპულ ბერძნულ სისტემასთან პარადიგმატული დამოკიდებულების თვალსაზრისით ძველი ქართული დამწერლობა ტიპოლოგიურად უფრო ახლოსაა ქრისტიანული დამწერლობის უძველეს ნიმუშებთან—კობტურთან და გოთურთან; სისტემის პარადიგმატიკის თვალსაზრისით ქართულ დამწერლობაში იგივე პრინციპებია განხორციელებული, რაც კობტურსა და გოთურში, საპირისპიროდ ძველი სომხური დამწერლობისა, რომლის პარადიგმატიკა განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული.

12. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შემქმნელის ვინაობა

ძველი ქართული ასომთავრული ანბანის ქრისტიანული უპოქის დამწერლობად მიჩნევა, რომელიც შექმნა ბერძნული წერითი სისტემის საფუძველზე გარკვეული პირის ორიგინალური შემოქმედების შედეგად, ბუნებრივად სვამს კითხვას ქართული ანბანის შემქმნელის ვინაობის შესახებ: ვინ იყო ის პიროვნება, რომელმაც თანადროული ბერძნული უნციალური დამწერლობის საფუძველზე სრულიად ორიგინალური მონუმენტური სტილის მრგლოვანი დამწერლობა შექმნა პროტოტიპული ბერძნული გრაფიკის შეგნებული მოდიფიკაციის შედეგად?

ისტორიამ შემოგვინახა ქრისტიანული გოთური და სომხური ანბანებისა და სლავური „გლაგოლიცას“ შემქმნელთა სახელები: ესენია ვულფილა, მესროპ-მავსთოცი და კონსტანტინე-კირილე; მაგრამ ჩვენ დღემდე არ ვიცით დანამდვილებით სახელი ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შემოქმედისა, როგორც არ ვიცნობთ ქრისტიანული კობტური ანბანის შემქმნელის სახელს.

✓ სომხური ისტორიული წყაროები ძველი ქართული ანბანის შექმნას (სომხურთან და კავკასიის ალბანურ დამწერლობასთან ერთად) იმავე მესროპ-მაშთოცის მიაწერს*. მაგრამ ამავე ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მესროპ-მაშთოცი თვით არ იყო დაუფლებული ქართულს, რაც სრულიად გამორიცხავს შესაძლებლობას მის მიერ ქართული ანბანის შექმნისას.

ახალი დამწერლობის შექმნა, როგორც ნაჩვენები გვექნა, ახალი გრაფიკული სიმბოლოების გამოგონება-შეთხზვას კი არ ნიშნავს მხოლოდ; იგი გულისხმობს უწინარეს ყოვლისა ენის ღრმა ლინგვისტური ანალიზის ჩატარებას, ენის ფონეტიკური სისტემის დანაწევრებას ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომლებიც უნდა გამოიხატოს სათანადო გრაფიკული ნიშნებით. ეს არის სწორედ ახალი დამწერლობის შექმნის პროცესში ლოგიკურად პირველი და ძირითადი ეტაპი, რასაც არსებითად ემყარება მთელი შემდგომი პროცედურა ბგერათა გრაფიკული გამოხატვისა და მათი ანბანთრიგში გაწყობის. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის კონკრეტული ენისათვის დამწერლობის შექმნას ისეთი პირის მიერ, რომელიც ამ ენას ღრმად არ არის დაუფლებული, რომელსაც წინასწარ ამ ენის თავისებური ლინგვისტური ანალიზი არ ჩაუტარებია**.

* სომხური საისტორიო წყაროების ცნობის ტექსტოლოგიური კრიტიკისათვის ქართული (და ალბანური) დამწერლობის მაშთოცის მიერ შექმნის შესახებ იხ. ქავახიშვილი 1935:181; 1949:198; ალექსიძე 1968.

